მსჯელობა მეთოდის შესახებ
მეტაფიზიკური მედიტაციები

რენე დეკარტი

გამომცემლობა
Carpe diem

RENÉ DESCARTES

DISCOURS DE LA MÉTHODE

MÉDITATIONS MÉTAPHYSIQUES

Paris
Librairie Générale Française
1990

რენე დეკარტი

მსჯელობა მეთოდის შესახებ

მეტაფიზიკური მედიტაციები

თბილისი
Carpe diem
2010

უაკ (UDC) – 11
დ 304

R. Descartes
Discours de la méthode
Édition Lutetia
Paris
Nelson, Éditeurs
Méditations métaphysiques
Paris, 1990
Librairie Générale Française

რენე დეკარტი
მსჯელობა მეთოდის შესახებ
მეტაფიზიკური მედიტაციები

თარგმანი ფრანგულიდან
დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია
სამეცნიერო რედაქტორი
თამაზ ბუაჩიძე †
გამომცემელი
ალექსანდრე ალადაშვილი

Traduction géorgienne par
Dodo Laboutchidzé-Khopéria
Publié sous la direction de
Tamaze Bouatchidzé †
Éditeur
Alexandre Aladachvili

© ქართული თარგმანი დ. ლაბუჩიძე-ხოფერია
© გამომცემლობა „ნეკერი“, 2001
© გამომცემლობა Carpe diem, 2010

ISBN 978-9941-0-2709-9

სარჩევი

რენე დეკარტის ფილოსოფიური მოძღვრების ძირითადი პრინციპები 7
მეორე გამოცემის წინათქმა 25
მსჯელობა მეთოდის შესახებ 27
პირველი ნაწილი 31
მეორე ნაწილი 43
მესამე ნაწილი 57
მეოთხე ნაწილი 67
მეხუთე ნაწილი 77
მეექვსე ნაწილი 99
მეტაფიზიკური მედიტაციები 121
წერილი 123
შესავალი 131
ექვსი მედიტაციის მოკლე შინაარსი 137
მედიტაცია პირველი 143
მედიტაცია მეორე 153
მედიტაცია მესამე 167
მედიტაცია მეოთხე 193
მედიტაცია მეხუთე 207
მედიტაცია მეექვსე 219
დანართი 245

http://illuminati.ge/

რენე დეკარტის ფილოსოფიური მოძღვრების ძირითადი პრინციპები

რენე დეკარტი, შუა საუკუნეების აზროვნების შემდგომი ეტაპის – ახალი ფილოსოფიის – ერთერთი ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, სრულიად სამართლიანად ითვლება ფილოსოფიური აზრის რეფორმატორად და ნოვატორად. დეკარტის ფილოსოფიურმა აზროვნებამ უალრესად დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო პერიოდის დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე. დეკარტის სახით ფილოსოფიას მოეკვლინა ღრმა, ნათელი, უდავო მტკიცებების მოყვარული მოაზროვნე. თავად ის ფაქტი, რომ ახალი, უახლესი და თანამედროვე ეპოქის ყველა დიდი ფილოსოფოსი თავს მოვალედ მიიჩნევს მოიხსენიოს ფრანგი მოაზროვნის უბადლო ნაშრომების ძირითადი დებულებები, ნათლად მეტყველებს დეკარტის ფილოსოფიურ იხზულებათა განსაკუთრებულ ღირებულებაზე. დეკარტის იშვიათმა ნიჭმა წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერების მრავალ დარგში; დიდია მისი წვლილი მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის, ფსიქოლოგიის განვითარებაში.

რენე დეკარტი დაიბადა 1596 წელს, პარიზის სამხრეთ-დასავლეთით, ტურინის პროვინციის პატარა ქალაქ ლა ეიში. დეკარტის მამა, იოაქიმ დეკარტი, შეძლებული აზნაური, ქ. რენის პარლამენტის მრჩეველი გახლდათ.

ადამის თანახმად, რვა წლის რენე მამამ სასწავლებლად გაგზავნა ლა ფლეშის იეზუიტთა კოლეჯში, რომელიც იმჟამად საფრანგეთში საუკეთესოდ ითვლებოდა. მოგვიანებით დეკარტი წერდა: „ვსწავლობდი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სკოლაში და მწამდა – თუ ქვეყნად სადმე სწავლული არსებობდა, იქ იყო თავმოყრილი" /„მსჯელობა მეთოდის შესახებ", ნაწ. I/.

დეკარტი მოწადინებით სწავლობდა ყველა იმ მეცნიერებას, რასაც კოლეჯში ასწავლიდნენ; საკმაო დრო დაუთმო ენების შესწავლას, ისტორიული წიგნების კითხვას, მაგრამ განსაკუთრებით მოსწონდა მათემატიკა, მისი დებულებების უდავობისა და სიცხადის გამო. რაც შეეხება ფილოსოფიას, იმის გათვალისწინებით თუ როგორ ვითარდებოდა იგი უბრწყინვალესი გონების ადამიანთა მიერ საუკუნეთა მანძილზე და მაინც მასში არ იყო არც ერთი ისეთი დებულება საკამათო და, მაშასადამე, საეჭვო არ ყოფილიყო. დეკარტს თითქმის მცდარად მიაჩნდა ყველაფერი, რაც მისივე სიტყვების თანახმად, „მხოლოდ სიმართლის მსგავსი იყო". ასევე ფიქრობდა, რომ შეუძლებელი იყო იმ მეცნიერებებს, რომელთა პრინციპებიც ნასესხები იყო ფილოსოფიიდან, რაიმე მყარი და უდავო აეგოთ ასეთ სუსტ საფუძვლებზე.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ, დეკარტმა სწავლა განაგრძო ქ. პუატიეში, მედიცინისა და სამართლისმცოდნეობის შესასწავლად. 1616 წელს, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მან მიიღო ბაკალავრის წოდება და სამართლის ლიცენციანტის წოდება.

მამა რენეს სამხედრო კარიერისათვის ამზადებდა. ამის გამო 1617 წელს დეკარტი მოხალისეა ჰოლანდიის ჯარში. იგი მონაწილეობდა იმ ომში, რომელიც „ოცდაათწლიანი ომის" სახელით არის ცნობილი ისტორიაში. სამხედრო სამსახურის წყალობით, დეკარტი გაეცნო ჰოლანდიისა და გერმანიის მრავალ ჭალაქს. თავისუფალ დროს იგი ბევრს ფიქრობდა, ეჭვი ღრღნიდა და მრავალი შეცდომა მოსვენებას არ აძლევდა. განათლებით მიღებული ერთადერთი სარგებლად ეჩვენებოდა ის, რომ სულ უფრო რწმუნდებოდა „საკუთარ უვიცობაში". დეკარტი ცდილობდა ყველგან და ყველაფერზე დაკვირვებას, სხვადასხვა ზნე-ჩვეულებებისა და მდგომარეობის ადამიანებთან ურთიერთობის საფუძველზე მრავალმხრივი გამოცდილების შეძენას, რაიმე სარგებლის მიღებას.

1621 წელს დეკარტმა დატოვა სამხედრო სამსახური. მან მტკიცედ გადაწყვიტა განთავისუფლებულიყო ოდესღაც სარწმუნოდ მიჩნეული ყველა აზრის ტყვეობისაგან და ეძია ის მეცნიერება, რომელიც შეიძლებოდა აღმოეჩინა საკუთარ თავში ან სამყაროს დიდ წიგნში.

1625-27 წლებში, პარიზში, დეკარტი დაუახლოვდა სამეცნიერო და ფილოსოფიური წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. 1627 წელს, ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე, მან მონაწილეობა მიიღო კამათში. დეკარტის ღრმა და ორიგინალურმა აზროვნებამ დამსწრე საზოგადოების ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. 1629 წელს, მას შემდეგ რაც რამდენიმე წელი მოანდომა სამყაროს წიგნის ამგვარ შესწავლას, გარკვეული გამოცდილების შეძენას, თავისუფლებისა და სიმყუდროვის მოყვარული დეკარტი ჰოლანდიაში

გაეშგზავრა და ამსტერდამში დამკვიდრდა. „დიდი ქალაქის პირობებში, შეეძლო ისევე განცალკევებით და მარტოსულად მეცხოვრა, როგორც ყველაზე შორეულ უდაბნოში“ /„მსჯელობა მეთოდის შესახებ“ ნაწ. I /. აქ იგი ბევრს მუშაობდა მეცნიერების რამდენიმე დარგში, მაგრამ მათემატიკით, ფიზიკით, მედიცინით, სამართლით, ფიზიოლოგიით, ფსიქოლოგიით, კოსმოგონიით, კოსმოლოგიით გატაცებული მეცნიერი განსაკუთრებით ბევრს ფიქრობდა ფილოსოფიის მეთოდისა და ცნებების შემუშავება-დაზუსტებაზე.

1632 წელს დეკარტმა დაასრულა „ტრაქტატი სინათლეზე“ და განიზრახა საკუთარი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები სამყაროზე, როგორც მოლიანსა და განუყოფელზე, ჩამოეყალიბებინა ტრაქტატში სახელწოდებით „სამყარო“. მაგრამ მოხდა ძალზე სავალალო რამ: 1633 წელს ეკლესიამ შეაჩვენა დიდი იტალიელი მეცნიერი გალილეი. ამ ფაქტით შეძრწუნებული დეკარტი თავის მეგობარ მერსენს წერდა: „თუ გალილეის მოძღვრება მცდარია, მაშინ მისი სისტემის საფუძველიც მცდარი ყოფილა“.

დეკარტმა თავი შეიკავა თხზულების გამოცემისაგან. ცხადია, ასეთი გადაწყვეტილება მისი, როგორც მეცნიერის უპრინციპობისა და საკუთარი მრწამსის უქონლობის გამოვლინება არ იყო. მისი აზროვნება ჯანსაღია, ბონება მკაცრი და გამჭრიახი. იგი აკვირდება მოვლენებს, ასე გადაწყვიტა მან გამოეცა ტრაქტატი სამყაროზე არა როგორც მოლიანობაზე, არამედ მის ნაწილებზე.

1637 წელს ჰოლანდიის ქალაქ ლეიდენში გამოიცა დეკარტის ოთხი ტრაქტატი ერთ წიგნად.

ჩვეულებრივ, დეკარტის თანამედროვე მოღვაწენი ლათინურად წერდნენ. მათგან განსხვავებით დეკარტმა თავისი თხზულებებისათვის მშობლიური ფრანგული აირჩია. პირველი ტრაქტატი „მსჯელობა მეთოდის შესახებ“ ეძღვნებოდა ზოგად მეთოდს, ხოლო დანარჩენი სამი — ამ მეთოდის გამოყენებას სამ კონკრეტულ სფეროში. ეს ტრაქტატები გახლდათ: „დიოპტრიკა“ ე. ი. მოძღვრება ოპტიკურ ხელსაწყოებზე; „მეტეორები“ ე. ი. მეტეოროლოგიურ მოვლენათა ახსნა და „გეომეტრია“ — მათემატიკის აქტუალური საკითხების ძალზე ორიგინალური გააზრება. ამ სტრუქტურის თანახმად ავტორს სურდა ეჩვენებინა ზოგადი მეთოდის გამოყენება და მისი მნიშვნელობა კონკრეტული მეცნიერებებისათვის. თხზულების გამოქვეყნებამ იმ დროის ცნობილი მეცნიერების — ჰეტის, მორენის, რობერვილის, ფერმას და სხვათა მწვავე პოლემიკა გამოიწვია.

1641 წელს ლათინურ ენაზე გამოიცა დეკარტის „მედიტაციები პირველი ფილოსოფიის შესახებ“ თეოლოგებისა და მეცნიერების /მერსენის, გასენდის, ჰობსის, არნოს და სხვათა/ შენიშვნებითა და დეკარტის პასუხებით.

1644 წელს ლათინურად ითარგმნა დეკარტის „მსჯელობა მეთოდის შესახებ“. ამავე წელს, ასევე ლათინურ ენაზე, გამოიცა მისი თხზულება „ფილოსოფიის პრინციპები“.

1647 წელს ჟერცოგმა ლიუინმა ფრანგულ ენაზე თარგმნა „მედიტაციები პირველი ფილოსოფიის შესახებ“. დეკარტმა თარგმანი წაიკითხა და შეასწორა. იმავე წელს, პარიზში, აღნიშნული თხზულების ფრანგული თარგმანი გამოიცა

„მეტაფიზიკური მედიტაციების“ სახელწოდებით. ბატმა პიკომ ფრანგულ ენაზე თარგმნა დეკარტის „ფილოსოფიის პრინციპები“.

1649 წელს გამოიცა დეკარტის „სულის ვნებათა შესახებ“. ამ თხზულებას საფუძვლად დაედო ფრანგი ფილოსოფოსისა და ჰოლანდიაში ემიგრაციაში მყოფი ბოჰემიის ყოფილი მეფის, ფრიდრიხ V-ის ასულის, ელისაბედის წერილები ფილოსოფიის მრავალ საკვანძო საკითხზე.

1645-49 წლებში პოლემიკამ დეკარტსა და მის მოწინააღმდეგე თეოლოგებსა და მეცნიერებს შორის იმდენად მძაფრი ხასიათი შეიძინა, რომ სულიერად დაღლილი ფილოსოფოსი სიამოვნებით დათანხმდა შვედეთის დედოფლის მიწვევას. 1649 წლის შემოდგომაზე დეკარტი სტოკჰოლმს გაემგზავრა, სადაც ხშირად ხვდებოდა დედოფალს და ესაუბრებოდა ფილოსოფიის პრობლემებზე.

სამწუხაროდ, დეკარტს გაუჭირდა შეგუება ჩრდილოეთის მკაცრ კლიმატურ პირობებთან. 1650 წლის ზამთრის ერთ სუსხიან დილას იგი ისე ძლიერ გაცივდა, რომ ეს საბედისწერო შეიქნა მისთვის. 11 თებერვალს, 54 წლის ასაკში, რენე დეკარტი გარდაიცვალა. მისი ნეშტი მხოლოდ 1667 წელს იქნა გადასვენებული პარიზში.

1664 წელს, დიდი მოაზროვნის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კლერსელიემ გამოაქვეყნა ფართო საზოგადოებისათვის უცნობი დეკარტის ნაშრომი „ტრაქტატი ადამიანზე“ და მისი წერილები.

დეკარტისათვის პირველ ადგილზე დგას მაქსიმა: ჭეშმარიტებად მიიღოს მხოლოდ ის, რასაც მისი გონება იმდენად ნათლად და გარკვეით

განჭვრეტს, რომ საბაბი აღარ ქონდეს მასში დასაეჭვებლად. ფილოსოფოსის თანახმად, „ბევრად უფრო შესაძლებელია ჭეშმარიტებანი აღმოაჩინოს ერთმა ადამიანმა, ვიდრე მთელმა ხალხმა“ /„მსჯელობა მეთოდის შესახებ, ნაწ. II /. ამდენად, მან თავად იტვირთა საკუთარი თავის ხელმძღვანელობა, ძიება ფილოსოფიის იმ უდავო პრინციპებისა, რომელთაც მას /ფილოსოფიას/ უნდა დასესხებოდა ყველა ის მეცნიერება, რაზედაც კი თავად ხელი მიუწვდებოდა.

აღნიშნული მაქსიმის ნათელი დასტურია წინამდებარე წიგნში მოცემული დეკარტის ორი უმთავრესი ფილოსოფიური თხზულების ქართული თარგმანი, შესრულებული ფრანგული დედნიდან: „Discours de la méthode“ /Edition Lutetia, პირველი ქართული თარგმანი/ და „Méditations métaphisiques“ /Paris, 1990, Librairie Générale Française/.

ტრაქტატში „მსჯელობა მეთოდის შესახებ“ ფრანგი მოაზროვნე გვიჩვენებს, რომ სწორად განსჯა, სწორად მოქცევის აუცილებელი პირობაა. თქმულის საფუძველზე იგი აყალიბებს ისეთ მაქსიმებს ვონებას ჭეშმარიტებით საზრდოობას რომ აჩვევს, მცდარი განსჯით კი უკმაყოფილებას გვრის.

დეკარტის აზრით, მეცნიერება უნდა წარმოადგენდეს მწყობრ დედუქციას ე. ი. ერთი დებულებიდან მეორე დებულების ლოგიკური გამოყვანის პროცესს. ყოველ დედუქციას ე. ი. აზრთა თანამიმდევრულ მოძრაობას უნდა უძღოდეს ინტუიცია — საქმის ვითარების უშუალოდ ხედვა. თუ ყოველთვის დავიცავთ ამ თანამიმდევრობას, როცა ერთი უნდა გამომდინარეობდეს მეორიდან, თუ

დავიწყებთ შესაცნობად უმარტივესი და უადვილესით და თანდათანობით ავალთ უფრო რთულთა შემეცნებამდე, მაშინ დეკარტის თანახმად, „აღარ იარსებებდა როგორც შორეული და აუხსნელი, ასევე ფარული და აღმოუჩენელი ჭეშმარიტებები“ /„მსჯელობა მეთოდის შესახებ“ ნაწ. I/.

ასეთი თანამიმდევრობის წყალობით, დეკარტი აგნებდა საკმაოდ მნიშვნელოვან ჭეშმარიტებებს და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „მრავალჯერ ეზიარა ისეთ უკიდეგანო ნეტარებას, რომელზე უფრო სასიამოვნო და ნათელი კმაყოფილების განცდაც, ალბათ, შეუძლებელია მოკვდავთათვის“. /„მსჯელობა მეთოდის შესახებ“, ნაწ. III/.

დეკარტი ერთ-ერთ ძირითად წესად მიიჩნევს შემდეგს: ჭეშმარიტებად მიიღება მხოლოდ ის, რაც ცხადად არის შეცნობილი, რაც მის გონებას ისე ნათლად და გარკვევით წარმოუდგება, რომ ყოველგვარ ეჭვს სპობს.

ამ წესის ნათელი დასტურია დეკარტის თხზულება „მეტაფიზიკური მედიტაციები“. ფრანგი მოაზროვნის ფილოსოფიური მოძღვრების ამოსავალი წერტილია ეჭვი. ერთი შეხედვით, ადამიანის შემეცნებითი უნარებისათვის — მგრძნობელობისა და აზროვნებისათვის — თითქოს მიუღწეველი უნდა იყოს უეჭვო ჭეშმარიტების მიღწევა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდება, ამ შემთხვევაში დაეჭვების გზა აუცილებელი პირობა იქნება ამ მიზნის მისაღწევად.

პირველ ყოვლისა, დეკარტი ეჭვქვეშ აყენებს ადამიანის მგრძნობელობას. მისი აზრით ეჭვი უნდა შევიტანოთ ჩვენს გრძნობებში, აღქმებში, გრძნობად წარმოდგენებში. გრძნობები ზოგჯერ რომ გვატყუებენ, ეს ყველასათვის ცნობილია, ამიტომ „წინდახედულება გვმართებს, რათა სრულად არასოდეს ვენდოთ მას, ვინც თუნდაც ერთხელ მოგვატყუა“ /„მეტაფიზიკური მედიტაციები“, I /.

მაგრამ შესაძლოა გრძნობები გვატყუებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ძნელად საგრძნობ და ერთობ შორეულ საგნებზე ვბჭობთ. მაგრამ „ნუთუ საეჭვოა ის, რომ ამჟამად ვარ აქ, ვზიარ ცეცხლთან ახლოს, მაცვია საშინაო ტანსაცმელი, ხელთ მიჭირავს ქაღალდის ფურცელი და სხვა მისთანანი?“ /„მეტაფიზიკური მედიტაციები“, ნაწ. I/.

ფილოსოფოსის თანახმად, თუ კარგად დავაკვირდებით აღმოჩნდება, რომ ეს ვარაუდიც საეჭვოა. „ღამით სიზმარში რამდენჯერ დამიჯერებია, რომ აქ ვარ, მაცვია სამოსი, ვზიარ ცეცხლთან ახლოს და სხვა მისთანანი, თუმცა კი გახდილი ვწოლილვარ ჩემს საწოლში“ /იქვე/. სამწუხაროდ, არ არსებობს უტყუარი ნიშანი, კრიტერიუმი, რომელიც სიზმარს რეალობისაგან განასხვავებდა. ამრიგად, გრძნობადი შემეცნების საეჭვოობა ყველასათვის ნათელი უნდა იყოს.

იქნებ გონებისეული შემეცნებაა ცხადი? ნუთუ შეიძლება საეჭვო იყოს დებულება, რომლის თანახმადაც ორისა და სამის ჯამი ხუთია?

დეკარტის მიხედვით, საყოველთაოდ უნდა გავიაზროთ უტყუარი აზრი: არის მხოლოდ ერთი ღმერთი, რომელიც ყოვლისშემძლეა. მაგრამ იქნებ მან ისე მოაწყო ყოველივე, რომ არარსებული შეიძლება არსებულად ჩავთვალო, იქნებ ორისა და სამის ჯამი არ არის ხუთი და „იქნებ მან შემქმნა ისეთად, რომელიც ნიადაგ ცდება?“ /„მეტაფიზიკური მედიტაციები, I/.

ცხადია, ამ აზრის საწინააღმდეგოდ იტყვიან: ღმერთი არ იტყუება, იგი უსაზღვრო სიკეთის მოქმედადაა აღიარებული. მაგრამ ყველა უნდა დავთანხმოს იმ აზრს, რომ ადამიანი ზოგჯერ მაინც ცდება ე. ი. ღმერთმა როდი შექმნა შეუმცდარი ადამიანი.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ: გვატყუებს არა ღმერთი, არამედ ძლიერი და ცბიერი ბოროტი გენია, რომელიც მთელ თავის ოსტატობას ყოველთვის იყენებს ჩემს მოსატყუებლად. ამის გამო, ეჭვი უნდა შევიტანოთ ყოველი მსჯელობის ჭეშმარიტებაში. ასეთი მსჯელობის შემდეგ, ნუთუ შესაძლებელია რაიმე ჭეშმარიტების აღიარება?

დეკარტი არ არის სკეპტიკოსი, ვისთვისაც ეჭვი, ჩვენი შემეცნების საეჭვოდ გამოცხადება, თვითმიზანი გახლავთ; ვინც მხოლოდ იმიტომ ეჭვობს, რათა იეჭვიანოს და თავი ყოყმანით მოაქვს. პირიქით, მისი მიზანია მიაღწიოს მტკიცე ჭეშმარიტებას, მცდარობა ან საეჭვოობა აღმოაჩინოს ნათელი და უტყუარი მსჯელობებით. მან ჩინებულად იცის, რომ თითოეულ საგანთან მიმართებით არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება და ვინც მას მიაგნო, მან ამ საგნის შესახებ იცის ყველაფერი, რისი ცოდნაც კი შესაძლებელია და თუ არქიმედე – დეკარტისავე სიტყვებით – მხოლოდ ერთ მყარ და უძრავ წერტილს მოითხოვდა, რათა დედამიწის სფერო ადგილიდან დაეძრა, ფრანგი ფილოსოფოსი დაეჭვების გზით შეეცადა აღმოეჩინა ერთი ცხადი და უდავო ჭეშმარიტება და ამ უკანასკნელის საფუძველზე აეგო ფილოსოფიური მოძღვრების შენობა.

დასახული მიზნის მისაღწევად დეკარტი მსჯელობას იწყებს ამგვარად: იგი უშვებს, რომ ყველაფერი საეჭვოა, ილუზიაა, სიცრუეა. მაგრამ ასეთი დაშვების პირობებშიც, ზუსტად იმ დროს, როდესაც ყველაფრის მოჩვენებითობად, მცდარად მიჩნევის სურვილი ეუფლება, აუცილებელია რომ თავად ის „მე" ანუ ვინც ეჭვობს, ტყუდება, ილუზიის ტყვეობაშია და ა. შ. არსებობდეს. გასაგებია, რომ ეს „მე" არ არის სხეული – სხეული ხომ ეჭვის საგანია. „მე" არის მოაზროვნე, ის არსება, რომელიც ეჭვობს, ამტკიცებს, უარყოფს, გრძნობს, წარმოიდგენს და ა. შ. ერთი სიტყვით, ისეთი სუბსტანციაა, რომლის მთელი არსება ანუ ბუნება მხოლოდ აზროვნებაა. აქედან დებულების – „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარ, ვარსებობ" – უდავო ჭეშმარიტებაში დეკარტს არწმუნებს მხოლოდ ის, რომ ძალზე ნათლად ხედავს: რათა იაზროვნო უნდა იყო. ეს ჭეშმარიტება იმდენად მყარი და შეუქცევადი გახლდათ, რომ ახირებულ სკეპტიკოსთა ყველაზე თვალშისაცემი ვარაუდებიც ვერ შეარყევდა და დეკარტმა დასკვნა: „ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შემეძლო იგი მიმეღო პირველ საწყისად იმ ფილოსოფიისა, მე რომ ვეძებდი" /„მსჯელობა მეთოდის შესახებ", ნაწ. IV/.

მაშასადამე, დეკარტისათვის ცხადზე უცხადესია, რომ აზროვნება გულისხმობს არსებობას. მართალია, დებულებას – „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარ" – დასკვნის სახე აქვს, მაგრამ ეს ინტუიციაა და არა დასკვნა; იგი სწორედ უშუალოდ ეჭვში, აზროვნებაში ხედავს არსებობას. ეს ინტუიციური დებულება წარმოადგენს დეკარტის მოძღვრების საწყისს, საფუძველს, საიდანაც უნდა დაიწყოს

მსჯელობა აზრმა და თანდათან გადაეიდეს სხვა დებულებებზე.

დეკარტის მიხედვით საგნის გრძნობადი თვისების ცოდნა — ჩვეულებრივ, ყველაზე უფრო ადვილად შესაცნობად რომ მიაჩნიათ — ვერ შეედრება საგნის შემეცნებას აზროვნებით. ნათქვამის საილუსტრაციოდ მას მოაქვს თაფლის სანთლის მაგალითი, რომლის ყველა გრძნობადი ნიშანი — სიტკბო, ყვავილთა სურნელი, სანთლის ფერი, ფორმა, სიდიდე — ერთი სიტყვით ყოველივე ის, რის მიხედვითაც შესაძლებელია მისი გარკვევით შეცნობა, ცვლილთან მიახლოებით იცვლება. მაგრამ ამის მიუხედავად, გონებისათვის, აზროვნებისათვის მაინც ცხადია, რომ იგივე თაფლის სანთელთან გვაქვს საქმე. ის, რაც რეალური ჩანდა მხედველობის, სმენის, შეხების, ყნოსვისა და გემოს საშუალებით, აღმოჩნდა ცვალებადი, სანთელი მაინც იგივეა და შეიმეცნება გონითი ხედვით. „ამგვარად, მხოლოდ განსჯის წყალობით, რომელიც ჩემს გონებაშია, მე ვიგებ იმას, რასაც მგონია თვალით ვხედავდი" /„მეტაფიზიკური მედიტაციები", ნაწ. II/.

დეკარტის თანახმად, ნათლად და გარკვევით შემეცნების უნარი მხოლოდ გონებას გააჩნია, გრძნობას ეს არ ძალუძს. თქმულის საფუძველზე ფილოსოფოსი ზოგად წესად დებულობს შემდეგს: „ყველაფერი, რასაც ძალზე ნათლად და გარკვევით შევიმეცნებთ, ჭეშმარიტია" /„მსჯელობა მეთოდის შესახებ", ნაწ. IV/. აზრთა ასეთ მწყობრში ცხადდება ფრანგი ფილოსოფოსის რაციონალიზმი.

უტყუარი ფაქტია, რომ ცნობიერებაში, აზროვნებაში არსებობს საგანთა იდეები. მაგრამ არსებობს თუ არა თავად ეს საგნები ადამიანისაგან

დამოუკიდებლად? იქნებ სამყაროში მხოლოდ მოაზროვნე „მე" არსებობს? ჩვეულებრივ, მიწას, ცას, მნათობებს და მრავალ სხვა რაიმეს თავისთავად არსებულად მივიჩნევთ, ხოლო იდეებს — მათგან წარმოშობილად და მათ მსგავსებად. მაგრამ რაკი საგანთა დამოუკიდებლობა, თავისთავადობა არასოდეს უნახავს, დეკარტს მიაჩნია, რომ მისი ცოდნა ამჯერად მხოლოდ რწმენას ეფარება.

დეკარტს ეჭვი ეპარება როგორც მის მიღმა არსებული საგნების არსებობაში, ისე მათემატიკური დებულებების ჭეშმარიტებაში. ამგვარი ეჭვებისაგან თავის დასაღწევად, ფილოსოფოსის აზრით, უნდა დამტკიცდეს ორი რამ: დასაბუთდეს დებულება ღმერთის არსებობის შესახებ და აუცილებლად დამტკიცდეს, რომ შეუძლებელია ღმერთი იყოს მატყუარა.

ღმერთის არსებობის დასაბუთება დეკარტის „მეტაფიზიკურ მედიტაციებში" ონტოლოგიურ-ანთროპოგიურია ე. ი. გულისხმობს ადამიანის ცნობიერების ანალიზს. დეკარტის თანახმად, ადამიანის აზრებს შორის ზოგიერთი არსებულის ხატი, ასახვაა — ისინი იდეებს წარმოადგენენ. მაგრამ მას აქვს ის იდეაც, რომლის მიხედვითაც იგი წვდება უზენაეს, მარადიულ, უსასრულო, უცვლელ, ყოვლისმომცველ, ყოვლისშემძლე და „ყველა მის მიღმა არსებული საგნის შემოქმედ ღმერთს... ეს იდეა უფრო მეტ ობიექტურ რეალობას შეიცავს, ვიდრე ის იდეები, რომლებითაც მეძლევა სასრული სუბსტანციები" /„მეტაფიზიკური მედიტაციები", ნაწ. IV/.

ბუნებრივი სინათლის წყალობით ფილოსოფოსისათვის ცხადი ხდება, რომ მთელ მოქმედ მიზეზში სულ ცოტა იმდენივე რეალობა მაინც

უნდა იყოს, რამდენიც არის ამ მიზეზის შედეგში. დეკარტი კითხულობს: „საიდან უნდა იღებდეს თავის რეალობას შედეგი თუ არა მიზეზიდან? როგორ შეძლებს მიზეზი მისთვის ამ რეალობის მინიჭებას, თუ იგი [ეს რეალობა] თავად არ ექნება? აქედან გამომდინარეობს ის, რომ შეუძლებელია რაიმე მომდინარეობდეს არარაისგან; ასევე, შეუძლებელია, რომ ის, რაც უფრო სრულყოფილია მომდინარეობდეს იქიდან, რაც მასზე ნაკლებად სრულყოფილია. მაშასადამე, რჩება ერთადერთი იდეა ღმერთისა" /„მეტაფიზიკური მედიტაციები", ნაწ. IV/. დეკარტის თანახმად სრულყოფილი ღმერთის იდეის მიზეზი თავად არსებული ღმერთია.

როგორც ვხედავთ დეკარტი არ არის სოლიფსისტი – ღმერთი მას მიაჩნია თავისაგან დამოუკიდებლად არსებულად. ღმერთის არსებობის ანთროპოლოგიურ-ონტოლოგიურ დასაბუთებასთან ერთად, „მეტაფიზიკურ მედიტაციებში" მოცემულია ღმერთის არსებობის ონტოლოგიური დასაბუთებაც. ამ უკანასკნელის თანახმად ღმერთის ცნება – სრულყოფილი არსების ცნებაა; სრულყოფილი არსება კი არსებობის თვისებასაც უნდა შეიცავდეს. მაშასადამე, ღმერთი არსებობს. ასეთი დასაბუთება ანselმ კენტერბერიელთან იღებს დასაბამს. დეკარტისთვისაც ღმერთის არსებობა უდავო ჭეშმარიტებაა. ეს მას ისევე თანდაყოლილად მიაჩნია, როგორც იდეა თავად საკუთარ თავზე.

მხოლოდ საკუთარ და ღმერთის უტყუარ არსებობაში დარწმუნებული ფილოსოფოსი საგანგებოდ იკვლევს საკუთარი შეცდომების ბუნებას, მათ მიზეზს. უფრო ახლოს აკვირდება საკუთარ თავს და რწმუნდება: შეცდომის მიზეზია არა ღმერთი,

არამედ თავად ადამიანი. ღმერთი არ შეიძლება იყოს მატყუარა; იტყუება ის, ვინც სუსტი და ვერაგია, მაშასადამე, ნაკლოვანი. ღმერთი კი ყოვლად სრულყოფილი და უსასრულო, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. „მე შევამჩნიე, რომ ჩემი შეცდომები დამოკიდებულია ორი თანამდევი მიზეზის ურთიერთქმედებაზე, კერძოდ, ჩემში არსებული შემეცნების უნარზე და არჩევანის ანუ ჩემი თავისუფალი გადაწყვეტილების უნარზე ე. ი. ჩემს გონებასა და ნებაზე" /„მეტაფიზიკური მედიტაციები", IV/.

თავისთავად გონება არც რაიმეს ადასტურებს და არც უარყოფს. მისი მეშვეობით ხდება არსებულთა იდეების წვდომა. ამ თვალთახედვით, გონებაში ვერასოდეს ვიპოვით რაიმე შეცდომას. მაშასადამე, დეკარტის თანახმად, შეცდომის მიზეზი ნებელობაში, თავისუფალ გადაწყვეტილებაშია. ნების ასპარეზი ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე გონებისა. მას ძალუძს გონების ნაწვდომის საზღვრებს მიღმაც გავრცელდეს, სწორედ ამ საზღვრების გაუმართლებელი დარღვევა არის შეცდომის მიზეზი.

მაშასადამე, თუ ადამიანი სწორად მოიხმარს ღმერთისაგან ბოძებულ შემეცნების უნარს, შეცდომას არ დაუშვებს. სამწუხაროდ, ადამიანი ყოველთვის სწორად როდი იყენებს ამ უნარს. შეცდომა შემეცნების უნარის უმართებულო გამოყენების შედეგია. „ბუნებრივი სინათლის თანახმად, გონითი პერცეფცია უნდა მუდამ უსწრებდეს ნების გადაწყვეტილებას. სწორედ თავისუფალი გადაწყვეტილების არასწორი გამოყენებაა ნაკლი, რაც წარმოადგენს შეცდომის ფორმას. ეს ნაკლი ვლინდება თავად ჩემგან მომდინარე ქმედებაში და

არა იმ უნარში, ღმერთისაგან რომ მაქვს ბოძებული /„მეტაფიზიკური მედიტაციები“, IV/.

დეკარტი ცხადად იმეცნებს საკუთარი თავის, როგორც მოაზროვნე რამის არსებობას, როგორც სუბსტანციას, რომლის არსება და ბუნება აზროვნებაა. მაგრამ იგი ასევე ნათლად და გარკვევით შეიმეცნებს სხეულსაც; ამჩნევს, რომ ადამიანის გონი რეალურად განსხვავდება სხეულისაგან, მაგრამ იმდენად უმჭიდროესადაა დაკავშირებული სხეულთან, რომ მასთან ერთად ქმნის მთლიან „ერთს“. სხეული თავისი ბუნებით გაყოფადია, გონი კი აბსოლუტურად განუყოფელი.

დეკარტისავე თანახმად, ღმერთი არის შემოქმედი არა მხოლოდ გონის, არამედ სხეულისაც, მატერიალური არსებულებისაც. გონისა და სხეულისაგან შედგენილი ადამიანი ეძორჩილება იმ სხეულებს გარს რომ აკრავს და მათი გავლენით ექმნება დადებითი ან უარყოფითი შთაბეჭდილება. ფილოსოფოსის მტკიცებით, სამყაროში არსებობს ორი განსხვავებული სუბსტანცია – სული და მატერია, აზროვნება და განფენილობა. სუბიექტური თვისებების გარდა /ფერი, სუნი და ა.შ/ ჩვენ მიღმა არსებულ სხეულებს ობიექტური თვისებებიც გააჩნია /ფიგურა, სიდიდე/. სხეული სუბსტანციაა, რომლის განუყოფელი თვისებაც განფენილობაა.

ფილოსოფოსის აზრით, სულიერი და მატერიალური სუბსტანციები ერთიანდებიან ღმერთში. პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა მხოლოდ მოჩვენებითია: სულისა და მატერიის დუალიზმი დეკარტისათვის დაუძლეველი რჩება.

ზემოთქმულისა და მრავალ სხვა პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებულ სიძნელეთა მიუხედა-

ვად, დეკარტის წინამდებარე ორი თხზულება – „მსჯელობა მეთოდის შესახებ“ და „მეტაფიზიკური მედიტაციები“ – მისი, როგორც ფილოსოფოსის უდიდესი გონიერებისა და განსჯითი ნიჭის ნაყოფი, სალი აზრების საოცარ სიმდიდრეს გვთავაზობს.

რენე დეკარტის მოძღვრება, რომლის დედააზრი გონის უზენაესობაა, ფილოსოფიური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშად რჩება.

თამაზ ბუაჩიძე
დოდო ლაბუჩიძე

მეორე გამოცემის წინათქმა

რენე დეკარტის ნაშრომი კვლავაც აქტუალური და ღირებულია. 2001 წელს გამოქვეყნებულმა ფრანგი მოაზროვნის ნაშრომთა ქართულენოვანმა თარგმანმა იმთავითვე მიიპყრო ფილოსოფიით დაინტერესებული საზოგადოების ყურადღება და, მცირე დროში, ფაქტობრივად, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

რენე დეკარტის ნაშრომთა — „მსჯელობა მეთოდის შესახებ" და „მეტაფიზიკური მედიტაციები" — ქართულენოვანი თარგმანის წინამდებარე გამოცემა იმ ნიშნითაა საგულისხმო, რომ დანართის სახით ერთვის ერთი ქვეთავი გ. თევზაძის წიგნიდან „ახალი ფილოსოფიის ისტორია" ნაწ.I განმანათლებლობა. ხსენებულ ქვეთავში ქართველი ფილოსოფოსი დეკარტის მოძღვრებას აკავშირებს სხვადასხვა კულტურისა და ეპოქის წარმომადგენელ ფილოსოფოსთა ნააზრევს; ეს კავშირი და პარალელები — დეკარტისა და აუტორის მიერ მოხმობილ ფილოსოფოსთა ნააზრევს შორის — იმდენად სიღრმისეული და სარწმუნოა, რომ დიდი ფრანგი ფილოსოფოსის მოძღვრების შემსწავლელთ მიაწვდის არა მხოლოდ ინფორმაციულ მასალას, არამედ ანალიტიკურსაც.

მისასალმებელია, რომ, გამომცემლობა *Carpe diem*-ის გამომცემლობის ინიციატივით, განმეორებით იბეჭდება ათიოდე წლის წინ ქართულ

ენაზე გამოცემული რ. დეკარტის ნაშრომების – „მსჯელობა მეთოდის შესახებ“ და „მეტაფიზიკური მედიტაციები“ – თარგმანი.

მთარგმნელი

მსჯელობა მეთოდის შესახებ

გონების კარგად წარსამართად და
მეცნიერებებში ჭეშმარიტების საძიებლად[1]

მოცემული მსჯელობა, ერთბაშად წასაკითხად თუ ძალზე ვრცელი გეჩვენოთ, შეგიძლიათ, ექვს ნაწილად დაყოთ: პირველ ნაწილში აღმოჩნდება სხვადასხვა მოსაზრება მეცნიერებათა შესახებ: მეორეში — ავტორის მიერ მიკვლეული მეთოდის ძირითადი წესები; მესამეში — ზნეობის ზოგიერთი წესი, რომელიც ამავე მეთოდის საფუძველზეა შემუშავებული; მეოთხეში — მოსაზრებები, რომელთა მეშვეობითაც იგი ამტკიცებს ღმერთისა და ადამიანის სულის არსებობას და წარმოადგენს მისივე მეტაფიზიკის საფუძველს; მეხუთეში — მის მიერ გამოკვლეული ფიზიკის საკითხთა რიგი; კერძოდ, იგი იკვლევს გულის მუშაობას და მედიცინის ზოგიერთ სხვა სირთულეს, ასევე, ადამიანისა და ცხოველის სულს შორის არსებულ სხვაობას; ბოლო ნაწილში საუბარია იმის თაობაზე, თუ რა მიაჩნია მას საჭიროდ, ბუნების კვლევისას უწინდელზე მეტი წარმატების მისაღწევად და ასევე, რა მოსაზრებებით დაიწერა ეს თხზულება.

---

[1] „მსჯელობა მეთოდის შესახებ" დეკარტმა დაწერა ფრანგულ ენაზე; თხზულება პირველად გამოიცა 1637 წელს, ლეიდენში /ქალაქი ჰოლანდიაში/.

პირველი ნაწილი

სალი გონება */le bon sens/* ერთობ კარგად განაწილებული რამ გახლავთ ამქვეყნად: ყოველ ადამიანს თავი ამ სიკეთით იმდენად უხვად ჰგონია დაჯილდოებული, რომ იმათაც კი – ნებისმიერი სხვა რამ ძალზე ძნელად რომ აღავსებს მათი სურვილების საწყაულს, ჩვეულებრივ, აკმაყოფილებთ ის გონება, რაც აბადიათ. უსაფუძვლოა იმაზე ფიქრი, რომ ამ შემთხვევაში ყველა ცდებოდეს; ეს უფრო იმაზე მეტყველებს, რომ მართებული განსჯისა და მცდარისაგან ჭეშმარიტის გარჩევის უნარი – სწორედ ის, რასაც სალ აზრს ანუ გონებას */la raison/* უწოდებენ, ბუნებით ყველა ადამიანს მთლიანად მოცემული აქვს თანაბრად; ასე რომ, ჩვენ თვალსაზრისთა */les opinions/* სხვაობის მიზეზი გახლავთ არა ის, რომ ერთნი სხვებზე მეტად გონიერები არიან, არამედ მხოლოდ ის, რომ აზრებს სხვადასხვა მიმართულებით წარვმართავთ და ერთი და იმავე საგნებს არ განვიხილავთ. არ კმარა გქონდეს კარგი გონება, მთავარია იგი კარგად გამოიყენო. ყველაზე დიად სულებში ჩაბუდებულია როგორც უდიდესი მანკიერების, ისე უდიდესი სიქველის შესაძლებლობა; და ის, ვინც ძალზე ნელა მიდის, თუ მუდამ სწორ გზას მიყვება, შესაძლოა, უფრო მეტად დაწინაურდეს, ვიდრე ის, ვინც გარბის და ამ გზას შორდება.

პირადად მე, არასდროს მგონებია, რომ ჩემი

გონება სრულყოფილებით რაიმეთი აჭარბებდა ჩვეულებრივ გონებას; ხშირად სურვილიც კი მიჩნდებოდა მქონოდა ისეთივე სხარტი აზროვნება, ანდა ისეთივე ნათელი და მკაფიო წარმოსახვა, ანდა ისეთივე უსაზღვრო და ჩინებული მეხსიერება, როგორც ზოგიერთებსა აქვთ; ამ თვისებათა გარდა, სხვა არაფერი მეგულება ისეთი, გონების სრულყოფილებას რომ ადასტურებდეს. რაც შეეხება გონებას ანუ აზრს – ერთადერთს, რაც ჩვენ ადამიანებად გვხდის და ცხოველებისაგან განგვასხვავებს, – ჩემი აზრით, მას ყოველი ადამიანი სრულად ფლობს. ამ შემთხვევაში ვიზიარებ ფილოსოფოსთაგან ზოგადად მიღებულ შეხედულებას: მეტნაკლებობა შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ *აქციდენციებს*[2], და არამც და არამც ერთი და იმავე *გვარის ინდივიდუმთა ფორმებსა თუ ბუნებას.*

არც იმას თქმას დავერიდები, რომ ხიჭაბუკეობავე დიდად გამიმარილა და გადავაწყდი რამდენიმე გზას, რომლებმაც იმგვარ მოსაზრებებამდე და მაქსიმებამდე მიმიყვანეს, რომ მათ საფუძველზე შემუშავებული მეთოდით, ვფიქრობ, შემიძლია ჩემი ცოდნა თანდათან გავაფართოო და ნელი-ნელ ავამაღლო იმ ბოლო საფეხურამდე, რისი მიღწევის შესაძლებლობასაც ჩემი საშუალო გონება და ხანმოკლე სიცოცხლე მომცემენ. ამ მეთოდის წყალობით გარკვეულ შედეგებს უკვე მივაღწიე; მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავზე მსჯელობისას ყოველთვის ეცდილობ თავდაჯერებულობაზე მეტად უნდობლობისაკენ გადავიხარო; როდესაც ფილოსოფოსის თვალით ვუმზერ ადამიანთა სხვადასხვა ქმედებასა და წამოწყებას, თითქმის ყოველი მათგანი ფუჭი და უსარგებლო მეჩვენება. ამიტომ უდიდეს კმაყოფილებას მგვრის ის წარმატება, რომელსაც, ჩემი აზრით, უკვე მივაღწიე ჭეშმარიტების ძიებისას და სამომავლოდაც ის მაიმედებს, რომ თუ ჭეშმარიტად ადამიანურ საქმიანობებს შორის არის რაიმე მართლაც ღირებული და მნიშვნელოვანი, მაშინ, გაებედავ და ეფიქრებ: ეს სწორედ ის საქმიანობა გახლავთ, მე რომ ავირჩიე.

თუმცა, შეიძლება ვცდები კიდეც და სპილენძი და შუშა ოქრო და ალმასი მგონია. ვიცი, რაოდენ ხშირად ვცდებით ხოლმე, როდესაც საქმე თავად ჩვენ გვეხება, ისიც ვიცი, როგორი ეჭვით უნდა მოვეკიდოთ მეგობრების მიერ ჩვენ სასარგებლოდ გამოთქმულ აზრებს; მაგრამ ამ მსჯელობაში სიამოვნებით გავაშუქებ გზებს, რომლითაც მივუყვებოდი და საკუთარ ცხოვრებას სურათივით წარმოგიჩენთ, რათა მასზე მსჯელობა შეეძლოს ყველას, ხოლო მის შესახებ დარხეული ხმებიდან შემეძინა სწავლების ახალი წესი, რომელიც შეემატებოდა იმათ, რომლითაც, ჩვეულებრივ, ვხელმძღვანელობ ხოლმე.

ამით სრულიადაც არ მსურს ამ თხზულებით ვინმეს ვასწავლო ის მეთოდი, რომელსაც საკუთარი გონების კარგად წარსამართად უნდა მიჰყვეს; უბრალოდ, მწადია ვაჩვენო ის, თუ როგორ ვეცადე ჩემი გონების წარმართვას. სხვათა დამოძღვრის მოსურნე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თავად

[2] *აქციდენცია* /ლათ. ***accidens*** – შემთხვევითობა/ საგნის დროებითი, წარმავალი, არარსებითი თვისება, განსხვავებით არსებითისაგან – სუბსტანციურისაგან. ეს ტერმინი პირველად გვხვდება არისტოტელესთან; ძალზე გავრცელდა სქოლასტიკასა და XVII – XVIII სს ფილოსოფიაში.

დასამოძღვრავზე უფრო გაწაფულია; მისი მცირედი შეცდომაც კი კილვას იმსახურებს. მე კი ამ თხზულებას მკითხველს ვთავაზობ მხოლოდ ამბად, ანდა, თუ გნებავთ, გამონაგონად, სადაც ზოგიერთ ყურადსაღებ მაგალითთან ერთად, შესაძლოა, ისეთ რამესაც გადააწყდეთ, რომელთა მიყოლა არც არის მართებული; და მაინც, ვიმედოვნებ, რომ ზოგისათვის იგი სასარგებლო იქნება, ვნებით — არავის ავნებს, ხოლო გულწრფელობისათვის, მუერა, ყველანი მადლობელნი დამრჩებიან.

ბავშვობიდანვე დავეწაფე მეცნიერებებს, რაკი მარწმუნებდნენ, რომ მათი მეშვეობით შეიძლებოდა ყოველივეს მყარი და საიმედო, ცხოვრებისათვის სასარგებლო ცოდნის შეძენა. დიდი მოწადინებით ვსწავლობდი, მაგრამ როგორც კი აღვსრულე საწადელი, რაც, ჩვეულებრივ, სწავლულთა რიგებში მიღებით მთავრდება, აზრი სავსებით შეშეცვალა. ეჭვი ძლრლნიდა და მრავალი შეცდომა მოსვენებას არ მაძლევდა; განათლებით მიღებულ ერთადერთ სარგებლად მეჩვენებოდა ის, რომ სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი საკუთარ უვიცობაში. არადა ვსწავლობდი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სკოლაში[1] და მწამდა — თუ ქვეყნად სადმე სწავლული არსებობდა, აქ იყო თავმოყრილი. შევისწავლე ის მეცნიერებები, რასაც მეც და სხვებსაც გვასწავლიდნენ და რაკი არ მაკმაყოფილებდა ეს ყოველივე, რაც კი რამ წიგნი ხელთ ჩამივარდა ყველაზე საინტერესოდ და იშვიათობად მიჩნეულ

[1] იგულისხმება ლა ფლეშის კოლეგია — იმდროინდელი საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა. XVII საუკუნის დასაწყისში დააარსეს იეზუიტებმა, ქალაქ ლა ფლეშში /საფრანგეთი/.

მეცნიერებებზე. ყველა წავიკითხე; ამასთანავე, კარგად ვიცოდი, რასაც ჩემზე ფიქრობდნენ; ვერ ვიტყვი, უფრო დაბალი განათლების მქონედ მთვლიდნენ, ვიდრე ჩემს თანაკურსელებს, რომელთაგანაც ზოგი ჩვენ მასწავლებელთა შემცველებადაც კი ეგულებოდათ. მეჩვენებოდა, რომ გამორჩეული გონების სიუხვით ჩვენი საუკუნე წინა, გარდასულ ეპოქებთან შედარებით არანაკლებად ყვაოდა. სწორედ ამის გამო გავბედე, ჩემებურად მემსჯელა ყველაფერზე და მეფიქრა: ქვეყნად არც ერთი მოძღვრება არ გამოდგა იმგვარი, როგორითაც უწინ მაიმედებდნენ.

ნათქვამის მიუხედავად, მაინც ვაფასებდი საგარჯიშოებს, რომლებსაც იყენებენ სკოლებში. ვიცოდი, რომ იქ ნასწავლი ენები აუცილებელია ძველი თხზულებების გასაგებად; რომ მშვენიერი თქმულებები აცხოველებენ მოზარდის გონებას; რომ ღირსსახსოვარი ისტორიული მოვლენების გაცნობა აკეთილშობილებს მას, ხოლო სათანადო შერჩევით წიგნების კითხვა ავითარებს სწორი მსჯელობის უნარს; რომ კარგი წიგნების კითხვის დროს ადამიანი თითქოს ესაუბრება ავტორებს — გარდასულ საუკუნეთა მეტად პატივსაცემ ადამიანებს; თანაც ეს ურთიერთობა წინასწარ შემზადებულია; ისინი მხოლოდ თავიანთ საუკეთესო აზრებს გვთავაზობენ; რომ მჭევრმეტყველება შეუდარებელ ძალასა და მშვენიერებას გვაზიარებს; რომ პოეზიის ხიბლი და სინატიფე მომაჯადოებლად მოქმედებს; რომ მათემატიკა საოცრად გამჭრიახი მიგნებებით, დიდად ეხმარება ადამიანებს ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილონ, გაიადვილონ ხელობათა დაუფლება და შეამსუბუქონ შრომა; რომ ზნე-ჩვეულებათა ამ-

სახველი თხზულებები მრავალ ძალზე სასარგებლო რჩევა-დარიგებას იძლევა და მკითხველს სათნოებისაკენ მოუწოდებს; რომ თეოლოგია ღვთიური სამყაროს შეცნობაში გვეხმარება; რომ ფილოსოფოსის ცოდნით დამაჯერებლად ვისაუბრებთ ბევრ რამეზე და ნაკლებმცოდნეთა აღტაცებასაც გამოვიწვევთ; რომ სამართლისმცოდნეობა, მედიცინა და სხვა მეცნიერებები პატივისა და სიმდიდრის წყაროა მათთვის, ვისაც ისინი ხელობად გაუხდია; დაბოლოს, კარგი იქნება ყველა მეცნიერების, თუნდაც მცდარობასა და ცრურწმენაზე დაფუძნებულთა შესწავლა, რათა შევიმეცნოთ მათი ჭეშმარიტი ღირებულება და თავი დავიცვათ მათი მცდარობისაგან.

ჩემი აზრით, საკმაო დრო დავუთმე ენების შესწავლას და ძველ წიგნებში ისტორიული ამბებისა და ლეგენდების კითხვას. სხვა საუკუნეთა ავტორებთან საუბარი თითქმის მოგზაურობის ტოლფასია. ერთობ სასარგებლოა ხალხთა ზნე-ჩვეულებების ცოდნაც, რათა უფრო საღად ვიმსჯელოთ ჩვენსაზე და არ გვეგონოს, რომ ყველაფერი — რაც ჩვენებური არ არის — სასაცილო და უგუნურია, როგორც ეს სჩვევიათ უმეცართ. მაგრამ ერთიც არის ყურადსაღები: ვინც ბევრს მოგზაურობს, თანდათან უცხოვდება საკუთარ ქვეყანაში, ხოლო ვინც დღენიადაგ ჩაკირკიტებს გარდასულ საუკუნეთა ამბებს, ჩვეულებრივ, მისივე საუკუნის მოვლენებში ველარ ერკვევა. გარდა ამისა, თქმულებები და ოვავები ხშირად სარწმუნოდ წარმოგვიდგენენ მრავალ სრულიად შეუძლებელ მოვლენას; მაგრამ ყველაზე მეტად მიუკერძოებელი მატიანეები, რომლებიც მოვლენათა მნიშვნელობას ობიექტურად აფასებენ — არც აზვიადებენ და

არც აკნინებენ მას — რათა ისტორია უფრო საინტერესო საკითხავი გახადონ, თითქმის ყოველთვის უარს ამბობენ წერონ უზნეობასა და ნაკლებად ღირსსახსოვარ მოვლენებზე. ყოველივე ამის გამო სიმართლით აღწერილიც საეჭვოდ და სინამდვილესთან შეუსაბამოდ გვეჩვენება; ამიტომ ვინც თავისი ქცევით ბაძავს ამ მატიანეებიდან აღებულ მაგალითებს, შესაძლოა, აღმოჩნდეს ჩვენი რომანების ახირებული პერსონაჟების — მოხეტიალე რაინდების უცნაურ თავგადასავალთა რკალში და მოიწადინოს ისეთი რამ, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება.

მე ძალზე ვაფასებდი მჭევრმეტყველებას, შეყვარებული ვიყავი პოეზიაზე, მაგრამ მიმაჩნდა, რომ ერთიცა და მეორეც უმალ გონების *//' esprit/* მადლია, ვიდრე სწავლისა. ვისაც განსჯის ძლიერი უნარი აქვს და ნათლად, გასაგებად აყალიბებს საკუთარ აზრებს, შეუძლია ბოლომდე დაგვარწმუნოს თავის ნათქვამში, თუნდაც მეტყველებდეს მდაბიო ბრეტონულით და რიტორიკაზე წარმოდგენაც არ ჰქონდეს; ვინც ძალზე საინტერესოდ თხზავს და შეუძლია ასევე ერთობ ხატოვნად და ნატიფად გამოთქვას თავისი ნაფიქრ-ნააზრევი, უთუოდ საუკეთესო პოეტი იქნება, თუნდაც არ იცნობდეს პოეზიის ხელოვნებას.

განსაკუთრებით მომწონდა მათემატიკა, მისი დებულებების უდავობისა და სიცხადის გამო; ვამჩნევდი, რომ იგი ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა სათანადოდ; ვფიქრობდი, რომ იგი მხოლოდ მექანიკის დარგებში გამოიყენებოდა და მაოცებდა — რატომ არ ემყარებოდა რაიმე უფრო დიადი ასეთ მტკიცე და საიმედო საფუძვლებს. ზნეობის თაობაზე ძველ

წარმართთა თხზულებებს მე ვადარებდი იმ უბადლო და საუცხოო სასახლეებს, მხოლოდ ქვეშითა და თიხით რომ არის ნაგები. მათ ცამდე აჰყავთ სიქველენი და ამქვეყნად ყველაზე სათაყვანებელ თვისებებად წარმოგვიჩენენ, თუმცა არასაკმარისად გვასწავლიან მათ შეცნობას; და ის, რასაც ისინი ხოტბას ალუვლენენ, ხშირ შემთხვევაში გახლავთ მხოლოდ გულცივობა, სიამაყე, სასოწარკვეთილება ან მაძისმკვლელობა.

მოწიწებით შევყურებდი ჩვენს თეოლოგიას და სხვაზე არანაკლებად ვიმედოვნებდი ზეკათა სასუფევლამდე ამაღლებას, მაგრამ როდესაც დავრწმუნდი, რომ ეს გზა თანაბრად მისაწვდომია უბრალოთათვისაც და სწავლულთათვისაც, რომ ზეგონებისმიერი ჭეშმარიტებები, ზეშთასოფლისკენ რომ მიგყავართ, აღემატება ჩვენი გაგების უნარს /*l'intelligence*/, ვერ შევბედე ამ ჭეშმარიტებებს, დამექვემდებარებინა ისინი ჩემი უსუსური მსჯელობებისათვის; მიმაჩნდა, რომ მათი წარმატებული კვლევა საჭიროებდა რაღაც განსაკუთრებულ ზეგარდმო ნებას და ადამიანად ყოფნაზე აღმატებას.

ფილოსოფიის შესახებ მხოლოდ ერთს დავსძენ: მე ვითვალისწინებდი, თუ როგორ ვითარდებოდა იგი უბრწყინვალესი გონების ადამიანთა მიერ საუკუნეთა მანძილზე და მაინც აქამომდე მასში არ იყო არც ერთი ისეთი დებულება, საკამათო და, მაშასადამე, საეჭვო რომ არ ყოფილიყო; ვერც საკუთარ თავში ვგრძნობდი ძალას, სხვებზე მეტი წარმატების იმედს რომ მომცემდა; ისიც კარგად ვიცოდი, რომ ერთი და იმავე საგნის თაობაზე სწავლულებს შეეძლოთ დაეცვათ მრავალი განსხვავებული მოსაზრება, რომელთაგანაც ჭეშმარიტი იქნებოდა მხოლოდ ერთი. ამის გამო თითქმის ყალბად მიმაჩნდა ყველაფერი, რაც მხოლოდ სამართლის მსგავსი იყო.

რაც შეეხება სხვა მეცნიერებებს, რომელთა პრინციპებიც ნასესხებია ფილოსოფიიდან, შეუძლებელი იყო, მათ რაიმე მყარი და უდავო ავეოთ ასეთ სუსტ საფუძვლებზე. ის პატივება და სარგებელიც, რასაც ისინი გეპირდებოდნენ, არ მიმაჩნდა საკმარისად მათ შესასწავლად; ღვთის წყალობით, არც ჩემი მდგომარეობით ვიყავი იძულებული, ხვედრის შესამსუბუქებლად მეცნიერება ხელობად გამეხადა; მართალია, ცინიკოსივით[4] არ ვუყურებდი დიდებას, მაინც ძალზე იაფფასიანად მეჩვენებოდა ისეთი პატივი, რომლის მიღწევასაც შეეძლებდი მხოლოდ უპატიოსნო გზით. რაც შეეხება მცდარ მოძღვრებებს /ლეს მაუვაისეს დოცტრინეს/, მათი ფასიც უკვე იმდენად კარგად ვიცოდი, რომ ველარ შემაცდენდა ვერც რომელიმე ალქიმიკოსის დაპირებები, ვერც ასტროლოგის წინასწარმეტყველებები, ვერც მაგიის მსახურთა თაღლითობანი და ვერც რომელიმე მათგანის — თავი იმაზე მცოდნედ რომ მოაქვთ ვიდრე სინამდვილეში იციან — ხრიკები თუ ბაქიაობა.

სწორედ ამიტომ, როგორც კი საჭირო ასაკს მივაღწიე, საშუალება მომეცა თავი დამეღწია ჩემთა მოძღვართა მეურვეობისაგან, მივატოვე წიგნებში მოცემულ მეცნიერებათა შესწავლა და

[4] *ცინიკოსები /კინიკოსები/* — ასე იწოდებიან ძველ საბერძნეთში /IV – III ს. წ./ ამ ფილოსოფიური სკოლის წარმომაფუძნელები /ანტისთენე, დიოგენე/, რომელთაც ბედნიერებისა და სათნოების საფუძვლად მიაჩნდათ უარი სიმდიდრეზე, სიძულვილზე.

გადავწყვიტე, მეძია მხოლოდ ის მეცნიერება, რომელიც შეიძლებოდა აღმომჩინა საკუთარ თავში, ან სამყაროს დიდ წიგნში. ამ მიზნით მთელი ჩემი დარჩენილი ახალგაზრდობის წლები მოვანდომე მოგზაურობას, სახახლეებისა და ჯარების დათვალიერებას, სხვადასხვა ზნე-ჩვეულებებისა და მდგომარეობის ადამიანებთან ურთიერთობას, მრავალმხრივი გამოცდილების შეძენას, განგების, ბედისწერით მოწყობილ გამოცდებს და ყველგან ყველაფერზე რეფლექსიას[5], რათა რაიმე სარგებელი მეპოვა. ჩემი აზრით, უშუალოდ საკუთარი საქმეების შესახებ იმ ადამიანის მსჯელობაში, რომელიც არასწორი განსჯის შედეგით მყისვე ისჯება, მე შემეძლო აღმომჩინა ბევრად მეტი ჭეშმარიტება, ვიდრე პირადი ინტერესებით შეპყრობილი, ვითომც შორსმჭვრეტელი სწავლულის სრულიად უნაყოფო საკაბინეტო მსჯელობაში; ამ უკანასკნელს მხოლოდ ერთი სარგებელი მოაქვს ამ ვაიმეცნიერისათვის – მით უფრო პატივმოყვარე ხდება, რაც მეტად შორდება საღ აზრს. მას ხომ უფრო მეტი გამჭრიახობა და ძალისხმევა სჭირდება, რათა საკუთარი სპეკულაციები[6] სიმართლედ გაასაღოს. ჩემი უდიდესი სურვილი კი ყოველთვის გახლდათ მესწავლა მკვლარისაგან ჭეშმარიტის გარჩევა, რათა ნათლად განმესაჯა საკუთარი ქმედებები და მყარად მევლო ამ ცხოვრებაში.

მართალია, ვიდრე მხოლოდ ვაკვირდებოდი

[5] **რეფლექსია** /ლათ. reflexio – უკან მიმართვა/ საკუთარი აზრებისა და განცდების გონითი ანალიზი, შემეცნების აქტის გამოკვლევა.

[6] **სპეკულაცია** /ლათ. speculatio/ – გონითი ჭვრეტა, დაკვირვება.

სხვა ადამიანთა ზნე-ჩვეულებებს, მათში თითქმის ყერაფერს ვხედავდი ოღლად სარწმუნოს და ვამჩნევდი თითქმის ისეთსავე სხვაობას, როგორსაც მანამდე ფილოსოფოსთა აზრებს შორის. ასე რომ, ეს დაკვირვებანი დიდად სასარგებლო გამოდგა ჩემთვის და აი რატომ: რაკი სხვა დიდ ხალხებში საყოველთაოდ აღიარებული მრავალი რამ ჩვენთვის ძალზე სასაცილო და უცნაური ჩანდა, მე გამოვიმუშავე აზრი: არ დავნდობოდი ძალზე მყარად იმ რწმენას, რომელიც მხოლოდ მაგალითებსა და ჩვეულებაზე დაკვირვებით იყო შექმნილი. ასე თანდათან განვთავისუფლდი მრავალი შეცდომისაგან, ჩვენი ბუნებრივი ნათელის უკუნად ქცევა და გონებისათვის ყურისგდების უნარის ჩახშობა რომ ძალუძს. მას შემდეგ რაც რამდენიმე წელი მოვანდომე სამყაროს წიგნის ამგვარ შესწავლას, გარკვეული გამოცდილების შეძენას, ერთ მშვენიერ დღეს, გადავწყვიტე, ასევე შემესწავლა საკუთარი თავი და მომეხმო ჩემი გონების მთელი შესაძლებლობისათვის იმ გზათა შესარჩევად, რომელთაც სამერმისოდ უნდა მიეყოლოდი. ვფიქრობ, ეს ბევრად უკეთ მოვახერხე, ვიდრე მაშინ შეეძლებდი ჩემს ქვეყანასა და წიგნებს არასოდეს რომ არ დავშორებოდი.

მეორე ნაწილი

იმხანად გახლდით გერმანიაში, სადაც ჯარში გამიწვიეს; იქ ომი ჯერაც არ დამთავრებულა. როდესაც იმპერატორის კურთხევის ცერემონიალიდან ნაწილში ვბრუნდებოდი, ზამთრის პირი იდგა. გზად შევჩერდი ერთ სადგომში, სადაც თავის შესაქცევად არც თანამოსაუბრე მყავდა და, საბედნიეროდ, არც არავითარი საზრუნავი თუ სადარდელი მაწუხებდა. დილიდან საღამომდე ბნელ ოთახში მარტოდ მყოფი, მთელი არსებით ვეძლეოდი ფიქრებს; მათგან უპირველესი გახლდათ შემდეგი: ხშირად რთული, მრავალნაწილიანი საგანი — შესრულებული სხვადასხვა ოსტატის მიერ — არ არის ისეთი სრულყოფილი, როგორც ერთი ადამიანის ნახელავი. მართლაც, ჩვეულებრივ, ერთი ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრით დაწყებული და დასრულებული შენობები ბევრად უფრო ლამაზი და კეთილადაღნაგია, ვიდრე ისინი, რომლებიც გადააკეთეს, ან რომელთა სულ სხვა დანიშნულებით ნაგები ძველი კედლების გამოყენებაც მრავალჯერ სცადეს. პატარა რაბათებიდან აღმოცენებულ ძველ ქალაქებზეც იგივე ითქმის; ჟამთა სვლაში დიდ ქალაქებად ქცეულნი, ვაკეებზე ერთი ინჟინრის ჩანაფიქრით ნაგებ ციხე-ქალაქებთან შედარებით, ძალზე ცუდი დაგეგმარებით ხასიათდებიან, თუმცა, თავისთავად, მისი თითოეული შენობა ხელოვნების ფასეული ნიმუშია. ნათქვამის მიუხედავად, მისი

განლაგების შემყურემ – აქ პატარა შენობაა, იქ დიდი, მათ გამო გამრუდებული და არათანაბარი სიგრძის ქუჩები – შესაძლოა, ეს ყველივე უმალ შემთხვევითობად, და არა ადამიანთა გონივრული ნების გამოვლინებად მიიჩნიოთ. იმ მოხელეებსაც თუ გავითვალისწინებთ, რომელთაც ევალებოდათ მუდმივი ზრუნვა, კერძო პირთა ნაგებობებს ქალაქიც დაეშვენებინათ, ნათელი გახდება, რაოდენ რთულია რაიმე სრულყოფილის შექმნა, როდესაც მხოლოდ სხვის ნახელავზე გიწევს მუშაობა. ამის მსგავსად წარმოიდგინე, რომ შეუძლებელია ოდესღაც ნახევრადველურ ხალხებს – თანდათან რომ ეზიარნენ ცივილიზაციას და ჩადენილი დანაშაულებებით გამოწვეულმა უბედურებებმა და საჩივრებმა შეაქმნევინეს კანონები – ისეთივე კარგი სამოქალაქო წესები ჰქონდეთ, როგორც იმათ, თანაცხოვრების დასაბამიდანვე რომელიმე ბრძენი კანონმდებლის დადგენილებებს რომ იცავენ. ისიც ცხადია, რომ ჭეშმარიტი რელიგია, რომლის მცნებებიც თავად ღმერთმა დაადგინა, ყველა სხვა რელიგიაზე გაცილებით სწორი უნდა იყოს. ადამიანთა საქმეებზე თუ ვილაპარაკებთ, ჩემი აზრით, სპარტა ოდესღაც ასე ძლიერ ყვაოდა არა იმის გამო, რომ მისი თითოეული, ცალკე აღებული, კანონი კარგი იყო – პირიქით, ზოგი მათგანი ძალზე უცნაური და კარგ ზნე-ჩვეულებათა საპირისპიროც კი გახლდათ – არამედ იმიტომ, რომ ყველა ეს კანონი შედგენილი იყო ერთი ადამიანის მიერ და ერთ მიზანს ემსახურებოდა. აზრად მომივიდა ისიც, რომ წიგნებში მოცემული მეცნიერებები – ყოველ შემთხვევაში ისინი, რომელთა საფუძვლებიც მხოლოდ საალბათოა და არავითარ საბუთებს არ ეყრდნობა, მრავალი

სხვადასხვა პიროვნების ნაზრევზე რომ აღმოცენდა და თანდათანობით განვითარდა – სრულიადაც არ გახლავთ უფრო ახლოს ჭეშმარიტებასთან, ვიდრე საღად მოაზროვნე ადამიანის მარტივი მსჯელობები იმ საგანთა შესახებ, რომელთაც იგი პირადად აწყდება ხოლმე. იმასაც ვფიქრობდი, სრულწლოვანობამდე ჩვენ ყველანი ხომ ბავშვები ვიყავით და ხანგრძლივად ვიმყოფებოდით ჩვენი სურვილებისა და მასწავლებელთა განმგებლობაში; ისინი ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ ერთიმეორეს და იქნებ ყოველთვის საუკეთესოს არც ერთნი გვირჩევდნენ და არც მეორენი. ამდენად, თითქმის შეუძლებელია, რომ ჩვენი მსჯელობები ისეთივე ნათელი და საფუძვლიანი იყოს, როგორც იმ შემთხვევაში, დაბადებიდან ჩვენივე გონებისათვის რომ გვეგდო ყური და მხოლოდ მისი მარადი წინამძღვრობით გვეცხოვრა ცხოვრებაში.

ცხადია, სახლების გადაკეთებისა და ქუჩების კეთილმოწყობის მიზნით ქალაქის ყველა სახლს არ ანგრევენ, ასეთი რამ არ ხდება; მაგრამ მრავალი ადამიანი ხშირად ანგრევს საკუთარ სახლს, რათა გადააკეთოს ან ხელახლა ააგოს იგი; ზოგჯერ ამას იძულებით აკეთებენ – თუ საძირკველი არამყარია და სახლს დანგრევის საფრთხე ემუქრება. ამ მაგალითმა დამარწმუნა, რომ, ალბათ, არაგონივრულია ერთმა ადამიანმა განიზრახოს სახელმწიფოს გარდაქმნა, ყველაფრის ძირფესვიანად დამხობა და შეცვლა, რათა შემდეგ კვლავ აღადგინოს იგი. ასევე არაგონივრულია წამოიწყოს მეცნიერებათა მთელი კორპუსის გარდაქმნა, სკოლებში მათი სწავლების დადგენილი წესების შეცვლა. ხოლო რაც შეეხება დღევანდლამდე ჩემ მიერ შემუშავე-

ბულ შეხედულებებს, ყველაზე უკეთესი, რაც მე შემეძლო, გახლდათ ის, რომ ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლებულიყავი მათგან, რათა შემდგომ ისინი შემეცვალა ან უკეთესებით, ანდა იმავეთი, ოღონდ მას შემდეგ, რაც მათ გონებით დავაზუსტებდი. მტკიცედ ვირწმუნე, რომ ამ საშუალებით ბევრად უკეთ წარვმართავდი საკუთარ ცხოვრებას, ვიდრე იმ შემთხვევაში, მხოლოდ ძველ საფუძვლებს თუ დავეყრდნობოდი და იმ პრინციპებით ვიხელმძღვანელებდი, ახალგაზრდობაში შეუქცევლად რომ მივიჩნიე, მათი ჭეშმარიტების შეუმოწმებლად. მართალია, ამ პროცესში სხვადასხვა სირთულეც კარგად შევნიშნე, მაგრამ ისინი სათვალავშიც არ იყვნენ ჩასაგდები, რადგან თუნდაც მცირეოდენი საზოგადოებრივი გარდაქმნების თანამდევ სირთულეებს ვერც შეედრებოდნენ. ამ უზარმაზარი ინსტიტუტების დანგრევა ადვილია, ალდგენაა ძალზე ძნელი; ასევე ძნელია საძირკველშერყეული დაცემისაგან გადაარჩინოთ, ხოლო თვით დაცემა, განადგურების ტოლფასია. რაც შეეხება ამ ინსტიტუტთა არასრულყოფილებებს — მათ ასეთი რომ ახასიათებთ, ამისთვის მხოლოდ მათივე მრავალფეროვნება კმარა — ეჭვგარეშეა, ჩვეულებამ დიდად შეარბილა ისინი, ბევრი რამ კიდეც აარიდა მათ, ანდა შეუმჩნეველად გამოასწორა, თანაც ისე ჩინებულად, რომ კეთილგონიერებაც კი ვერ განჭვრეტდა. დაბოლოს, თითქმის ყოველთვის ეს არასრულყოფილებები უფრო იოლი ასატანია, ვიდრე მათი გარდაქმნა; ისევე, როგორც ბევრად უმჯობესია წასვლა შორი გზით, მთათა შორის რომ მიიკლაკნება, მაგრამ ხშირი მგზავრობის წყალობით გაკვალული და საიმედოა, ვიდრე მოკლე

გზით, უფსკრულის პირს რომ მისდევს და ცოცვით უნდა გადაილახოს.

სწორედ ამიტომ, ჩემთვის სრულიად მიუღებელნი არიან ის ბენტერა და ახირებული ადამიანები, რომელთა მოწოდებაც, არც მათი ბუნებითი ღირსებებით და არც ჭეშმარიტი შეძლებით, საზოგადოებრივ საქმეთა განმგებლობა არ გახლავთ, არადა მათ ახალ რეფორმებზე ფიქრი არ ასვენებთ. მე დიდად ვინანებდი ამ თხზულების გამოქვეყნებას, ერთხელაც რომ დამეშვა მასში ჩემი ამგვარი უგუნურების დამადასტურებელი ფაქტების არსებობა. ჩემი განზრახვა გახლდათ მხოლოდ იმის ცდა, გარდამექმნა საკუთარი აზრები და ამეგო ისინი ისეთ ნიადაგზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი იქნებოდა; საკუთარი ქმნილება კი იმდენად თუ მომეწონა, რომ აქ მისი ნიმუშის ჩვენება განვიზრახე, ეს როდი ნიშნავს, თითქოს ვინმეს ჩემს მიბაძვას ვურჩევდე. ღვთიური მადლით ჩემზე მეტად მოსილთ, ალბათ, ზრახვებიც უფრო ამაღლებული აქვთ, მაგრამ მაინც ვშიშობ, რომ ბევრმა ჩემი ნაზრევი მეტისმეტად გაბედულად არ ჩამითვალოს. თავად გადაწყვეტილება: განთავისუფლებულიყავი ოდესღაც სარწმუნოდ მიჩნეული ყველა აზრის ტყვეობისაგან, ის მაგალითი რიდი გახლავთ, სხვებმაც მიბაძონ მას. ადამიანთა მოდგმა ორი ტიპის გონის მატარებელია, რომელთაგანაც ჩემი განზრახვა არც ერთს არ შეესაბამება. სახელდობრ: ჯერ ერთი, არსებობენ ისინი, ვისაც საკუთარი თავი უფრო ჭკვიანად მიაჩნიათ, ვიდრე სინამდვილეში არიან, ვერც ნაუცბათევი მსჯელობისაგან იკავებენ თავს, რადგან საკმაო მოთმინება არ ჰყოფნით საკუთარი აზრების თანმიმდევრულად

ჩამოსაყალიბებლად; ამიტომ, რაკი ერთხელაც დაეჭვდებიან აღიარებული პრინციპების სისწორეში, განუდგებიან საერთო გზას, ველარასოდეს აგნებენ ბილიკს რომ პირდაპირ გზას დაადგნენ და მთელი ცხოვრება გზააბნეულნი დაძრწიან. მეორე, ისინი, ვინც საკმაოდ გონიერნი და თავმდაბალნი არიან, თავს თვლიან ჭეშმარიტების მცდარისაგან გარჩევის უნარს მოკლებულად იმათთან შედარებით, ვისგანაც შეუძლიათ ეს ისწავლონ, უნდა დასჯერდნენ სხვათა აზრებს და არ უნდა ეძიონ საკუთარი და უკეთესი.

ცხადია, თავად მეც ამ ბოლოს ხსენებულთა შორის ვიქნებოდი, ყოველთვის მხოლოდ ერთი მასწავლებელი რომ მყოლოდა, ანდა, რომ არ მცოდნოდა ის სხვაობები, ყოველთვის რომ არსებობდა დიდად სწავლულ ადამიანთა აზრებს შორის. მაგრამ ჯერ კიდევ სკოლაში მივხვდი, რომ შეუძლებელია მოიაზრო რაიმე ისეთი უცნაური და დაუჯერებელი, რომელიმე ფილოსოფოსს რომ არ უთქვამს; გარდა ამისა, მოგზაურობის დროს დავრწმუნდი, რომ ის ადამიანები, რომელთა შეხედულებებიც ჩვენი შეხედულებების საპირისპირონი, ამის გამო ბარბაროსები და ველურები რიდი არიან, პირიქით, მრავალი მათგანი ჩვენსავით ან, შესაძლოა, უფრო გონიერიც კი იყოს. ასევე, გავითვალისწინე, რომ ერთი და იგივე ადამიანი ბავშვობიდან ფრანგებს, ან გერმანელებს შორის აღზრდილი სხვანაირია, ვიდრე ჩინელებს, ან კაციჭამიებს შორის ცხოვრების შედეგად იქნებოდა. ჩვენი სამოსის მოდის თაობაზეც იგივე ითქმის — ნიეთი, რომელიც მოგვწონდა ათი წლის წინ და ამდენივე ხნის შემდეგ შესაძლოა კვლავაც მოგვეწონოს, ახლა მიუღებლად

და სასაცილოდ გვეჩვენება; ასე რომ, ჩვეულებანი და მაგალითები უფრო მეტად სარწმუნოა, ვიდრე ნებისმიერი უტყუარი ცოდნა; მაგრამ მიუხედავად ამისა, ხმათა უმრავლესობა მაინც ვერ დაამოწმებს რაიმე ღირებულებას გარკვეულ წილად ძნელად აღმოსაჩენი ჭეშმარიტებების სასარგებლოდ. ბევრად უფრო შესაძლებელია ჭეშმარიტებანი აღმოაჩინოს ერთმა ადამიანმა, ვიდრე მთელმა ხალხმა. ყოველივე ამის გამო არ შემეძლო არჩევანი შემეჩერებინა ვინმეზე, ვისი აზრებიც სხვებისაზე უკეთესად უნდა მიმეჩნია; ამდენად, იძულებული შევიქენი თავად მეტვირთა საკუთარი თავის ხელმძღვანელობა.

გადავწყვიტე, იმ კაცის მსგავსად მარტო რომ იკვლევს გზას წყვდიადში, ნელა და ფრთხილად მევლო, მხოლოდ მცირედით თუ წავიწევდი წინ, დაცემისაგან მაინც შემძლებოდა თავის დაზღვევა. სურვილი არ მქონია სავსებით უარმყო რომელიმე იმ აზრთაგანი, ოდესღაც ჩემი გონებისაგან დამოუკიდებლად რომ შეძლეს ჩემს რწმენაში შელწევა, ვიდრე საკმაო დროს არ დავუთმობდი ჩემ მიერ განზრახული სამუშაოს გეგმის შედგენას და ჭეშმარიტი მეთოდის ძიებას ყოველივე იმის შესაცნობად, რისი შეცნობის უნარიც შესწევდა ჩემს გონებას.

ახალგაზრდამ ფილოსოფიის სფეროდან შევისწავლე ცოტაოდენი რამ — ლოგიკა, მათემატიკური საგნებიდან — გეომეტრიული ანალიზი და ალგებრა; ეფიქრობდი, ამ სამ ხელოვნებას ან მეცნიერებას როგორღაც ხელი უნდა შეეწყო ჩემი მიზნისათვის, მაგრამ მათი შესწავლისას შევნიშნე, რომ ლოგიკის სილოგიზმები თუ სხვა წესების უმეტესობა, ემსახურება, უმალ, სხვებისათვის იმის ახსნას, რაც

ჩვენთვის ნაცნობია, ანდა ლულიუსის[7] ხელოვნების მსგავსად, გვასწავლის განსჯის გარეშე ვისაუბროთ იმის შესახებ, რაც არ ვიცით, ნაცვლად იმისა, რომ იგი შევიმეცნოთ. თუმცა ლოგიკის მრავალი წესი ძალზე სარწმუნო და საჭიროა, მაინც იმდენი უსარგებლო და ზედმეტია მათთან შერეული, რომ პირველთა გამიჯვნა მეორეთაგან ისევე შეუძლებელია, როგორც დიანას[8], ან მინერვას[9] ფიგურათა შემწნევა დაუმუშავებელ მარმარილოს ლოდში. რაც შეეხება ძველი დროის მოაზროვნეთა მათემატიკურ ანალიზსა და თანამედროვეთა ალგებრას, იმის გარდა, რომ ისინი ეხებიან ძალზე განყენებულ და თითქოსდა უსარგებლო საგნებს, პირველი მუდამ იმდენად იფარგლება ფიგურათა განხილვით, რომ არ ძალუძს გონების /*l'entendement*/ ვარჯიში ისე, რომ ძლიერ არ დაღალოს წარმოსახვა; მეორე კი იმდენადაა დამოკიდებული სხვადასხვაგვარ წესებსა და ნიშნებზე, რომ ჩვენი გონების დამქანცავ, ბუნდოვან და გაურკვეველ ხელოვნებად ქცეულა და არა გონების განმავითარებელ მეცნიერებად.

ეს გახლდათ ის მიზეზი, რის გამოც გადავწყვიტე მეძია სხვა მეთოდი, რომელიც გააერთიანებდა

[7] **ლულიუსი რაიმონდი** /1235-1315/ – შუა საუკუნეების ფილოსოფოსი, თეოლოგი, მისტიკოსი. მისი ძირითადი თხზულებაა „საყოველთაო ხელოვნება". ლულიუსის აზრით, მის მიერ შემუშავებული უნიკალური მეთოდი, წინასწარი შესწავლის გარეშე, გადაჭრიდა ნებისმიერ მეცნიერულ პრობლემას. დეკარტი ამუშად იყენებს ლულიუსის ხელოვნებას და მას უპირისპირებს თავის რაციონალურ მეთოდს.

[8] **დიანა** – ნადირობის ქალღმერთი ძველ რომში, იგივეა რაც ბერძენთა ღვთაება არტემიდა.

[9] **მინერვა** – იუპიტერის ასული, მეცნიერების, ხელოვნების და ხელოსნობის ღვთაება ძველ რომში, იგივეა რაც ბერძენთა ღვთაება ათენა.

სამეცნ მეთოდის უპირატესობებს და თავისუფალი იქნებოდა მათი ნაკლოვანებებისაგან. კანონთა სიმრავლე ხშირ შემთხვევაში იძლევა საბაბს მანკიერებათა გასამართლებლად; ასე რომ, სახელმწიფო ბევრად უკეთ იმართება, როცა კანონთა რიცხვი ცოტაა, მაგრამ მისი დაცვა აუცილებელი. ამიტომ გადავწყვიტე, ლოგიკის ჭარბი წესების სანაცვლოდ სრულიად საკმარისად მიმეჩნია შემდეგი ოთხი წესი, ცხადია, თუ მუდამ მტკიცედ დავიცავდი მათ, ყოველგვარი გადახრის გარეშე.

პირველი წესი გახლდათ ის, რომ არასოდეს არაფერი ჩამეთვალა ჭეშმარიტად, რასაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე არ მივიჩნევდი ასეთად, ე. ი. საგულდაგულოდ მოვრიდებოდი აჩქარებას და წინასწარ განწყობას /*la prévention*/; დასკვნად მიმეღო მხოლოდ ის, რასაც ჩემი გონება იმდენად ნათლად და გარკვევით განჭვრეტდა, რომ არავითარი საბაბი არ მექნებოდა, იგი ეჭვქვეშ დამეყენებინა.

მეორე წესის თანახმად, ყოველი ჩემ მიერ განხილული პრობლემის სირთულე საჭიროებისამებრ უნდა დამეყო ნაწილებად, რათა უკეთ გადამეჭრა ისინი.

მესამე წესის თანახმად, საკუთარი აზრები უნდა წარმემართა საკვლევი საგნების რიგის მიხედვით: დამეწყო შესაცნობად უმარტივესი და უადვილესით და თანდათანობით, საფეხურობრივად, ავსულიყავი უფრო რთულთა შემეცნებამდე; ასეთი თანმიმდევრობა უნდა დამეშვა იმ საგანთა მიმართაც, რომლებიც, თავიანთი ბუნების მიხედვით, ერთიმეორეს არ მიჰყვებიან.

და ბოლო წესით, ყველაფერი გამოწვლილვით

აღმერიცხა და ყოველმხრივ ამომწურავად განმეხილა ისე, რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი — არაფერი გამომრჩა.

იმ გრძელი, ძალზე მარტივი და ადვილი საბუთების საფუძველზე, ჩვეულებრივ, გეომეტრიის მკვლევარნი რომ სარგებლობენ ხოლმე უფრო რთულ დასაბუთებებამდე მისასვლელად, შეეძელი მიმეგნო, რომ ასეთივე თანმიმდევრობა — მარტივიდან რთულამდე — არსებობს ყველა იმ საგანთა შორისაც, რომლებიც შეიძლება იქცნენ ადამიანთა შემეცნების *//la connaissance/* ობიექტებად. ასე რომ, თუ ნაჩქარევად არ მივიჩნევთ ჭეშმარიტად რაიმეს, რომელიც არ არის ასეთი და ყოველთვის დავიცავთ იმ თანმიმდევრობას, როცა ერთი უნდა გამომდინარეობდეს მეორიდან, მაშინ აღარ იარსებებდა როგორც შორეული და აუხსნელი, ასევე ფარული და აღმოუჩენელი ჭეშმარიტებებიც. ჩემთვის დიდი სირთულე აღარ გახლდათ ის, თუ როგორ უნდა დამეწყო მუშაობა; მე უკვე ვიცოდი, რომ უნდა დამეწყო უმარტივესით და ძალზე ოღლად შესაცნობით. ისიც გავითვალისწინე, რომ ჭეშმარიტების მაძებელ მეცნიერთაგან, მხოლოდ მათემატიკოსებმა შეძლეს ზოგიერთი დასაბუთების ანუ უდავო და ცხადი საფუძვლების აღმოჩენა, მეც უეჭველად ასე უნდა დამეწყო. ერთადერთი სარგებელი, რასაც ამ გზით მუშაობიდან ველოდი, ის გახლდათ, რომ ჩემი გონება ჭეშმარიტებით საზრდოობას შეეჩვეოდა და მცდარი განსჯით ვერ დაკმაყოფილდებოდა. მაგრამ მხოლოდ ამისათვის არ განმიზრახავს ყველა იმ ცალკეული მეცნიერების შესწავლა, ზოგადად, მათემატიკად რომ იწოდება. თუმცა მათემატიკურ მეცნიერებათა კვლევის საგნები სხვადასხვაა, ისინი

მაინც ერთმანეთში თანხმობას აღწევენ იმით, რომ იკვლევენ მხოლოდ განსხვავებულ მიმართებებს, ანუ პროპორციებს, რაც თითოეულ საგანში გვხვდება. ამიტომ უმჯობესად მივიჩნიე მხოლოდ ეს მიმართებები მეკვლია ზოგადად და ისინი მეძია არა მარტო იმ საგანთა შორის, რომლებიც ამ მიმართებათა შემეცნებას გამიადვილებდნენ. არ უნდა შეეზღუდა ჩემი კვლევა და აღნიშნული მიმართებები არ უნდა დამეყვანა მხოლოდ დასახელებულ საგნებზე — იქნებ შემდეგში მათი გამოყენება დამჭირვებოდა სხვა, მაგრამ მათი შესაბამისი საგნების მიმართაც. ისიც გავითვალისწინე, რომ ამ მიმართებათა უკეთ შესაცნობად მომიწევდა თითოეული ამ პროპორციის ცალ-ცალკე, ან რამდენიმეს ერთად განხილვა და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში მათი დამახსოვრება. თითოეული მათგანის უკეთ შესასწავლად, გადავწყვიტე, ეს მიმართებები წარმომედგინა მწკრივებად, რადგან სხვა არაფერი მეგულებოდა უფრო მარტივად და მკაფიოდ წარმოსადგენი ჩემი წარმოსახვისა და გრძნობებისათვის. მათ დასამახსოვრებლად ანდა ერთდროულად რამდენიმეს განსახილველად, საჭირო იყო ისინი შეძლებისდაგვარად მცირე რაოდენობის ნიშნებით გამომეხატა. ასე დავესესხებოდი ყოველივე საუკეთესოს გეომეტრიულ ანალიზსა და ალგებრას და პირველის ყველა ხარვეზს მეორის მეშვეობით გამოვასწორებდი.

მართლაც, ვბედავ ვთქვა, რომ ჩემგან არჩეული მცირერიცხოვანი წესების ზუსტად დაცვამ ერთობ ოღლად გადამაჭრევინა ამ ორი მეცნიერების ყველა საკითხი. ყველაზე უმარტივესით და უზოგადესით დაწყებამ და ყოველი აღმოჩენილი ჭეშმარიტების

გამოყენებამ ახალ ჭეშმარიტებათა მისაგნებად, ორი თუ სამი თვის მუშაობის შემდეგ, არა მხოლოდ დამაძლევინა მრავალი საკითხი, ადრე ურთულესად რომ მიმაჩნდა, არამედ იქამდეც კი მიგვიყვანა, რომ, ბოლოს და ბოლოს, შემეძლო განმესაზღვრა, თუ რა საშუალებებით და რა ზღვრამდე შევძლებდი ჩემთვის უცნობ საკითხთა გადაჭრას. იმედი მაქვს, არ მოგეჩვენებათ ზედმეტად პატიებმოყვარედ, თუ გაითვალისწინებთ, რომ თითოეულ საგანთან მიმართებით არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება და ვინც მას მიაგნო, მან ამ საგნის შესახებ იცის ყველაფერი, რისი ცოდნაც კი შესაძლებელია. მაგალითად, ბავშვი, რომელიც სწავლობს არითმეტიკას, რიცხვებს თუ სწორად შეკრებს, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საძიებელ ჯამთან დაკავშირებით აღმოაჩინა ყველაფერი, რისი აღმოჩენაც კი შეუძლია ადამიანის გონებას; მეთოდი, რომელიც გვასწავლის ჭეშმარიტი თანმიმდევრობის დაცვას და საკვლევი ობიექტის შესახებ ყველა გარემოების ზუსტ აღრიცხვას, შეიცავს ყოველივე იმას, რაც განსაზღვრავს არითმეტიკული წესების უეჭველობას.

მაგრამ ყველაზე მეტ კმაყოფილებას ეს მეთოდი ჩემში იწვევდა იმიტომ, რომ მისი მეშვეობით საკუთარ გონებას ვიყენებდი თუ სრულყოფილად არა, ყოველ შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად საუკეთესოდ მაინც. გარდა ამისა, ამ მეთოდით სარგებლობისას ვგრძნობდი, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ ეჩვეოდა ჩემი გონება საგანთა მოაზრებას უფრო ნათლად და გარკვევით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეთოდი ჯერ კიდევ არ მიმესადაგებინა არც ერთი კონკრეტული საკითხისადმი, მაინც ვიმედოვნებდი,

რომ მას ისეთივე წარმატებით გამოიყენებდი სხვა მეცნიერებათა სირთულეების მიმართაც, როგორც ეს ალგებრაში შეეძელი. ისე ნუ გამიგებთ, რომ მეოსვე გავბედავდი გადამესინჯა ყველა ის მეცნიერება, რაზედაც კი ხელი მიმიწვდებოდა, რადგან ასეთი რამ თავად იმ რიგობრივობის საპირისპირო იქნებოდა, რასაც თავად ხსენებული მეთოდი ითხოვს. როდესაც გავითვალისწინე, რომ ყველა ეს მეცნიერება პრინციპებს უნდა დასესხებოდა ფილოსოფიას, რომლის უდავო პრინციპებისთვისაც ჯერ არ მიმეგნო, გადავწყვიტე, პირველ რიგში მათი დადგენა მეცადა. რაკი ამქვეყნად ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე გახლავთ, აჩქარება, ანდა წინასწარ შემუშავებული რწმენა /la prévention/ ყველაზე საშიში იყო. არ უნდა მეჩქარა ამ საქმის დასრულება მოწიფულობის ასაკამდე – იმხანად ხომ მხოლოდ ოცდასამი წლისა გახლდით. დიდი დრო მჭირდებოდა მოსამზადებელი სამუშაოებისათვის, საკუთარი გონებიდან მანამდე შეძენილი ყველა მცდარი აზრის ამოსაძირკვად, განსჯისათვის საჭირო მრავალი ცდის ჩასატარებლად; უნდა მომეძებნა, ვიდრე განუწყვეტელი ვარჯიშით სულ უკვრო და უკვრო არ დავხვწდი ჩემს მეთოდს და მეც ამის გამო მკარად არ ვიგრძნობდი თავს.

მესამე ნაწილი

დაბოლოს, ვიდრე შევუდგებოდეთ იმ შენობის გადაკეთებას, რომელშიც ვცხოვრობთ, საკმარისი არ გახლავთ მისი დანგრევა, მასალის მომარაგება და მშენებელთა დაქირავება, არც ის კმარა, რომ თავად შევისწავლოთ მშენებლობა და ხუროთმოძღვრება, ვიქონიოთ საგულდაგულოდ შედგენილი გეგმა, მთავარია შევიგულოთ რაიმე სხვა შენობა, სადაც შეგვეძლება მოხერხებულად დაბინავება დანგრეული სახლის მშენებლობის დროს. მეც მსგავსად მოვიქეცი: იმისათვის, რომ გაუბედავად არ მეოქმედა – თუმცა გონება მაიძულებდა გაუბედავი ვყოფილიყავი განსჯისას – და ამ ხნის განმავლობაში შეძლებისდაგვარად ბედნიერად მეცხოვრა, წინასწარ შევიმუშავე ერთგვარი მორალი, რომელიც განისაზღვრებოდა სამი თუ ოთხი მაქსიმით. მათ სიამოვნებით გაგაცნობთ.

პირველის თანახმად, დავმორჩილებოდი ჩემი ქვეყნის კანონებსა და ზნე-ჩვეულებებს, გამუდმებით დამეცვა ის სარწმუნოება, რომლითაც, ღვთის წყალობით, ბავშვობიდანვე აღვზარდე. დანარჩენ შემთხვევაში მეხელმძღვანელა ყველაზე ზომიერი და უკიდურესობას ყველაზე მეტად მოკლებული აზრებით, რომლებიც, რეალურად, საყოველთაოდ აღიარებული გახლდათ ყველაზე ამაღლებული გონების ადამიანთაგან, რომლებთანაც მომიწევდა ურთიერთობა. აქედან მოყოლებული საკუთარ

აზრებს აღარაფრად მიეჩნევდი, მსურდა ყველა მათგანი შემემოწმებინა, რადგან დარწმუნებული გახლდით შემდეგში: უმჯობესი იყო მივყოლოდი ყველაზე ძალალ გონიერთა აზრებს. მართალია, ასეთი მოაზროვნენი, შესაძლოა, სპარსელთა და ჩინელთა შორისაც ისევე ყოფილიყვნენ, როგორც ჩვენ შორის, მაინც უფრო სასარგებლოდ მიმაჩნდა მივყოლოდი იმ სწავლულთა შეხედულებებს, რომელთა შორისაც უნდა მეცხოვრა. იმისათვის, რომ მათი ჭეშმარიტი აზრები გამეგო, ყურადღება უნდა გამემახვილებინა არა მათ ნათქვამზე, არამედ მოქმედებაზე და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ზნეხრწნილობის გამო ცოტაა ისეთი, იმის თქმა რომ სურდეს, რასაც ფიქრობს, არამედ იმიტომაც, რომ ბევრმა ეს თავადაც არ იცის; აზრის ქმედება — როგორც ფიქრი საგანზე, განსხვავდება აზრის იმ ქმედებისაგან, რომლის მეშვეობითაც ვაცნობიერებთ, რომ მასზე (ამ საგანზე) ვფიქრობთ; ამიტომ, ხშირად, ეს ორი ქმედება ერთიმეორისაგან დამოუკიდებელია; ერთნაირად მიღებულ აზრთაგან მე მუდამ ყველაზე ზომიერი ვირჩევდი, როგორც პრაქტიკულად მოხერხებული და, ჩანს, საუკეთესოთაც, რადგან ნებისმიერი უკიდურესობა უარსაყოფია, რათა შეცდომის შემთხვევაში ნაკლებად ავცდეთ სწორ გზას; თუ ავირჩევდი ერთ უკიდურესობას, უნდა გავყოლოდი მეორე უკიდურესობასაც. საგანგებოდ ვალიარე უკიდურესობებად თავისუფლების რაიმენაირად შემზღუდავი ყველა პირობა და არა იმიტომ, რომ არ მოშწონდა ის კანონები, მერყეობისაგან დასაცავად სუსტი ნების ადამიანებს უფლებას რომ აძლევენ რაიმე კეთილი ზრახვით, თუნდაც კომერციაში საიმედოობისათ-

ვის, ან სხვა, რაიმე უმნიშვნელო მიზნით დადონ ფიცი ან გააფორმონ ხელშეკრულებები, რომლებიც გვავალდებულებს კანონთა გამუდმებით დაცვას, არამედ იმიტომ, რომ ქვეყნად ვერაფერს ვხედავდი მარად უცვლელს. რაკი პირადად მე მივილტვოდი საკუთარ მსჯელობათა მეტი სრულყოფისა, და არა გაუარესებისაკენ, მიმაჩნდა, რომ დიდად შეცოდავდი სალი აზრის წინაშე, თუ ვალდებულად ჩავთვლიდი თავს მოწონებული რამ მოსაწონად მიმეჩნია მაშინაც, როდესაც იგი აღარ იქნებოდა ასეთი, ანდა, როცა მე თვითონ აღარ ვალიარებდი ასეთად.

ჩემი მეორე მაქსიმის თანახმად, შეძლებისდაგვარად უნდა გამომეჩინა უდიდესი სიმტკიცე თუ შეუპოვრობა საკუთარ ქმედებებში და ერთგულებით მივყოლოდი თუნდაც ძალზე საეჭვო აზრებს, რაკიღა მათ ერთხელავე ძალზე სარწმუნოდ მიეჩნევდი. ამ შემთხვევაში ვბაძავდი ტყეში გზაბნეულ იმ მგზავრებს, რომელთაგანაც ზოგნი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს რომ აწყდებიან, ზოგნი კი ერთ ადგილზე შეშდებიან; არადა საჭიროა პირდაპირ, ერთი მიმართულებით იარონ, მცირედი დაბრკოლების გამო მიმართულება არ უნდა შეიცვალონ, თუნდაც ამ გეზის არჩევანი მხოლოდ გუმანზე იყოს დამყარებული; ამნაირად საბოლოო მიზნამდე თუ ვერ მიაღწიეს, ბოლოს სადღაც ხომ ვაელენ, რითაც თავს დაალწევენ შუაგულ ტყეს. რაკი ხშირად ცხოვრებისეული საქმეებიც ვერ იტანს დახანებას, ცხადზე უცხადესია: როცა არ შეგვიძლია ჭეშმარიტი აზრების გამოკვეთა, ყველაზე უფრო საალბათოთ უნდა მივყვეთ. იმ შემთხვევებშიც კი, როცა რამდენიმე აზრს შორის ვერ

ვამჩნევთ სხვაობას — რამდენად საალბათოა ერთი მეორესთან შედარებით, არჩევანი უნდა შევაჩეროთ ზოგიერთებზე. ამის შემდეგ ისინი უნდა განვიხილოთ პრაქტიკასთან მიმართებით არა როგორც საეჭვონი, არამედ როგორც სრულიად ჭეშმარიტნი, რადგან თავად მოსაზრება, რამაც ისინი ამარჩევინა, გახლდათ ჭეშმარიტი. აი, ეს შეიქნა საკმარისი, რათა განვთავისუფლებულიყავი ყოველგვარი სინანულისა და ქენჯნისაგან, ჩვეულებრივ, სუსტი და მერყევი გონების ადამიანებს რომ აწუხებთ ხოლმე. ასეთები ხშირად არათანმიმდევრულად იქცევიან, მოიმოქმედებენ რაიმეს ძალზე მისაღებსა და კარგს, და, შემდეგ, თავიანთ ქმედებას თავადვე უგუნურებად აღიარებენ.

ჩემი მესამე მაქსიმის თანახმად, ყოველთვის უნდა მეცადა უმალ საკუთარი თავის, და არა ბედისწერით მოკუთვნებული ხვედრის დაძლევა, საკუთარი სურვილების შეცვლა, და არა სამყაროს წყობისა; საერთოდაც, უნდა მიეჩვეოდი რწმენას, რომ ჩვენ ხელისუფალნი ვართ მხოლოდ ჩვენივე აზრებისა და ეს მას შემდეგ, რაც ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შეგვეძლო ჩვენ მიღმა არსებული საგნების მიმართ. ის, რაც ვერ მოვახერხეთ, უნდა ჩავთვალოთ აბსოლუტურად შეუძლებელ რადმე. ეს აზრი საკმარისად მეჩვენებოდა, რათა მომავალში აღარ მომეწადინებინა არაფერი იმაზე მეტი, რასაც მივაღწიე და ასე ვზიარებოდი კმაყოფილებას. რაკი ჩვენი ბუნება თავისი ნებით მხოლოდ იმ საგნებისაკენ ისწრაფვის, რასაც ჩვენი გონება ასე თუ ისე მისაწვდომად წარმოუჩენს, ცხადია, ყველა ჩვენ მიღმა არსებული საკეთე ჩვენი შესაძლებლობებისათვის მიუწვდომელად

და შორეულად თუ მივიჩნიეთ, აღარც სინანულის გრძნობა შეგვეპყრობს — რატომ ვერ ვისაკუთრებთ იმ საკეთეს, რაც, თითქოს, დაბადებიდანვე ჩვენ გვეკუთვნის. აქ ერთი გამონაკლისია, ცხადია, მათ უქონლობაში ხშირად თავად ჩვენვე როდი ვართ დამნაშავენი. ნაოქამის ნათელსაყოფად შემდეგი მაგალითიც კმარა: ჩვენ ხომ არ ვნანობთ იმას, რომ არ ვფლობთ ჩინეთს, ან მექსიკას. როგორც ამბობენ, გაჭირვებას სათნოებად თუ გავიხდით, სნეულნი აღარ ვისურვებთ გამოჯანმრთელებას, ანდა საპყრობილეს ბინადარნი — თავისუფლებას, ისევე, როგორც ახლა არ გვსურს ჩვენი სხეულიც ალმასივით უხრწნადი ნივთიერებისა იყოს, ანდა ფრთები გვქონდეს ფრინველებივით საფრენად. გამოგიტყდებით, რომ საჭიროა ხანგრძლივი წვრთნა და ხშირი, განმეორებითი მედიტაცია, რათა მიეჩვიოთ საგანთა ჭვრეტას ამ კუთხით. ვფიქრობ, არსებითად ეს გახლავთ იმ ფილოსოფოსთა საიდუმლო, ოდესღაც რომ შეძლეს თავის დაყენება ბედისწერის ნებაზე მაღლა და, ტანჯვისა და უბოვრობის მიუხედავად, შეძლეს ნეტარებაში გასეირნებოდნენ თავიანთ ღმერთებს. ბუნების მიერ მათთვის მონიჭებულ ხღვართა გამუდმებული ძიების საფუძველზე, სავსებით ირწმუნეს, რომ მათ ხელეწიფებოდათ მხოლოდ თავიანთი საკუთარი აზრების გამგებლობა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა არავითარი მისწრაფება აღარ ჰქონოდათ სხვა რაიმეს მიმართ. აზრებზე კი იმდენი ძალაუფლება ჰქონდათ, რომ სრული უფლებით შეეძლოთ თავი მიეჩნიათ იმ ადამიანებზე მდიდრებად, ძალმოსილებად, თავისუფლებად და ბედნიერებად, ამგვარ ფილოსოფიას რომ ვერ ეზიარნენ და რომელთა

სურვილების საწყაული არასოდეს ალივსებოდა, რადგან ისინი ბოლომდე ვერ მიიღებდნენ იმას, რისი ფლობაც ეწადათ, თუმც, თითქოს, განგებისა და ბედის წყალობა უხვად აბერტყავდა მათ კალთას.

დაბოლოს, ამ მორალის დასაგვირგვინებლად განეიზრახე განმეხილა ადამიანთა სხვადასხვა საქმიანობა ამქვეყნად, რათა ამერჩია მათ შორის საუკეთესო. სხვების საქმიანობაზე რამის თქმის სურვილიც არ მქონია; გადავწყვიტე, რომ იმაზე უკეთესი არაფერი იქნებოდა, თუ გავაგრძელებდი ჩემს ჩვეულ საქმიანობას, ე. ი. მთელი ცხოვრება მომენდომებინა საკუთარი გონების სრულყოფისათვის და ჩემ მიერ შემუშავებული მეთოდის მეშვეობით, შეძლებისდაგვარად ავმაღლებულიყავი ჭეშმარიტების შემეცნებისას. მას შემდეგ, რაც დავიწყე ამ მეთოდით სარგებლობა, მრავალჯერ ვეზიარე ისეთ უკიდეგანო ნეტარებას, რომელზე უფრო სახიამოვნო და ნათელი კმაყოფილების განცდაც, ალბათ, შეუძლებელია მოკვდავთათვის. ჩემი მეთოდით ყოველდღიურად ვაგნებდი, ჩემი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვან ჭეშმარიტებებს, ჩვეულებრივ, უცნობთ სხვებისათვის და ისეთი კმაყოფილება ავსებდა ჩემს სულს, რომ სხვა ყოველივე ჩემთვის თითქოს არც არსებობდა. გარდა ამისა, ჩამოთვლილი სამი მაქსიმის მიზანი მხოლოდ საკუთარი განათლების სრულყოფა გახლდათ. ღმერთმა თითოეულ ჩვენგანს ჭეშმარიტის მცდარისაგან გარჩევის გარკვეული უნარი უბოძა. მეც არ დავივალდებულებდი თავს სხვის აზრებს გავყოლოდი, იმის იმედი რომ არ მქონოდა, განსჯის საკუთარ უნარსაც დროულად გამოვიყენებდი მათ შესამოწმებლად. სხვისი აზრების ალიარებით ვერ

გავთავისუფდებოდი ეჭვებისაგან, იმედი რომ არ მქონოდა, რომ შემრჩებოდა შესაძლებლობა უკეთესი აზრების აღმოსაჩენად, თუკი ასეთები არსებობდა. დაბოლოს, ვერც საკუთარ სურვილებს ამოვდებდი ლაგამს და ვერც კმაყოფილებას მოვიპოვებდი, იმ გზით რომ არ მევლო, რომელიც, დარწმუნებული ვიყავი, არა მხოლოდ დამეხმარებოდა ჩემი უნარის შესაფერისი ცოდნის შეძენაში, არამედ გამიძღვებოდა ჩემთვის მისაწვდომ ჭეშმარიტ სიკეთეთა მოპოვებისაკენ. მით უფრო, რომ ჩვენი ნება იმის კეთილობაზე მიელტვის, ან გაურბის რაიმე მიზანს, თუ როგორ ესახება იგი ჩვენს გონებას — კარგად თუ ცუდად. საკმარისია სწორად განსაჯოთ, რათა სწორად მოიქცეთ და საკმარისია შეძლებისდაგვარად სწორი განსჯა, რათა შეძლებისდაგვარად უკეთ მოიქცეთ, ე. ი. შეიძინოთ ყველა სიქველე, რათა ერთობლივად ფლობდეთ ყველა სხვა სიკეთეს, რისი მოპოვებაც კი შესაძლებელია; რწმენამ რომ ეს ასეა, შეუძლებელია, კმაყოფილება არ მოგგვაროთ.

მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი ამ მაქსიმებში და ცალკე გამოვყავი სარწმუნოების ჭეშმარიტებებთან ერთად, რომლებიც ყოველთვის უპირველესი გახლდათ ჩემთვის, შევიგნე, რომ სრულიად თავისუფლად შემეძლო უარმყო ყველა სხვა საკუთარი შეხედულება. ამასთან, იმ იმედით, რომ უკეთ მივაღწევდი მიზანს ადამიანებთან ყოფნით, ვიდრე შინ, კერიასთან, სადაც დამებადა ეს აზრები, აღარ დაველოდე ზამთრის გასვლას და კვლავ სამოგზაუროდ გავეშურე. მთელი შემდგომი ცხრა წელი ამ დუნიაზე ხეტიალის შეტი არა მიკეთებია რა; ეცდილობდი, უმალ მაყურებელი და არა მოქმედი პირი ვყოფილიყავი ყველა იმ კომედიისა, რაც

ქვეყნად თამაშდებოდა. ყოველ საგანსა /la matière/ და მოვლენას ვაკვირდებოდი, ვსწავლობდი, განსაკუთრებულად ეფიქრობდი იმაზე, თუ რა ხდება მათ საეჭვოს, და რაც ჩვენი შეცდომის მიზეზი ხდება. ჩემი გონებიდან მაშინვე ამოვძირკვავდი ხოლმე ყველა ცდომილებას, რომელთაც ოდესღაც შეეძლეს მასში შელწევა. მაგრამ იმ სკეპტიკოსებს კი არ ვბაძავდი, რომლებიც დაეჭვებას იხდიან თვითმიზნად — ეჭვობენ რათა იეჭვიანონ და თავი ყოყმანით მოაქვთ. პირიქით, ჩემი მიზანი ის გახლდათ, რომ მიმეღწია მტკიცე გულდაჯერებისათვის და ნაყარი მიწისა და ქვიშის ქვეშ კლდე ან მყარი ნიადაგი მეპოვა. ჩანს, ეს საკმაოდ კარგად გამომდიოდა, როდესაც ვცდილობდი განსახილველი დებულებების მცდარობა ან საეჭვოობა აღმომეჩინა არა უმწეო ვარაუდებით, არამედ ნათელი და უტყუარი მსჯელობებით, არ წავწყდომივარ არც ერთ ისეთ საეჭვო დებულებასაც კი, რომლიდანაც შესაძლებელი არ ყოფილიყო რაიმე საკმაოდ სწორი დასკვნის გამოტანა, თუნდაც ასეთისა — ამ დებულებაში არაფერი უეჭველი არ არის. როგორც დანგრეული შენობის ძველ საშენ მასალას ინახავენ ახლის ასაგებად, მეც ვანგრევდი ყველა ჩემს მოსაზრებას, რომელიც ცუდად დასაბუთებულად მიმაჩნდა, მრავალმხრივ ვაკვირდებოდი და ვეძენდი დიდ გამოცდილებას, რაც შემდგომ დამეხმარა ახალ, უფრო საიმედო აზრთა ასაგებად. იმავდროულად ჩემგან შექმნილი მეთოდით მუშაობაში წვრთნასაც ვაგრძელებდი და ვცდილობდი, ზოგადად, საკუთარი აზრების მისი წესების მიხედვით წარმართვას; დროდადრო, რამდენიმე საათს საგანგებოდ ვუთმობდი ვარჯიშს

ამ მეთოდის გამოყენებაზე მათემატიკის რთული პრობლემების, ან სხვა მეცნიერებების მიმართ, რომელთაც, ერთგვარად, მათემატიკურ საკითხებთან ეიგივეობდი, ან ვაცალკევებდი სხვა მეცნიერებების პრინციპებისაგან, რადგან ისინი არასაკმარისად მყარად მიმაჩნდა. ამის მაგალითებს მრავლად შეხვდებით ამ ტომში მოცემულ თხზულებებში[10]. ამგვარად, გარეგნულად ჩემი ცხოვრება არაფრით განსხვავდებოდა იმათაგან, ვისი ერთადერთი საქმიანობაც მშვიდი და აუმღვრეველი არსებობა გახლავთ, რომლებიც ცდილობენ სიამოვნებები არ აქციონ ბიწიერებად და თავისუფალ დროს მოწყენილობისაგან თავის დასაღწევად, წესიერ გასართობებს მიმართავენ. გადიოდა დრო, არ ვლალატობდი ჩემს მიზანს და, ეტყობა, უფრო მეტ წარმატებას ვაღწევდი ჭეშმარიტების შემეცნებაში, ვიდრე ამას შეეძლებდი მხოლოდ წიგნების კითხვით ან საზოგადოებაში ყოფნით.

თუმცა ეს ცხრა წელი ისე გავიდა, რომ არაითარი გადაწყვეტილება არ მიმიღია იმ სირთულეთა თაობაზე, ჩვეულებრივ, მეცნიერთა შორის საკამათო რომ გახლავთ, და არც რაიმე ახალი, ეულგარულ ფილოსოფიასთან შედარებით უფრო ჭეშმარიტი ფილოსოფიის საფუძვლებზე დამიწყია ფიქრი. ბრწყინვალე გონების მრავალი ადამიანის — ჩემამდე რომ ვანიზრახეს ასეთი რამ, მაგრამ, ჩემი აზრით, წარუმატებლად — მაგალითმა მაიძულა

[10] იგულისხმება დეკარტის თხზულებები: „დიოპტრიკა", „მეტეორები" და „გეომეტრია", რომლებიც, დეკარტის ჩანაფიქრით, იყო კონკრეტული მეცნიერული ილუსტრაცია მის მიერ შემუშავებული მეთოდისა. აღნიშნული თხზულებები და „მსჯელობა მეთოდის შესახებ" გამოქვეყნდა ერთ ტომად.

სიფრთხილით მოვკიდებოდი ამდენ სირთულეს და კიდევ დიდხანს ვერ გამებედა ამ საქმის დაწყება, ერთი გარემოება რომ არა: ჩემამდე მოაღწია ხმებმა, თითქოს მე ეს საქმე უკვე დამესრულებინოს. ვერ გეტყვით, რას ეფუძნებოდა ეს ხმები; იქნებ ჩემი გამონათქვამებით მცირედით მაინც შევუწყვე ამას ხელი, ან იმით, რომ უფრო გულახდილად ვაღიარებდი საკუთარ უვიცობას, ვიდრე, ჩვეულებრივ, ამას სჩადიან ის ადამიანები, რაღაც რომ უსწავლიათ; შესაძლოა, იმის გამოც გაჩნდა ასეთი აზრი, რომ ვუთითებდი ჩემი ეჭვების საფუძვლებს მრავალი რაობის მიმართ, რაც სხვებს უეჭველად მიაჩნდათ. ეს იყო და ეს, არავითარი მოძღვრების შექმნით თავს არ ვიქებდი. იმდენი სინდისი კი მაქვს, რომ უარი ვთქვა იმად მიმიღონ, რაც არ ვარ სინამდვილეში, ამიტომ გადავწყვიტე, ყველა ღონე მეხმარა და გამემართლებინა ის შეხედულებანი, ჩემს ღირსეულ რეპუტაციას რომ აღიარებდნენ. ზუსტად რვა წლის წინ ამ სურვილმა გადამწყვეტინა, გავრიდებოდი ყველა იმ ადგილს, სადაც კი ნაცნობი მეგულებოდა. ასე განვმარტოვდი აქ, ამ ქვეყანაში[11], სადაც გაჭიანურებულმა ომმა ისეთი წესები დაამკვიდრა, გვგონებოდათ, აქაური ჯარების მიზანი მხოლოდ საიმედო უსაფრთხოება და მშვიდობის შედეგით ტკბობა გახლდათ. აქ, ძალზე აქტიურ ბრბოში, სადაც ხალხი საკუთარ საქმეებზე ზრუნავს და სხვათა მიმართ მხოლოდ ცნობისმოყვარეობას იჩენს, დიდი ქალაქის ყველა სიკეთის პირობებში, შემეძლო ისევე განცალკევებით და მარტოსულად მეცხოვრა, როგორც ყველაზე შორეულ უდაბნოში.

[11] ლაპარაკია ჰოლანდიაზე.

მეოთხე ნაწილი

არც კი ვიცი, მმართებს თუ არა საუბარი იმ პირველ მედიტაციებზე, იქ განმარტებისას რომ მივმართავდი. ისინი იმდენად მეტაფიზიკურნი და უჩვეულონი გახლავთ, შესაძლოა, ყველას არც მოეწონოს[12] მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემ მიერ შემუშავებული საფუძვლების სიმყარეზე რომ შესაძლებელი იყოს მსჯელობა, ერთგვარად, იძულებულიც ვარ, მათ შესახებაც ვისაუბრო. დიდი ხნის წინათვე შევნიშნე, რომ როცა საქმე ზნე-ჩვეულებებს ეხება, ხანდახან საჭიროა, თვალნათლივ საეჭვო აზრებსაც ისევე ენდოთ, როგორც ძალზე უდავოთ. ამის შესახებ უკვე ითქვა ზემოთ. რადგან იმხანად ჩემი სურვილი გახლდათ მხოლოდ ჭეშმარიტების ძიება, ამდენად, სრულიად საპირისპიროდ უნდა მოქცეულიყავი ე. ი. უნდა უკუმეგდო არა მარტო ყოველივე აბსოლუტურად მცდარი, არამედ უნდა უარმყო ისიც, რაშიც თუნდაც მცირედ დავეჭვდებოდი, რათა გამერკვია — რა დამრჩა რწმენაში /*la créance*/ სავსებით უდავო. ზოგჯერ გრძნობებს შეცდომაში შევყავართ, ამიტომ დავუშვი, რომ არც ერთი საგანი არ არის იმგვარი, როგორადაც გრძნობები წარმოგვიდგენენ მათ; რაკი არსებობენ ისეთი ადამიანები, გეომეტრიის უმარტივეს საკითხებზე მსჯელობის დროსაც რომ ცდებიან და

[12] დეკარტს ნაგულისხმევი აქვს „მეტაფიზიკური მედიტაციების" პირველი მონახაზები.

პარალოგიზმებს[13] უშვებენ, მეც სხვებივით შეიძლებოდა შევმცდარიყავი. ამიტომ უარვყავი, როგორც მცდარი, ყველა მოსაზრება, რომლებიც ადრე ნაღდ დასაბუთებებად მიმაჩნდა. დაბოლოს, ნებისმიერი ფიქრი, იდეა, ღვიძილის დროს რომ გვიჩნდება, შესაძლოა, ძილშიც აღგვეძრას და არც ერთი მათგანი ჭეშმარიტი არ იყოს. ამის მიხედვით წარმოვიდგინე, რომ ყველაფერი, რაც კი ოდესმე აზრად მომსვლია, ჩემ სიზმრისეულ ხილვებზე უფრო ჭეშმარიტი არ გახლდათ. მაგრამ მყისვე თავში გამიელვა აზრმა – ზუსტად იმ დროს, როდესაც ყველაფრის მოჩვენებითობად, მცდარად მიჩნევის სურვილი აღმეძროდა, აუცილებელი ხდებოდა, რომ თავად მე – ვინც ასე ვფიქრობდი, წარმოვიდგენდე რაღაცას; დავინახე რომ ეს ჭეშმარიტება – *ვაზროვნებ, მაშასადამე ვარ* – იმდენად მყარი და შეუძლებელი გახლდათ, ახირებულ სკეპტიკოსთა ყველაზე თვალშისაცემი ვარაუდებიც კი ვერ შეარყევდა. მივიღე დასკვნა: ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შემეძლო ივი მიმეღო პირველ საწყისად იმ ფილოსოფიისა, მე რომ ვეძიებდი.

ყურადღებით შევისწავლე საკუთარი თავიც და დავრწმუნდი შემდეგში: შემეძლო წარმომედგინა, რომ სხეული არ გამაჩნია, რომ არ არსებობს არავითარი სამყარო და ადგილი, სადაც ჩემი ყოფნა შეიძლებოდა; მაგრამ ყოველივე ამის შემდეგაც ვერავრით წარმომედგინა, რომ მე არ ვარ, პირიქით, ის, რომ მეეჭვებოდა სხვა საგნების ჭეშმარიტება, ძალზე ნათლად და უტყუარად მიწმობდა ჩემს არსებობას.

[13] **პარალოგიზმი** /ბერძ. *paralogismos* – ტერმინის გორგასგება სილოგიზმი, არასწორი ბჭობა/ ლოგიკის კანონებისა და წესების წინასწარგანსაზღვრული დარღვევა, რაც ბჭობას უკარგავს დასაბუთების ძალას და მივყავართ მცდარ დასკვნამდე.

ხილო თუ მე შევწყვეტდი აზროვნებას, ყოველივე დანარჩენი რომც ყოფილიყო ჭეშმარიტი, მაინც არავითარი საფუძველი არ მექნებოდა, რათა მერწმუნა, რომ მე ვარსებობ. აქედან დავასკვენი, რომ მე ვარ ისეთი სუბსტანცია, რომლის მთელი არსება ანუ ბუნება მხოლოდ აზროვნებაა და მისი მყოფობისათვის არავითარი ადგილი და არავითარ მატერიალურ საგანზე დამოკიდებულება არ არის საჭირო. ამრიგად, ჩემი „მე", ე. ი. სული, რითაც მე ვარ ის, რაც ვარ, აბსოლუტურად განსხვავებულია სხეულისაგან და უფრო ილად შესაძენებელია, ვიდრე სხეული, რომელიც, საერთოდ, რომც არ ყოფილიყო, სული მაინც არ შეწყვეტდა იმად ყოფნას, რაც არის.

ამის შემდეგ ყურადღება მივაპყარი იმას, რაც საჭიროა რაიმე დებულების ჭეშმარიტებისა და უტყუარობის დასამტკიცებლად. რადგან მივაკვლიე ერთ ამგვარ დებულებას, ისიც უნდა მცოდნოდა, თუ რაში მდგომარეობს ეს უტყუარობა. შევნიშნე, რომ დებულების – *ვაზროვნებ, მაშასადამე ვარ /je pense, donc je suis/* – ჭეშმარიტებაში მე მარწმუნებდა მხოლოდ ის, რომ ძალზე ნათლად ვხედავდი: რათა იაზროვნო, უნდა იყო. გადავწყვიტე, ზოგად წესად მიმეღო შემდეგი: ყველაფერი, რასაც ძალზე ნათლად და გარკვევით აღვიქვამთ, ჭეშმარიტია. თუმცა ერთგვარი სირთულე ახლავს ამ წესს – სწორად მივაგნოთ, სახელდობრ, რისი აღქმა შეგვიძლია გარკვევით.

შემდეგ, რადგან ჩემი რეფლექსია ეჭვზე იყო დამყარებული, მაშასადამე, ჩემი „მე"-ობა არ იყო მთლად სრულყოფილი, ვინაიდან ცხადად ვხედავდი, რომ ცოდნა უფრო დიდი სრულყოფილებაა, ვიდრე ეჭვობა, დავიწყე იმის ძიება, თუ როგორ ვახერხებდი

ფიქრს უფრო სრულყოფილზე, ვიდრე თავად მე ვარ, და აშკარად მივხვდი, რომ ამის პირველმიზეზი უნდა ყოფილიყო მართლაც უფრო მეტად სრულყოფილი რაღაც არსება. რაც შეეხება აზრებს ჩემ გარეთ არსებული მრავალი ისეთი საგნის შესახებ, როგორებიცაა: ცა, დედამიწა, სინათლე, სითბო და მრავალი სხვა, ჩემთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა იმის გაგება, თუ საიდან იღებენ სათავეს ისინი. რაკი ამ აზრთა შესახებ ვერაფერი შევნიშნე ისეთი, რაც მათ ჩემზე მაღლა დააყენებდა, შემეძლო მეეჭვა, რომ მათი ჭეშმარიტება დამოკიდებული იყო ჩემ ბუნებაზე, როგორც გარკვეული სრულყოფილების მქონეზე; თუ ეს აზრები მცდარი აღმოჩნდებოდა, მაშინ უნდა მიმეჩნია, რომ ისინი ჩემში აღმოცენებული იყო არარასაგან, ე. ი. რომ მათ ჩემში ჩემმა ნაკლოვანებამ მისცა საშკვიდრო. ეს ვერ გავრცელდება ჩემზე უფრო სრულყოფილი არსების იდეაზე, ვინაიდან ამ არსების გამოყვანა არარასაგან აშკარად შეუძლებელი რამ არის. რადგან დაუშვებელია იმის ეჭვიანი, რომ უფრო სრულყოფილი ნაკლებ სრულყოფილის შედეგია, ისევე, როგორც იმის ეჭვიანი, რომ არარასაგან რაიმე წარმოიშობა, თავად მე არ შემეძლო ამ იდეის შექმნა. ისინი დამრჩენოდა, დამეშვა, რომ აზრი ჩემში ჩადო ისეთმა ძალამ, რომელიც ნამდვილად ჩემზე სრულყოფილი იყო და რომელიც თავის თავში აერთიანებდა ყველა იმ სრულყოფილებას, რის შესახებაც კი რაიმე იდეა შეიძლებოდა მქონოდა. ერთი სიტყვით, ეს სრულყოფილება იყო ღმერთი. რაკი ჩემთვის ცნობილი იყო, რომ არსებობს სრულყოფილება, რაც თავად მე საერთოდ არ გამაჩნდა, ამდენად არ გახლდით ერთადერთი არსება, რომელსაც არსებობა აქვს [თუ ნებას დამრთავთ, აქ თავისუფლად ეხსარგებლებ სქოლასტიკოსთა ტერმინებით] და რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს ვინმე სხვა, ჩემზე ბევრად სრულქმნილი, რომელზეც ვარ მე დამოკიდებული და რომლისაგანაც ვიღებ ყველაფერს, რაც მაბადია. მე რომ დამოკიდებული არ ვიყო ვინმეზე და საკუთრად მქონდეს ის მცირედი, რასაც მიზიარებს სრულყოფილი არსება, მაშინ, იმავე საფუძვლით, უნდა შევძლო საკუთარი თავისაგან მიეღო ყოველივე ის დანარჩენიც, რაც მაკლია. ასე რომ, თავად გავხდებოდი უსაზღვრო, მარადიული, უცვლელი, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე და ბოლოს, მებოძებოდა ყველა ის სრულქმნილება, რაც კი შემიძლია ღმერთში განვჭვრიტო. ბოლოს ხსენებულ მოსაზრებათა თანახმად, ისევ მრჩებოდა ღმერთის ბუნების შესაძენებლად, რამდენადაც ეს ძალუძს ჩემს ბუნებას, განმეხილა ჩემს წარმოდგენაში არსებული ყოველივე ამ თვალსაზრისით — არის თუ არა მათი ფლობა სრულყოფილება. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი, რასაც არასრულყოფილების ნიშანი ამევს, ღვთის არ არის, ხოლო ყოველივე სრულყოფილი — ღმერთის კუთვნილებაა. შეუძლებელია ღმერთს ახასიათებდეს ეჭვი, მერყეობა, სევდა და სხვა მისთანანი, რომელთა უქონლობა, თავად მეც გამახარებდა. ამას გარდა, მე მქონდა იდეები მრავალ გრძნობად და სხეულებრივ საგანზე, რადგან კიდეც რომ დამეშვა ყოველივე ეს სიზმრად ხდებოდ და ყოველი ხილული, ან ჩემ მიერ წარმოდგენილი მოჩვენებაა /მცდარია/, მაინც არ შემეძლო ჩემს გონებაში ამ იდეების ნამდვილი არსებობის უარყოფა. მაგრამ როდესაც ცხადად შევიცანი, რომ ჩემში გონე-

ბისეული ბუნება განსხვავდება სხეულებრივისაგან
და იმასაც მივხვდი, რომ ყოველი რთული *(la composition)* მიწმობს დაქვემდებარებას ე. ი. არასრულყოფილებას, აქედან გამომდინარე დავასკვენი: ღმერთის სრულყოფილებისათვის მოულებელია ამ ორი – გონებისეული და სხეულებრივი – ბუნების ფლობა და იგი არც არის ორი ბუნების მქონე; თუ სამყაროში არსებობს რაიმე სხეულები, ან რაიმე გონებანი, ან სხვა არსებანი, მაშინ მათი არსებობა უნდა დაექვემდებაროს ღმერთის ძალმოსილებას, ისე რომ, უღმერთოდ მათი ყოფნა ერთ წამსაც კი შეუძლებელია.

ამის შემდეგ გადავწყვიტე სხვა ჭეშმარიტებები მეძია. შევჩერდი გეომეტრიულ საგანზე, რომელიც წარმოიდგინა უწყვეტ სხეულად, ანუ სიგრძეში, სიგანეში, სიმაღლესა და სიღრმეში უსასრულოდ გაფენილ სივრცედ, რომელიც იყოფა სხვადასხვა ნაწილად, მათ კი შესაძლოა ჰქონდეთ სხვადასხვა ფორმა და სიდიდე, შეეძლოთ მოძრაობა და გადაადგილება ნებისმიერი სახით. გეომეტრიის მცოდნენი ვარაუდობენ, რომ მათ საგანს გააჩნია ყველა ეს თვისება. გადავხედე ზოგიერთ უმარტივეს გეომეტრიულ დასაბუთებას, რომელთა უეჭველობა, ჩემ მიერ თავის დროზე მითითებული წესის თანახმად, ეფუძნება მხოლოდ სიცხადეს; ისიც შევნიშნე, რომ თავად ამ დასაბუთებებში საერთოდ არაფერი იყო ისეთი, რაც თავად მათი საგნის არსებობაში დამარწმუნებდა. მაგალითად, თუ მოცემულია სამკუთხედი, აუცილებლად უნდა დავასკვნათ, რომ მისი სამი კუთხის ჯამი უდრის ორ მართ კუთხეს, მაგრამ ამაში ვერაფერს ისეთს ვერ ვხედავდი ქვეყნად თუნდაც ერთი სამკუთხედის არსებობაში რომ დამარწმუნებდა. როდესაც ეუბრუნდებოდი სრულყოფილი არსების შესახებ იდეის განხილვას, ვხედავდი, რომ ეს არსებობა *(l'existence)* იგულისხმებოდა ისევე, როგორც სამკუთხედის წარმოდგენაში – მისი სამი კუთხის ტოლობა ორ მართთან, ან სფერის მოაზრებაში, რომ მისი ყველა ნაწილი ცენტრიდან დაშორებულია თანაბრად, ანდა კიდევ უფრო ცხადად. აქედან გამომდინარე, ის რომ ღმერთი – ესოდენ სრულყოფილი არსება – არის ანუ არსებობს, ისევე უტყუარია, როგორც უტყუარია რომელიმე გეომეტრიული დასაბუთება.

მრავალი დარწმუნებულია, რომ ძნელია, შეუძლებელიც კია, ღმერთის შეცნობა და სულის გაგება. ეს ხდება იმიტომ, რომ ისინი თავიანთი გონებით არასოდეს მაღლდებიან გრძნობად საგნებზე და მიჩვეულნი არიან ყველაფრის განხილვას მხოლოდ წარმოდგენით, რომელიც არის მატერიალური საგნების შესახებ აზროვნების მხოლოდ ერთი, კერძო სახე. ყველაფერი, რასაც ვერ წვდება წარმოდგენა, მათ გაუგებრად ეჩვენებათ. თვით ფილოსოფოსებიც კი თავიანთ სკოლებში მიჰყვებიან მაქსიმას, რომ შეუძლებელია გონებაში იყოს რაიმე, რაც მანამდე არ ყოფილა შეგრძნებებში. ცხადია, მათში ღმერთისა და სულის იდეები არასოდეს ყოფილა! ვფიქრობ, რომ ისინი, ვისაც ამ იდეათა გაგება წარმოდგენით სურთ, ისევე იქცევიან, ბგერათა მოსმენა, ანდა სუნის შეგრძნება მხედველობით რომ მოიწადინონ. საგანთა ჭეშმარიტების დასადგენად მხედველობის გრძნობა კი, სმენასა და ყნოსვაზე არანაკლებ სარწმუნოა; ვერც წარმოდგენა, ვერც გრძნობები ვერასოდეს

შეძლებენ დაგვარწმუნონ რაიმეში ჩვენი გონების *//'entendement/* ჩარევის გარეშე.

დაბოლოს, თუ კიდევ არიან ადამიანები, რომელთაც ჩემ მიერ მოტანილი საფუძვლებიც ვერ დაარწმუნებს ღმერთისა და საკუთარი სულის არსებობაში, დაე, მათ გაიგონ, რომ ყოველივე დანარჩენი, რაც იქნებ მათ უფრო მეტად სწამთ – მაგალითად, რომ მათ აქვთ სხეული, რომ არსებობს ვარსკვლავები, დედამიწა და სხვა მისთანანი – ნაკლებად უტყუარია; რადგან, თუმცა არსებობს ამ საგანთა ჭეშმარიტების მორალური რწმენა, რის გამოც შეუძლებელია მათში დაეჭვება უგუნურებად არ ჩაგითვალონ, როცა საქმე ეხება მეტაფიზიკურ უეჭველობას, მაშინ შეუძლებელია გონიერებისაგან გადახრის გარეშე თქვათ: არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა არ იყოთ საეჭვოთ დარწმუნებული მათში, თუ გაეითვალისწინებთ, რომ ძილშიც ასევე შესაძლებელია წარმოიდგინოთ, თქვენ სხვა სხეული გაქვთ, ხედავთ სხვა ვარსკვლავებს, სხვა მიწას... ისეთს, როგორც ეს სინამდვილეში არ არის. საიდან ვიცით, რომ სიზმრისეული აზრები – არანაკლებ ხალასი და ექსპრესიული – მცდარია, შედარებით ცხადში შექმნილ აზრებთან? მაღალგონიერებმა იმდენი იკვლიონ ეს, რამდენიც ენებებათ. თუ ისინი არ დაუშვებენ ღმერთის არსებობას, არა მგონია, შეძლონ რაიმეს მიგნება, რაც საკმარისი იქნება ამ ეჭვის გასაფანტად. თავად ჩემ მიერ შემუშავებული წესი, კერძოდ: ის, რომ საგნები, რომელთაც ჩვენ მოვიაზრებთ სრულიად ნათლად და გარკვევით, ყველა ჭეშმარიტია, დასტურდება იმით, რომ ღმერთი არის ანუ არსებობს */est ou existe/*, იგი არის სრულყოფილი და სათავეა ყოველივესი,

რაც ჩვენშია, აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენი იდეები ანუ წარმოდგენები – როგორც რეალურნი და ღმერთიდან მომდინარენი – შეუძლებელია არ იყონ ყველაფერ ამაში ჭეშმარიტნი, რადგან ნათელი და გარკვეულნი არიან. ასე რომ, ხშირად ჩვენი წარმოდგენები მცდარობის შემცველია, ბუნდოვანი და გაურკვეველი იმის გამო, რომ ისინი არარას */le néant/* არიან ნაზიარევნი, ე. ი. მხოლოდ იმის გამო არიან ასე მცდარი და ბუნდოვანი, რომ თავად ჩვენ არ ვართ სრულყოფილნი. ცხადია, ორივე დაუშვებელია: მცდარობა, ან არასრულყოფილება მომდინარეობდეს ღმერთისაგან და ჭეშმარიტება, ანდა სრულყოფილება – არარასაგან. ჩვენ რომ საერთოდ არ გვცოდნოდა ყოველივე ის, რაც ჩვენში ნამდვილი და ჭეშმარიტია, მომდინარეობს სრულყოფილი და უსასრულო ღვთაებისაგან, მაშინ, რაოდენ ნათელი და გარკვეულიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი იდეები, ვერ ვირწმუნებდით მათს ჭეშმარიტ სრულყოფილებას.

მას შემდეგ, რაც ღმერთისა და სულის შემეცნებამ დაადასტურა ხსენებული წესი, იოლი გასაგებია, რომ სიზმრებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვაეჭვოს იმ აზრთა ჭეშმარიტებაში, რომლებიც ცხადში გვაქვს. დავუშვათ, ძილში მოგვივიდა რაიმე ძალზე ნათელი აზრი, მაგალითად, მე გეომეტრიის სპეციალისტი ვარ და აღმოვაჩინე რაიმე ახალი დასაბუთება, ძილი ხომ ვერ შეუშლიდა ხელს ამ აღმოჩენის ჭეშმარიტება მელიარებინა. ჩვენ სიზმრებში ხშირად უბრალო შეცდომებია, რადგან სხვადასხვა საგანს ძილშიც ზუსტად ისევე წარმოვიდგენთ, როგორც მათ ცხადში აღვიქვამთ ჩვენი გარეგანი გრძნობებით. ეს

მცდარობა სიზმრისეული იდეების ჭეშმარიტებაში დაეჭვების საფუძველს არ იძლევა, რადგან ჩვენს გრძნობებს ასევე საკმაოდ ხშირად შეუძლიათ ძილის გარეშეც შეგვიყვანონ შეცდომაში; მაგალითად, სიყვითლით დაავადებულნი ყველაფერს ყვითლად ხედავენ, ვარსკვლავები და სხვა შორეული საგნები ბევრად უფრო მცირე გვეჩვენება, ვიდრე ისინი არიან სინამდვილეში. დასასრულ, გვძინავს თუ ვფხიზლობთ, უნდა ვენდოთ მხოლოდ ჩვენი გონების სიცხადეს, ვიმეორებ — ჩვენს გონებას, და არა წარმოდგენას, ანდა გრძნობებს. თუმცა მზეს ძალზე ნათლად ვხედავთ, მაინც ვერ დავასკვნით, რომ იგი იმ სიდიდისაა, როგორსაც ჩვენ ვხედავთ; შესაძლოა, ასევე გარკვევით წარმოვიდგინოთ ლომის თავი თხის ტანზე, მაგრამ, ცხადია, აქედან ვერ დავიჩემებთ, რომ ქვეყნად არსებობს ქიმერა. გონება სრულებით არ მოითხოვს, რომ ყოველივე ამგვარად ხილული, ან წარმოდგენილი ჭეშმარიტი იყოს, მაგრამ ამასთან მკაფიოდ გვითითებს შემდეგს: ყველა ჩვენს იდეას, ან წარმოდგენას უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტების რაღაც საფუძველი, რადგან შესაძლებელია, რომ ღმერთმა — ყოვლადსრულმა და ზემართალმა — ისინი ამის გარეშე ჩადო ჩვენში. რაკი ჩვენი მსჯელობები ძილის დროს არასოდეს გახლავთ ისეთი მკაფიო და სრული როგორც ცხადში, თუმცა ჩვენი წარმოდგენები ზოგჯერ სიზმარშიც ისეთივე შთამბეჭდავი და ექსპრესიულია, გონება გვკარნახობს: ჩვენი აზრები, რომელთაც ჩვენი არასრულყოფილების გამო არ ძალუძთ სრული ჭეშმარიტების შემცველნი იყონ, ცხადში მაინც, უდავოდ, უფრო მეტი ჭეშმარიტებით ალვჭურვოთ, ვიდრე ძილის დროს.

მეხუთე ნაწილი

სიამოვნებით განვაგრძობდი აქ სხვა ჭეშმარიტებათა ჯაჭვის ჩვენებას, რომლებიც წინა ნაწილებში განხილულთაგან გამოვიტანე. მაგრამ ამისთვის ახლა ერთბაშად მომიწევდა საუბარი მრავალ სადავო საკითხზე იმ სწავლულთა შორის, რომლებთანაც ურთიერთობის გაფუჭებას არ ვისურვებდი; ეჭვიერობ, უმჯობესი იქნება თავის შეკავება; მხოლოდ ზოგადად მივუთითებ, რომელია ეს საკითხები, რათა უფრო გონიერებს მივანდო იმის განსჯა — საჭიროა თუ არა მათი უფრო დაწვრილებით გაცნობა საზოგადოებისათვის. ყოველთვის მტკიცედ ვიცავდი ჩემს გადაწყვეტილებას: მეხელმძღვანელა მხოლოდ იმ პრინციპით, რომლითაც ვისარგებლე ღმერთისა და სულის არსებობის დასამტკიცებლად და ჭეშმარიტებად არ მიმიჩნია არაფერი, რასაც არ მივიჩნევდი იმაზე უფრო ნათელ და უტყუარ რამედ, ვიდრე გეომეტრიული დასაბუთებები მეჩვენებოდა ოდესღაც. მე მაინც ებედავ, ვთქვა, რომ უმოკლეს დროში არა მხოლოდ ვიპოვე საშუალება, დადებითად გადამეწყვიტა ყველა ის ძირითადი სირთულე, ჩვეულებრივ, ფილოსოფიაში რომ იხილავენ ხოლმე, არამედ მიმეგნო ეჭვშეუვალი კანონებისთვისაც, რომლებიც ღმერთმა დაუდგინა ბუნებას და რომლებიც ცნებებად ისე აღბეჭდა ჩვენს სულებში, რომ ეოტაოდენი რეფლექსიაც კმარა, რათა მტკიცედ ვირწმუნოთ:

ღვთისმეტყველი კანონები განმსჭვალავს ყველაფერს არსებულს და ყოველივეს, რაც ხდება სამყაროში. შემდეგ, ამ კანონთა შედეგის განხილვით, მგონი, აღმოვაჩინე მრავალი უფრო საჭირო და მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება, ვიდრე იყო ყველა ჩემ მიერ მანამდე შესწავლილი, ან თვით სამერმისოდ შესასწავლი ჭეშმარიტებანი.

ამათაგან უმთავრეს ჭეშმარიტებათა ახსნას შევეცადე ერთ ჩემს ტრაქტატში[14], რომლის გამოქვეყნებისაგანაც თავს ვიკავებ გარკვეული მოსაზრებით, მაგრამ აქ მოკლედ მოგითხრობთ ტრაქტატის შინაარს და, ეფიქრობ, კარგადაც გაგაცნობთ ნახსენებ ჭეშმარიტებებს. განზრახული მქონდა მასში შემეტანა ყველაფერი, რაც მის დაწერამდე ჩემთვის გარკვეულად მეჩვენებოდა მატერიალური საგნების ბუნების შესახებ. მაგრამ მხატვართა მსგავსად, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა სიბრტყეზე თანაბარი სიზრუნლით გამოსახონ მყარი სხეულის ყველა მხარე, ირჩევენ ერთ-ერთს — მთავარს და მას უფრო ამკვეთრებენ სხვების დაჩრდილვის ფონზე, რითაც შესაძლებელს ხდიან მის დანახვას სურათის ყურებისას, მეც ასევე, იმის შიშით, რომ ვერ შეეძლებდი ტრაქტატში ჩემი მთელი ნააზრევის გადმოცემას, გადავწყვიტე, ვრცლად მომეთხრო მხოლოდ ის, რაც ვიცოდი სინათლის შესახებ, შემდეგ კი მასთან მიმართებით მიმეყოლებინა მსჯელობა მზისა და უძრავი ვარსკვლავების თაობაზე, როგორც სინათლის ძირითად წყაროებზე, სინათლის გამტარ

[14] ფულისხმობა დეკარტის თხზულება „სამყარო ანუ ტრაქტატი სინათლის შესახებ". გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალებიდან 17 წლის შემდეგ.

ცის შრეთა შესახებ, პლანეტების, კომეტების და დედამიწის შესახებ, რომლებიც მას აირეკლავენ. განსაკუთრებით გამომეყო ყველა მიწიერი სხეული — ფერად-ფერადი, ან გამჭვირვალე, ან მბზინვარე; დაბოლოს, მემსჯელა ადამიანზე, როგორც ყველა ამ სხეულის მაყურებელზე. იმისათვის, რომ ყოველივე ცოტაოდენ დამეჩრდილა და შემძლებოდა უფრო თავისუფლად გამომეთქვა საკუთარი მოსაზრებები, იძულებით არ მივყოლოდი სწავლულთაგან აღიარებულ აზრებს, ან უარმეყო ისინი, გადავწყვიტე, მთელი ეს სამყარო მათთვის მიმენდო საკამათოდ და მესაუბრა მხოლოდ ასეთი ვარაუდის შესახებ: რა მოხდებოდა, ღმერთს რომ ახლა სადმე, წარმოსახვითს სივრცეებში შეექმნა საკმარისი ნივთიერება ახალი სამყაროს შესაქმნელად და ქაოტურ მოძრაობაში მოეყვანა ამ ახალშექმნილი მატერიის სხვადასხვა ნაწილი; მხოლოდ პოეტების ფანტაზიას შეუძლია წარმოიდგინოს ასეთი ქაოსი. ბოლოს ღმერთს, თავისი ჩვეული ყოვლისშემწეობით, ბუნებისათვის დაედგინა კანონები და სამყაროს მართვაც ამ კანონებით წარმართულიყო. ამგვარად, უპირველესად აღვწერე ეს მატერია და წარმოვიდგინე, რომ სამყაროში არაფერია უფრო გამჭვირვალე და გასაგები, გარდა იმისა, რაც უკვე მოგახსენეთ ღმერთისა და სულის შესახებ. განგებ დავუშვი ისიც, რომ ამ ახალ ნივთიერებას არა აქვს არც ერთი იმ ფორმათაგანი და თვისებათაგანი, რომლებზეც სქოლასტიკოსები კამათობენ, არ გააჩნია საერთოდ ისეთი რაიმე, რისი შემეცნებაც ჩვენი გონისათვის არ იქნებოდა ბუნებრივი და თავის მოსაჩვენებლადაც კი ვერ იტყოდით, რომ ეს არ იცით. გარდა ამისა, მე ვაჩვენე, თუ როგორია

ბუნების კანონები, დასკვნებში კი მხოლოდ ღვთის უსასრულო სრულყოფილების პრინციპის საფუძველზე შეკვეთადე, ნათლად ამეხსნა ყველა ის კანონი, რომელთა მიმართაც შეიძლებოდა რაიმე ეჭვი დაბადებოდათ. მსურდა ამეხსნა: ღმერთს მრავალი სამყარო კიდეც რომ შეექმნა, მათ შორის ერთიც არ იქნებოდა ისეთი, სადაც ეს კანონები არ იქნებოდა დაცული. ამის შემდეგ განვაგრძე მსჯელობა შემდეგნაირად: ამ კანონთა ძალით ქაოტური მატერიის უდიდესი ნაწილი უნდა განფენილიყო სამყაროში და მოწესრიგებულიყო ისე, რომ შექმნილიყო რაღაც ჩვენი ცის მაგვარი რამ; მისივე ნაწილებისაგან უნდა შექმნილიყო ზოგისაგან — დედამიწა, პლანეტები, კომეტები, ზოგისაგან — მზე და უძრავი ვარსკვლავები. აქ ვრცლად შევჩერდი სინათლის რაობაზე, დეტალურად განვმარტე როგორ უნდა წარმოქმნილიყო იგი მზისა და ვარსკვლავთაგან, ელვისებური სისწრაფით როგორ კვეთს უკიდეგანო ცის შრეებს, როგორ აირეკლება პლანეტებიდან და კომეტებიდან და როგორ ეშვება დედამიწაზე. ამას დავუმატე მრავალი რამ ამ ცის შრეთა და ვარსკვლავთა სუბსტანციის, მდებარეობის, მოძრაობისა და ყველა სხვა თვისების შესახებ. მგონი, საკმარისად გასაგებად ვთქვი, რომ ჩვენი სამყაროს თვისებებს შორის არაფერია ისეთი, რაც ან არ, ან შეიძლება არ ყოფილიყო სრულიად მსგავსი ჩემ მიერ აღწერილი სამყაროსი. ამის შემდეგ საგანგებოდ ვისაუბრე დედამიწაზე და განზრახ დავუშვი, რომ ღმერთმა არ მიანიჭა არავითარი მიზიდულობა იმ ნივთიერებას, რომლისაგანაც შედგება დედამიწა, და მაინც როგორ ისწრაფვის ყველა მისი ნაწილი ზუსტად მისი ცენტრისაკენ; ვაჩვენე, მის ზედაპირზე, სა-

დაც წყალი და ჰაერია, ცის შრეთა და მნათობთა — განსაკუთრებით მთვარის — განლაგებას უნდა გამოეწვია მოქცევები და უკუქცევები ზუსტად ისეთი, როგორიც, მსგავს გარემოებებში, შეინიშნება ჩვენს ზღვებში; მსგავსია აგრეთვე წყლისა და ჰაერის, ერთგვარად, თავისებური დინება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ისეთი, ტროპიკებში რომ ხდება. განვაგრძე თხრობა, თუ ბუნებრივად როგორ წარმოიქმნებოდა მთები, ზღვები, წყაროები და მდინარეები, ლითონები მიწის წიაღში, როგორ აღმოცენდებოდა მცენარეები ველებზე, და საერთოდ, როგორ, რა ძალით, იქმნებოდა ყველა ის სხეული, რომელთაც შედგენილს ან რთულს უწოდებენ. რაკი ცაურ მნათობთა გარდა ქვეყნად ცეცხლის გარდა არაფერი მეგულებოდა სინათლის წყაროდ, შეუცვლელ, გასაგებად ამეხსნა ყოველივე, რაც ამ უკანასკნელის ბუნებას ეხებოდა: როგორ ჩნდება, რა კვებავს მის ნათებას, როგორ ბადებს სითბოს სინათლის გარეშე, ზოგჯერ კი პირიქით — სინათლეს სითბოს გარეშე; როგორ ანიჭებს სხვადასხვა სხეულს განსხვავებულ ფერს და მრავალ სხვა თვისებას; როგორ აღნობს ზოგს და როგორ ამკვრივებს სხვებს; რა ძალით წვავს ყველაფერს, აქცევს კვამლად და ფერფლად, საიდანაც თავისივე ძალით წარმოქმნის მინას. ფერფლის მინად ასეთი გარდაქმნა მიმაჩნდა ყველაზე უფრო დიდ საოცრებად ბუნებაში, ამიტომ განსაკუთრებული საამოვნებით აღვწერე იგი.

ზემოთ ნათქვამიდან არ გამოკეთებია დასკვნა, რომ ჩვენი სამყარო ისევე შეიქმნა, როგორც მე ეივარაუდე ახლის შექმნა. ბევრად უფრო საალბათოა ღმერთმა დასაბამიდანვე იგი შექმნა ისეთად,

როგორიც უნდა ყოფილიყო. ცხადია, თეოლოგთა შორის საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ ქმედება, რომლითაც ამჟამად უზენაესი ინარჩუნებს სამყაროს, ზუსტად ისეთივეა, როგორც თავდაპირველი შესაქმე; ასე რომ, ღმერთმა სამყარო დასაბამით თუ მხოლოდ ქაოსად შექმნა, რათა შემდეგ ბუნების კანონების დადგენით მოეწესრიგებინა შემდგომი სწორი განვითარებისათვის, უნდა გავფრთხილდეთ: შესაქმეს სასწაულს ჩრდილი არ მივაყენოთ და ვივარაუდოთ, რომ ღვთის ძალით შეიძლებოდა ყველა მატერიალური საგანი თავიდან ყოფილიყო ისეთი, როგორადაც ჩვენ მათ ამჟამად ვხედავთ; მათი ბუნება ბევრად უფრო ადვილად შეიმეცნება, როდესაც გონებას გავადევნებთ მათს თანდათანობითს განვითარებას, ვიდრე მაშინ, როდესაც მათ განვიხილავთ უკვე სავსებით ჩამოყალიბებულთ.

უსულო საგნებისა და მცენარეთა აღწერის შემდეგ გადავედი ცხოველთა სამყაროზე, განსაკუთრებით ადამიანზე ეაპირებდი შეჩერებას[15]. მაგრამ რაკი არ გამახნდა სათანადო ცოდნა მათზე ისეთივე საუბრისათვის, როგორც სხვა დანარჩენზე, ე.ი. ნაკლებად ცნობილი მიზეზებიდან დასკვნები გამომეტანა და მეჩვენებინა, როგორ და რა თესლიდან უნდა წარმოიშობოდეს მათი ბუნება, მე დავკმაყოფილდი შემდეგი დაშვებით: ღმერთმა ადამიანის სხეული შექმნა ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენ გვაქვს, როგორც ნაკვთების გარეგნული აღნაგობის, ისე მის შინაგან ორგანოთა წყობის მიხედვით; შექმნა იგი იმავე მატერიისაგან, რომელიც ზემოთ აღვწერე, და თავიდანვე მასში

[15] იხილეთ ლეკერტი „ტრაქტატი ადამიანის შესახებ".

არც გონითი სული /*l' âme raisonnable*/ ჩაუდია და არც სხვა რამ, რითაც შეეძლებოდა ესარგებლა ვეგეტატიურ ან გრძნობად სულს. მან ადამიანის გულს მხოლოდ სინათლეს მოკლებული იმ ცეცხლთაგანი მოუმადლა, ზემოთ რომ ავხსენი. ასეთი ცეცხლი ახურებს თავას, ზვინად რომ დააწყვეს მოთიბული ბალახი, ანდა იწვევს ჭაჭაზე დატოვებული მაჭრის დულილს. სხეულში ამ ცეცხლის ძალის განხილვით, აღმოვაჩინე ყველა ის ძვრა, რაც კი შესაძლებელია ხდებოდეს ჩვენში, აზროვნებისაგან დამოუკიდებლად, მაშასადამე, ჩვენი სულის მონაწილეობის გარეშე, ანუ სხეულისაგან განსხვავებული იმ ნაწილის გარეშე, რომლის ბუნებაც, როგორც ზემოთ ითქვა, აზროვნება გახლავთ. ეს ზუსტად ისეთივე ფიზიოლოგიური ფუნქციებია, რომლებიც ერთნაირად გვახასიათებს ჩვენც და გონების არმქონე ცხოველებსაც. ამ ფუნქციათა შორის ვერც ერთი აღმოვაჩინე, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა აზროვნებასთან და მხოლოდ ჩვენთვის, როგორც ადამიანებისათვის, იქნებოდა დამახასიათებელი. ყოველივე ეს მოგვიანებით აღმოვაჩინე, როდესაც დავუშვი, რომ ღმერთმა შექმნა გონითი სული და დაუკავშირა იგი ამ სხეულს გარკვეული წესით, როგორც აღვწერე[16].

მაგრამ გარკვეულწილად შესაძლებელი რომ იყოს იმის დანახვა, თუ როგორ ვიხილავდი ამ საკითხებს, მსურს, აქ ავხსნა გულისა და არტერიის მუშაობა, პირველი და უმთავრესი რამ ცხოველებში, რის საფუძველზეც იოლია მსჯელობა ყველა სხვა შინაგან მოძრაობაზეც. ჩემი ნათქვამი უფრო იოლი გასაგები რომ იყოს, ანატომიაში ჩაუხედავ

[16] იხილეთ „ტრაქტატი ადამიანის შესახებ".

ადამიანებს ვურჩევდი, ვიდრე ამას წაიკითხავდნენ, კეთილი ინებონ, გაკვეთონ ფილტვების მქონე რომელიმე დიდი ცხოველის გული, რომელიც ადამიანის გულის სრული ასლია და ყურადღება მიაქცევონ მის ორ საკანს, ანუ ღრუს. ერთი მარჯვნივაა და მას შეესაბამება ორი ძალზე განიერი ძარღვი — ღრუ ვენა — სისხლის ძირითადი მიმღები; იგი ხის განშტოებულ ნაწილს ჰგავს, ვენებად განტოტილს მთელ სხეულში; მეორეა არტერიული ვენა; არასწორად უწოდებენ ასე, რადგან რეალურად ეს არის არტერია, რომელიც გამოდის გულიდან და იტოტება მრავალ წვრილ სისხლძარღვად და განიშლება ფილტვებში. მარცხნივ, მეორე ღრუს ასევე უერთდება ორი ისეთივე ან, შესაძლოა, უფრო განიერი ძარღვი ვიდრე წინა ორი იყო; ერთია ვენური არტერია, ასევე არასწორად სახელდებული, რადგან იგი სხვა არაფერია, თუ არა ფილტვებიდან გამომავალი ვენა, სადაც მას რამდენიმე ტოტი აქვს და გადახლართულია არტერიული ვენისა და იმ სადინარის განტოტებასთან ყელს რომ უწოდებენ, საიდანაც ჰაერი შეისუნთქება; მეორეა დიდი არტერია, რომელიც გულიდან გამოსვლისთანავე მთელ სხეულში იტოტება. ჩემი სურვილია მკითხველებს ასევე ყურადღებით აჩვენონ თერთმეტი ჰატარა აპკი, რომლებიც ჰატარა კარის მსგავსად ხსნიან და ხურავენ ამ ორ ღრუში მდებარე ოთხ ხვრელს, კერძოდ: სამი აპკი ღრუ ვენის თავში ისეა განლაგებული, რომ ისინი ვერ შეუშლიან ხელს ძარღვიდან სისხლის გადადენას გულის მარჯვენა ღრუში, მაგრამ უკან გამოსვლის საშუალებას არ აძლევენ; სამი არტერიული ვენის თავშია, საპირისპირო მხარესაა შებრუნებული და ხელს უწყობენ ამ

ღრუდან სისხლის გადინებას ფილტვებში, საიდანაც სისხლის უკან, გულში დაბრუნებას ხელს უშლიან; ასევე ორი, ვენური არტერიის თავში მდებარე, ხელს უწყობს სისხლის დინებას ფილტვებიდან გულის მარცხენა ღრუში და კეტავს მის უკან დასაბრუნებელ გზას. სამი აპკი დიდი არტერიის თავშია. ისინი სისხლს გადაქაჩავენ გულიდან და არ აძლევენ უკან დაბრუნების საშუალებას. ამ აპკების რაოდენობის ასახსნელად კმარა შემდეგი: ვენური არტერიის ხვრელი ოვალურია და თავისი მდებარეობის წყალობით იოლად შეუძლია დაიხუროს ორი აპკით, ხოლო დანარჩენი — მრგვალი ფორმის ხვრელები — მარჯვედ იხურება სამი აპკით. იქნებ მკითხველთათვის ისიც ეჩვენებინათ, რომ დიდი არტერია და არტერიული ვენა ბევრად უფრო მაგარი და მყარი აგებულებისაა, ვიდრე ვენური არტერია და ღრუ ვენა და რომ ეს ორი უკანასკნელი გულში შესვლამდე ფართოვდება, რითაც ქმნის თითქოს ორ ტომარას, რომლებიც გულის ყურებად იწოდება. მათი და გულის ქსოვილი მსგავსია; გულში ყოველთვის უფრო მეტი სითბოა, ვიდრე სხეულის რომელიმე ნაწილში. დასასრულ, როგორც კი სისხლის წვეთი მოხვდება გულის ღრუებში, ეს სითბო იწვევს მათ სწრაფ გაბერვას და გაფართოებას, როგორც საერთოდ ეს ხდება, როცა ნებისმიერი სითხე წვეთობით ჩაედინება ცხელ ჭურჭელში.

გულის მუშაობის ასახსნელად ისღა მრჩება სათქმელი, რომ, როცა მისი ღრუები სავსე არაა სისხლით, იგი აუცილებლად გადავა ღრუ ვენიდან მარჯვენა ღრუში, ხოლო ვენური არტერიიდან — მარცხენა ღრუში, ვინაიდან ეს ორი სისხლძარღვი

მუდამ სისხლითაა სავსე. ხოლო ხვრელებმა, რომლებიც გულის მხარეს იღებიან, არ შეიძლება მათ ხელი შეუშალონ; როგორც კი თითო-თითო წვეთი სისხლი, ორივე საკმაოდ მსხვილი, რადგან ფართო ხვრელებითა და სისხლით სავსე ძარღვებიდან მოედინება, შევა ღრუში, ისინი თხელდებიან, ფართოვდებიან სითბოს გავლენით და ბერავენ გულს. შემდეგ აწვებიან და ხურავენ ხუთ პატარა კარს, რომლებიც მდებარეობენ შესასვლელ ხვრელებთან იმ ორი სისხლძარღვისა, საიდანაც თვითონ გადმოდიან და აბრკოლებენ სისხლის შემდგომ შეღწევას გულში. ისინი თანდათან ფართოვდებიან, უბიძგებენ და აღებენ დანარჩენ ექვს პატარა კარს, რომლებიც მდებარეობენ შესაყველელ ხვრელებთან ორი სხვა სისხლძარღვისა, საიდანაც წვეთები გამოდიან, და თითქმის გულთან ერთად ბერავენ არტერიული ვენისა და დიდი არტერიის განშტოებებს. შემდეგ გული და არტერიები მყისვე იკუმშება, რადგან არტერიაში მოხვედრილი სისხლი ცივდება. ექვსი პატარა კარი იხურება, ხუთი, რომლებიც შეესაბამება ღრუ ვენასა და ვენურ არტერიას, იღება, კვლავ საშუალებას აძლევენ სისხლის ორ ახალ წვეთს გულში გადასასვლელად. წინამორბედთა მსგავსად, ეს წვეთები ისევ ბერავს გულს და არტერიებს. სისხლი, რომელიც ამგვარად შედის გულში, გაივლის ორ ტომარას — ყურებად რომ იწოდება; ამდენად მათი მოძრაობა გულის მოძრაობის საპირისპიროა და ე. წ. ყურები იკუმშება მაშინ, როცა იგი იბერება. ერთი სიტყვით, მათთვის, ვისთვისაც უცნობია მათემატიკური დასაბუთებების ძალა და მიჩვეულნი არ არიან ჭეშმარიტი საფუძვლები გაარჩიონ სიმართლისმაგვართაგან, შეუსწავლელად რომ არ ინებონ ჩემი ნათქვამის უარყოფა, ვაფრთხილებ: აღწერილი მოძრაობა აუცილებლობით გამომდინარეობს გულის აგებულებიდან, რაც თვალნათლივაც შეგვიძლია დავინახოთ — თითებით შეგვიძლია შევეგრძნოთ სითბო და ცდით გამოვიკვლიოთ სისხლის ბუნება. ეს მოძრაობა ისევე აუცილებლად მომდინარეობს ზემოთქმულიდან, როგორც საათის მოძრაობა არის შედეგი საწონებისა და თვლების ძალისა, მათი განლაგებისა და მოყვანილობისა.

თუ იკითხავენ: გულში გამუდმებული გადადინებით რატომ არ ილევა ვენური სისხლი და რატომ პირთამდე არ იესება არტერიები, სადაც მიედინება გულიდან გამოსული მთელი სისხლი, შეიძლია მხოლოდ გავიმეოროთ პასუხი ერთი ინგლისელი ექიმის[17] თხზულებიდან; ეს მკურნალი ხოტბის ღირსია იმის გამო, რომ მან პირველმა შეისწავლა და გვიჩვენა, რომ არტერიის დაბოლოებებში უამრავი პატარა გასასვლელია, რომელთაც გულიდან მიღებული სისხლი გადააქვთ ვენების პატარა განშტოებებში. აქედან სისხლი კვლავ გულისაკენ მიემართება. ასე რომ, ეს სხვა არაფერია, თუ არა უწყვეტი წრებრუნვა. ამას ექიმი ძალზე კარგად ადასტურებს ჩვეულებრივი ქირურგიული გამოცდილებით — მკლავის მსუბუქი გადახვევით იმ ადგილის ზემოთ, სადაც ვენას ხსნიან, სისხლის უფრო ჭარბ ნაკადს იღებენ, ვიდრე შეუხვევლიდან.

[17] **�ᲣᲘᲚᲘᲐᲛ** /1578-1657/ — ინგლისელი ექიმი, ფიზიოლოგი. მან პირველმა დაადგინა, რომ სისხლი მოძრაობს წრიულად. მისმა თხზულებამ „გულისა და სისხლის მოძრაობის ანატომიური გა მოკვლევა ცხოველებში“ /1628/ — დეკარტის დიდი მოწონება დაიმსახურა.

მკლავი ხელის მტევანსა და ჭრილობას შორის რომ გადაეხვიათ, ანდა ჭრილობის ზემოთ ნახვევი ძალზე მჭიდრო რომ ყოფილიყო, მოხდებოდა პირიქით. ცხადია, მსუბუქად გადაჭერილი ლახტი აბრკოლებს მკლავში არსებული სისხლის ვენით გულისაკენ დაბრუნებას, მაგრამ ხელს არ უშლის არტერიებიდან მომდინარე ნაკადს, რადგან ისინი ვენებზე უფრო ღრმად არიან, უფრო მკვრივი კედლები აქვთ და ისე ოლად არ იკუმშებიან. გულიდან მომდინარე სისხლი მათი მეშვეობით უფრო ძლიერად მიეშართება ხელის მტევნისაკენ, ვიდრე იქიდან ვენებით ბრუნდება გულში. რაკი სისხლი გამოდის ერთ-ერთი ვენის განაჭერიდან, მაშ აუცილებლად უნდა იყოს სისხლის რაღაც სადინარი სახვევის ქვემოთ, ე. ი. მკლავის დაბოლოებაზე, საიდანაც იგი შეძლებს არტერიებიდან გადინებას. ექიმი ასევე ჩინებულად უკავშირებს სისხლის მოძრაობას პატარა სარქველების არსებობას, რომლებიც ვენების გასწვრივ, სხვადასხვა ადგილზეა განლაგებული და საშუალებას არ აძლევენ სისხლის დინებას სხეულის შუა ნაწილიდან კიდურებისაკენ, პირიქით, ატარებენ კიდურებიდან გულისაკენ. ასევე ცდით დასტურდება, რომ სხეული მთელი სისხლისაგან შეიძლება ძალზე ჩქარა დაიცალოს ერთი არტერიის გადაჭრის შემთხვევაშიც კი, თუნდაც იგი ძალზე მჭიდროდ იყოს გადახვეული გულთან ახლოს, მაგრამ გადაჭრილი იყოს გულსა და სახვევს შორის; ასე რომ, არტერიაში სისხლი მხოლოდ გულიდან მოხედებოდა, სხვაგვარად ყოველად წარმოუდგენელია.

მრავალი სხვა რამეც მოწმობს, რომ სისხლის მოძრაობის ნამდვილი მიზეზი არის ის, რაც მე

მოგახსენეთ. ჯერ ერთი, სხვაობა ცალკე ვენებიდან და ცალკე არტერიებიდან გამომავალ სისხლს შორის მომდინარეობს მხოლოდ იქიდან, რომ გულში გავლით გათხელებული და ერთგვარად გაწმენდილი სისხლი, იქიდან გამოსვლისას ე. ი. არტერიებში, უფრო მსუბუქი, თხელი და თბილია, ვიდრე ვენებში იყო გულში გადასვლამდე. თუ ყურადღებით დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ ეს სხვაობა აშკარად შეინიშნება მხოლოდ გულის მახლობლად და არა მისგან მოშორებულ ადგილებში. ამას გარდა, არტერიული ვენისა და დიდი არტერიის კედლების სიმკვრივე საკმარისად მოწმობს, რომ სისხლის ნაკადი კედლებს უფრო ძალუმად სცემს, ვიდრე ვენისას. რატომაა გულის მარცხენა ღრუ და დიდი არტერია უფრო ტევადი და განიერი, ვიდრე მარჯვენა ღრუ და არტერიული ვენა, თუ არა იმის გამო, რომ ვენური არტერიის სისხლი, რომელიც მხოლოდ ფილტვებს გაივლის გულიდან გამოსვლისას, უფრო თხელია და შემდეგაც ოლად თხევადდება, ვიდრე უშუალოდ ღრუ ვენიდან მომდინარე სისხლი. პულსის გასინჯვით რას გაიგებენ ექიმები, თუ მათ არ ეცოდინებათ, რომ სისხლი, თავისი ცვალებადი ბუნების წყალობით, გულის სითბოთი მუტად ფართოვდება ან ნაკლებად, უწინდელზე ჩქარა ან ნელა? თუ განვიხილავთ იმასაც, როგორ გადაეცემა ეს სითბო სხვა ორგანოებს, იქნებ გვეღიარებინა, რომ ეს სისხლის მეშვეობით ხდება; გულში გავლისა და იქ გათბობის შემდეგ ხომ იგი მთელ სხეულში ვრცელდება. ამიტომ სხეულის რომელიმე ნაწილი სისხლის შეწყვეტით სითბოსაც კარგავს; მხოლოდ გული — გამდნარი რკინასავით გავარვარებული რომც იყოს, მაინც

არ იკმარებდა ადამიანის ხელებისა და ფეხების გასათბობად; გულს თუ შეუძლია სხეულის გათბობა, ეს მხოლოდ სისხლის უწყვეტი მიწოდებით ხდება. აქედან იმასაც შეკვეტყობთ, რომ სუნთქვის ჭეშმარიტი დანიშნულება ფილტვებისათვის სუფთა ჰაერის მიწოდება გახლავთ, რათა სისხლი, რომელიც გულის მარჯვენა ნაწილიდან გათხელებული და თითქოს ორთქლად ქცეული გადადის იქ, ორთქლიდან კვლავ სისხლად აქცეოს. ამის გარეშე გულის მარცხენა ღრუში შესვლისას იგი ვერ შეძლებდა მის გათბობას ცეცხლივით. თქმული დასტურდება იმით, რომ ცხოველებს, რომელნიც უფილტვონი არიან, გულშიც მხოლოდ ერთადერთი ღრუ აქვთ; დედის წიაღში მყოფ ბავშვებსაც, რომლებიც არ სარგებლობენ ფილტვებით, აქვთ ხვრელი, რითაც სისხლი ღრუ ვენიდან გადაედინება გულის მარცხენა ღრუში და სადინარი, რომლითაც სისხლი არტერიული ვენიდან ფილტვების გაუველელად გადაედინება დიდ არტერიაში. გარდა ამისა, ვიფიქროთ, როგორ მოხდებოდა საჭმლის მონელება კუჭში, გულს არტერიით მისთვის სითბო და ზოგიერთი, განსაკუთრებულად აქტიური სისხლის ნაწილაკები არ გადაეცა, რომლებიც ხელს უწყობენ საკვების მონელებას? რაც შეეხება საკვების წვენის გარდაქმნას სისხლად, განა არ აიხსნება იმით, რომ მისი დაწმენდა გულში გამუდმებით, შესაძლოა, დღე-ღამის განმავლობაში ასჯერ, ორასჯერ ან მეტადაც გაელით ხდება?! კვებისა და სხეულში სხვადასხვა სახის გამონაყოფის წარმოქმნის ასახსნელად იმის თქმაც კმარა, რომ იგივე ძალა, რომლის მეშვეობითაც თხელდება სისხლი და გულიდან არტერიათა დაბოლოებებისაკენ აგზავნის, ნაწილ-ნაწილ ტოვებს იმ ორგანოებში, სადაც სისხლი გაიკვლის, რათა იქ დაიკავოს მანამდე არსებული სისხლის ადგილი და გააძევოს იგი. თანაც ფორების განლაგების, მოყვანილობისა და სიდიდის მიხედვით სისხლის ნაწილაკებიდან ზოგიერთნი მარცვლების მსგავსად იფანტებიან, თითქოს სხვადასხვა სიდიდის ხვრელების მქონე ცხავზე გაცხრილესო და სწრაფად იკავებენ გარკვეულ ადგილს. ამაზე დაკვირვება ყველას შეუძლია. დაბოლოს, მეტად ყურადსაღები ყოველივე ამაში არის ცხოველმყოფელი სულების *//les esprits animaux/* წარმოქმნა, რომლებიც უნაზესი სიოს მსგავსად ანდა, უმჯობესია თუ ვიტყვით, უსპეტაკესი და უსწრაფესი ალივით ჭარბად მიემართებიან გულიდან ტვინისაკენ, იქიდან კი ძარღვებით – კუნთებისაკენ, რასაც სხეულის ყველა ნაწილი მოქყავს მოძრაობაში. საჭირო არც არის რაიმე სხვა მიზეზის პოვნა იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ: სისხლის ყველაზე მოძრავი და ოლად შელწევადი ნაწილები – ამ ცხოველმყოფელი სულების წარმოქმნას რომ უწყობენ ხელს – გულიდან ყველაზე პირდაპირი გზით, უშუალოდ ტვინისაკენ და არა რომელიმე სხვა ორგანოსაკენ, ცხადია, ტვინის მკვებავი არტერიებით მიემართებიან. მექანიკის წესების თანახმად, რომლებიც ბუნების წესებს იმეორებს, როდესაც რამდენიმე სხეული ერთად მიისწრაფვის ერთი მიმართულებით, სადაც ადგილი ყველასათვის საკმარისი არ არის, ასევე მილტვის სისხლის ნაწილები გულის მარცხენა ღრუდან ტვინის მიმართულებით, სადაც მხოლოდ ძლიერები იკავებენ სუსტების ადგილს. სუსტები და დუნენი ითრგუნებიან უფრო ძლიერთა

ბილერ და ამ ხერხით მარტონი აღწევენ მიზანს.

საკმაოდ გამოწვლილვით გადმოვეცი ყველაფერი ეს ტრაქტატში, რომელიც ადრევე მინდოდა გამომექვეყნებინა. გარდა ამისა, ვაჩვენე, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ადამიანის სხეულის ნერვული და კუნთოვანი სისტემა, რათა მათში არსებულმა ცხოველმყოფელმა სულებმა შეძლონ კიდურების ამოძრავება, ისევე როგორც ახლად მოკვეთილი თავი აგრძელებს მოძრაობას და მიწის კბეჩას, თუმცა უსულოა; გადმოვეცი, ტვინის რა ცვლილებებმა უნდა გამოიწვიოს ღვიძილი, ძილი და სიზმრები; როგორ აღბეჭდავს ტვინში სხვადასხვაგვარ წარმოდგენებს სინათლე, ბგერა, სუნი, გემო, სითბო და ჩვენ მიღმა არსებულ საგანთა ყველა სხვა თვისებას ჩვენივე გრძნობების მეშვეობით; როგორ აღიბეჭდება ტვინში შიმშილი, წყურვილი, თუ სხვა შინაგანი ვნებები; რა მივიწნითო ზოგად გრძნობად ტვინში ე. ი. იქ, სადაც აღიქმება ეს შთაბეჭდილებები მეხსიერებად, რომელიც მათ ინახავს, და წარმოსახვად, რომელსაც შეუძლია მათი სხვადასხვაგვარად გარდაქმნა და მათგან ახალი იდეების შექმნა; ცხოველმყოფელი სულების კუნთებში განაწილებით მოძრაობაში მოიყვანოს ამ სხეულის ნაწილები, როგორც გრძნობებზე გარეგანი საგნების ზემოქმედებით, ისე შინაგანი განცდების საფუძველზე, ისე, როგორადაც ძალუძთ მოძრაობა ჩვენი სხეულის ნაწილაკებს, როდესაც მათ არ წარმართავს ნება. ეს უცნაურად არ მოეჩვენებათ მათ, ვინც იცის თუ რამდენი სხვადასხვა სახის ავტომატური თუ მოძრავი მანქანის შექმნა შეუძლია ადამიანის ოსტატობას ძალზე ცოტა დეტალების გამოყენებით, განსხვავებით იმ

უამრავი ოდენობის ძვლების, კუნთების, ნერვების, არტერიების, ვენებისა და ყველა სხვა ნაწილისაგან, ყოველი სულდგმულის სხეულში რომ არის; ისინი ამ სხეულს განიხილავენ როგორც ღვთის ხელით შექმნილ მანქანას, საუკეთესოდ მოწყობილს და საოცარი მოძრაობების უნარის მქონეს, ვიდრე ადამიანთაგან შექმნილი მანქანებია. აქ განსაკუთრებულად შეეეკადე, მეჩვენებინა შემდეგი: რომ არსებობდეს ისეთი მანქანები, რომელთაც მაიმუნის ან რომელიმე სხვა ცხოველის ორგანოები და იერსახე ექნებოდა, მაშინ ჩვენ ვერ შევძლებდით, გაგვეგო, რომ მანქანები და ცხოველები ერთი და იმავე ბუნებისა არ არიან; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შექმნიდნენ ჩვენი სხეულის მსგავს მანქანებს, რომლებიც გაიმეორებდნენ ჩვენსავე მოქმედებებს იმდენად, რამდენადაც ეს სულიერად დასაშვებია, მაინც გვექნებოდა ორი ძალზე უტყუარი საშუალება იმის გასაგებად, რომ ისინი ნამდვილი ადამიანები არ არიან: ჯერ ერთი, ასეთი მანქანა ვერასოდეს შეძლებდა სიტყვების ან რაიმე სხვა ნიშნების გამოყენებას, მათგან ფრაზების შედგენას, როგორც ამას ვიქმთ ჩვენ, რათა საკუთარი აზრები სხვას გავაგებინოთ. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ზოგი მანქანა წარმოთქვამს სიტყვებს, ანდა ზოგი სხეულზე ზემოქმედებით, რაც იწვევს რაღაც ცვლილებას ადამიანის ორგანოებში, მაგალითად, რომელიმე ადგილზე შეხებით, მანქანა იკითხავს — რა სურთ მისგან, სხვაგან შეხებისას ტკივილისაგან შეჰყვირებს და ა.შ. მაგრამ წარმოუდგენელია, რომ მან ერთმანეთთან დააკავშიროს სიტყვები, რათა პასუხი გასცეს მისი თანდასწრებით დასმულ კითხვას, რისი უნარი ყველაზე გონებაჩლუნგ ადა-

მანებსაც კი აქვთ. და მეორე: ასეთი მანქანა ბევრ რამეს იქნებ ჩვენსავით კარგად ანდა უკეთესადაც გააკეთებდა, მაგრამ, გარკვეულ შემთხვევაში, აუცილებლად უმწეო აღმოჩნდებოდა. აქედან ნათელია, რომ იგი არა შეგნებულად, არამედ მხოლოდ თავის ორგანოთა განლაგების წყალობით მოქმედებდა. გონებას, როგორც უნივერსალურ იარაღს, შეუძლია გეომეტრიულ სრულიად განსხვავებულ ეთარებებში, მანქანის ნაწილები კი ითხოვენ განსაკუთრებულ განლაგებას ყოველი ცალკეული მოქმედებისათვის. აქედან გამომდინარე წარმოუდგენელია, მანქანაში იყოს იმდენი სხვადასხვაგვარი წყობა, რომ მოქმედებდეს ნებისმიერ ყოფითის შემთხვევებში ისე, როგორც ჩვენი გონება გვაკარნახობს ეფექტურად. დასახელებული ამავე ორი საშუალებით შეიძლება გავიგოთ სხვაობაც ადამიანსა და ცხოველს შორის, რადგან ძალზე თვალნათლივია, რომ არ არსებობს ისეთი უგუნური და ჩლუნგი ადამიანი, შეურაცხადიც კი, რომელთაც არ შეეძლოთ რამდენიმე სიტყვის შეერთება საკუთარი აზრის გადმოსაცემად; და პირიქით – არ არსებობს ცხოველი, რაოდენ სრულყოფილიც არ უნდა იყოს იგი და რაოდენ საუკეთესო გარეგნობებშიც არ უნდა იყოს შობილი, რომელსაც ჰქონდეს მსგავსი უნარი. ეს ორგანოთა არასრულყოფილების ბრალი არ გახლავთ. ჯაჭვებსა და თუთიყუშებს შეუძლიათ სიტყვები ჩვენსავით წარმოთქვან, მაგრამ ჩვენსავით მეტყველება რიდი შეუძლიათ, ე. ი. ის, რაც ცხადყოფდა, რომ მათ გააზრებული აქვთ ის, რასაც ამბობენ; მაშინ როდესაც დაბადებით ყრუ-მუნჯები, რომლებიც ცხოველთა მსგავსად მოკლებულნი არიან მეტყველების უნარს, ჩვეულებრივ, თავად

ივონებენ რაღაც გარკვეულ ნიშნებს, რომელთა მეშვეობითაც ავებინებენ მათთან მუდმივად მყოფ ადამიანებს და ამ უკანასკნელთაც სცალიათ მათი ენის შესასწავლად. ეს მოწმობს არა მხოლოდ იმას, რომ ცხოველები ადამიანებზე ნაკლებად გონიერნი არიან, არამედ იმას, რომ მათ საერთოდ არ გააჩნიათ გონება. ჩვენ ვხედავთ, რომ სალაპარაკოდ ძალზე ცოტა გონებაა საჭირო; როგორც ადამიანთა შორის, გარკვეული სხვადასხვაობა ერთი სახეობის ცხოველთა შორისაც არსებობს; მაგალითად, ცხოველთაგან ერთნი უფრო ოღლი გასაწვრთნელნი არიან, ვიდრე მეორენი; მაგრამ წარმოუდგენელია რომელიმე მაიმუნი ან თუთიყუში, თავის სახეობაში თუნდაც საუკეთესო, გაუტოლდეს ყველაზე გონებაჩლუნგ ბავშვს, თუნდაც ისეთს, რომელსაც ტვინი დაზიანებული აქვს. ეს ხდება იმიტომ, რომ მათი სული ჩვენისაგან სრულიად განსხვავებული ბუნებისაა. ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ მეტყველების უნარი და ბუნებრივი მოძრაობები, რომლებიც გამოხატავენ ენებს და რომელთა მიბაძვა მანქანებსაც შეუძლია და ცხოველებსაც; არც ზოგიერთი ძველი დროის ავტორივით უნდა ეფიქრით, რომ ცხოველები მეტყველებენ, მაგრამ ჩვენ არ გვესმის მათი ენა; ეს რომ ასე იყოს, მაშინ ცხოველები, რომელთა ორგანოებიც ჩვენის მსგავსია, რატომ ისევე ვერ გვაგებინებენ, როგორც თავიანთ მსგავსთ აგებინებენ. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბევრი ცხოველი ზოგიერთ მოქმედებას ჩვენზე ოსტატურად ასრულებს, მაგრამ სხვა დროს საერთოდ უუნაროა. ამიტომ, ზოგჯერ, ჩვენზე უკეთ მათი მოქმედება არ მოწმობს, რომ მათ გააჩნიათ გონება. თუ ასეა, მათ ნებისმიერ

ჩვენგანზე უფრო მეტი გონება უნდა ჰქონოდა და ყველაფერი ჩვენზე უკეთ უნდა ეკეთებინათ. პირიქით კია, მათ საერთოდ არ გააჩნიათ გონება და შესაძლოა, მათივე ორგანოების ბუნებისმიერი განლაგების შესაბამისად უკეთაც მოქმედებენ; ისე, როგორც საათი, რომელიც შედგება მხოლოდ თვლებისა და ზამბარებისაგან, უფრო ზუსტად აჩვენებს და ითვლის დრო-ჟამს, ვიდრე ჩვენ მთელი ჩვენი გონიერებით.

ამის შემდეგ ალვწერე გონითი სული და ვაჩვენე, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი მიღება მატერიის თავისებურებიდან როგორც სხვა საგნებისა, რომელთა შესახებაც უკვე მოგახსენეთ. იგი განსაკუთრებულად, საგანგებოდ იქმნება და სხეულში არ ასრულებს მესაჭის როლს, ხომალდს რომ მართავს. მისი დანიშნულება ის კი არ არის მოძრაობაში მოიყვანოს სხეულის კიდურები, არამედ აუცილებელია, მეტად მჭიდროდ იყოს დაკავშირებული და შენივთებული სხეულთან, რათა აღძრას გრძნობები და სურვილები და ამ გზით შექმნას ნამდვილი ადამიანი. აქ მე ცოტა ვრცლად შევეხე სულის საკითხს, რაკი იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. იმ შეცდომის გარდა, რაც ღმერთის უარყოფაა – და ეს შეცდომა საკმაოდ დასაბუთებულად უარვყავი ზემოთ – არ არსებობს რაიმე ისეთი, რაც სუსტ გონებას უფრო მეტად გადააცდენდეს სათნოების გზიდან, ვიდრე წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს ცხოველთა სული და ჩვენი სული ერთი და იგივე ბუნებისაა, რომ, ჩვენც ბუზებისა და ჭიანჭველების მსგავსად, ამ ცხოვრების შემდეგ, არც არაფრის უნდა გვეშინოდეს და არც არაფრის იმედი უნდა გვქონდეს;

თუ ვირწმუნებთ უდიდეს სხვაობას ჩვენსა და ცხოველთა სულს შორის, ბევრად იოლი გასაგები იქნება ის საბუთები, რომლებიც ადასტურებს: თავისი ბუნებით ჩვენი სული სრულიად დამოუკიდებელია სხეულისაგან და, მაშასადამე, მასთან ერთად არ კვდება; რაკი არ ჩანს რაიმე სხვა მიზეზი, რომელიც შეძლებდა სულის მოსპობას, ბუნებრივად უნდა მივიდეთ დასკვნამდე – სული უკვდავია.

მეექვსე ნაწილი

ამგვარად, უკვე სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დავასრულე ტრაქტატი[18], რომელშიც გადმოცემულია ყოველივე ეს. შევუდექი გადასინჯვას, რათა გადამეცა გამომცემლისათვის და შევიტყვე, რომ ჩემთვის პატივსაცემმა ადამიანებმა, რომელთაც ჩემი ქმედებების მიმართ ისეთივე ავტორიტეტულებად ვთვლი, როგორც საკუთარ გონებას ჩემივე აზრების მიმართ, არ მოიწონეს ფიზიკის სფეროდან ერთი მოსაზრება, ცოტა ხნით ადრე სხვა ავტორმა[19] რომ გამოაქვეყნა. მართალია, არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას, მაგრამ ამ კრიტიკამდე ვერაფერი შევნიშნე მასში ისეთი, რაც შეიძლებოდა მიმეჩნია მიუღებლად სარწმუნოების ან სახელმწიფოსათვის და რაც, შესაბამისად, მეც თავს შემაკავებინებდა ტრაქტატის დაწერისაგან, თუ კი გონება აღნიშნული კრიტიკის სასწორეში დამარწმუნებდა. ამან მაიძულა სიფრთხილე გამომეჩინა — ხომ არ იყო, მაინც, ჩემს შეხედულებებშიც რაიმე მცდარი, მიუხედავად დიდი მცდელობისა მიმელო მხოლოდ ისეთი დებულებები, რომლებიც აგებული იყო ძალზე უტყუარ დასაბუთებებზე და არაფერი

[18] იგულისხმება დეკარტის თხზულება „საფარი ანუ ტრაქტატი სინათლის შესახებ".

[19] დეკარტი გულისხმობს იტალიელ ფიზიკოსსა და ასტრონომს გალილეო გალილეის /1564-1642/. გალილეის ძირითადი თხზულებაა „დიალოგი სამყაროს ორი უმიერესი — ტოლემესეული და კოპერნიკისეული — სისტემის შესახებ" /1632/.

დამეწერა ისეთი, რაც შეიძლებოდა ვინმესთვის საზიანო ყოფილიყო ეს საკმარისი შეიქნა აზრის შესაცვლელად — გადავწყვიტე არ გამომექვეყნებინა ჩემი შეხედულებები. თუმცა მოსაზრებები, რომელთა საფუძველზეც ადრე განვიზრახე მათი სინათლეზე გამოტანა, ძალზე დამაჯერებელი გახლდათ, მაგრამ ჩემმა სიძულვილმა წიგნების „იკეთების" ხელობისადმი, მეისვე მიკარნახა სხვა საფუძვლები ამ განზრახვაზე ხელის ასაღებად. თავისთავად, ეს საფუძვლებიც და წინა მოსაზრებანიც იმგვარი გახლავთ, რომ გარკვეულ წილად არა მხოლოდ მე ვარ დაინტერესებული მათი გამოქვეყნებით, არამედ, შესაძლოა, საზოგადოებასაც სურდეს მათი გაცნობა.

არასოდეს მიმინიჭებია დიდი მნიშვნელობა იმისთვის, რაც ჩემი გონებიდან მოდიოდა; რაკი ერთადერთი შედეგი, რაც მივიღე ჩემგან გამოყენებული მეთოდიდან გახლავთ გონებაჭვრეტითი მეცნიერებების ზოგიერთი სირთულის გადალახვით მიღებული კმაყოფილება და მცდელობა ჩემი ქმედებები დამეფუძნებინა იმ წესებზე, რომლებსაც ეს მეთოდი მასწავლიდა, არც კი ჩამითვლია თავი ვალდებულად მათ შესახებ რაიმე დამეწერა. რაც შეეხება ზნე-ჩვეულებებს, მათ შესახებ თითოეულის აზრი იმდენად ჭარბია და იმდენი რეფორმატორი აღმოჩნდებოდა, რამდენი ადამიანიცაა, თუკი ამ სფეროში ცვლილებათა შეტანის ნებას მისცემდნენ — იმათ გარდა, ღმერთმა საკუთარი ხალხის ხელმწიფეობა რომ დააკისრა, ანდა ვისაც წინასწარმეტყველების მადლი და ძალა უბოძა; და, თუმცა, საკუთარი სპეკულაციები ძალზე მომწონდა, ვიფიქრე, სხვებიც მიმართავენ ასეთ სპეკულაციებს

და შესაძლოა, საკუთარი უფრო მეტადაც მოსწონთ. მაგრამ როგორც კი შეეძინე ფიზიკის ზოგიერთი დებულების შესახებ გარკვეული ცოდნა და დაიწყე მათი შემოწმება სხვადასხვა რთულ კერძო შემთხვევაში, შეუნიშნე — რამდენად შეუძლიათ მათ დაგვარწმუნონ და რამდენად განსხვავდებიან ისინი იმ პრინციპებისაგან, რითაც აქამდე სარგებლობდნენ. მივხვდი, რომ მათი დაფარვა დიდი შეცოდება იქნებოდა კანონის წინაშე, რომელიც გვავალდებულებს შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყოთ ყველა ადამიანის საერთო კეთილდღეობას. დავრწმუნდი, რომ ფიზიკის დებულებების მეშვეობით შეიძლებოდა მიგვეღწია ძალზე სასარგებლო ცხოვრებისეული ცოდნისათვის; ამასთან, იმ სპეკულაციური ფილოსოფიის ნაცვლად სკოლებში რომ ისწავლება, იქნებ შეგვექმნა პრაქტიკული ფილოსოფია, რომლის საშუალებითაც გვეცოდინებოდა ცეცხლის, წყლის, ჰაერის, ვარსკვლავების, ცის შრეთა და ჩვენ ირგვლივ მყოფ მსგავს სხეულთა ძალა და მოქმედება ისევე ნათლად, როგორც ვიცით ჩვენი ხელოსნობის სხვადასხვა დარგები; ასე გამოვიყენებდით მათ, როგორც შესაძლებელია მათი გამოყენება მათივე წესისამებრ და ასე გავხდებოდით ბუნების ერთგვარი ბატონ-პატრონები. ასეთი ცოდნა საჭირო არა მხოლოდ იმისათვის, რომ მრავალ საშუალებას მივაგნოთ, რათა ყოველგვარი გარჯის გარეშე დავტკბეთ მიწის ნაყოფითა და სიკეთით, არამედ, უმთავრესად, იმ მიზნით, რომ შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა, რაც უდავოდ, უპირველესი სიკეთეა და ამქვეყნად ყველა სხვა სიკეთის საფუძველიცაა. თავად სულიც ხომ ისე ძლიერია დამოკიდებული ტემპერამენტზე და

სხეულის ორგანოთა აღნაგობაზე, რომ იქნებ მოინახოს რაიმე საშუალება, ადამიანები, საერთოდ, უფრო გონიერნი და უფრო მარჯვენი გახდნენ, ვიდრე არიან. ვფიქრობ, ეს ყოველივე მედიცინაშია საძიებელი. მართალია, თანამედროვე მედიცინაში ცოტა რამ არის მნიშვნელოვნად სასარგებლო ადამიანისათვის — ისე არ გამიგოთ, თითქოს მისი ძაგება მეწადოს — მაინც მჯერა, პროფესიით ექიმთა შორისაც არ მოიძებნება ერთი ადამიანიც კი, რომელიც არ აღიარებდა მედიცინის დღევანდელი მიღწევების არარაობას იმასთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ მისაკვლევია. შეიძლებოდა, თავიდან აგვერიდებინა როგორც სხეულის, ისე სულის მრავალი დაავადება და იქნებ ხანდაზმულობით გამოწვეული უძლურებაც, ჩვენ რომ საკმარისი ცოდნა გაგვაჩნდეს მათ გამომწვევ მიზეზებსა და იმ სამკურნალო საშუალებებზე ბუნებამ რომ მოგვამარაგა. რაკი განვიზრახე მთელი სიცოცხლე მიმეძღვნა ესოდენ საჭირო მეცნიერების ძებისათვის, და თანაც წავაწყდი იმ გზას, რომელმაც, თუ გავყვები, გარდუვალად უნდა მიმიყვანოს ამ მეცნიერებამდე, ცხადია, საკუთარი სიცოცხლის ხანმოკლეობა, ანდა ექსპერიმენტების ნაკლებობა ხელს თუ არ შემიშლის, ხსენებული ამ ორი დაბრკოლების წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება იქნება, კეთილსინდისიერად ვაცნობო საზოგადოებას ის მცირედი, რასაც აღმოვაჩენ, საღამოზროვნენი წავახალისო, უფრო დაწინაურდნენ, რისთვისაც საჭირო იქნება საკუთარი უნარი და შესაძლებლობა გამოიყენონ აუცილებელი ცდების ჩასატარებლად. მათ უნდა გააგებინონ ხალხს, რასაც მიაღწევენ, რათა მომდევნო მკვლევარი ამით

დაიწყონ, რითაც წინამორბედნი დასრულებენ; მრავალი ადამიანის სიცოცხლისა და ნაღვაწის ამგვარი შეერთებით, ყველა ერთად ბევრად უფრო წინ წავალთ, ვიდრე ამას თითოეული ჩვენგანი ცალ-ცალკე შეძლებდა.

რაც შეეხება ცდებს, შევნიშნე, რომ მათი ჩატარების აუცილებლობა იზრდება, რაც უფრო მეტს ვიგებთ; დასაწყისისათვის უმჯობესია ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ იმ ექსპერიმენტებით, რომელთა ჩატარების საჭიროებაც თავისთავად დგება ჩვენი გრძნობების წინაშე და რომელთა შესახებაც მცირეოდენი რეფლექსიაც კმარა, რათა გავიგოთ მათი შედეგები. ეს ბევრად უმჯობესია, ვიდრე იშვიათი და რთული ცდების ძება, რაც დასტურდება იმით, რომ ასეთ ცდებს ხშირად შეეყვარეთ შეცდომაში მანამ, ვიდრე არ შეიცნობთ უფრო მარტივ მიზეზებს, ხოლო მათი განმსაზღვრელი გარემოებები თითქმის ყოველთვის იმდენად იშვიათი და ფარულია, რომ მათი აღმოჩენა ძალზე ძნელდება. ამ შემთხვევაში შემდეგ თანმიმდევრობას ვიცავდი: ჯერ ერთი, საერთოდ ეცდილობდი შეპოვა ყველაფრის — რაც კი არსებობს, ან შეიძლება არსებობდეს სამყაროში — პრინციპები ან პირველმიზეზები; რაკი მხოლოდ ღმერთი მიმაჩნდა სამყაროს შემქმნელად, ამ საწყისებს ვეძებდი ზოგიერთ ჩანასახებში იმ ჭეშმარიტებებისა, განგებით რომ ძევს ჩვენს სულში. ამის შემდეგ განვიხილე პირველი და ყველაზე უფრო ჩვეული შედეგები, რაც შეიძლებოდა გამოგვეტანა ამ მიზეზებიდან; ვფიქრობ, ასე აღმოვაჩინე ცის შრეები, ვარსკვლავები, მიწა და თვით წყალი, ჰაერი, ცეცხლი, წიაღისეული და სხვა ძალზე ჩვეულებრივი, უმარტივესი და, ამდენად, ყველაზე

ითლად შესაცნობი სხეულებიც. როდესაც უფრო კერძო შედეგებზე გადასვლა მოვისურვე, თვალწინ წარმოიდგა მათი უსაზღვრო მრავალფეროვნება და დავასკვენი: ადამიანის გონებას არ ძალუძს მიწაზე არსებულ სხეულთა ფორმები და სახეობები გამოარჩიოს უამრავ სხვათაგან, რომლებიც ღმერთის ნებით შეიძლება განლაგებულიყო დედამიწაზე. მაშასადამე, მათ გამოყენებას ჩვენ სასარგებლოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებდით, თუ შედეგებიდან მივიდოდით მიზეზებამდე და მრავალ კერძო ცდას გამოვიყენებდით. სწორედ ამიტომ, გონებით გადავხედე ყველა საგანს, რომელსაც კი ოდესმე ჩემს გრძნობებთან ჰქონია შეხება და ებედავ განეაცხადო, რომ არ შემთხვეულა არც ერთი საგანი, რომლის ახსნაც არ შემეძლებოდა საკმაოდ ითლად ჩემ მიერ აღმოჩენილი პრინციპებით, მაგრამ ისიც უნდა ვალიარო, რომ ბუნების ძალმოსილება იმდენად უკიდეგანო და ვრცელია, ჩემი პრინციპები კი მარტივი და ზოგადი, რომ ვერც ერთ კერძო შედეგს ვერ გამოვიყვანდით ამ პრინციპებიდან, რამდენიმე სხვადასხვა გზა რომ არ გამოგვეყენებინა. სწორედ ეს იყო ჩემთვის ყველაზე რთული — რომელი გზა, რომელი ხერხი იყო უკეთესი ამ დამოკიდებულების ნათელსაყოფად. ასეთ შემთხვევაში ერთადერთ საშუალებად მიმაჩნია, ხელახლა შევარჩიო რამდენიმე ისეთი ცდა, რომელთა შედეგი განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, თუ რა ხერხით ავხსნით ამ შედეგს. თუმცა, ეტყობა, უკვე კარგად ვარჩევ რა მისასვლელ გზებს ითხოვს იმ ცდათა უმრავლესობა, ამ მიზნისათვის რომ გამოგვადგებოდა. მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ ეს ცდები ისეთი ბუნებისაა და იმდენად მრავალრიცხოვანი,

რომ მათ არც ჩემი ხელი ეყოფოდა და არც იმაზე ათასჯერ მეტი ქონება, რაც მაბადია. გამოდის, რომ ცდათა ჩასატარებლად რამდენადაც მეტი ან ნაკლები შესაძლებლობა მექნებოდა, იმდენად მეტად ან ნაკლებად წავიდოდი წინ ბუნების შემეცნებაში. საკუთარ თავს პირობა მივეცი, ეს ყოველივე გადმომეცა ჩემს ტრაქტატში და მასშივე ნათელმეყო ის სარგებელი, რის მიღებასაც საზოგადოება შეძლებდა მისგან. ამით ვაიძულებდი ყველას, ვისაც საერთოდ სიკეთე სურს ადამიანებისათვის, ე. ი. მათ, ვინც საქმით არიან სიკეთისმქმნელნი და არა მათ, ვისაც ასეთებად მოაქვთ თავი, ანდა მხოლოდ სხვებს თვლიან ასეთებად, მაცნობონ მათ მიერ ჩატარებული ცდების შესახებ და დამეხმარონ იმით მიგნებაში, რაც კიდევ დარჩა ჩასატარებელი.

მაგრამ ამის შემდგომ გამიჩნდა სხვა მოსაზრებები, რომელთაც განზრახვა შემაცვლევინეს: ახალ ჭეშმარიტებათა აღმოჩენის კვალდაკვალ, თუ მივიჩნევდი მნიშვნელოვნად, წერილობით ჩამომეყალიბებინა ისინი და, თანაც, ისეთივე გულმოდგინებით, თითქოს მათი გამოქვეყნება მსურდა. ამან მაიძულა, უფრო გულდასმით განმეხილა ისინი, რადგან უდავოა, ბევრად გულისხმიერად ვეკვლევთ იმას, რაც მრავალთა სამსჯავროზე გაგვაქვს ვიდრე იმას, მხოლოდ ჩვენთვის რომ ვაკეთებთ. ხშირად საგნები, რომლებიც მიმაჩნდა ჭეშმარიტად, როცა მათზე ფიქრს ვიწყებდი, მცდარი აღმოჩენილა ხოლმე, როცა მათზე მსჯელობას ქაღალდზე გადავიტანდი. იმავდროულად, ეცდილობდი ხელიდან არ გამეშვა საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანის არც ერთი შესაძლებლობა, თუ მე შემწევს ამის უნარი და ჩემს თხზულებებსაც თუ აქვს რაიმე

ღირებულება; მსურდა მათ, ვისაც ჩემი სიკეთილის შემდეგ ისინი ხელში ჩაუვარდებოდა, შეძლებისდაგვარად უკეთ გამოეყენებინათ. ოღონდ არ უნდა დაეთანხმებოდი ჩემ სიცოცხლეში მათ გამოცემას, რათა არც იმ საწინააღმდეგო მოსაზრებებს, არც მათგან გამოწვეულ დისპუტებს, არც ნებისმიერ სახელს, რომელიც მათ შეიძლება მოეტანათ ჩემთვის, არ დაეკარგინებინათ ჩემთვის ის დრო, რომელიც უნდა გამომეყენებინა თვითგანათლებაზე. ცხადია, ყოველი ადამიანი შეძლებისდაგვარად ეალდებულია ზრუნავდეს სხვათა კეთილდღეობაზე, სხვებისთვის უსარგებლოს არავითარი ფასი არ გააჩნია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენი საზრუნავები აწმყოზე უფრო შორს უნდა მიდიოდეს და თანამედროვეთათვის სასარგებლო მოღვაწეობას, სჯობს, ხელი მოვკიდოთ იმას, რაც მეტად წაადგება ჩვენს შთამომავლობას. მე ნამდვილად მსურს, იცოდნენ, რომ ის მცირედი, რაც მე ვიცი, თითქმის არაფერია იმასთან შედარებით, რაც არ ვიცი და რისი შესწავლის იმედსაც არ ვკარგავ. ისინი, ვინც თანდათანობით აღმოაჩენენ ჭეშმარიტებას მეცნიერებაში, იმათ ჰგვანან, ვინც, გამდიდრებულნი, უკვე ნაკლებ ირჯებიან სიმდიდრის მოსაპატებლად, ვიდრე სიღარიბის დროს გაცილებით ნაკლების შესაძენად რომ შრომობდნენ. ისინი შეიძლება შევადაროთ იმ მხედართმთავრებს, რომელთა ძლიერებაც იზრდება მათი გამარჯვებების კვალობაზე, ხოლო დამარცხების შემდეგ, გადარჩენილთა დასაცავად და მდგომარეობის შესანარჩუნებლად უფრო მეტი საბრძოლო ხელოვნება მართებთ, ვიდრე ქალაქებისა და პროვინციების ძლევამოსილად აღებისას. რადგან მისწრაფება ყველა სიმართლისა და შეცდომის

დასაძლევად, რომლებიც ხელს გვიშლის ჭეშმარიტების შემეცნებაში, მართლაც, რომ საბრძოლო შერკინების ტოლფასია; მცდარი აზრის შექმნა რაიმე მნიშვნელოვან და ზოგად საგანზე ბრძოლის წაგებას უდრის; შემდგომში ბევრად უფრო მეტი ხელოვნება იქნება საჭირო იმისათვის, რათა ძალა მოიკრიბო და უწინდელი მდგომარეობა აღიდგინო, ვიდრე ეს იქნებოდა საჭირო მეტი წარმატებების მისაღწევად ხელთ არსებული სრულიად დასაბუთებული პრინციპების საფუძველზე. თავად მე, თუ ადრე აღმოვაჩინე ზოგიერთი ჭეშმარიტება მეცნიერებაში, ვიმედოვნებ, წინამდებარე ტომის შინაარსი ამას მოწმობს, შემიძლია ვთქვა, რომ ისინი გახლავთ მხოლოდ შედეგები და დასკვნები ხუთი თუ ექვსი ჩემ მიერ გადალახული მთავარი სირთულისა, რომლებზე გამარჯვებაც მიმაჩნია ბრძოლად, რომელშიც ბედი ჩემ მხარეზე იყო. არც იმის თქმას შევუშინდები, რომ კიდევ ორისამი მსგავსი ბრძოლის მოგება და ჩემს გეგმებს განხორციელებულად ჩავთვლი; არც ისე ხანდაზმული ვარ, რომ მე, ბუნების ჩვეული დინების მიხედვით, საკმაო თავისუფალი დრო არ მქონდეს ამის განსახორციელებლად; მაგრამ მით უფრო უნდა გავუფრთხილდე ჩემს დარჩენილ დროს, რაც უფრო მეტად ვიმედოვნებ მის გამოყენებას კარგად. ცხადია, ჩემი ფიზიკის საფუძვლები რომ გამომექვეყნებინა, დროს ბევრჯერ დავკარგავდი, არადა ამ საფუძველთაგან ყველა იმდენად ცხადი გახლავთ, რომ მათი მოსმენაც კმარა, რათა ირწმუნოთ; მათ შორის არც ერთი არ გახლავთ ისეთი, რომლის დამტკიცებაც ჩემს ძალას აღემატებოდეს, თუმცა შეუძლებელია ისინი დაემთხვეს ყველა სხვათა

სრულიად განსხვავებულ მოსაზრებებს; ამიტომ წინასწარ ვითვალისწინებ, რომ ხშირად მომიწევს დროის გაცდენა, ყურადღების გადატანა საპირისპირო მოსაზრებებზე, რომელთაც აღნიშნული საფუძვლები გამოიწვევენ.

შესაძლოა, ეს საპირისპირო შეხედულებანი სასარგებლოც გამოდგეს ჩემთვის: ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ისინი გამაგებინებდნენ ჩემს შეცდომებს; მეორეც, იმიტომ, რომ ამ გზით სხვები უკეთ გაიგებდნენ ჩემს სიმართლეს: რამდენიმე ადამიანს ხომ მეტის დანახვა შეუძლია, ვიდრე ერთს; ამიტომ ახლა, როცა ვიყენებ ჩემ მიერ აღმოჩენილ პრინციპებს, ამ ადამიანებს შეეძლოთ დამხმარებოდნენ თავიანთი აღმოჩენებით. ვფიქრობ, ძალზე ოდესღაც შეიძლება შევცდე და თითქმის არასოდეს ვუნდობი თავში პირველად მოსულ აზრებს; მაინც საკუთარი გამოცდილება ნებას არ მაძლევს რაიმე სარგებლის გამოტანის იმედი ვიქონიო იმ საპირისპირო მოსაზრებათაგან, ჩემ საწინააღმდეგოდ რომ გამოთქვამენ. ხშირად შემიმოწმებია იმათი მოსაზრებებიც, ვინც მეგობრებად მეგულებოდა, იმათიც, ვინც მოუკერძოებლებად მიმაჩნდა და იმათიც კი, ვისაც ავი ზრახვა და შური აიძულებდა აღმოეჩინათ ის, რასაც კეთილგანწყობა მეგობრების თვალთაგან მალავდა, მაინც იშვიათად მომხდარა ჩემთვის დაეპირისპირებინოთ რაიმე ისეთი, რაც მე გათვალისწინებული არ მქონდა, ცხადია, თუ არ ჩავთვლით იმას, რაც ძალზე შორს იყო ჩემი საგნისაგან. ასე რომ, თითქმის არასოდეს შევხვედრიარ ჩემ მოსაზრებათა ისეთ ცენზორს, რომელიც ჩემზე უფრო მკაცრი და უფრო სამართლიანი ყოფილიყო. ასევე, არასოდეს

შემინიშნავს, რომ კამათის საშუალებით, სკოლებში რომ არის მიღებული, აღმოეჩინოთ თუნდაც რაიმე, მანამდე უცნობი ჭეშმარიტება, რადგან ასეთ დროს თითოეული ლაშობს გაიმარჯვოს და ორივე მხარე უფრო მეტს ცდილობს სიმართლის მსგავს რაიმეს ფასი მოუმატოს, ვიდრე ერთმანეთის მოსაზრებები აწონ-დაწონოს. დიდი ხნის განმავლობაში კარგ ადვოკატად ნამსახური, უკეთესი მოსამართლე როდი ხდება.

რაც შეეხება სარგებელს, რის გამოტანასაც სხვები შეძლებდნენ ჩემი აზრებიდან, რომელთაც გამოვაქვეყნებდი, ძალზე დიდი ეერც ის იქნებოდა, ვინაიდან ეს აზრებიც არ იყო იქამდე მიყვანილი, რომ პრაქტიკულ გამოყენებამდე არაფრის დამატება არ დასჭირვებოდა. პატივმოყვარეობის გარეშე შეიძლია განვაცხადო: თუ ვინმეს შესწევს მათი შევსების უნარი, ეს სხვაზე მეტად თავად მე ვარ; არა იმიტომ, რომ ქვეყნად არ ყოფილა ჩემზე გაცილებით მალალი გონების მრავალი ადამიანი, არამედ იმიტომ, რომ შეუძლებელია გაიგო და გათავისო სხვისი ნებისმიერი აზრი ისე კარგად, როგორც მაშინ თავად რომ მისულიყავი მის ჩამოყალიბებამდე. ეს ერთობ ცხადი რამ არის. არაერთგზის ამიხსნია ზოგიერთი ჩემი მოსაზრება გონებით გამორჩეული ადამიანებისათვის და თითქოსდა მათაც ნათლად ესმოდათ ჩემი ჩვენი საუბრისას, მაგრამ შემდეგ, როდესაც ისინი მათ იმეორებდნენ და თითქმის ყოველთვის იმდენად ცვლიდნენ ჩემს აზრებს, რომ აღარ შეეძლო ისინი ჩემად მელიარებინა. ესარგებლობ შემთხვევით და ამის გამო ვთხოვ, ჩვენს შთამომავლებს: არასოდეს დაიჯერონ, როცა ამა თუ იმ აზრს ჩემად

მიაწვდიან; ასეთად მხოლოდ ის მიიჩნიონ, რაც თავადვე გამოვაქვეყნე. პირადად მე სრულებითაც არ მიკვირს ის უცნაურობები, ძველი დროის იმ ფილოსოფოსებს რომ მიაწერენ, რომელთა თხზულებებსაც ჩვენამდე ვერ მოაღწია; ამის გამო არ მეჩვენება მათი აზრები დიდად უგუნურად, რადგან ვფიქრობ მათი — თავიანთი დროის საუკეთესო მოაზროვნეების — აზრები ცუდად მოიტანეს ჩვენამდე. ეს იმითაც დასტურდება, რომ მათი მიმდევრები თითქმის არასოდეს აღემატებოდნენ თავიანთ მასწავლებლებს. დარწმუნებული ვარ, არისტოტელეს ამჟამინდელი ყველაზე თავგამოდებული მიმდევრები თავს ბედნიერად ჩათვლიდნენ, ბუნების შესახებ მათაც იმდენი რომ სცოდნოდათ, რაც მან იცოდა, თუნდაც იმ პირობით, უფრო მეტი ცოდნა ვერასოდეს შეეძინათ. ამ მხრივ ისინი ჰგვანან იმ სუროს, რომელიც ცდილობს არ ასცდეს ხეს, რომელსაც მიჰყვება, ხოლო მის კენწეროამდე თუ მიაღწია, ისევ დაბლა ეშვება. ეფიქრობ, ესენიც ასევე ეშვებიან, რადგან, გარკვეული აზრით, მათი ცოდნა ღარიბდება და თავად ნაკლებსწავლულნი ხდებიან, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდნენ, სწავლისაგან თავი რომ შეეკავებინათ; მათ არ აკმაყოფილებთ იმის ცოდნა, რაც ავტორის მიერ გადმოცემულია გასაგებად, სურთ მის ნაწერებში აღმოაჩინონ პასუხი მრავალ საკითხზე, რომელთა შესახებაც ავტორი არაფერს ამბობს, ან, შესაძლოა, არც არასოდეს უფიქრია. თუმცა ფილოსოფოსთათვის დამახასიათებელი ასეთი წესი დიდად ხელსაყრელია საშუალო გონების ადამიანებისათვის, რადგან ბუნდოვანება იმ სხვაობებისა და იმ პრინციპებისა, რითაც ისინი სარგებლობენ, საშუალებას აძლევს

მათ მცოდნეებივით ყველაფერზე თამამად ილაპარაკონ; აღნიშნულ ბუნდოვანებას იმისთვისაც იყენებენ, რომ ჯიუტად დაიცვან თავი იმისაგან, რასაც მათ შესახებ ამბობენ თვით ყველაზე გამჭრიახი და გაწაფული მოწინააღმდეგეები. ამით ისინი ჰგვანან იმ უსინათლოს, თანაბარ პირობებში საბრძოლველად თვალის ჩინის მქონეს სადმე ბნელ სარდაფში რომ ჩაიყვანს. ისიც შეძლებია ვთქვა, რომ ეს ადამიანები დაინტერესებულნი არიან, თავი შეიკავონ ფილოსოფიის ჩემეული პრინციპების გამოქვეყნებისაგან, რომლებიც იმდენად მარტივი და ნათელია, რომ მათი მზის სინათლეზე გამოტანით, მე ერთგვარად გავაღებდი რამდენიმე ფანჯარას და შუქს ჩავუშვებდი იმ სარდაფში, ბრმა და თვალხილული საბრძოლველად რომ ჩავიდნენ. მაგრამ აღნიშნული პრინციპების გაცნობის სურვილი გამორჩეული გონების ადამიანებსაც კი არ გააჩნიათ; თუკი მათი სწრაფვა ამქვეყნად ყოველივეზე საუბარი და ამით სწავლული ადამიანის სახელის მოხვეჭა გახლავთ, ამას ისინი უფრო იოლად მიაღწევენ, თუ დასჯერდებიან სიმართლისმაგვარის იოლად აღმოჩენას ნებისმიერი სახის საკითხებში, ვიდრე ეძიონ ძნელად საპოვნელი ჭეშმარიტება და ისიც მხოლოდ ზოგიერთ საკითხში რომ მიიკვლევა, ამასთან საკუთარი უვიცობა გულახდილად აღიარონ, როგორც კი საქმე მიდგება სხვა საკითხზე. თუ ისინი ამჯობინებენ იცოდნენ ცოტაოდენი ჭეშმარიტება, ვიდრე დაკმაყოფილდეს მათი პატიჟმოყვარეობა და ყოვლისმცოდნედ გამოჩნდნენ — რაც, მართლაც, ბევრად უმჯობესია — და სურთ მიაღწევნენ ისეთსავე მიზანს, რომელსაც მე მივდევდი, სრულიად საკმარისი იქნება ისიც,

რაც უკვე ვთქვი ამ მსჯელობაში; თუ მათ შესწევთ
უნარი, ჩემზე მეტად წინ წავიდნენ, მით უფრო
იოლად აღმოაჩენენ იმას, რაც, ვფიქრობ, მე აღ-
მოვაჩინე; მე ყველაფერი გამოვიკვლიე მხოლოდ
თანმიმევრობის დაცვით, ამდენად ის, რაც დამრჩა
აღმოსაჩენი, ცხადია, თავისთავად ბევრად უფრო
რთული და იდუმალია, ვიდრე ის, რაც აქამდე
გამოვიკვლიე; რაოდენ სასიამოვნო იქნებოდა მათ-
თვის, თავად აღმოეჩინათ ეს ყოველივე, ვიდრე
ჩემგან შეეტყოთ. გარდა ამისა, შეძენილი ჩვევა
— თავდაპირველად იოლი საკითხების კვლევა
და თანდათანობით, საფეხურებრივად გადასვლა
უფრო რთულ საკითხებზე — მით უფრო მეტად
წაადგებოდათ, ვიდრე ამას შეძლებდა ყველა ჩემი
დამოძღვრა. რაც შემეხება მე, დარწმუნებული ვარ,
ჩემთვის ახალგაზრდობაშივე რომ ესწავლებინათ
ყველა ჭეშმარიტება, რომელთა დასაბუთებასაც
შემდეგში მე თავად ვეძებდი, ისინი რომ შემეცნო
ყოველგვარი გარჯის გარეშე, ალბათ, ვერავითარ
სხვა ჭეშმარიტებას ვერარ მივაკვლევდი ან, ყოველ
შემთხვევაში, ვერასოდეს შევიძენდი მათი მიგნების
იმ ჩვევასა და უნარს, რაც მგონი გამაჩნია ახალ
ჭეშმარიტებათა საძიებლად და აღმოსაჩენად. ერთი
სიტყვით, ამქვეყნად თუ არსებობს რაიმე თხზულე-
ბა, რომელიც შეიძლება წარმატებით დაასრულოს
მხოლოდ მან, ვინც დაიწყო, მაშინ ეს სწორედ ის
გახლავთ, რომელზეც მე ვმუშაობ.

მართალია, ამისათვის საჭირო ცდების ჩა-
ტარებას ერთი ადამიანი ვერ შეძლებდა, მაგრამ
საკუთარ ხელებზე უკეთ ხომ სხვათა ხელებს ვერ
გამოიყენებენ; ცხადია, ხელოსნები და, საერთოდ,
დაქირავებული ადამიანები გასამრჯელოს, ამ ძალზე

ჭელითი საშუალების, იმედით ზუსტად გააკეთებენ
ყველაფერს, რასაც კი შეუკვეთენ. რაც შეეხება
მოყვარულებს, ცნობისმოყვარეობის ან სწავლის
სურვილით რომ შეუძლიათ საკუთარი სამსახურის
შეთავაზება, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ,
ჩვეულებრივ, ისინი უფრო მეტს გვპირდებიან,
ვიდრე ასრულებენ, ასევე, გვთავაზობენ კარგ წი-
ნადადებებს, რომელთაგანაც არასოდეს არც ერთი
არ სრულდება; ზოგიერთი სირთულის ახსნისათვის,
ისინი აუცილებლად ითხოვენ გასამრჯელოს, ანდა,
ქათინაურებსა და ფუჭ თანხმობას მაინც, რაც ყო-
ველთვის უფრო ძვირი დაგიჯდება, რაც არ უნდა
ცოტა დრო დაიხარჯოს. სხვათაგან ცდების ჩა-
ტარებას რაც შეეხება — ისინი, ვინც საიდუმლოდ
საქმიანობენ, რომც დათანხმებოდნენ ამის შესახებ
ავტორისათვის ეცნობებინათ, რასაც, ცხადია,
არასოდეს გააკეთებენ, — ეს ცდები უმთავრესად
საჭიროებს იმდენ პირობას და ინგრედიენტს, რომ
მათში ჭეშმარიტების გამოვლენა იოლი არ გახლა-
ვთ. გარდა ამისა, ყველა მიგნებული შედეგი ცუდად
განმარტებული, ანდა მცდარიც კი იქნებოდა იმის
გამო, რომ ცდების შემსრულებლები შეეცდებოდ-
ნენ მათ მისადაგებას თავიანთი პრინციპებისათვის;
ზოგიერთი მათგანი თუ მაინც წაადგებოდა საქმეს,
ძლივს აანაზღაურებდა მათ შესაჩვევად დაკარგულ
დროს. ამრიგად, ქვეყნად რომ არსებობდეს ერთობ
უნარიანი ადამიანი, რომელიც გადაწყვეტდა, აღმოე-
ჩინა საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი
და ყველაზე სასარგებლო რამ, რაც კი შეიძლება
რომ არსებობდეს, და ამ განზრახვის აღსრულებაში
სხვებსაც მცდელობა არ დაეკლოთ ყოველგვარი სა-
შუალებებით დახმარებოდნენ, მა-
შინ, ჩემი აზრით,

ყველაზე საუკეთესო, რასაც ისინი გააკეთებდნენ იქნებოდა ცდებისათვის საჭირო ხარჯების გაღება; თანაც, არავისთვის უნდა მიეცათ საშუალება, თავისი აბეზარობით მკვლევარისთვის თავისუფალი დრო დაეკარგვინებინა. თუმცა საკუთარ თავზე იმდენად დიდი აზრისა არ გახლავართ, რომ რაიმე არაჩვეულებრივს დაგპირდეთ, არც თავს ვიტყვებ ფუჭი იმედით, რომ საზოგადოება დიდად დაინტერესებულია ჩემი გეგმებით; არც ისე სულმოკლე ვარ, ნებისმიერისაგან მივიღო მოწყალება, რაც შეიძლება დაუმსახურებელ დახმარებად ჩამითვალონ.

ყველა ამ მოსაზრებათა ერთობლიობა გახლდათ ის მიზეზი, რის გამოც სამი წლის წინათ არ ვისურვე უკვე დასრულებული ტრაქტატის გამოქვეყნება და კიდეც გადავწყვიტე: ჩემ სიცოცხლეში არ გამომეცა სხვა, ასეთივე ზოგადი ნაშრომი, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ჩემი ფიზიკის საფუძვლების გაგება. მაგრამ, მოგვიანებით, ორმა ახალმა გარემოებამ მიბიძგა ამ მსჯელობაში გამოშეტანებინა რამდენიმე კერძო მოსაზრება და ამით ჩემს ქმედებებსა და გეგმებზე ჩაშებარებინა ერთგვარი ანგარიში საზოგადოებისათვის. პირველი მოსაზრების თანახმად, მე რომ ეს არ მექნა, ბევრი, ვინც იცოდა ჩემი უწინდელი განზრახვა ზოგიერთი თხზულების გამოქვეყნების თაობაზე, იფიქრებდა, რომ ჩემი თავშეკავების მიზეზი უფრო დიდ ზიანს მოიტანდა, ვიდრე ეს ასე გახლავთ. მართალია, დიდების უზომო მოყვარული არ გახლავართ და — ებედავ ვთქვა — მძულს კიდეც, რადგან მიმაჩნია, რომ იგი არღვევს სიმშვიდეს, რასაც მე ყველაზე მეტად ვაფასებ, მაინც, არც მიცდია ჩემი ქმედებები დამეფარა ისევე, როგორც

ჩადენილ დანაშაულს ფარავენ ხოლმე. არც განსაკუთრებული სიფრთხილე გამომიჩენია იმისათვის, რომ ჩრდილში შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი. ამას ჩემ უსამართლობად ჩავთვლიდი საკუთარი თავის მიმართ, ეს ასევე გამიჩენდა გარკვეულ საზრუნავს, რაც დაარღვევდა ჩემი გონების სრულ სიმშვიდეს, რისკენაც მივილტვი. ასე რომ, მუდამ გულგრილი ვიყავი იმის მიმართ — სახელოვანი ვიქნებოდი, თუ ჩრდილში დავრჩებოდი. გარკვეული რეპუტაციის შეძენას არ ვეწინააღმდეგებოდი, პირიქით, მიმაჩნდა, რომ შესაძლებისდაგვარად ყველაფერი უნდა მეღონა, რათა ჩემი სახელი ცუდი მაინც არ ყოფილიყო.

მეორე მოსაზრება, რამაც მაიძულა ამ თხზულების დაწერა, გახლავთ შემდეგი: ვხედავდი, რომ ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო გვიანდებოდა ჩემი განზრახვა — შემეძინა ცოდნა, რათა ჩამეტარებინა უამრავი ექსპერიმენტი, რაც მე ასე მჭირდება და რომელთა ჩატარებაც შეუძლებელი იქნებოდა სხვისი დახმარების გარეშე; ცხადია, თავს ვერ დავიიმედებ იმით, რომ საზოგადოება დიდ დახმარებას გამიწევს ჩემი ზრახვების განხორციელებაში, მაინც არ მინდა შევცოდო საკუთარ თავს და სანაბი მივცე მათ, ვინც ჩემ შემდეგ იცოცხლებს, ერთ მშვენიერ დღეს მისაყვედურონ: რატომ არ ავუხსენი მათ, თუ რით შეეძლოთ დამხმარებოდნენ ჩემი გეგმების შესრულებაში და თავს საშუალება არ მივეცი მრავალი საუკეთესო მოსაცემი დამეტოვებინა მათთვის.

გადავწყვიტე: ოღლია შერჩევა რამდენიმე საკითხისა, რომლებიც დიდად საკამათო არ გახდებოდა და არც მე მაიძულებდა ჩემი პრინციპები იმაზე მეტად გამომეტანა საჯაროდ, ვიდრე ეს მსურს;

ისინი მაინც საკმაოდ ნათლად წარმოაჩენდნენ, თუ რას შეძლებდა მივაღწიო მეცნიერებაში და რას არა. არ ვიცი, შევძელი ეს თუ არა, არც ის მსურს, რომ საკუთარ თხზულებებზე საუბრით ვინმეს მსჯავრს დავასწრო. დიდად მოხარული ვიქნები, თუ მათ განიხილავენ, ხოლო უფრო მეტი საფუძველი რომ ჰქონდეთ ამისათვის, უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვისაც კი რაიმე შენიშვნა ექნება, ნუ დაზარებენ და აცნობონ ისინი ჩემს გამომცემელს, ვისი მეშვეობითაც მე შევიტყობ და შევეცდები, მაშინვე ვუპასუხო; ასეთი გზით მკითხველები ერთდროულად გაეცნობიან შენიშვნებს და პასუხებს და უფრო ადვილად განსჯიან ჭეშმარიტებას. თანაც იმასაც გპირდებით, რომ მათ ერცელ პასუხებს არასოდეს გავცემ, ძალზე გულახდილად ვალიარებ ჩემს შეცდომებს, თუ მათ შევნიშნავ; მათ შემჩნევას თუ ვერ შევძლებ, უბრალოდ, ვიტყვი იმას, რასაც ჩემი ნაწერის დასაცავად საჭიროდ მივიჩნევ, არ მოვყვები რაიმე ახალი საკითხების განმარტებას, რათა კამათი დაუსრულებლად არ გაგრძელდეს.

„დიოპტრიკისა" და „მეტეორების" შესავალში მოცემულმა ზოგიერთმა მოსაზრებამ თავდაპირველად გაოცება თუ გამოიწვია, რაკი მე მათ ვარაუდებს ვუწოდებ და თითქოსდა არ ვაპირებდე მათ დასაბუთებას, მოთმინება იქონიონ და ყურადღებით წაიკითხონ ყველაფერი; ვიმედოვნებ, კმაყოფილნი დამრჩებიან, ვინაიდან, ჩემი აზრით, საბუთები მოცემულია იმგვარი თანმიმდევრობით, რომ პირველი საბუთებით, როგორც მიზეზებით, დასტურდება ბოლონი; ხოლო თავის მხრივ პირველები ე. ი. მიზეზები, ნათელიყოფა მომდევნოებით, როგორც

მათი შედეგით. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ისეთივე შეცდომას ვუშვებდე, ლოგიკოსები წრეს რომ უწოდებენ, რადგან გამოცდილება მთელი სიცხადით ადასტურებს აღნიშნულ შედეგთა უმრავლესობას. მიზეზები, რომელთაგანაც ეს დასაბუთებები გამომდინარეობს, ემსახურება არა იმდენად მათ დამტკიცებას, რამდენადაც ახსნას და პირიქით, თავადვე დასტურდება შედეგებით. მე მათ ვარაუდები მხოლოდ იმიტომ ვუწოდე, რომ შესაძლებლად მიმაჩნია მათი გამოყენება ჩემ მიერ ზემოთ ახსნილი პირველი ჭეშმარიტებებიდან, მაგრამ განზრახ გავაკეთე ეს შემდეგი მიზნით: ისინი — ვისაც ჰგონიათ, ერთ დღეში გაიგებენ ყველაფერს, რაზეც ოცი წელი უფიქრია სხვას, თუკი იგი მათ ორი-სამი სიტყვით აუხსნის თავის ნააზრევს, მით უფრო ცდებიან და შორდებიან ჭეშმარიტებას, რაც უფრო გამჭრიახი და მკვირცხლი გონების პატრონი არიან; მინდოდა ხელი შემეშალა მათთვის, და არ მიმეცა შესაძლებლობა აეგოთ იმ საწყისებზე, რომელთაც ისინი ჩემად მიიჩნევდნენ, რაიმე ექსტრავაგანტური ფილოსოფია, რომლის მცდარობაც მეტე დამბრალდებოდა. აბსოლუტურად ჩემს მოსაზრებებს რაც შეეხება, არა მგონია სიახლე საბოდიშო იყოს მათთვის; მჯერა რომ, თუ კარგად ჩაუკვირდებიან მათს საფუძვლებს, დარწმუნდებიან, ისინი იმდენად მარტივი და მისაღებია სალი აზრისათვის, რომ იმაზე საგნების შესახებ ნებისმიერ სხვა შესაძლო შეხედულებებზე ნაკლებ უჩვეულო და უცნაური მოეჩვენებათ; არ ვტრაბახობ, რომ პირველმა აღმოვაჩინე ისინი; საკუთარ დამსახურებად ის მიმაჩნია, რომ აღნიშნული საფუძვლების სასწორეში საკუთარმა გონებამ დამარწმუნა, და არა ის, რომ

მივიღე, რაკი ჩემზე ადრე სხვებს ჰქონდათ, ან პირიქით, საერთოდ არავის ჰქონდა გამოთქმული.

„დიოპტრიკაში" მოცემული გამოგონება ხელოსნებს მაშინვე რომ ვერც განეხორციელებინათ პრაქტიკულად არა მგონია, მხოლოდ ამის გამო დაეგმოთ ისინი. ჩემ მიერ აღწერილი მანქანების აგება და გამართვა – ისე რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ გამოგრჩეთ – დიდ ოსტატობასა და გამოცდილებას ითხოვს. ამდენად, პირველივე ცდაზე ხელოსანთა წარმატება ისევე გამიკვირდებოდა, როგორც კარგი ნოტების წყალობით ვინმეს ბარბითზე ჩინებულად დაკვრა ერთ დღეში რომ ესწავლა. ამ თხზულებას კი იმიტომ ვწერ ფრანგულად – ჩემი ქვეყნის ენაზე და არა ლათინურად, ჩემი მასწავლებლების ენაზე, რომ ვიმედოვნებ: ჩემს მოსაზრებებს უკეთ განსჯიან ის ადამიანები, მხოლოდ საკუთარ, განგებით ნაბოძებ წმინდა გონებას რომ იყენებენ; ხოლო ისინი, ვისაც სალი გონება ცოდნით გაუჯერებიათ, ერთადერთნი არიან, საკუთარ მსაჯულებად ვისაც ვისურვებდი. დარწმუნებული ვარ, ისინი არ გამოიჩენენ მიკერძოებას ლათინური ენისადმი და მხოლოდ იმ საბაბით არ განაცხადებენ უარს ჩემი მოსაზრებების წაკითხვაზე, რომ მე ისინი ხახალხო ენაზე გადმოვეცი.

დასასრულ, აქ არ მსურს უფრო დაწვრილებით საუბარი იმ წარმატებებზე, რომელთაც, ვიმედოვნებ, სამომავლოდ მივაღწევ მეცნიერებებში; არ მინდა საზოგადოების წინაშე თავის დავალდებულება რაიმე დაპირებებით, რომელთა შესრულებაშიც არ ვარ დარწმუნებული. დავსძენ მხოლოდ ერთს: გადავწყვიტე, მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლე მოვანდომო მხოლოდ ბუნების შესწავლას, რომ

მისგან შეიძლებოდეს მედიცინაში იმაზე უფრო საიმედო წესების გამოტანა, ვიდრე დღემდე გვაქვს; ჩემი სურვილი იმდენად ძლიერია, რომ არავითარი სხვა განზრახვა ალარ მიპყრობს, განსაკუთრებით ის, რომელშიც ერთთათვის სარგებელი აუცილებლობით გულისხმობს საზიანოს მეორეთათვის. თუ გარემოებათა გამო იძულებული ვიქნებოდი, ამგვარი რამ მეკეთებინა, წარმატების იმედი არც უნდა მქონოდა. ამას აქ ვაცხადებ, თუმცა ვიცი, ამგვარი განცხადება საზოგადოებაში არ გაზრდის ჩემს ავტორიტეტს, მაგრამ ეს არც გახლავთ ჩემი მიზანი. მარად მადლიერი ვიქნები მათი, ვისი წყალობითაც დაუბრკოლებლად შეეძლებ თავისუფალი დროით სარგებლობას, ვიდრე მათი, ვინც შემომთავაზებს ამქვეყნად ყველაზე უფრო საპატიო თანამდებობებს.

მეტაფიზიკური
მედიტაციები

პარიზის თეოლოგიის წმინდა ფაკულტეტის დეკანს და დოქტორებს – ბატონებს, რომელთა სიბრძნემაც მიაღწია გაუგონარი დიდების მწვერვალს

სამართლიანმა მიზეზმა შემაგულიანა, თქვენთვის წარმომედგინა ეს თხზულება[20] და დარწმუნებული ვარ, თქვენც – როგორც კი გაეცნობით ჩემი განზრახვის საფუძველს – სამართლიანად მოიქცევით და მფარველობას გაუწევთ წინამდებარე ნაშრომს, რომლის სარეკომენდაციო საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია, მოკლედ მოგითხროთ წარმოდგენილი თხზულების მიზნის შესახებ.

ორი საკითხი – ღმერთი და სული – ყოველთვის უმთავრესად მიმაჩნდა იმ საკითხთაგან, რომლებიც უნდა დადასტურებულიყო უმალ ფილოსოფიის მეშვეობით, ვიდრე თეოლოგიისა. ჩვენთვის, მორწმუნეთათვის, რწმენაც კმარა, რომ დავიჯეროთ – ადამიანის სული არ კვდება სხეულთან ერთად და რომ ღმერთი არსებობს; მაგრამ ურწმუნოებს, ცხადია, ვერაფერი – ვერც სარწმუნოება, ვერც რაიმე მორალური სიქველე, ვერ დააჯერებს ამ ორ ჭეშმარიტებას, თუ, თავდაპირველად, მათ არ დაუმტკიცეთ ისინი ბუნებრივი გონებით. რადგან

[20] **„მეტაფიზიკური მედიტაციები"** – პირველად გამოიცა 1641 წ. პარიზში, ლათინურ ენაზე; 1642 წელს ამსტერდამში, მცირედი ცვლილებებით. ტექსტის ფრანგული თარგმანი, დეკარტის შესწორებით, 1647 წ. გამოიცა პარიზში.

ადამიანები ამქვეყნად ხშირად მანკიერებებისათვის უკეთ ჯილდოვდებიან, ვიდრე სათნოებებისათვის, ოღონ ვინმე თუ დააყენებდა სასარგებლოზე წინ სამართლიანს, ღმერთის შიში და საიქიო ცხოვრების მოლოდინი რომ არ ჰქონოდა. აბსოლუტურად ჭეშმარიტია, რომ უნდა გწამდეს ღმერთის არსებობა, რადგან ამას გვასწავლის წმინდა წერილები, და პირუკუ: საჭიროა გწამდეს წმინდა წერილებისა, რადგან ისინი ღმერთიდან მოდიან; ეს იმიტომ, რომ რწმენა ღვთიური ნიჭია და ის, ვინც გვწყალობს, რათა გვწამდეს სხვა არსებულნი, ასევე გვიბოძებს უნარს რათა ვირწმუნოთ მისი – ღმერთის – არსებობა. ამ ჭეშმარიტებას ვერ შეთავაზებთ ურწმუნოებს, რადგან ისინი ჩათვლიდნენ, რომ ეს არის ლოგიკური წრე, რომელშიც ძევს შეცდომა.

მე გავითვალისწინე არა მხოლოდ ის, რომ თქვენ სხვა თეოლოგებთან ერთად ამტკიცებთ შემდეგს: ღმერთის არსებობა შეიძლება დადასტურდეს ბუნებრივი გონებითაც და როგორც ეს აშკარაა, წმინდა წერილითაც, არამედ ისიც, რომ ღმერთის შეცნობა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ცოდნა მრავალი შექმნილი საგნისა. არსებითად, ღმერთის ცოდნა იმდენად იოლად მიიღება, რომ მათ, ვისაც იგი არ გააჩნია, თავად მიუძღვით ბრალი. ეს ნათლად ჩანს „სიბრძნის წიგნის" შემდეგი სიტყვებიდან, თ. 13: *„და მაინც არც ესენი არიან ღირსი შენდობისა; რადგან თუ იმის ძალა შესწევდათ, რომ ამოეცნოთ ეს სამყარო, რატომ უმალვე ვერ იპოვეს მისი შეუფე"*; ასევე, რომაელთა მიმართ, თავი I, ნათქვამია: ასეთები *უმართლონი არიან;* და იქვე: *„ვინაიდან, რაც შეიძლება იცოდე ღმერთზე, ცხადია მათთვის"*. ეს სიტყვები გვამცნობს, რომ ის, რისი

ცოდნაც ხელგვეწიფება ღმერთის შესახებ, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ საფუძვლებით, ჩვენივე გონებიდან რომ მომდინარეობენ. ამიტომ ვიფიქრე, ეგებ მეც გამომეკვლია – როგორ ხდება ეს და რა გზით შეგვიძლია ღმერთის შეცნობა უფრო იოლად და უტყუარად, ვიდრე ამქვეყნიური საგნებისა. რაც შეეხება სულს */l' âme/*, ბევრს მიაჩნია, რომ ერთობ ძნელია მისი ბუნების შეცნობა, ხოლო ზოგიერთები შემდეგის თქმასაც ბედავენ: ადამიანის გონებისეული საფუძვლები გვარწმუნებს, რომ სხეულთან ერთად სულიც კვდება; მხოლოდ რწმენა ადასტურებს საპირისპიროს. ლეონ X-ის[21] დროს გამართული ლატრანის[22] საეკლესიო კრების მერვე სესიაზე დაგმეს ეს მოსაზრებები და გარკვევით მიუთითეს ქრისტიან ფილოსოფოსებს გაექარწყლებინათ ასეთი მსჯელობის არგუმენტები და მიელი მოწადინებით წარმოეჩინათ ჭეშმარიტება; მეც უყოყმანოდ შევუდექი ამ საკითხის განხილვას. ისიც ვიცი, რომ ურწმუნოთა უმრავლესობა მხოლოდ იმიტომ უარყოფს ღმერთის არსებობას და იმას, რომ ადამიანის სული */l'esprit/* განსხვა-

---

[21] **ლეონ X** – ეან დე მედიჩი /1475 -1521/; 1513 -1521 რომის პაპი; ანტიკური შედევრების თაყვანისმცემელი, ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების დიდი ქომაგი. ლეონ X-ს ბრძანებით (ე. წ. პაპის ბულა) დასაჯეს ლუთერი.

[22] **ლატრანი** – სასახლე და ტაძარი რომში; ათი საუკუნის განმავლობაში რომის პაპთა რეზიდენცია; სასახლის ახლოს მდებარე წმ. ეან დე ლატრანის ტაძარში /რომის ხუთი ბაზილიკიდან ერთ-ერთ უძველესში, რომელიც ათი 324 წელს იმპერატორ კონსტანტინეს დროს/ XII – XVI საუკუნეებში შედგა ხუთი საეკლესიო კრება, რომელიც ისტორიაში შევიდა ლატრანის საეკლესიო კრებების სახელით. დეკარტი გულისხმობს მეხუთე საეკლესიო კრებას, რომელიც შედგა 1517 წელს პაპ ლეონ X-ის დროს.

ვდება სხეულისაგან, რადგან, მათი აზრით, აქამდე ვერავინ შეძლო ამ ორი საკითხის დამტკიცება; ცხადია, მე არანაირად არ ვიზიარებ მათს მოსაზრებას, პირიქით, ვფიქრობ: ამ საკითხთა თაობაზე გამოჩენილი ადამიანების მიერ გადმოცემულ მოსაზრებებს საკმაო დასაბუთების ძალა აქვთ, თუ მათ კარგად გაიგებთ; დარწმუნებული ვარ ძნელად თუ მოიძებნება მათ დასკვნებში ისეთები, სხვებს რომ არ ჰქონდეთ აღმოჩენილი, მაინც ვიმედოვნებ, რომ იმაზე სასარგებლოს ვერაფერს გააკეთებენ ფილოსოფოსები, ვიდრე საგულდაგულოდ გამოარჩიონ ყველა მოსაზრებას შორის საუკეთესოები და ისეთი სიზუსტითა და გამჭვირვალობით ჩამოაყალიბონ, რომ ამიერიდან ყველამ აღიაროს მათი დასაბუთებულობა.

დაბოლოს, რამდენიმე პიროვნების დაჟინებული თხოვნით, რომელთაც იცოდნენ, რომ შევიმუშავე განსაზღვრული მეთოდი მეცნიერებათათვის დამახასიათებელი ყოველგვარი სირთულის გადასაწყვეტად — მეთოდი, რომელიც, ცხადია, არ არის ახალი, რადგან არაფერია ჭეშმარიტებაზე ძველი — და, როგორც ეს მათთვის ცნობილია, ხშირად საკმაოდ ნაყოფიერად ვიყენებ სხვა შემთხვევებში, ჩემ მოვალეობად ჩავთვალე, რაღაც მეცადა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ამრიგად, ყველაფერი, რისი შესრულებაც შევძელი, მოცემულია ამ ტრაქტატში[23]. ეს არ ნიშნავს, რომ მასში თავი მოვუყარე ყველა მოსაზრებას, რომლებიც შეიძლება გამოდგეს ამ ჭეშმარიტებათა

[23] იგულისხმება დეკარტის ტრაქტატი „მსჯელობა მეთოდის შესახებ“ სამი დანართით — „დიოპტრია“, „მეტეორები“, „გეომეტრია“.

დასადასტურებლად. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიჩნევდი საჭიროდ, თუ ამ მოსაზრებებს შორის არც ერთი არ იქნებოდა ჭეშმარიტი. მე მხოლოდ გამოვიკვლიე ძირითადი და უპირველესი; ასე რომ, ვებედავ ისინი შემოგთავაზოთ, როგორც ძალზე უტყუარი და ცხადი დასაბუთებები. აქვე დავსძენდი, რომ ეს დასაბუთებები იმგვარი გახლავთ, არა მგონია ადამიანის გონებამ მოძებნოს რაიმე სხვა გზა, რომელიც მას შეაძლებინებდა უკეთესთა აღმოჩენას; საკითხის მნიშვნელობა და ღმერთის დიდება, რასაც ეხება აღნიშნული მსჯელობა, მართლაც, მაიძულებენ შედარებით თავისუფლად ვისაუბრო ჩემ საფუძვლებზე, ვიდრე ეს მჩვევია.

თუმცა, რაოდენ უეჭველად და ცხადადაც არ უნდა მეჩვენებოდეს ეს საფუძვლები, მაინც ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, რომ ყველას შესწევს უნარი მათი გაგებისა. როგორც გეომეტრიაში არქიმედეს[24], აპოლონიოსის[25], პაპეს[26] და სხვათა თხზულებების მრავალი დებულება ყველასაგან აღიარებულია, როგორც ნათელი და ეჭვშეუტანელი, რადგან მათში არაფერია ისეთი, რაც ცალკე აღებული ძალზე იოლად არ გაიგებოდეს, ან რაშიც დასკვნები ზუსტად არ შეესაბამებოდნენ წანამძღვრებს, მაგრამ იმის გამო, რომ ეს დასა-

[24] არქიმედე /287-212/ — ბერძენი მათემატიკოსი და ფიზიკოსი. იგი II პუნიკური ომის დროს /218-201/ სამი წლის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა რომაელებს, რომელთაც ალყაში ჰყავდათ მოქცეული მისი ქალაქი სირაკუზე. გადმოცემის თანახმად, არქიმედე დამანის მეშვეობით ხანძარს უჩენდა რომაელთა ხომალდებს. არქიმედე მოკლეს სირაკუზეს ალების დროს.

[25] აპოლონიოს პერგელი — ბერძენი მათემატიკოსი /დაახ. 262 -180/.

[26] პაპე ალექსანდრიელი — ბერძენი მათემატიკოსი /ძვ. წ. IV საუკუნის დასასრული/.

ბუთებები ცოტა გრძელია და მკითხველისაგან ითხოვენ მეტ ყურადღებას; ისინი ცოტა ვინმეს თუ ესმის; მეც ასევე მიმაჩნია, რომ საბუთები, რომლებსაც ვეფუძნები, უეჭველობითა და სიცხადით თუმცა ტოლია, ან იქნებ აღემატება კიდეც გეომეტრიულ დასაბუთებებს, მაინც ვშიშობ, ბევრი ვერ შეძლებს მათს სრულყოფილად გაგებას. ამ დაეჭვების საფუძველს მაძლევს შემდეგი: ჯერ ერთი, ჩემი მსჯელობებიც ცოტა გრძელია და დამოკიდებულია ერთიმეორეზე, მეორეც, და უმთავრესი, ისინი ითხოვენ ცრურწმენებისაგან აბსოლუტურად თავისუფალ გონებას, რომელსაც ადვილად შეეძლება თავის დაღწევა გრძნობათა გავლენისაგან. საერთოდ, სინამდვილეში იშვიათად არიან ისეთნი, რომლებსაც უფრო გამახვილებული აქვთ მეტაფიზიკური ჭვრეტის უნარი, ვიდრე გეომეტრიისა. გარდა ამისა არის ერთი სხვაობაც: ყველა დარწმუნებულია, რომ გეომეტრიაში არც ერთი დასკვნა არ კეთდება დასაბუთების გარეშე; ამიტომ უმეცარნი, თავისმოსაჩვენებლად – თითქოს კარგად ესმით ყველაფერი, ბევრად უფრო ხშირად სცოდავენ მცდარი დასაბუთებების მოწონებით და ჭეშმარიტთა უარყოფით; ფილოსოფიაში სხვანაირადაა – აქ მიაჩნიათ, რომ ყველაფერზე შეიძლება მსჯელობა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი აზრის გამოსათქმელად, ცოტა ვინმე თუ ეძებს ჭეშმარიტებას, ბევრად უფრო სჭარბობენ ისეთები ძალზე ჭკვიანი კაცის სახელის მოიხვეჭა რომ სურთ და კამათობენ ყველაფერზე, სადავოდ ხდიან იმასაც, რაც აღიარებული მყარი ჭეშმარიტებაა.

სწორედ ამიტომ, რაოდენ დასაბუთებულიც არ უნდა იყოს ჩემი მოსაზრებები, რაკი ისინი მაინც

ფილოსოფიიდან ამოდიან, იმედი არ მაქვს მათი მეშვეობით რაიმეს ისეთს გავაკეთებ, გარჯად რომ ღირდეს, თუ თქვენი მხარდაჭერით არ შემიწყობთ ხელს. იმდენად ულრმესია ყველას პატივისცემა თქვენი ფაკულტეტისადმი, იმდენად ავტორიტეტულია სორბონის სახელი, რომ წმინდა კრებების შემდეგ არც ერთ საზოგადოებას არ ენდობიან თქვენზე მეტად; მიაჩნიათ, რომ არა მხოლოდ რწმენის, არამედ ადამიანის ფილოსოფიის საკითხების შესწავლისას არსად იჩენენ უფრო მეტ გამჭრიახობასა და საფუძვლიანობას, სიფრთხილესა და სიბრძნეს დასკვნების გამოტანისას, ვიდრე თქვენთან. ამიტომ მჯერა, თუ ინებებთ გამოიჩინოთ სულგრძელობა და, პირველ ყოვლისა, შეასწოროთ ეს თხზულება, რადგან მხოლოდ ის კი არ მავიწყდება რომ ადამიანი ვარ, არამედ, განსაკუთრებით, ისიც, რომ უმეცარი გახლავართ და ამიტომაც არ ვამტკიცებ, რომ ამ თხზულებაში შეცდომა არ იქნება. შემდეგ, რაც შეცდომაა ან არასაკმარისად დასრულებულია და ითხოვს დამატებით განმარტებას, ან თავად თქვენ შეავსოთ, დახვეწოთ და განმარტოთ, ან მე თვითონ იმის გათვალისწინებით, რასაც მაცნობებთ ჩემი თხზულების თაობაზე. და საბოლოოდ, როდესაც მასში მოცემული საფუძვლები – ღმერთის არსებობას და სხეულისაგან სულის სხვაობას რომ ადასტურებს – მიყვანილი იქნება ისეთ სიცხადემდე, რომ სრული ეჭვშეუვალობით იქნება მიჩნეული უზუსტეს დასაბუთებებად, თქვენ ინებებთ მათ აღიარებას და დადასტურებას საჯაროდ; თუ ეს მოხდა, დარწმუნებული ვარ, ყველა შეცდომა, რაც კი ოდესმე ახლდა ამ საკითხთა განხილვას, მყისვე ამოიძირკვება ადამიანთა გონე-

ბიდან /l'esprit/. ჭეშმარიტება ადვილად დაითანხმებს გონიერ და სწავლულ ადამიანებს, აღიარონ თქვენი განაჩენი; თქვენი ავტორიტეტი ათეისტებს, ჩვეულებრივ უფრო თავდაჯერებულნი რომ არიან, ვიდრე მცოდნენი და ჭკვიანნი, აიძულებს განთავისუფლდნენ წინააღმდეგობრივი სულისკვეთებისაგან; ასევე, შესაძლოა, იმის შიში, რომ არ გამჟღავნდეს მათი უვიცობა, თავადვე აიძულებს დაიცვან ეს საფუძვლები, რაკი ისინი ყველა გონიერის მიერ აღიარებული იქნება დასაბუთებად; დასასრულ, დანარჩენები ადვილად ირწმუნებენ ამდენ დამამტკიცებელ საბუთს და ქვეყნად აღარავინ დარჩება ისეთი, ვინც გაბედავს ეჭვქვეშ დააყენოს ან ღმერთის არსებობა, ან რეალური სხვაობა ადამიანის სულსა /l'âme/ და სხეულს შორის.

თუ როგორი სასარგებლო იქნება ეს, თქვენივე განსაკუთრებული სიბრძნის შესაბამისად განსაჯეთ თავად, ვისაც შეგიძლიათ ყველაზე უკეთ ამის შეფასება; არამართებული იქნებოდა უფრო მეტი რჩევა-დარიგება მომეცა აქ თქვენთვის, ვინც, ღმერთისა და რელიგიის გაგების გზაზე, მუდამ კათოლიკური ეკლესიის მთავარი საყრდენი იყავით.

რენე დეკარტი

შესავალი
მკითხველისადმი

ღმერთისა და ადამიანის სულის საკითხები მოკლედ განვიხილე ფრანგულად დაწერილ ტრაქტატში – „მსჯელობა მეთოდის შესახებ გონების კარგად წარსამართად და მეცნიერებებში ჭეშმარიტების საძიებლად", რომელიც გამოქვეყნდა 1637 წელს; მაგრამ არ მქონია მიზნად აქ ამ საკითხების საფუძვლიანად განხილვა, მსურდა მხოლოდ გაკვრით შეცხებოდი მათ, რათა მკითხველთა მსჯავრი მომესმინა და ამის შესაბამისად წარმემართა მსჯელობა შემდგომში. ეს საკითხები მნიშვნელოვნად მიმაჩნდა და საჭიროდ ვთვლიდი არაერთხელ მიებრუნებოდი მათ. გზა, რომელსაც მათ ასახსნელად მივყვები, იმდენად გაუკვალავი და აცდენილია ჩვეული საკალისაგან, რომ სასარგებლოდ არ ჩავთვალე მისი უფრო ვრცლად ახსნა ფრანგულ ენაზე თხზულებაში; არ მინდოდა განურჩევლად ყველას წაეკითხა იგი, ვშიშობდი – ვაითუ გონებასუსტებსაც დაეჯერებინათ, თითქოს მათთვისაც ხელმისაწვდომი იყო აღნიშნულ გზაზე სვლა.

ხსენებულ მსჯელობაში, მე ვთხოვე ყველას, ვინც კი ჩემს თხზულებებში აღმოაჩენდა რაიმე ღირებულს განსასჯელად, გამოეჩინათ გულისხმიერება და ეცნობებინათ ჩემთვის. მაგრამ არავითარი არსებითი საკამათო მოსაზრება ჩემთვის არავის წარმოუდგენია; გამონაკლისი იყო ორი შენიშვნა,

— უშუალოდ ზემოთ დასახელებული ორი საკითხის თაობაზე, რაზეც აქ გიპასუხებთ მოკლედ, ვიდრე უფრო საგულდაგულოდ შევუდგებოდე მათ განხილვას.

პირველი: როდესაც ადამიანი ფიქრობს საკუთარ თავზე, შეიცნობს, რომ თავად სხვა არაფერია, თუ არა მოაზროვნე რამ, აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ მისი ბუნება ანუ *არსება* /l'essence/ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ იგი მოაზროვნე რამაა; ამ შემთხვევაში სიტყვა *მხოლოდ* უნდა გამორიცხავდეს ყოველივე დანარჩენს, რაც შეიძლება მიჩნეულიყო ასევე სულის ბუნების კუთვნილებად. ამ საპირისპირო მოსაზრების პასუხად მოგახსენებთ: ამ შემთხვევაში ჩემი სურვილი არ ყოფილა ყველა ამ დანარჩენის გამორიცხვა, რადგან მხედველობაში მქონდა არა საგანთა ჭეშმარიტი მდგომარეობა (რაზედაც, ცხადია, მე არ ვმსჯელობდი მაშინ), არამედ მხოლოდ ჩემი საკუთარი პერცეფციის მდგომარეობა; ამით იმის თქმა მსურდა, რომ აბსოლუტურად არ ვიცოდი სხვა რამ, რაც ეკუთვნოდა ჩემს არსებას, გარდა იმისა, რომ მე ვარ მოაზროვნე რამ, ე. ი. ისეთი რამ, რომელსაც აზროვნების უნარი აქვს. იქიდან, რომ მე არ ვიცი სხვა არაფერი, რაც ეკუთვნის ჩემს არსებას, ახლა დაგიმტკიცებთ როგორ გამომდინარეობს ის, რომ არ არსებობს რაიმე სხვა, რაც მართლაც მას ეკუთვნის.

მეორე: ჩემში ვატარებ ჩემზე უფრო სრულყოფილი არსების იდეას; აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ თავად ეს იდეა ჩემზე სრულყოფილია, და კიდევ უფრო ნაკლებად ის, რომ საგანი, რომელსაც ეს იდეა წარმოადგენს, არსებობს. ამის

პასუხად მოგახსენებთ: აქ სიტყვა იდეა ერთგვარად ორაზროვანია, რადგან იგი შეიძლება ვიხმაროთ როგორც მატერიალური, ისე ობიექტური მნიშვნელობით. პირველ შემთხვევაში იგი გონების ქმედებაა და ასეთ დროს არ შეიძლება იმის თქმა, რომ იდეა ჩემზე უფრო სრულყოფილია; თუ ობიექტური მნიშვნელობით ვიღებთ ამ სიტყვას იმ საგნის მიმართ, რომელიც წარმოშიდგება გონების ქმედებით, ეს საგანი, თუნდაც არ დავუშვათ მისი არსებობა გონების მიღმა, შესაძლოა, მაინც ჩემზე სრულყოფილი იყოს თავისი არსების /l'essence/ წყალობით. მაგრამ საკითხავია: მხოლოდ იქიდან, რომ ჩემში არის იდეა ჩემზე უფრო სრულყოფილი არსებისა, როგორ გამომდინარეობს ის, რომ ეს არსება, მართლაც, არსებობს; ეს ყოველივე ვრცლად იქნება ნაჩვენები ამ ტრაქტატში.

გარდა ამისა, მე ასევე გავეცანი ორ, საკმაოდ ვრცელ თხზულებას, რომლებიც ათეისტთა შეხედულებებიდან ნასესხები არგუმენტებით მეკამათებოდნენ ამ საკითხებთან დაკავშირებით არა იმდენად ჩემ საბუთებზე, რამდენადაც დასკვნებზე. მაგრამ ნასესხებ არგუმენტებს არ ძალუძთ რაიმე გავლენა მოახდინონ მათზე, ვინც გაიგებს ჩემს საბუთებს. გარდა ამისა, მრავალთა მსჯელობა იმდენად უმართებულო და უგუნურია, რომ უფრო მეტად ექვემდებარება თავდაპირველად აღიარებულ აზრებს, რაოდენ მცდარი და არამართებულიც არ უნდა იყოს გონებისათვის, ვიდრე იმავე აზრების ჭეშმარიტ და დასაბუთებულ უარყოფას, რასაც ისინი შემდეგ ისმენენ; ამიტომ ვერიდები მათზე პასუხის გაცემას, რათა ჯერ მათი გადმოცემა არ მომიხდეს. ვიტყვი ზოგადად, რომ ყველაფერი,

რასაც ათეისტები ღმერთის არსებობის უარსაყოფად ამბობენ, ყოველთვის დამოკიდებულია იმაზე, რომ ისინი მცდარად აწერენ ღმერთს ადამიანურ ვნებებს, ან იმაზე, რომ ჩვენს გონებას წარმოიდგენენ დიდი ძალისა და სიბრძნის მქონედ, რის გამოც ცდილობენ დაადგინონ და გაიგონ — რა შეუძლია და რა უნდა მოიმოქმედოს ღმერთმა. არადა მხოლოდ ისიც კმარა გვახსოვდეს, რომ ჩვენი გონება სასრულია, ღმერთი კი მიუღწეველი და უსასრულო. ასე მათი მოსაზრებები აღარ შეგვიქმნის არავითარ სირთულეს.

ახლა, რაც გარკვეული გამოცდილება მივიღე ადამიანთა მსჯელობებზე დაკვირვებით, ხელახლა შევუდგები აქ იმავე საკითხების — ღმერთისა და ადამიანის სულის /*l'esprit*/ განხილვას; ასევე, ვიმსჯელებ მთელი პირველი ფილოსოფიის საფუძვლებზე; თუმც ბრბოსაგან არავითარ მოწონებას არ ველი, არც მკითხველთა სიჭარბის იმედი მაქვს. მეტსაც დავსძენ: მხოლოდ მათ და სხვას არავის ვურჩევ ამ წიგნის წაკითხვას, ვინც ჩემთან ერთად მოისურვებდა სერიოზულად მედიტაციას, ვინც საკუთარ გონებას გაანთავისუფლებდა როგორც გრძნობების, ისე ყოველგვარი ცრურწმენისაგან; კარგად ვიცი, რომ ასეთები ძალზე ცოტანი იქნებიან. რაც შეეხება იმათ, ვინც იმაზე კი არ იზრუნებს, რომ გაიგოს ჩემი საფუძვლების თანმიმდევრობა და ურთიერთკავშირი, არამედ მრავალთა მსგავსად თითოეული, ცალკე აღებული მისი ნაწილის განქიქებას მოჰყვება, ამ ტრაქტატის წაკითხვით დიდ სარგებელს ვერ მიიღებს; თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთ ადგილას კიდეც წააწყდეს საბაბს წვრილმანებზე გამოსაკიდებლად, მაგრამ ძნელად

თუ შეძლებს რაიმე სერიოზული, ან პასუხის ღირსი საპირისპირო მოსაზრების გამოთქმას.

ვერც სხვებს მივცემ იმის პირობას, რომ ჩემი პასუხით მყისვე დავაკმაყოფილებ მათ; არც ისე დიდი წარმოდგენისა ვარ საკუთარ თავზე, რომ შემეძლოს წინასწარ ყოველივე იმის გათვალისწინება, რაც ვინმეს რთულად მოეჩვენება; ცხადია, პირველ ყოვლისა „მედიტაციებში" ჩამოვაყალიბებ იმ აზრებს, რომლებითაც მივაღწევ ჭეშმარიტების უტყუარ და ცხად ცოდნას, და დავრწმუნდები — შემიძლია თუ არა იმავე საბუთებით სხვების დარწმუნებაც. ამის შემდეგ ვუპასუხებ იმ საპირისპირო მოსაზრებებს, რომლებიც გამოთქვა გონიერებითა და განსწავლულობით გამორჩეულმა რამდენიმე პიროვნებამ, რომელთაც ჩემი „მედიტაციები" განსახილველად გაეგზავნათ მანამდე, ვიდრე გამომცემლობას გადაეცემოდა გამოსაქვეყნებლად. მათი აღნიშნული მოსაზრებები, მართლაც, იმდენად ბევრია და მრავალფეროვანი, რომ მგონი სხვებს გაუძნელდებათ მოძებნონ რაიმე უფრო მნიშვნელოვანი, რასაც დასახელებული სწავლულნი არ შეეხნენ. სწორედ ამიტომ დაბეჯითებით ვთხოვ მკითხველებს, მხოლოდ მას შემდეგ განსაჯონ „მედიტაციები", როცა ინებებენ ბოლომდე წაიკითხონ ყველა ეს საპირისპირო მოსაზრება და ჩემი პასუხები მათზე.

ექვსი მედიტაციის მოკლე შინაარსი

პირველ მედიტაციაში წარმოდგენილია საფუძვლები, რომლებმაც, შესაძლოა, ეჭვი აღგვიძრას ყველა, განსაკუთრებით მატერიალური საგნების მიმართ; ყოველ შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც მეცნიერებებს არა აქვთ სხვა საფუძვლები იმათ გარდა, რაც აქამდე გაგვაჩნდა. თუმც, ერთი შეხედვით, არ ჩანს ესოდენ განვრცობილი ეჭვიანობის სარგებელი, მაინც ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გვათავისუფლებს ყველა ცრურწმენისაგან და გვიკვალავს ძალზე იოლ გზას გრძნობათაგან გონის გასანთავისუფლებლად; ყოველივე ამით შეუძლებელს ხდის ეჭვი აღგვეძრას შემდეგში მიკვლეული საგნის ჭეშმარიტების მიმართ.

მეორე მედიტაციაში გონი /*l'esprit*/ – სარგებლობს რა მისთვის დამახასიათებელი თავისუფლებით – თვლის, რომ ყველაფერი, რისი არსებობაც შეიძლება თუნდაც მცირედ ეჭვქვეშ დადგეს, არ არსებობს, მაგრამ უშვებს, რომ ამ დროს შეუძლებელია თავად იგი არ არსებობდეს. ესეც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ გზით გონი იოლად განასხვავებს იმას, რაც მას, ე. ი. მოაზროვნე ბუნებას ეკუთვნის, იმისაგან რაც სხეულის კუთვნილებაა.

მაგრამ შესაძლოა, ზოგი სწორედ აქ ელოდა

მოსაზრებებს სულის /l'âme/ უკვდავების თაობაზე; ამდენად საჭიროდ მიმაჩნია, ისინი გავაფრთხილო: ვეცადე, აქ არაფერი დამეწერა ისეთი, რასაც ზუსტად არ დავამტკიცებდი და სწორედ ამიტომ ავირჩიე ის წესი, რომლითაც სარგებლობენ გეომეტრიის სპეციალისტები. ეს უკანასკნელნი თავადვე იწყებენ ხოლმე ყველა იმ წანამძღვრის ჩამოყალიბებას, რომლებზეც დამოკიდებულია საძიებელი დებულება და ასე გამოაქვთ რაიმე დასკვნა მის შესახებ. თუმცა პირველი უმთავრესი წინაპირობა სულის უკვდავების დასადასტურებლად არის ის, რომ მის შესახებ შეიქმნას ცნება – შეძლებისდაგვარად ნათელი და გარკვეული და სავსებით განსხვავებული სხეულის ყოველგვარი ცნებისაგან; სწორედ ეს შევასრულეთ ამ მედიტაციაში. ამას გარდა, საჭიროა შემდეგის ცოდნაც: ყველაფერი, რასაც ნათლად და გარკვევით შევიცნობთ, ჭეშმარიტია იმიტომ, რომ ჩვენ მათ შევიცნობთ; ეს არ შეიძლებოდა დამტკიცებულიყო მეოთხე მედიტაციამდე. ასევე, საჭიროა ნათელი ცნება სხეულებრივი ბუნებისა, რაც, ნაწილობრივ, თავად მეორე მედიტაციაშია მოცემული, ნაწილობრივ კი მეხუთესა და მეექვსე მედიტაციებში. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ყველა საგანი, რომელთაც შევიცნობთ ნათლად და გარკვევით როგორც განსხვავებულ სუბსტანციებს – ისე როგორც შევიცნობთ გონს და სხეულს – მართლაც, ისეთი სუბსტანციებია, რომლებიც რეალურად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან; ასეთი დასკვნა მოცემულია მეექვსე მედიტაციაში. აქვე ეს დადასტურებულია იმითაც, რომ ნებისმიერი სხეული ჩვენ მიერ მოიაზრება როგორც გაყოფადი, მაგრამ გონი, პირიქით – როგორც განუყოფადი;

მართლაც, ჩვენ არ შეგვიძლია როდესმე წარმოვიდგინოთ გონის ნახევარი ისევე, როგორც ეს ნებისმიერი უმცირესი სხეულის /le corps/ მიმართ ხდება; ასე რომ, თავიანთი ბუნებით ისინი არა მხოლოდ ურთიერთგანსხვავებულნი, არამედ ერთმანეთის საპირისპირონიც კი არიან. ჩემს თხზულებაში ეს საკითხი უფრო მეტად აღარ გამიშუქებია, რადგან ნათქვამი საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ სხეულის მოკვდაობიდან არ გამომდინარეობს სულის კვდომა; ამგვარი დასკვნით ვაძლევ მომავალი ცხოვრების იმედს მოკვდავებს. წანამძღვრები, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ სულის უკვდავება, დამოკიდებულია მთელი ფიზიკის ახსნაზე: უპირველესად უნდა ვიცოდეთ, რომ აბსოლუტურად ყველა სუბსტანცია, ე. ი. არსებანი – არსებობენ, რადგან ღმერთის მიერ არიან შექმნილნი და თავიანთი ბუნებით უხრწნადობით ხასიათდებიან; ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყვეტენ არსებობას, თუ თავად ღმერთი, თავის შემწეობაზე მათ უარს ეტყვის და აქცევს არარად. და შემდეგ – უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ სხეული /le corps/, ზოგადად, ეჭვგარეშეა, არის სუბსტანცია და სწორედ ამიტომ არასოდეს იღუპება, მაგრამ ადამიანის სხეული განსხვავებულია – ორგანოთა განსაზღვრული აგებულების მქონეა და შედგება სხვა მსგავს აქციდენციათაგან, მაშინ როდესაც ადამიანის გონი /l'esprit/ წმინდა სუბსტანციაა – მოკლებული რაიმე აქციდენციას. მართალია, გონში ხდება სხეულის აქციდენციების ცვლა, მაგალითად, იგი მოიაზრებს სხვა საგნებს, სურს სხვები (საგნები), გრძნობს სხვას და ა. შ. მაინც თავად გონი არ ხდება სხვაგვარი; ადამიანის სხეული კი

გადასხვაგვარდება თუნდაც მხოლოდ მისი რომელიმე ნაკვთის ფორმის შეცვლით. აქედან ცხადად გამომდინარეობს ის, რომ სხეული ადვილად კედომადია, მაგრამ გონი თავისი ბუნებით უკვდავია.

მესამე მედიტაციაში, მგონი, საკმაოდ ვრცლად ავხსენი ჩემი უმთავრესი არგუმენტი, რომელიც ღმერთის არსებობის დამასაბუთებელია. მაგრამ რაკი არ მოვისურვე, გამომეყენებინა რაიმე შედარება, რომელიც გამოტანილი იქნებოდა სხეულებრივი სუბსტანციებიდან, რათა შეძლებისდაგვარად გამეთავისუფლებინა მკითხველთა გონება გრძნობათა დახმარებისაგან, შესაძლოა, დამრჩა ბევრი ბუნდოვანი ადგილი; ეიმედოვნებ, ისინი სრულიად ნათელი გახდებიან შემდეგში იმ პასუხებით, რომლებიც გავეცი საპირისპირო მოსაზრებებზე. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, საკითხი: როგორ ხდება, რომ ზესრულყოფილი არსების იდეა, რომელიც ჩვენშია, ხასიათდება ისეთი ობიექტური რეალობით, რომ უნდა მომდინარეობდეს მხოლოდ ზესრულყოფილი მიზეზიდან; ეს მე ავხსენი მაგალითით ძალზე სრულყოფილი მანქანისა, რომლის იდეაც არის რომელიმე ხელოსნის გონებაში; ისე როგორც ამ იდეის ობიექტურ განხორციელებასაც უნდა ჰქონდეს რაიმე მიზეზი, კერძოდ, ცოდნაში ან ოსტატისა ან იმისა, ვისგანაც მიიღო მან ეს იდეა; ზუსტად ასევე, შეუძლებელია, რომ ჩვენში არსებული ღმერთის იდეას თავის მიზეზად არ ჰქონდეს თავად ღმერთი.

მეოთხე მედიტაციაში დასაბუთებულია, რომ ყველაფერი, რასაც ნათლად და გარკვევით შევიცნობთ, ჭეშმარიტია; იქვე ახსნილია მცდარობის საფუძველი, რისი ცოდნაც აუცილებელია იმის

დასადასტურებლად, რაც მანამდეა ახსნილი; ასევე, ყოველივე იმ ჭეშმარიტებათა გასაგებად, რაც მათ მოჰყვება. თუმცა, უნდა შევნიშნო, რომ აქვე სრულიად არ ვემსჯელობ ცოდვის შესახებ, ე. ი. შეცდომაზე, რომელსაც ვუშვებდი სიკეთისა და ბოროტების ძიებისას, ყურადღებას ვამახვილებ მხოლოდ იმ შეცდომაზე, რომელსაც ვაწყდებით ჭეშმარიტისა და მცდარის გამოსაცნობ მსჯელობაში; არც ის მაქვს მხედველობაში, რაც სარწმუნოებას, ან ცხოვრებისეულ ქცევას ეხება, მხოლოდ გონებაჭვრეტითი ჭეშმარიტებების შესახებ და ბუნებრივი სინათლით შესაძეცნებელი მოვლენებისადმი ვიჩენ ინტერესს.

მეხუთე მედიტაციაში ახსნილია სხეულებრივი ბუნება ზოგადად და ღმერთის არსებობა დასაბუთებულია ახალი არგუმენტებით, რომელთა მიმართ, ამჯერად, შეიძლება თავი იჩინოს გარკვეულმა სიძნელეებმა; ისინი გადაჭრილი იქნება შემდეგში, საპირისპირო მოსაზრებებზე მოცემულ პასუხებში. დაბოლოს, ნაჩვენებია, თვით გეომეტრიულ დასაბუთებათა ჭეშმარიტებაც როგორაა დამოკიდებული ღმერთის შემეცნებაზე.

ბოლო, მეექვსე მედიტაციაში ნაჩვენებია სხვაობა გონებასა /*l'intellection*/ და წარმოდგენას შორის; აღწერილია განმასხვავებელი ნიშნები; დადასტურებულია, რომ ადამიანის გონი რეალურად განსხვავდება სხეულისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი იმდენად უმჭიდროესადაა დაკავშირებული სხეულთან, რომ მასთან ერთად ქმნის მთლიან „ერთს“; ჩამოთვლილია ყველა ის შეცდომა, რომლებიც, ჩვეულებრივ, გრძნობებიდან მომდინარეობს; ნაჩვენებია საშუალებები, რომლე-

ბიც შესაძლებლობას გვაძლევს, ავირიდოთ ისინი; ბოლოს, წარმოდგენილია, ყველა საფუძველი, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება დავასკვნათ მატერიალურ საგანთა არსებობა. აღნიშნული საფუძვლები მე ძალზე სასარგებლოდ მიმაჩნია არა იმის დასამტკიცებლად, რასაც ისინი ამტკიცებენ, კერძოდ, რომ, მართლაც, არსებობს სამყარო, რომ ადამიანებს აქვთ სხეული და სხვა მისთანანი, რაც არასოდეს სერიოზულად ეჭვქვეშ არ დაუყენებია არც ერთ სალად მოაზროვნე ადამიანს, არამედ მხოლოდ შემდეგი მიზნით: როდესაც ამ საფუძვლებს ახლოდან განვიხილავ, ვხვდები, რომ ისინი არც ისე მყარი და უეჭველნი არიან, როგორც ის საფუძვლები, რომელთაც მივყავართ ჩვენი გონისა /l'esprit/ და ღმერთის შეცნობისაკენ; სწორედ ეს საბუთებია ყველაზე უტყუარი და ცხადი იმათაგან, რომელთა წვდომაც ძალუძს ადამიანის გონებას /l'intelligence/. ეს არის ყველაფერი, რისი დადასტურებაც განვიზრახე ამ მედიტაციებში; სწორედ ამიტომ აქ არ ვეხები მრავალ სხვა საკითხსაც, რომლებიც, გზადაგზა, ასევე განვიხილე.

მედიტაციები პირველი ფილოსოფიისა, რომლებშიც
დადასტურებულია ღმერთის
არსებობა და სხვაობა ადამიანის სულსა
/l'âme/ და სხეულს შორის

მედიტაცია პირველი
საგნები, რომელთაც შესაძლოა
დაგვაეჭვონ

ეს რამდენიმე წელია შევნიშნე, რომ სიყრმიდან ჭეშმარიტად მიჩნეული ძალზე ბევრი რამ მცდარი გამოდგა და ისიც, რაც შემდგომ მათ საფუძველზე ავაგე, ერთობ საეჭვოა; ასე რომ, საჭირო იყო ჩემ სიცოცხლეშივე ერთხელ ყველაფერი ძირფესვიანად დამენგრია, თავიდან – საფუძვლებიდან – დამეწყო ყოველივე და მეცნიერებაში საბოლოოდ დამედგინა უდავო და ყამთასვლის გამძლე რამ. მაგრამ ეს ამოცანა მაშინ ძალზე რთული და განუხორციელებელი მეჩვენა; ამის გამო ველოდი მოწიფულობის გარკვეულ ასაკს, რომელიც, მომდევნო წლებთან შედარებით, ყველაზე ნაყოფიერი იქნებოდა საჭირო ცოდნის შესაძენად. ასე ხანგრძლივი ყოყმანით ველოდი ხელსაყრელ დროს, ამიერიდან კი შეცდომა იქნებოდა სამოღვაწეოდ დარჩენილ დროს კვლავ ფიქრს თუ მოვანდომებდი. და აი, ეს დროც დადგა; ყოველგვარი საზრუნავისაგან თავისუფალი გონებით, ყოფით საქმეთაგან მოცლილი და მშვიდი, მე განვმარტოვდი, რათა ბოლოს და ბოლოს დინჯად და ძალდაუტანებლად, საერთოდ უარმეყო ჩემი შეხედულებები.

ამ მიზნის მისაღწევად არ იყო საჭირო იმაში დარწმუნება, რომ ყველა ჩემ ნააზრევთაგანი მცდარია – ეს იქნებ ვერც ვერასოდეს შევძლო; მაგრამ რაკი გონება უკვე მკარნახობს, რომ საკამათო და სადავო საგნების სარწმუნოდ მიჩნევასაც ისევე საგულდაგულოდ უნდა ვუფრთხოდე, როგორც თვალნათლივ მცდარი საგნებისას, ამდენად, უკვე ეს აზრიც სრულიად საკმარისია, რათა უარვყო ყველაფერი, რასაც თითოეულ მათგანში საეჭვოდ მივიჩნევ. არ არის აუცილებელი, რომ ეჭვქვეშ დაყენებული თითოეული საგანი სათითაოდ განვიხილო; ეს უზომოდ დიდი გარჯა იქნებოდა. საკმარისია საფუძველის შერყევა, რომ მასზე აღმართულ მთელ ნაგებობასაც ძირი გამოეთხაროს და თავისთავად ჩამოინგრევს. ამიტომ მეც ამთავითვე შევუტევ ზუსტად იმ პრინციპებს, რომელთაც ეფუძნება ჩემი ყველა ადრინდელი რწმენა.

აქამდე ყველაზე ჭეშმარიტად და სარწმუნოდ მიმაჩნდა გრძნობები ან ის, რაც გრძნობათა გზით შევიცანი, მაგრამ ზოგჯერ მათ მცდარობაშიც დავრწმუნებულვარ; ამიტომ წინდახედულება გვმართებს, რათა სრულად არასოდეს ვენდოთ მას, ვინც თუნდაც ერთხელ მოგვატყუა.

თუმცა, შესაძლოა, გრძნობები გვატყუებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაცნობი საგნები ძნელად საგრძნობნი და ერთობ შორეულნი არიან; მიუხედავად ამისა, მაინც მრავლადაა ისეთები [საგნები], რომლებსაც გრძნობათა მეშვეობით ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ვიღებთ. მაგალითად, ის, რომ ამჟამად ვარ აქ, ვზივარ ცეცხლთან ახლოს, მაცვია საშინაო ტანსაცმელი, ხელთ მიჭირავს ეს ქაღალდი და სხვა მისთანანი.

რა საბაბით შეიძლება უარვყო უეჭველობა თავად ამ ხელებისა და მთელი ამ სხეულისა – ჩემი სხეულისა? ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავემსგავსებოდი იმ შეშლილებს, რომელთა ტვინიც შებურულია სქელი და შხამიანი ორთქლით, რის გამოც შეპყრობილნი არიან ავადმყოფური ჟინით: ღარიბ-ღატაკნი ჯიუტად ჩემულობენ მეფობას, ანდა მთლად შიშველ-ტიტველნი ირწმუნებიან – მდიდრული საშეფო სამოსი გვაცვიაო, ანდა ჰგონიათ, რომ თიხის თავი აქვთ, მათი სხეული დოქია, ან მთლად მინისაგან არიან შექმნილნი. არც არის საკვირველი – ისინი ხომ უგონონი არიან; მეც არანაკლებ შეურაცხადად წარმოვჩნდებოდი მათსავით რომ მემსჯელა და მათს მაგალითს ავყოლოდი.

კეთილი! მე ადამიანი ვარ, ჩვეულებრივ, ღამე რომ სძინავს და ძილში უყურებს ყოველივე იმას, ანდა ზოგჯერ უფრო დაუჯერებელ რამესაც, რასაც ეს შეშლილები ღვიძილის დროს ხედავენ! ღამით სიზმარში რამდენჯერ დამიჯერებია, რომ აქ ვარ, მაცვია სამოსი, ვზივარ ცეცხლთან ახლოს და სხვა მისთანანი, თუმცა კი გახდილი ვწოლილვარ ჩემს საწოლში! მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ამ ფურცელს დავყურებ ფხიზელი თვალით, ვამოძრავებ თავს, რომელიც არ თვლემს; სრულად ვაცნობიერებ, რომ ამ ხელს ვიწვდი და ვგრძნობ კიდეც მას; ძილში შეუძლებელია რაიმე ხდებოდეს ასე გარკვევით. ნუთუ?! არადა, ისიც კარგად მახსოვს, ამგვარ ფიქრებსაც რამდენჯერ მოვუტყუებივარ ძილში. როდესაც უფრო გულდასმით ვფიქრობ ამაზე, გაოცება მიპყრობს, რაოდენ ნათლად ვხედავ, რომ არ არსებობს ისეთი უდავო ნიშნები, რომელთა

მეშვეობითაც შესაძლებელია ღვიძილი განვასხვაოთ ძილისაგან და თვით ამ გაოცებითაც გონება თითქოს მარწმუნებს, რომ მე მძინავს.

მაშ ასე, დავუშვათ, გვძინავს და ყველა ეს კერძო ვითარება: ვახელთ თვალებს, ვამოძრავებთ თავს, ვიწვდით ხელებს, არ არის ჭეშმარიტი; იქნებ არც ისაა ჭეშმარიტი, რომ გვაქვს ეს ხელები და მთელი ეს სხეული. მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ის, რასაც ძილის დროს ვხედავთ, ჰგავს იმ ნახატ ფერად სურათს, რომელიც ასახავს მხოლოდ ჭეშმარიტ საგნებს. ასე რომ, ეს ზოგადი საგნები მაინც — თვალები, თავი, ხელები და მთელი დანარჩენი სხეული — არსებობენ და არა წარმოდგენაში, არამედ რეალურად. მართლაც, როდესაც მხატვრები ცდილობენ შექმნან არარსებული სირინოზებისა[27] და სატირების[28] სახეები, მათ არ ძალუძთ სურათზე ახალი ბუნებრივი თვისებებით წარმოგვიდგინონ ისინი და ქმნიან მხოლოდ ნაზავს სხვადასხვა ცხოველთა ნაწილებისა; ანდა, შესაძლოა, ისინი ქმნიან რაიმე ახალს, რომლის მსგავსიც საერთოდ არ გვხვდება, და ამგვარად, მათი ქმნილება აბსოლუტურად არარსებული და გამოგონილია; მაგრამ ის ფერები, რომლებითაც მხატვრებმა შექმნეს ეს სახეები, ხომ ჭეშმარიტია. ანალოგიურად, ეს ზოგადი საგნები — თვალები, თავი, ხელები და

[27] **სირინოზები** /სირენები/ — მითების თანახმად ულამაზესი ზღვის ქალწულები, ქალის თავითა და თევზის ტანით, რომლებიც უტკბესი სიმღერით იზიდავდნენ მეზღვაურებს და ღუპავდნენ მათ.

[28] **სატირები** — ტყის ღმერთები; სატირი ნახევრად თხა — ნახევრად ადამიანია; აქვს თხის კუდი, ფეხები, თხისმაგვარი ყურები, ორი პატარა რქა; სატირის ატრიბუტებია ღვინით სავსე ჭურჭელი, სალამური, ან რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტი.

სხვა მისთანანი, წარმოდგენითიც რომ იყოს, მაინც აუცილებლად უნდა ვაღიაროთ შემდეგი: არსებობს ბევრად უფრო მარტივი და

ზოგადი, ჭეშმარიტი საგნები, რომელთა შეერთებითაც ჭეშმარიტ ფერთა შეხამების მსგავსად, შეიქმნა ჩვენს გონებაში არსებული ყველა საგნის — ჭეშმარიტი იქნება ის, თუ მცდარი — ხატი. ჩანს, ამ სახისაა საერთოდ სხეულებრივი ბუნება და მისი განფენილობა; განფენილ საგანთა ფორმა, მათი წონა თუ მოცულობა, რაოდენობა; მათი მყოფობის ადგილი, არსებობის ხანგრძლივობა და ა.შ.

სწორედ ამიტომ არ შეეცდებით, თუ ამის საფუძველზე დავასკვნით: ფიზიკა, ასტრონომია, მედიცინა და ყველა სხვა მეცნიერება, რომლებიც რთულ საგანთა კვლევას ემსახურება, ძალზე საეჭვოა. მაგრამ არითმეტიკა, გეომეტრია და მათი მსგავსი სხვა მეცნიერებები, რომლებიც უმარტივეს და უზოგადეს საგნებს განიხილავენ და რომელთაც ნაკლებად აინტერესებთ არსებობს თუ არა მათი კვლევის ობიექტები ბუნებაში, შეიცავენ რაღაც უდავოსა და უეჭველს; მღვიძავს თუ მძინავს, ორს მიმატებული სამი მაინც ყოველთვის ხუთია, ოთხკუთხედს კი ოთხზე მეტი გვერდი არა აქვს. ჩანს, შეუძლებელია, ეჭვი აღგვეძრას, რომ ესოდენ ცხადი ჭეშმარიტებები მცდარია.

მაგრამ მაინც ჩემს გონებაში დიდიხანია აღბეჭდილია შემდეგი უტყუარი აზრი: არის ერთი, მხოლოდ ერთი ღმერთი, რომელსაც ყველაფერი ძალუძს და რომელმაც მე შემქმნა ისეთად, როგორიც ვარ. მაგრამ იქნებ მან ისე მოაწყო ყოველივე, რომ საერთოდ არავითარი მიწა, არავითარი ცა,

არავითარი განფენილი საგანი, არავითარი ფორმა, არავითარი სიდიდე, არავითარი ადგილი არ არსებობს და მაინც მეჩვენება, რომ ისინი არიან ზუსტად ისეთი, როგორადაც მე მათ აღვიქვამ. მეტიც, ჩემსავით ზოგჯერ სხვებიც ცდებიან იმ საგნების შეფასებაში, რომლებიც ჰგონიათ, რომ ყველაზე უკეთ იციან; მეც საიდან ვიცი, რომ ღმერთმა ყველაფერი არ მოაწყო ისე, რომ მეც ყოველთვის ვცდები, როდესაც ორს ვუმატებ სამს, ოთხკუთხედის გვერდებს ვთვლი, ან ვმსჯელობ რაიმე უფრო მარტივზე რისი წარმოდგენაც კი შესაძლებელია? იქნებ ღმერთს არ ნებავდა, რომ მე ასე ვცდებოდე – იგი ხომ უსაზღვრო სიკეთის მოქმედად არის აღიარებული. მაგრამ თუ ამ სიკეთის საპირისპიროდ მან შემქმნა ისეთად, რომელიც ნიადაგ ცდება, მაშინ უდავოდ თავად ამ სიკეთეს უნდა შეწინააღმდეგებოდა ისიც, რომ მე ვცდებოდე ზოგჯერ, ღმერთი ამას რომ უშვებს, შეუძლებელია დაეჭვდე.

ცხადია, იქნებიან ისეთებიც, რომლებიც ამჯობინებენ ერთადერთი, ყოვლისშემძლე ღმერთის უარყოფას, ვიდრე ყველა სხვა რამის მიჩნევას საეჭვოდ. ნუ შევეწინააღმდეგებით მათ და შევთანხმდეთ, რომ ყველაფერი, რაც აქ ითქვა ღმერთის შესახებ, ფიქციაა. მაგრამ მაინც როგორადაც არ უნდა დაუშვან მათ, რომ მე ვარსებობ – ბედისწერით თუ შემთხვევით, დაუსრულებელ ჯაჭვად საგნებისა თუ ნებისმიერი რომელიმე სხვა ფორმით, რაკი სიცრუე და ცდომილება არასრულყოფილების გამოვლინებაა, რაც ნაკლებ ძლევამოსილი იქნება შემოქმედი, რომელსაც მიაწერენ ჩემს შექმნას, მით უფრო დასაშვები იქნება ჩემი არასრულფასოვნებაც, რის გამოც მუდამ უნდა ვცდებოდე.

მართლაც, არაფერი მაქვს ამ არგუმენტების პასუხად. და ბოლოს იძულებული ვარ, ვაღიარო, რომ ყოველივე იმაში, რაც ოდესღაც მიმაჩნდა ჭეშმარიტებად, შეუძლებელია, არ დაეჭვდე არა წინდაუხედაობისა /*irréflexion*/ ან არასერიოზულობის გამო, არამედ მყარ და მოფიქრებულ /*méditées*/ საფუძვლებზე დაყრდნობით. ამრიგად, თუ მე მსურს აღმოვაჩინო რაიმე უტყუარი, ამიერიდან გულდასმით უნდა შევეწინააღმდეგო საკუთარ თავს, როგორც იმ საგნების ნდობისას ჭეშმარიტად რომ მეჩვენება, ასევე იმ საგნებისაც, რომელთა მცდარობაც აშკარაა.

მაგრამ მხოლოდ ამგვარი შენიშვნები როდი კმარა. საჭიროა, მახსოვდეს ისინი, რადგან ნაცადი ძველი შეხედულებები ახალი ძალით კვლავ მიბრუნდება და ჩემი ნების უკითხავად იპყრობს ჩემს ნდობას. თითქოს ხანგრძლივმა და ჩვეულმა გამოყენებამ მათ უფლება მისცა დაემონებინა ჩემი გონება; მე კი, ალბათ, ვერც გადავეჩვევი მათზე დაფუძნებასა და ნდობას მანამდე, ვიდრე მათ მივიჩნევ ისეთებად, როგორებიც არიან სინამდვილეში, კერძოდ, ზოგჯერ საეჭვოებს, როგორც ეს ახლახან გიჩვენეთ, და მაინც იმდენად საალბათოებს, რომ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვენდოთ მათ, ვიდრე უარვყოთ ისინი. სწორედ ამიტომ ცუდი არ იქნება, თუ თავს მოვიტყუებ, საპირისპირო აზრს გავიზიარებ და რაღაც გარკვეული დროით დავუშვებ, რომ ყველა ეს შეხედულება მცდარი და გამოგონილია. ასე მოვიქცევი მანამდე, ვიდრე, საბოლოოდ, ორივე სახის – ძველ და ახალ – ვარაუდებს არ შევარყევ იმდენად, რომ მათ ვე-

ღარ შეძლონ ჩემი აზრის გადახრა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ამგვარად, მე გავათავისუფლებ ჩემს განსჯას იმ მავნე ჩვეულთა მორჩილებისაგან, რომლებიც გადააცდენენ ხოლმე მას სწორი გზიდან, ჭეშმარიტების შემეცნებამდე რომ ძალუძთ მისი მიყვანა. დარწმუნებული ვარ, ამ ხნის განმავლობაში ამას არ მოჰყვება არც საფრთხე, არც შეცდომა და იმაზე მეტ უნდობლობასაც აღარ გამოვიჩენ, ვიდრე საჭიროა, რადგან ამჟამად მე მხოლოდ შემეცნებისაკენ მოვუწოდებ საკუთარ თავს და არა მოქმედებისაკენ.

ამრიგად, ჭეშმარიტების პირველწყაროდ დავუშვებ არა ყოვლად კეთილ ღმერთს, არამედ რომელიმე ბოროტ გენიას, იმდენად ძლევამოსილსა და ცბიერს, რომ მან შეძლო თავისი ოსტატობით ჩემი მოტყუება. ჩავთვლი, რომ ცა, ჰაერი, მიწა, ფერები, ფორმები, ბგერები და დანარჩენი ყველა გარე არსებული მხოლოდ ზმანებისმიერი მისტიფიკაციაა, რომლებიც მან გამოიყენა ჩემთვის – მიმნდობი და იოლად დამყოლი პიროვნებისათვის – მახის დასაგებად. საკუთარ თავსაც ისე მივიჩნევ, რომ არც ხელები გამაჩნია, არც თვალები, არც ხორცი, არც სისხლი, არავითარი გრძნობა, მაგრამ ვცდები როცა ვიჯერებ, რომ ყოველივე ეს მაქვს. ასეთ მედიტაციას ჯიუტად მივეცემი და თუ მისი მეშვეობით ვერ შევძლებ რაიმე ჭეშმარიტების შემეცნებას, ერთადერთი, რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული და რასაც საგულდაგულოდ მოვერიდები ისაა, რომ არ ვირწმუნებ რაიმე მცდარს და არ დავუშვებ, რომ ამ მაცდურმა გენიამ, მისი ძლევამოსილებისა და ვერაგობის მიუხედავად, რაიმე შთამაგონოს.

მაგრამ ეს განზრახვა დიდ ძალისხმევას ითხოვს, მე კი ერთგვარი სიზარმაცე მეზიდება ცხოვრების ჩვეული დინებისაკენ. მე ტუსაღს ვგავარ, რომელსაც მხოლოდ ძილში შეუძლია დატკბეს წარმოდგენითი თავისუფლებით, შემდეგ კი, როცა მიხვდება, რომ სძინავს, ეშინია გაღვიძებისა და დუნედ მისდევს ამ სასიამოვნო ილუზიებს. ზუსტად ასევე მეც, ჩემდა უნებურად, ვუბრუნდები ძველ შეხედულებებს და მეშინია გაღვიძებისა, რათა სანეტარო თვლემის შემდეგ გარჯით სავსე ყოფამ ისე არ ჩაიაროს, სინათლის სუსტმა სხივმაც არ შეაღწიოს სირთულეთა იმ გამოუვალ წყვდიადში, რაზეც ახლახან იყო საუბარი.

მედიტაცია მეორე

ადამიანის გონის (L'ESPRIT) ბუნების შესახებ მისი შეცნობის უპირატესობა სხეულის ბუნების გაგებასთან შედარებით

გუშინდელმა მედიტაციამ ეჭვებით ისე აღმივსო გონება, რომ ამიერიდან მათი დავიწყება აღემატება ჩემს ძალას. იმასაც ვერ ვხედავ, როგორ შევძლებდი მათ გადაწყვეტას. ასე მგონია, მოულოდნელად ჩავვარდი ღრმა მორევში და, თავზარდაცემულს, არც ფსკერზე ფეხებით დაყრდნობა შემიძლია და არც ცურვით წყლის ზედაპირზე ამოსვლა. თავს ძალას დავატან და შევეცდები, კვლავ იმ გზით წავიდე, გუშინ რომ დავადექი; გავერიდები როგორც ძირისძირობამდე მცდარს, ისე ყველაფერს, რაც ჩემში თუნდაც იოტისოდენ დაეჭვებას გამოიწვევს. ამ გზას გავყვები მანამდე, ვიდრე არ შევიცნობ რაიმე უტყუარს ანდა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამის, როგორც უტყუარის, მიუღწევლობის გამო არ შევიტყობ, რომ ნამდვილად არაფერია უტყუარი ამქვეყნად.

არქიმედე, ადგილიდან დედამიწის სფეროს დასაძრავად მხოლოდ ერთ მყარ და უძრავ წერტილს ითხოვდა; ჩემი იმედიც ის არის, რომ აღმოვაჩინო თუნდაც უმცირესი ვითარება, რომელიც იქნება უეჭველი და უთუო.

ამრიგად, ვუშვებ, რომ ყველა საგანი, რომელსაც მე ვხედავ, მცდარია; ვარწმუნებ თავს, რომ არასოდეს არსებულა ის, რასაც ჩემი მაცდური მეხსიერება წარმომიდგენს, არ გამაჩნია არავითარი გრძნობა; სხეული, ფორმა, განფენილობა, მოძრაობა და ადგილი მოჩვენებებია. მაშ რალაა ჭეშმარიტად ნამდვილი? ალბათ, ერთადერთი: არაფერია ჭეშმარიტი!

მაგრამ საიდან ვიცი, იქნებ არსებობს ისეთი რამ – ჩემ მიერ ახლახან ჩამოთვლილ საგნებისაგან სრულიად განსხვავებული, რომლის ნამდვილობაში დაეჭვების უმცირესი საბაბიც არ იქნება?! ხომ არ არსებობს რაიმე, ან ვინმე – ღმერთი, ან მნიშვნელობა არა აქვს რას ვუწოდებ მას, რომელიც მინერგავს ამ აზრებს? არადა, რატომ არ შეიძლება თავად მე ვიყო აღნიშნული შეხედულებების ავტორი? თუ ეს ასეა, ხომ არ ვარ თავად მე რაიმე? მაგრამ მე ხომ უკვე ვაღიარე, რომ არავითარი გრძნობა, არავითარი სხეული არ გამაჩნია და მაინც ვყოყმანობ, რადგან რა გამომდინარეობს აქედან? ნუთუ იმდენად მიჯაჭვული ვარ სხეულსა და გრძნობებზე, რომ მათ გარეშე არ შემიძლია არსებობა? მაგრამ მე ხომ დავარწმუნე საკუთარი თავი, რომ ამქვეყნად საერთოდ არაფერი არ არის: არც ცა, არც მიწა, არც სული /l'esprit/, არც სხეული; იქნებ ისიც დავიჯერე, რომ მეც არა ვარ? სრულიადაც არა! მე ვარ, რადგან, ყოველ შემთხვევაში, რალაცაში დავარწმუნდი. მაგრამ ხომ არის, რალაც, ან ვილაც მაცდური, უძლიერესი და ვერაგი, რომელიც მთელ თავის ოსტატობას ყოველთვის იყენებს ჩემს მოსატყუებლად. თუ ეს ასეა, ეჭვგარეშეა, რომ მეც

ვარ, რაკი იგი მე მატყუებს; დაე, იმდენი მატყუოს, რამდენიც გაეხარდება, მაინც ვერასოდეს მოახერხებს, რომ მე არაფერი ვიყო, ვიდრე ვფიქრობ, რომ მე რალაც ვარ. ამგვარად, მას შემდეგ, რაც კარგად მოვიფიქრე და ავწონ-დავწონე ყველაფერი, უნდა საბოლოოდ განვაცხადო, რომ ეს დებულება: *მე ვარ, მე ვარსებობ* – ყოველთვის, როცა კი მე მას წარმოვთქვამ, ანდა გონებით ვაცნობიერებ, აუცილებლად ჭეშმარიტია.

მაგრამ საკმაოდ ნათლად ჯერ კიდევ არ ვიცი, როგორი ვარ, ვინ ვარ მე, რომელიც ამჟამად დარწმუნებულია საკუთარ არსებობაში. ამიერიდან დიდი სიფრთხილე მმართებს, რათა დაუდევრობით რაიმე სხვა არ მივიჩნიო იმად, რაც მე ვარ და მცდარად არ მივიჩნიო ის ცოდნა, რაც, დარწმუნებული ვარ, ყველაზე ჭეშმარიტი და ყველაზე ცხადია. სწორედ ამიტომ ხელახლა შევუდგები ყოველივე იმის მედიტაციას, თუ რად მიმაჩნდა ჩემი თავი მანამდე, ვიდრე ამგვარ აზრებამდე მივიდოდი. ამის შემდეგ, ჩემი უწინდელი შეხედულებებიდან ამოვძირკვავ ყველაფერს, რასაც თუნდაც მცირედით მაინც სადავოს გახდის ახლახან მოხმობილი ჩემი საფუძვლები, რათა საბოლოოდ დამრჩეს მხოლოდ ის, რაც საკუთრივ უეჭველი და უდავოა.

რა მეგონა საკუთარი თავი აქამდე? ცხადია, ადამიანი. მაგრამ რა არის ადამიანი? იქნებ მოაზროვნე ცხოველი? რა თქმა უნდა, არა, რადგან ასე რომ ყოფილიყო, ახლა იმის ძიება მომიწევდა, თუ რა არის ცხოველი და რას ნიშნავს მოაზროვნე? ასეთი კითხვა უამრავ სხვა უფრო რთულ და მძიმე კითხვას აღძრავდა, მე კი აღარ მაქვს ამაოდ გასაფლანგავი თავისუფალი დრო, რომ

ჩემი გამჭრიახობა გამოვცადო. უმჯობესია, მეტი ყურადღება გავამახვილო იმ აზრებზე, რომლებიც თავისთავად და ბუნებრივად ჩნდებოდა ჩემს გონებაში ყოველთვის, როდესაც განვიხილავდი თუ რა ვიყავი. თავდაპირველად, ცხადია, ჩემს გონებას წარმოუდგებოდა ის აზრი, რომ მე მქონდა სახე, ხელები, მკლავები და ორგანოთა მთელი ეს წყობა, რომელიც ცხედარშიც შეგვიძლია დავინახოთ და რასაც სახელად ვუწოდებდი სხეულს. ამას გარდა, ჩნდებოდა ის აზრიც, რომ ვიკვებებოდი, დავდიოდი, ვგრძნობდი, ვაზროვნებდი და ყველა ამ ქმედებას, ცხადია, მივაწერდი რაღაც სულს, მაგრამ რა იყო ეს სული, ამის გაგებაზე ან საერთოდ არ ვჩერდებოდი, ანდა წარმოვიდგენდი მას რაღაც უჩვეულოდ პაწაწინად, სიოს, ცეცხლის ალისა თუ ეთერის მსგავს რამედ, რომელიც გაფანტული უნდა ყოფილიყო ჩემი არსების უტლანქეს ნაწილებში. რაც შეეხება სხეულს, ოდნავადაც არ მეეჭვებოდა მისი ბუნება, მას კარგად ვიცნობდი. თუ მოვისურვებ მის გაგებას, როგორადაც მას შევიცნობდი მენტალურად, აი, როგორ აღვწერდი მას: სხეული მე მესმის როგორც ყველაფერი, რაც შეიძლება ზღვარდებული იყოს რაღაც ფიგურით, მდებარეობდეს რომელიმე ადგილას და ავსებდეს გარკვეულ სივრცეს ისე, რომ გამორიცხული იყოს იქ არსებობა ნებისმიერი სხვა სხეულისა; სხეული აღიქმება შეხებით, მხედველობით, სმენით, გემოთი ან ყნოსვით; იგი შეიძლება ასრულებდეს მრავალი სხვადასხვა სახის მოძრაობას, ცხადია, არა თავისით, არამედ სხვა რამის წყალობით, მასთან შეხების გზით. ჩემი აზრით, თავისით მოძრაობის უნარი, ისევე როგორც გრძნობისა თუ

აზროვნებისა, არანაირად არ ახასიათებდა სხეულის ბუნებას; და უმალვე ჩემს გაკვირვებას იწვევდა ამგვარ შესაძლებელ თვისებებს რომ ვამჩნევდი ზოგიერთ სხეულში.

მაგრამ თავად მე რაღა ვარ, თუკი ვუშვებ, რომ ეიღაც — ძალზე ძლიერი და, თუ შეიძლება ამის თქმა, ბოროტი მაცდური მთელ თავის ძალასა და ოსტატობას იყენებს იმისთვის, რომ მომატყუოს? შემიძლია კი, დავამტკიცო, რომ მაქვს მცირედი რამ მაინც ყოველივე იქიდან, რაც გააჩნია სხეულის ბუნებას, რაზედაც ახლახან ვისაუბრე? მე ვახდენ ჩემი ყურადღების კონცენტრაციას, ვაზროვნებ, ვფიქრობ, მაგრამ ვერაფერს ვპოულობ პასუხის გასაცემად; ძალ-ღონე მელევა, მაგრამ ხელახლა, თუმცა ამაოდ, ვიწყებ იმავე ძიებას. იმ თვისებათაგან, რაც სულის *l'âme/* ატრიბუტებად მივიჩნიე, ხომ არ მეკუთვნის რაიმე, თუნდაც კვება ან სიარული? მაგრამ, რაკი დავუშვი, რომ სხეული არ გამაჩნია, მაშინ სიარულიც და საზრდოობაც ფიქციები ყოფილა. იქნებ გრძნობა? ცხადია, უსხეულოდ გრძნობაც შეუძლებელია; გარდა ამისა, ძილის დროს მეგონა ბევრ რამეს ვგრძნობდი, მაგრამ გაღვიძებისთანავე ეს გრძნობა სრულებით ჭრებოდა. აზროვნება? ამჯერად, ვამჩნევ, რომ აზროვნება არის ის, რაც მე მეკუთვნის. იგი ერთადერთია, რომლის განცალკევებაც ჩემგან არ შეიძლება. *მე ვარ, მე ვარსებობ,* — ეს უდავოა, მაგრამ რამდენ ხანს? ცხადია, მანამდე, ვიდრე მე ვაზროვნებ. შესაძლებელია ისიც, რომ თუ შევწყვეტ აზროვნებას, საერთოდ, მყისვე შევწყვეტ არსებობასაც. ახლა არაფერს დავუშვებ, რაც არ იქნება უცილობლად ჭეშმარიტი. მაშასადამე, თუ ზუსტად

ვიტყვით: მე ვარ მხოლოდ ისეთი არსებული, რომელიც აზროვნებს, ე. ი. სული /l'esprit/, ანუ გონი /l'intelligence/, ანუ გაგება /l'entendement/, ანუ გონება /la raison/; ეს ისეთი სიტყვები გახლავთ, რომელთა მნიშვნელობაც აქამდე ჩემთვის უცნობი იყო. ამრიგად, მე ვარ ჭეშმარიტი და ნამდვილად არსებული რამ. მაგრამ რა არსებული? ამ კითხვას უკვე ვუპასუხე – ისეთი არსება, რომელიც აზროვნებს.

კიდევ რა? უნდა მოვუხმო ჩემს წარმოსახვას. მე არ ვარ ორგანოთა ის ნაკრები, ადამიანის სხეულს რომ უწოდებენ; არც ის გაიშვიათებული აირი ვარ, ეს ორგანოები რომ არის გაჯერებული, არც ქარი ვარ, არც ცეცხლი, არც ორთქლი, არც სიო, არც არაფერი ის, რაც ჩემს წარმოსახვას წარმოუდგენია. მე რაკი დავუშვი, რომ ყოველივე ეს არაფერია, ალარ ვცვლი ამ ვარაუდს და მაინც, მე ხომ რალაც არსება ვარ. შეიძლება მოხდეს, რომ თავად ის საგნები, რომლებიც, ჩემი აზრით, არაფერია, რაკი ჩემთვის უცნობია, სინამდვილეში არ განსხვავდებიან „მე"-საგან, როგორც არსებისაგან – რომელიც ჩემთვის ცნობილია. ახლა ამაზე არც ვკამათობ, ვიმსჯელებ მხოლოდ იმ საგნებზე, რომლებიც ჩემთვის ცნობილია. შეცნობილი მაქვს, რომ მე ვარსებობ; ეკითხეთ – რა ვარ ეს „მე", რომელიც მე ვიცი უეჭველია, „მე"-ს არსებობის შესახებ ცოდნა, აგებული ესოდენ ზუსტ მსჯელობაზე დამოკიდებულ არ არის იმ საგნებზე, რომელთა არსებობაც ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობია, და, მაშასადამე, აღნიშნული ცოდნა არ ექვემდებარება იმას, რისი გამოგონებაც შესაძლებელია წარმოსახვით. თავად ეს ტერმინი –

გამოგონება – მაფრთხილებს, შეცდომა არ დაეუშვა. მართლაც, გამოგონება და ფიქცია იქნებოდა, თუ მხოლოდ წარმოვიდგენდი, რომ რალაც ვარ, რადგან წარმოდგენა სხვა არაფერია, თუ არა რაიმე სხეულებრივი ვითარების ფორმის ან ხატის ჭვრეტა. მაგრამ, ამჟამად სრული რწმენით ვიცი, რომ მე ვარ, მაგრამ იმავდროულად ისიც შესაძლებელია, რომ ყველა ეს ფორმა თუ ხატი და საერთოდ ყველაფერი, რაც განეკუთვნება სხეულებრივ ბუნებას, სხვა არაფერია, თუ არა ზმანებისმიერი ხილვა. ამ შენიშვნების შემდეგ თუ დავაპირებ, მოვუხმო ჩემს წარმოდგენას, რათა უფრო გარკვევით გავიგო – რა ვარ მე – ეს ისეთივე უაზრობა იქნება, როგორც შემდეგი მსჯელობა: „ამჟამად მე მღვიძავს და ვხედავ რალაც ჭეშმარიტ საგანს, მაგრამ რაკი ჯერ კიდევ საკმაოდ ცხადად არ ჩანს იგი, განზრახ ვიძინებ, რათა სიზმრებმა დამანახონ ეს საგანი უფრო მეტი ჭეშმარიტებითა და სიცხადით. ამრიგად, გავიგე, რომ არაფერი, რისი გაგებაც მე შეძლია წარმოდგენით, არ მიეკუთვნება იმ ცოდნას, რაც გამაჩნია საკუთარ თავზე; საჭიროა, ძალზე გულდასმით მოაშლევინოთ გონებას საგანთა წარმოდგენითი აღქმა, რათა მან თავად, შეძლებისდაგვარად გარკვევით შეიცნოს თავისი ბუნება.

მაშ რა ვარ მე? ისეთი რამ, რომელიც აზროვნებს. ეს რალას ნიშნავს? ცხადია, ისეთ არსებულს, რომელიც ეჭვობს, გებულობს, ამტკიცებს დადებითად, უარყოფს, სურს, არ სურს, წარმოიდგენს და გრძნობს. თუ ამ თვისებათა ერთობლიობა მე მეკუთვნის, ეს ცოტა არ არის. მაგრამ რატომ არ უნდა მეკუთვნოდნენ ისინი მე? განა ამჟამად მე ეჭვით არ ვეყურებ ყველაფერს და მაინც მჯერა,

რომ რალაც არის, ვამტკიცებ, რომ მხოლოდ იგია ერთადერთი ჭეშმარიტი, ყველა დანარჩენს კი უარვყოფ; ამასთან მსურს ვიცოდე უფრო მეტი, არ მინდა შევცდე. ჩემდაუნებურად წარმოიდგება მრავალი რამ და ბევრ მათგანს ისევე ვგრძნობ, როგორც გრძნობებიდან მომდინარეთ? განა ყოველივე ეს ისევე ჭეშმარიტი არ არის, როგორც ჭეშმარიტია ის, რომ მე ვარ, თუნდაც გამუდმებით მეძინოს და თუნდაც ვინც მე შემქმნა მთელი თავისი ხელოვნება გამოეყენებინა ჩემს მოსატყუებლად? არის რაიმე, რაც განსხვავდება ჩემი აზროვნებისაგან ან ის, რაც შეიძლებოდა გამომეყო თავად ჩემგან? ის, რომ მე ვეჭვობ, მესმის და მსურს, იმდენად ცხადია, რომ ალარ საჭიროებს უფრო ნათლად ახსნას. მაგრამ ასევე თავად მაქვს წარმოდგენის უნარიც და თუმცა, შესაძლოა, ჩემი წარმოდგენის საგანთაგან არც ერთი არ იყოს ჭეშმარიტი, წარმოდგენის ეს უნარი რეალურად ხომ მაინც არსებობს, როგორც ჩემი აზროვნების კუთვნილი. დაბოლოს, მე თავად შევიგრძნობ, ე. ი. აღვიქვამ სხეულებრივ საგნებს თითქოს გრძნობის ორგანოთა მეშვეობით; მაგალითად, ამჟამად მე ვხედავ სინათლეს, მესმის ხმაური და ვგრძნობ სითბოს. მაგრამ მეტყვიან: ეს ყოველივე მოჩვენებითია, რაკი მათ ძილში შევიგრძნობ! ყველაფრის მიუხედავად, რაკი მეჩვენება რომ მე ვხედავ, მესმის, მცხელა, როგორ შეიძლება არ იყოს უტყუარი? ეს არის სწორედ ის, რასაც მე ჩემში ვუწოდებ გრძნობას და ზუსტად ამ აზრით იგი სხვა არაფერია, თუ არა აზროვნება.

ვატყობ, ვახერხებ ცოტა უკეთ იმის გაგებას, თუ რა ვარ; მაგრამ ჯერ კიდევ მგონია და არც შემიძლია თავს დავუშალო იმის რწმენა, თითქოს

სხეულებრივი საგნები, რომელთა ხატებასაც აზროვნება ქმნის და რომლებიც მისაწვდომია გრძნობებისათვის და გაიგება გრძნობებით, ბევრად უფრო გარკვევით ცნობილია ჩემთვის, ვიდრე თავად ჩემივე ის ნაწილი, რომელიც წარმოდგენისათვის მიუწვდომელია; რეალურად, ძალზე უცნაურია იმის მტკიცება, თითქოს მე უფრო გარკვევით მესმის ჩემთვის უცხო, უცნობი საგნები, რომელთა არსებობაც საეჭვოდ მიმაჩნია, ვიდრე ისინი, რომელთა არსებობის ჭეშმარიტებაშიც დარწმუნებული ვარ, რაც ნაცნობია და ჩემი ბუნების კუთვნილებაა; ერთი სიტყვით, საკუთარ თავზე უკეთ ვიცი. მაგრამ კარგად ვხედავ, რაც არის ეს: ჩემს გონებას მოსწონს ჩემი გზიდან გადაცდენა, რაკი ვერ აუტანია ჭეშმარიტების ზუსტ საზღვრებში რომ აქცევენ მას. მოდით, მოვუშვათ სადავეები და მივცეთ გონებას სრული თავისუფლება, რათა საჭირო დროს, მყისვე მოვჭიმოთ აღვირი და უფრო ოლად შევძლოთ მისი წარმართვა.

განვიხილოთ ის საგნები, რომლებიც, ჩვეულებრივ, მიაჩნიათ ყველაზე უფრო ადვილად შესაცნობად; რა თქმა უნდა ეს ის საგნები იქნება, რომელთაც ვეხებით, ვხედავთ და არა საერთოდ საგნები — ზოგადი ცნებებით გამოხატული, რომლებიც, ჩვეულებრივ, უფრო ბუნდოვანია. ვიდრე რომელიმე კერძო საგანი. მაგალითისათვის ავიღოთ თაფლის ცვილი, რომელიც ახლახან ამოიღეს სკიდან; მას არ დაუკარგავს თაფლის სიტკბო, (რომელიც ფეჭის უჯრებში გროვდებოდა), ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი რალაც იმ ყვავილთა სურნელი, რომელთა ნექტარსაც წოვდნენ ფუტკრები; სანთლის ფერი, ფორმა, სიდიდე თვალნათლივია

— მყარია, ცივი, იოლად დასამუშავებელი; თუ დაარტყამთ, ბგერას გამოსცემს. ერთი სიტყვით, მას აქვს ყველა ის ნიშანი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია საგნის გარკვევით შეცნობა. მაგრამ ამასობაში იგი მიაქვთ ცეცხლთან ახლოს: ცვილი დნება, თაფლის გემო ქრება, სურნელი ქროლდება, ფერი მკრთალდება, ფორმა იკარგება, სიდიდე იზრდება; ცხელდება ისე, რომ ხელს ძლივს შეახებთ; თუ დაარტყამთ, ბგერას აღარ გამოსცემს. ეს კვლავ იგივე ცვილია? რა თქმა უნდა! იგი რჩება სანთლად და არავინ უარყოფს ამას.

მაშ რა იყო სანთელში გარკვევით ცნობილი? არაფერი, ყოველ შემთხვევაში იქიდან, რასაც მე აღვიქვამდი გრძნობებით, რადგან ყველაფერი, რაც რეალური ანდა მხედველობის, სმენის, შეხების, ყნოსვისა და გემოს საშუალებით, აღმოჩნდა ცვალებადი; და მაინც სანთელი იგივეა. შესაძლოა, ისე მოხდა, რომ ეს სანთელი არც თაფლის სიტკბო იყო, არც ყვავილთა სურნელი, არც სითეთრე, არც ფორმა, არც ბგერა, არამედ მხოლოდ ისეთი სხეული, რომელიც ჯერ ერთი სახის მოდალობებით წარმომიდგებოდა, ამჟამად კი სხვა თვისებებით წარმომიჩნდა. მაინც, არსებითად, რა წარმომიდგენია მე, როდესაც ასეთი სიზუსტით განვსაზღვრავ ამ სანთელს? ყურადღებით განვიხილოთ, რა დაგვრჩება, თუ ჩამოვაშორებთ ყველაფერს, რაც სანთელს არ ეკუთვნის. ცხადია, დარჩება რაღაც წელვადი, დრეკადი, ცვალებადი. მაგრამ რა არის ეს დრეკადი და ცვალებადი? შემიძლია კი წარმოვიდგინო, რომ ეს მრგვალი სანთელი იქცეს ოთხკუთხედად ან ოთხკუთხედიდან — სამკუთხედად? ცხადია, არა, რადგან მას შეუძლია

განიცადოს დაუსრულებლად ამ სახის ცვლილებები, მე კი უძლური ვარ უსასრულო ცვლილებები აღვიქვა წარმოდგენით; მაშასადამე, სანთლის შესახებ ცოდნა არ მომდინარეობს წარმოდგენის უნარიდან. რა არის განფენილობა? იქნებ ისიც ასევე უცნობია? როდესაც სანთელი დნება, იგი ფართოვდება, უფრო და უფრო იმატებს დულილის დროს სითბოს მატებასთან ერთად. სანთლის შესახებ ჩემი მსჯელობა არ იქნებოდა ამომწურავი, თუ არ დავუშვებდი, რომ იგი თავისი სივრცობრივი განფენილობით შეიძლება უფრო მეტადაც იცვლებოდეს, ვიდრე მე ეს ოდესმე წარმომედგინა. მაშასადამე, დავეთანხმოთ აზრს, რომ წარმოდგენით არ შეიძლება იმის გაგება, თუ რა არის ეს სანთელი, რომ მე მას ვწვდები მხოლოდ ჩემი გონებით /*l'esprit*/. მე ვლაპარაკობ მხოლოდ ამ სანთელზე კერძოდ, რადგან ზოგადად სანთელზე ნათქვამი უფრო ნათელი იქნებოდა. მაინც როგორია ეს სანთელი, რომელიც მხოლოდ გონებით შეიცნობა? ცხადია, ეს იგივე სანთელია, რომელსაც ვხედავ, ვეხები, წარმომიდგენია; დაბოლოს, რომელიც ის არის, რომლის შესახებაც მუდამ ვფიქრობდი, რომ იგი ახლაც ისეთივეა, როგორიც ადრე იყო. ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ მისი პერცეფცია არ არის არც ხედვა, არც შეხება, არც წარმოდგენა და არც არასოდეს ყოფილა, თუმცა აქამდე ასე ჩანდა; ეს არის მხოლოდ გონითი ჭვრეტა, რომელიც, შესაძლოა, არასრულყოფილი და ბუნდოვანი იყოს, როგორც ადრე, ანდა ნათელი და გარკვეული, როგორიც ამჟამადაა; ეს იმის მიხედვით ხდება, რამდენად მეტ ან ნაკლებ ყურადღებას ვიჩენ მე იმის მიმართ, რაც მასშია და რისგანაც იგი შედგება.

ძალზე გაოცებული ვარ, როდესაც ვამჩნევ, თუ რა სუსტია ჩემი გონება და როგორ შეუმჩნევლად ექვემდებარება ცდომილებებს. თუმცა მე ამგვარ რეფლექსიებს მივმართავ ჩემთვის, ჩუმად, მაინც სიტყვების მახეში ვებმევი და ჩვეულებრივი მეტყველების ტერმინები თავგზას მიბნევს; თუ სანთელი ჩვენ წინაშეა, ვამბობთ, რომ ვხედავთ ამ სანთელს; არ ვამბობთ, რომ იმავე ფერისა და ფორმის საფუძველზე ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა, რომ ეს იგივე სანთელია. აქედან თითქმის მზად ვარ, განვაცხადო, რომ თვალისმიერი ხედვით, და არა მხოლოდ გონითი ჭვრეტით შეიმეცნება სანთელი; თუ შემთხვევით ფანჯრიდან ქუჩაში გამვლელებს დავინახავ, ცხადია, ვიტყვი – ვხედავ ადამიანებს, ზუსტად ისე, როგორც ვამბობ, რომ ვხედავ სანთელს, თუმცა ფანჯრიდან მხოლოდ ქუდებსა და ლაბადებს ვხედავ, რომლითაც შესაძლოა, მოძრავი მანქანები იყოს დაფარული?! მე კი უმალ ვასკვნი, რომ ისინი ადამიანები არიან. ამგვარად, მხოლოდ განსჯის წყალობით, რომელიც ჩემს გონებაშია, მე ვიგებ იმას, რასაც მეგონა თვალით ვხედავდი.

მაგრამ მას, ვინც ცდილობს საკუთარი ცოდნის დონე აიმაღლოს ზოგადზე მეტად, უნდა რცხვენოდეს, როდესაც ეჭვის მიზეზს მდაბიურ სამეტყველო ფორმებსა და ტერმინებში პოულობს. ამიტომ მივყვეთ და ყურადღებით განვიხილოთ, როდის უფრო მეტი სრულყოფილებითა და სიცხადით ვწვდებოდი რა იყო ეს სანთელი, როდესაც იგი პირველად შევნიშნე და დავიჯერე, რომ მას შევიცნობდი გარეგანი გრძნობების მეშვეობით ან, ყოველ შემთხვევაში, ზოგადი გრძნობით – როგორც მას უწოდებენ, ე. ი. წარმოდგენის უნარით,

თუ ამჟამად, როდესაც მე საგულდაგულოდ, გამოწვლილვით გამოვიკვლიე, რა არის სანთელი და რა გზით შეიძლება მისი შეცნობა. ცხადია, ამის თაობაზე ეჭვი უგუნურება იქნებოდა. მართლაც, იყო თუ არა რაიმე გარკვეული პირველ პერცეფციაში, ან რა იყო მასში ისეთი, რაც ზუსტად ისევე არ იმოქმედებდა ნებისმიერი ცხოველის გრძნობაზე? როდესაც მე განვასხვავებ სანთელს მისი გარეგანი ფორმებისაგან და თითქოს საბურველმოხსნილს, შიშველს განვიხილავ, იქნებ ჩემს მსჯელობაში იყოს რაიმე შეცდომაც, მაგრამ მაინც არ შემიძლია მისი პერცეფცია ადამიანური გონების გარეშე.

მაგრამ რას ვიტყვი თავად ამ გონის ე. ი. საკუთარი თავის შესახებ? რადგან ჯერ არ დამიშვია აზრი – სხვა არაფერია ჩემში გარდა გონისა /*l'esprit*/, რა უნდა ვთქვა ჩემზე მე, ვისაც მგონია, რომ შევიცნობ ამ სანთელს ასე გარკვევით? ნუთუ მე არ ვიცნობ საკუთარ თავს არა მხოლოდ უფრო მეტი ჭეშმარიტებითა და უეჭველობით, არამედ უფრო მეტი გარკვეულობითა და სიცხადით? თუ სანთელს ვხედავ და ამ საფუძველზე ვასკვნი მის არსებობას, რა თქმა უნდა, აქედან უფრო მეტი სიცხადით უნდა დავასკვნათ, რომ თავად მაც ვარსებობ. შესაძლოა, ის რასაც მე ვხედავ, სინამდვილეში სანთელი არ იყოს; ასევე შესაძლებელია, რომ არ მქონდეს თვალები მის დასანახავად, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, მე – მოაზროვნე, არ ვარსებობდე, რაკი მე ვხედავ ან, რაც იგივეა, რაკი მე ვფიქრობ, რომ ვხედავ. ამის მსგავსად, თუ მე ვიჯერებ სანთლის არსებობას იმის საფუძველზე, რომ ვეხები მას, ასევე უნდა ვირწმუნოთ ჩემი არსებობაც; თუ წარმოდგენის

ანდა რაიმე სხვა მიზეზის საფუძველზე დავადგენ სანთლის არსებობას, იმავე დასკვნამდე მივალ. ის, რაც მე შევნიშნე სანთლის მიმართ, შეიძლება, გამოყენებული იქნას ჩემ მიღმა არსებული ყველა საგნის მიმართაც. მეტსაც დავსძენ — თუ სანთლის პერცეფცია უფრო გარკვეული მეჩვენა მას შემდეგ, რაც იგი შევიცანი არა მხოლოდ მხედველობითა და შეხებით, არამედ მრავალი სხვა მიზეზითაც, მით უფრო გარკვევით უნდა შევიცნო საკუთარი თავიც. ეს იმიტომ, რომ ყველა საფუძველი, რომელიც ხელს გვიწყობს სანთლის თუ ნებისმიერი სხვა სხეულის პერცეფციაში, იმავდროულად ბევრად უკეთ მოწმობს ჩემი გონის ბუნებას; გარდა ამისა, გონში არის იმდენი რამ, რასაც ძალუძს კიდევ უფრო ცხადი გახადოს მისი ცოდნა, რომ არც არის საჭირო, გათვალისწინებული იქნას სხეულისმიერი საფუძვლები.

და აი, ბოლოს ერთობ ბუნებრივად მივაღწიე იმას, რაც მწადა. მე უკვე გავიგე, რომ თავად საგნები შეიმეცნება არა სახელდობრ გრძნობებით ანუ წარმოდგენის უნარით, არამედ მხოლოდ გონებით და არ აღიქმება მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ვეხებით ან ვხედავთ, არამედ მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჩვენი გონების გაგების *(l'intellection)* ობიექტები არიან. მჯერა, არ არსებობს ჩემ გონზე *(l'esprit)* უფრო იოლად და ცხადად შესაცნობი რამ. რადგან ძნელია ასე სწრაფად გადავეჩვეოთ ჩვეულ ძველ შეხედულებას, ამდენად მართებულია, აქ შევჩერდე, რათა ეს ახალი ცოდნა, ხანგრძლივი მედიტაციების გზით, უფრო ღრმად აღვბეჭდო ჩემს მეხსიერებაში.

მედიტაცია მესამე

ღმერთის შესახებ დამტკიცება, რომ იგი არსებობს

ახლა დავხუჭავ თვალებს, დავიცობ ყურებს, ყველა ჩემს გრძნობას ჩამოვიცილებ, ჩემი გონებიდან ამოვძირკვავ ყველა სხეულებრივი საგნის ხატს, ანდა, რაკი ეს თითქმის შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, მათ ჩავთვლი არაფრად — ფუჭად და მცდარად; მხოლოდ საკუთარ თავთან საუბრითა და ღრმა თვითგანხილვით შევეცდები, თანდათანობით, მეტად და ახლოს გავიცნო ჩემი თავი. მე ვარ ისეთი არსება, რომელიც აზროვნებს, ე. ი. რომელიც ეჭვობს, ამტკიცებს დადებითად, უარყოფს, იცის ძალზე ცოტა, არ იცის ბევრი რამ, რომელსაც სურს, არ სურს, აქვს წარმოდგენა და გააჩნია გრძნობა. როგორც ზემოთ შევნიშნე, შეიძლება საგნები, რომელთაც მე შევიგრძნობ ან წარმომიდგენია, ჩემ გარეშე თავისთავად არც არსებობს, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ აზროვნების ეს მოდალობები[29] — ჩემი სახელდებით შეგრძნებები და წარმოდგენები, რაკი ისინი მხოლოდ აზროვნების გარკვეული მოდუსებია, არიან

[29] **მოდალობა** — მსჯელობის დახასიათება მასში გამოთქმული მტკიცების „ძალის“ მიხედვით; მსჯელობა არის აუცილებლობის, ფაქტის, შესაძლებლობის გამომხატველი და ა.შ.

ჩემში. ამ ერთი-ორი სიტყვით, მგონი, გამოვთქვი ყველაფერი, რაც ვიცი უეჭველად ანდა, ყოველ შემთხვევაში, აქამდე მეგონა, რომ ვიცოდი.

ახლა კი ჩემი ცოდნის შემდგომი გაფართოებისა და საგულდაგულოდ გამოკვლევის მიზნით ყურადღებას მივაპყრობ – ხომ არ არის ჩემში სხვა საგნები, რომლებისკენაც აქამდე არ მიმიმართავს ჩემი მზერა. დარწმუნებული ვარ, რომ მე ვარ მოაზროვნე არსება. ასევე განა არ ვიცი, თუ რა არის საჭირო, რათა საერთოდ დავრწმუნდეთ რაიმეში? ცხადია, ამ პირველ ცოდნაში სხვა არაფერია, თუ არა ნათელი და გარკვეული აღქმა იმისა, რასაც მე ვამტკიცებ; ეს კი, მართლაც, არ იკმარებდა საგნის ჭეშმარიტებაში ჩემს დასარწმუნებლად, თუ ოდესმე საგანი, ჩემი ესოდენ ნათელი და გარკვეული აღქმის ობიექტი, აღმოჩნდებოდა მცდარი; აქედან გამომდინარე, უკვე მეჩვენება, რომ შემიძლია ზოგად წესად დავადგინო შემდეგი: ყველაფერი, რასაც მე ვწვდები ნათლად და გარკვევით, ჭეშმარიტია.

მაგრამ ადრეც ხომ დავუშვი, რომ მრავალი საგანი აბსოლუტურად უეჭველი და ცხადია, მოგვიანებით კი მივხვდი, რომ ისინი მცდარი იყო. რა იყო ეს საგნები? ეს იყო მიწა, ცა, მნათობები და ყველა სხვა არსებული, რომელთაც მე აღვიქვამდი გრძნობების მეშვეობით. რას შევიცნობდი ნათლად და გარკვევით მათ შესახებ? ეს იყო თავად იდეები, ე. ი. მხოლოდ აზრები ამგვარ არსებულებზე, რომლებიც წარმოუდგებოდა ჩემს გონებას; და თვით ამჟამადაც არ უარვყოფ, რომ ეს იდეები კვლავ ჩემშია დამკვიდრებული. მაგრამ იყო ერთი სხვა ვითარებაც /la chose/, რომლის

არსებობასაც ვამტკიცებდი და კიდეც მჯეროდა, რომ ნათლად აღვიქვამდი ჩემი იმ რწმენის ნებით, რომ ის არსებობდა, სინამდვილეში კი მე ვერ აღვიქვამდი მას: თითქოს ჩემ მიღმა არსებობდა საგნები და ეს იდეებიც – ორეულები აღნიშნული საგნებისა, მათგან მომდინარეობდა. აქ ან ვცდებოდი ან, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მსჯელობა თუ ჭეშმარიტი იყო, ამის მიზეზი არ იყო ჩემი პერცეფციის ღირსება.

რაშია საქმე! როდესაც მე ვიხილავდი ძალზე მარტივსა და იოლ ვითარებას არითმეტიკასა თუ გეომეტრიაში, მაგალითად, რას მივუმატოთ სამი ან სხვა მისთანებს, განა იმდენად ნათლად არ მესმოდა ისინი, რომ არ მემტკიცებინა მათი ჭეშმარიტება? ცხადია, თუ მე ვლაპარაკობდი ამ ვითარებებში დაეჭვების შემდგომ შესაძლებლობაზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აზრად მომდიოდა შემდეგი – რომელიღაც ღმერთს შეეძლო ჩემთვის ერგუნებინა ისეთი ბუნება, რომ იოლად შევმცდარიყავი იმაშიც კი, რაც ყველაზე ცხადი მეგონა. ყოველთვის, როგორც კი ეს წინასწარ აკვიატებული აზრი ღმერთის ყოვლისშემძლეობაზე გამიელვებს, არ შეშიძლია, არ ვალიარო, რომ იგი, თუ ინებებს, იოლად მაიძულებს, ვცდებოდე იმ საგნების მიმართაც კი, რომელთაც, დარწმუნებული ვარ, გონების თვალით ვჭვრეტ და შეძლებისდაგვარად ცხადი ინტუიციაც მაქვს; და პირიქით, ყოველთვის, როდესაც ვუბრუნდები თვით ისეთ საგნებს, რომელთაც მგონია ძალზე ნათლად აღვიქვამ, ისინი ისე ღრმად მარწმუნებენ, რომ უნებურად წარმოვთქვამ ამ სიტყვებს: ვისაც ენებოს, დაე, მან სცადოს ჩემი მოტყუება, იგი მაინც ვერასოდეს მოახერხებს, რომ მე არაფერი

ვიყო, ვიდრე ვიფიქრებ, რომ მე რაღაც ვარ, ან ერთ დღეს ჭეშმარიტი გახადოს, თითქოს მე არასოდეს ვყოფილვარ, რაკი ამჟამად ჭეშმარიტია ის, რომ მე ვარ; შესაძლოა, ჭეშმარიტებად გააცალოს ისიც, რომ ორს მიმატებული სამი ხუთზე მეტი ან ნაკლებია, ან სხვა მისთანანი, ყოველივე ამაში მე ვხედავ აშკარა წინააღმდეგობას.

ცხადია, რაკი არავითარი საფუძველი არ გამაჩნია, ვირწმუნო რომელიმე ისეთი ღმერთის არსებობა, რომელიც შეცდომაში შემიყვანდა და რაკი ჯერ საბოლოოდ ისიც არ ვიცი, არსებობს თუ არა ღმერთი, ეჭვის მიზეზი, რომელიც დამოკიდებულია მხოლოდ ამ შეხედულებაზე, ძალზე არასერიოზულია და, ასე ვთქვათ, მეტაფიზიკური. მაგრამ იმისათვის, რომ იგი უკუვაგდოთ, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნება, უნდა გავერკვიო — არის თუ არა ღმერთი და თუ არის, შეიძლება იყოს თუ არა იგი მატყუარა; რაკი ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ოდესმე ვერც შევძლებ სრულად ვირწმუნო რაიმე სხვა.

ამჟამად, ეტყობა, მწყობრი აზროვნება ითხოვს, რომ დავიწყო ყველა ჩემი ნააზრევის განსაზღვრული წესით დაყოფა და ძიება იმისა, ბოლოს და ბოლოს მათგან კერძოდ რომლებში არის ჭეშმარიტება, ან რომლებში მცდარობა.

ზოგიერთი ამ აზრთაგანი საგნის ხატებაა და არსებითად სწორედ მას შეესაბამება იდეის სახელიც. მაგალითად, როდესაც მე წარმოვიდგენ: ადამიანი, ან ქიმერა, ან ცა, ან ანგელოზი, ღმერთიც კი. სხვა აზრებს, გარდა ამისა, ცოტაოდენ სხვა ფორმებიც გააჩნიათ; მაგალითად, როდესაც მე მსურს, მეშინია, ვამტკიცებ დადებითად, უარვყოფ,

ამ დროს ყოველთვის კარგად ვაგნებ რაღაც არსებულს, როგორც ჩემი აზროვნების სუბიექტს[30] /le sujet/, მაგრამ ამგვარი აზროვნება რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ამ არსებულის მსგავსება. ამ აზრთა ნაწილი იწოდება სურვილად ანუ აფექტად, დანარჩენი — მსჯელობად.

რაც შეეხება იდეებს, თუ მათ განვიხილავთ ცალკე, თავისთავად, რაიმე სხვა საგანთან მიმართების გარეშე, მაშინ ისინი, კაცმა რომ თქვას, არც შეიძლება იყონ მცდარნი. მართლაც, თხას წარმოვიდგენ თუ ქიმერას, ერთნაირად ჭეშმარიტი იქნება ის, რომ მე ერთის წარმოდგენაც მიხდება და მეორისაც. ასევე არ უნდა შეგვაშინოს მცდარობამ სურვილებში — ანუ აფექტებში; ცხადია, მე შემიძლია ვისურვო ცუდი რამ, ანდა ისიც, რაც საერთოდ არ არსებობს; მაინც, ამის მიუხედავად, ჭეშმარიტი იქნება ის, რომ მე მსურს ისინი. ამგვარად, რჩება მხოლოდ მსჯელობები; აქ კი მმართებს სიფრთხილე, რათა არ შეცდე. მთავარი და ხშირი შეცდომა, რომელიც შეიძლება მსჯელობებში შეგეჭვდეს ის არის, რომ ჩემში არსებული იდეები მსგავსია ან ესადაგება ჩემ მიღმა არსებულ საგნებს. თუ მე განვიხილავ მხოლოდ იდეებს თავისთავად, როგორც ჩემი აზროვნების გარკვეულ მოდუსებს რაიმე გარეშე საგანთან მი-

[30] **სუბიექტი და ობიექტი** — ფილოსოფიური კატეგორიები. სუბიექტის (ქვეშდებარის) ცნება თავდაპირველად აღნიშნავდა თვისებების, მდგომარეობების, მოქმედებების მატარებელს ანუ ეს იყვნენ იყო, რაც სუბსტანციის, ქვეშდებარეს ცნება. ობიექტის ცნება უპირველეს ყოვლისა იხმარება გნოსეოლოგიური მნიშვნელობით. დეკარტს სიტყვები — სუბიექტი და ობიექტი — ესმის შუასაუკუნეების, თანამედროვე მნიშვნელობის საპირისპირო აზრით; ამრიგად, „სუბიექტი" უნდა გადგებოდეს „ობიექტად" და პირიქით.

მართების გარეშე, მაშინ, ალბათ, შეცდომის საბაბი ძნელად გაჩნდება.

მაგრამ ამ იდეათა შორის ზოგიერთი თანდაყოლილი მეჩვენება, ზოგი შეძენილი, ნაწილი კი თავად ჩემ მიერ შექმნილი. მართლაც, მე მაქვს იმის გაგების უნარი /l'intellection/, თუ რა არის საგანი, ჭეშმარიტება, აზროვნება და ეს თავად ჩემი ბუნებიდან მომდინარე მგონია. იმას, რომ ამჟამად მესმის ბგერა, ვხედავ მზეს, ვგრძნობ სითბოს, აქამდე ვიხილავდი როგორც ჩემ მიღმა არსებული რომელიღაც საგნის გამოძახილს. დაბოლოს, მიმაჩნდა, რომ სირინოზები, ჰიპოგრიფები[31] და სხვა მის თანანი ჩემი გამოგონილია. შემიძლია ასევე დავუშვა, რომ ამ იდეებიდან ყველა შეძენილი, ან ყველა თანდაყოლილი, ანდა ყველა აბსოლუტურად ჩემგანაა შექმნილი, რადგან ჯერ კიდევ სრულად არ მიმიგნია მათი ჭეშმარიტი საწყისისათვის. აქ მთავარი საკითხი ეხება იმათ, რომლებიც ვფიქრობ, მომდინარეობენ ისეთი საგნებისაგან, რომლებიც ჩემ მიღმა არსებობენ; რა საფუძველი მიბიძგებს, ჩავთვალო, რომ ეს იდეები მსგავსია აღნიშნული საგნებისა?

მე მგონი, ეს შეხედულება ბუნებისაგან მაქვს შთაგონებული. ამას გარდა, საკუთარი გამოცდილებაც მიდასტურებს, რომ იდეები საერთოდ არ არის დამოკიდებული ჩემ ნებაზე და, მაშასადამე, არც თავად ჩემზე, რადგან ხშირად ჩემდაუნებურად აღმეძვრებიან ხოლმე. მაგალითად, ამჟამად, მსურს ეს მე თუ არა, მაინც ვგრძნობ სითბოს,

[31] ჰიპოგრიფი – ანტიკურ მითოლოგიაში ფანტასტიკური ცხოველი – ნახევრად- ცხენი, ნახევრად- გრიფი. /გრიფი – ცხოველი ლომის ტანით, არწივის ფრთებით და არწივის ან ლომის თავით/.

რაც მიბიძგებს ვიფიქრო, რომ ეს გრძნობა, ანუ სითბოს იდეა, ჩემში ჩნდება ჩემგან განსხვავებული რამისაგან, კერძოდ ცეცხლისაგან, რომლის ახლოსაც ვზივარ. ძალზე ბუნებრივია, დაეასკვნა; ეს ჩემ გარეთ არსებული საგანი გზავნის ჩემში უმალ თავის მსგავსს, ვიდრე ნებისმიერ სხვა რამეს. საკმარისად მყარია ეს მიზეზი? ახლა სწორედ ამის განხილვა მსურს.

როდესაც ვამბობ – ეს ბუნებისმიერი შთაგონებაა – ვგულისხმობ მხოლოდ იმას, რომ, რაღაც თვითნებური იმპულსით, მე განწყობილი ვარ ამის დასაჯერებლად, და არა იმას, რომ ბუნებრივი სინათლე მიჩვენებს მის ჭეშმარიტებას. ამ ორ აზრს შორის ძალზე დიდი სხვაობაა. ჯერ ერთი, ყველაფერი, რაც მე წარმომიდგინა ბუნებრივმა სინათლემ, მაგალითად, მე ვეჭვობ და აქედან გამომდინარეობს ის, რომ მე ვარსებობ და სხვა მისთანანი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება საეჭვო; არც არსებობს არავითარი სხვა უნარი, რომელსაც მე ამ სინათლეზე მეტად ვენდობი და რომელიც დამარწმუნებდა, რომ ეს არ არის ჭეშმარიტი. რაც შეეხება ბუნებრივ იმპულსებს – მიდრეკილებებს, მოგახსენებთ: წარსულში, როდესაც საქმე ეხებოდა სათნოებასა და მანკიერებას შორის არჩევანს, მათ ხშირად მიბიძგეს არასწორი ნაბიჯისაკენ, მაშ რატომ უნდა ვენდო ამ იმპულსებს უფრო მეტად ნებისმიერ სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას.

რაც შეეხება იმას, რომ ეს იდეები დამოკიდებული არ არის ჩემ ნებაზე, არც ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი აუცილებლად ჩემ გარეთ არსებული საგნებიდან მომდინარეობენ. ისევე, როგორც იმ-

პულსები, რომელთა შესახებაც ახლახან მოგახსენეთ და რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ ჩემშია, ჩანს, მაინც მთლიანად არ ეთანადებიან ჩემს ნებას. შესაძლებელია, ჩემში იყოს რაიმე სხვა, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი უნარი, რომელიც წარმოშობს ამ იდეებს, ისე, როგორც აქამდე მეჩვენებოდა, რომ სიზმარში ეს იდეები ჩემში წარმოიქმნებიან თავისთავად, გარეგანი საგნების ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე.

დაბოლოს, თუნდაც იდეები მომდინარეობდნენ ჩემ მიღმა არსებული საგნებიდან, აქედან მაინც არ უნდა დავასკვნათ, რომ ისინი მათი მსგავსია. პირიქით, ხშირად შემინიშნავს ძალზე დიდი სხვაობა საგანსა და მის იდეას შორის. მაგალითად, მე ჩემში ვპოულობ ორ სრულიად განსხვავებულ იდეას მზის შესახებ: ერთი მომდინარეობს გრძნობებიდან და უნდა მივაკუთვნოთ შეძენილ იდეათა რიცხვს; ამ იდეის თანახმად, მზე ძალზე პატარაა; მეორე მომდინარეობს ასტრონომიის დასაბუთებებიდან, ე. ი. შექმნილია იმ ცნებების საფუძველზე, რომლებიც ჩემში თანდაყოლილია, ანდა შექმნილია ჩემ მიერ რაღაც სხვა ფორმით; ამ იდეის თანახმად, მზე მეჩვენება დედამიწაზე რამდენჯერმე უფრო დიდად. ცხადია, შეუძლებელია, ეს ორი იდეა — ერთიცა და მეორეც — მსგავსი იყოს ერთი და იმავე მზისა, რომელიც არსებობს ჩემ მიღმა. გონება კი მაიძულებს ვიფიქრო, რომ ის იდეა, რომელიც მომდინარეობს უშუალოდ მზის გარეგანი ფორმიდან, ყველაზე უფრო განსხვავებულია მისგან, როგორც საგნისგან.

ყოველივე ეს საკმარისად ნათელს ხდის, რომ აქამდე არა უტყუარი მსჯელობით, არამედ მხოლოდ

ბრმა იმპულსის წყალობით მჯეროდა, რომ არსებობდა ჩემგან განსხვავებული საგნები, რომლებიც ჩემში გზავნიდნენ თავიანთ იდეებს თუ ხატებს და მათ ვიღებდი ჩემი გრძნობის ორგანოების მეშვეობით თუ რაიმე სხვა საშუალებით.

მაგრამ იხსნება კიდევ ერთი გზა იმის საძიებლად, არსებობს თუ არა იმ არსებულთა შორის, რომელთა იდეებიც ჩემშია, ისეთები, ჩემ მიღმა რომ არსებობენ; თუკი ეს იდეები მხოლოდ და მხოლოდ აზროვნების გარკვეული მოდუსებია[32], მე ვერ ვამჩნევ მათ შორის ვერავითარ უთანასწორობას და, ჩანს, ყიანა; მაგრამ თუკი მათგან ერთნი წარმოადგენენ ერთ საგანს, მეორენი — სხვას, ცხადია, რომ ეს იდეები ძალზე განსხვავებულნი არიან ერთიმეორისაგან. უეჭველია, რომ ისინი, რომლებიც წარმომიჩენენ სუბსტანციებს, შედარებით, რაღაც მეტი მნიშვნელობის არიან და თავის თავში შეიცავენ, ასე ვთქვათ, უფრო მეტ ობიექტურ რეალობას, ვიდრე ის იდეები, რომლებიც მხოლოდ მოდუსებს ან აქციდენციებს წარმომიდგენენ. თავის მხრივ, ის იდეაც, რომლის მიხედვითაც მე ვწვდები უზენაეს, მარადიულ, უსასრულო, უცვლელ, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე და ყველა მის მიღმა არსებული საგნის შემოქმედ ღმერთს, შეიცავს თავის თავში უდავოდ უფრო მეტ ობიექტურ რეალობას, ვიდრე ის იდეები, რომლებითაც მეძლევა სასრული სუბსტანციები. ახლა ბუნებრივი სინათლის წყალობით ცხადია, რომ მთელ მოქმედ მიზეზში სულ ცოტა იმდენივე რეალობა მაინც უნდა იყოს, რამდენიც არის ამ მიზეზის შედეგში. მე ვკითხულობ: საიდან

[32] **მოდუსი** — 1. აზროვნების ნაირსახეობა; 2. საგნის გარდამავალი, არამუდმივი მდგომარეობა ან თვისება.

უნდა იღებდეს თავის რეალობას შედეგი თუ არა მიზეზიდან? როგორ შეძლებს მიზეზი მისთვის ამ რეალობის მინიჭებას, თუ იგი (ეს რეალობა) თავად არ ექნება? აქედან გამომდინარეობს ის, რომ შეუძლებელია რაიმე მომდინარეობდეს არარასაგან; ასევე, შეუძლებელია, რომ ის, რაც უფრო სრულყოფილია, ე. ი. თავის თავში შეიცავს უფრო მეტ რეალობას, მომდინარეობდეს იქიდან, რაც მასზე ნაკლებად სრულყოფილია. ეს ჭეშმარიტება ნათელია არა მხოლოდ შედეგების მიმართ, რომელთა რეალობაც აქტუალური ანუ ფორმალურია[13], არამედ იდეების მიმართაც, რომლებშიც განიხილება მხოლოდ ობიექტური რეალობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლებელია, რომ, მაგალითად, რომელიღაც ქვა, რომელიც მანამდე არ არსებობდა, ახლა გაჩნდეს, თუ იგი არ წარმოიქმნა ისეთი საგნიდან, რომელიც ფორმალურად ან ემინენტურად[14] არ შეიცავს ყოველივე იმას, რაც ქვაშია. შეუძლებელია სითბო წარმოიშვას საგანში, რომელიც მანამდე არ იყო თბილი, თუ არა ისეთი საგნის მეშვეობით, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე სრულყოფილი რიგისაა (ხარისხისა და გვარის), როგორც სითბოა; ამას გარდა, შეუძლებელია, სითბოს ან ქვის იდეა იყოს ჩემში, თუ იგი (იდეა) ჩემში არ გაჩნდა რაიმე მიზეზით, რომელშიც, ყოველ შემთხვევაში, იმდენივე რეალობაა, რამდენიც მე წარმომიდგენია სითბოსა თუ ქვაში. თუმცა ამ მიზეზს თავისი აქტუალური ანუ ფორმალური

[13] **აქტუალური ანუ ფორმალური** რეალობის ცნებაში იგულისხმება ყოფიერების /in actu/ მქონე რამ.

[14] **ფორმალურად ანუ ემინენტურად** ე.ი. თანაბრად ან უაღრესად დიდად; /თანაბარი ან უმაღლესი ხარისხით/.

რეალობიდან არაფერი გადააქვს ჩემს იდეაში, მაინც არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მიზეზი ნაკლებად რეალურია. ასეთი გახლავთ იდეის ბუნება, რომელიც თავისთავად არ ითხოვს არავითარ სხვა ფორმალურ რეალობას, გარდა იმისა, რასაც იგი სესხულობს ჩემი აზროვნებისაგან, რომლის ერთადერთი მოდუსიც თავად არის. იმისათვის, რომ ასეთი იდეა შეიცავდეს უმალ ამა თუ იმ ობიექტურ რეალობას და არა რომელიმე სხვას, ეს უდავოდ უნდა ჰქონდეს მას რაიმე მიზეზისაგან, რომელიც, სულ მცირე, იმდენივე ფორმალურ რეალობას მაინც უნდა ატარებდეს, რამდენი ობიექტური რეალობაცაა იდეაში. თუ დავუშვებთ, რომ იდეაში გვხვდება რაღაც, რაც არ იყო მის მიზეზში, მაშინ მას იგი მიეღია არარასაგან /le néant/; მაგრამ რაოდენ სრულყოფილიც არ უნდა იყოს არსებობის ეს ფორმა, რომლითაც რაიმე ობიექტურად არსებობს გონებაში, რომელიმე იდეის სახით, მაინც შეუძლებელია იმის თქმა, რომ ასეთი არსებობა არაფერია, არც მაშასადამე იმის აღნიშვნა, რომ ეს იდეა არარადან მომდინარეობს. ასევე არ უნდა დავეჭვდე იმაშიც, რომ რაკი რეალობა, რომელსაც მე ვხედავ ჩემს იდეებში, მხოლოდ ობიექტურია, საჭირო აღარ არის, იგივე რეალობა ფორმალურად იყოს ამ იდეათა მიზეზებში და საკმარისია, მათში იგი იყოს ასევე ობიექტურად. რადგან, როგორც ობიექტური არსებობის ფორმა იდეებს ეკუთვნის თავიანთი საკუთარი ბუნებით, ზუსტად ასევე ფორმალური არსებობის სახე ეკუთვნის ამ იდეათა მიზეზებს — ყოველ შემთხვევაში თავიანთი ბუნების ძალით — პირველ და მთავარ მიზეზებს. შესაძლოა, ერთმა იდეამ წარმოშვას მეორე, მაინც შეუძლებელია ამის

დაუსრულებლად გაგრძელება, საბოლოოდ აუცილებლად უნდა მივიდეთ პირველ იდეამდე, რომლის მიზეზი იქნება ერთგვარი პირველწყარო, რომელშიც ფორმალურად მოცემულია მთელი რეალობა, რაც იდეაში მხოლოდ ობიექტურია. ასე რომ, ბუნებრივი სინათლე ნათლად მიჩვენებს: იდეები ჩემში არიან ერთგვარი ხატები, რომელთაც, ცხადია, ძალუძთ იოლად დაკარგონ იმ საგანთა სრულყოფილება, რომელთაგანაც ისინი მომდინარეობენ, მაგრამ არ შეუძლიათ შეიცავდნენ თავის თავში რაიმე უფრო დიდს ან უფრო სრულყოფილს.

რაც უფრო ხანგრძლივად და გულდასმით განვიხილავ ყოველივე ამას, მით უფრო ნათლად და გარკვევით ვრწმუნდები თქმულის ჭეშმარიტებაში. საბოლოოდ, აქედან უნდა გამოვიტანო შემდეგი დასკვნა: თუ რომელიმე ჩემი იდეის ობიექტური რეალობა იმდენად დიდია, რომ დარწმუნებული ვარ იგი ჩემში არ არის არც ფორმალურად, არც ემინენტურად და რომ ამგვარად, შეუძლებელია თავად მე ვიყო ამ იდეის მიზეზი, მაშინ ეს აუცილებლობით ადასტურებს, რომ მე ერთადერთი არა ვარ ამქვეყნად, რომ არსებობს რაღაც სხვა რამ, რომელიც ამ იდეის მიზეზია. პირიქით, თუ ჩემში არ მოიძებნება რაიმე ამგვარი იდეა, მე აბსოლუტურად არავითარი არგუმენტი არ მექნება, რომელიც დამარწმუნებს ჩემგან განსხვავებული რაიმეს არსებობაში. ყველაფერი, მართლაც, ძალზე გამოწვლილვით გამოვიკვლიე და აქამდე სხვა ვერაფერი აღმოვაჩინე.

ჩემში არსებულ იდეათა შორის, გარდა იმისა, რომელიც ჩემს საკუთარ თავს წარმომიდგენს და რომლის მიმართაც აქ შეუძლებელია რაიმე

სირთულე წარმოიშვას, არსებობს სხვაც, რომელიც მიუთითებს ღმერთზე, ზოგი იდეა სხეულებრივ და უსულო საგნებს წარმომიდგენს, ზოგი – ანგელოზებს, ზოგი – ცხოველებს, დაბოლოს, ზოგიც – ჩემს მსგავს ადამიანებს.

რაც შეეხება ამ იდეებს, რომლებიც სხვა ადამიანებს, ცხოველებს ან ანგელოზებს წარმომიჩენენ, მე კარგად მესმის, რომ ისინი შეიძლება წარმოიქმნენ სხეულებრივ საგანთა იდეებისა და ღმერთის იდეის შეერთებით, თუნდაც ჩემ გარდა ამქვეყნად არც ერთი ადამიანი, არც ერთი ცხოველი და არავითარი ანგელოზი არ არსებობდეს.

სხეულებრივი საგნების იდეებში, მე ვერ ვხედავ ვერაფერს დიადს, რის გამოც არ შეიძლებოდა ისინი თავად ჩემგან მომდინარედ არ მიმეჩნია. თუ მე ამ იდეებს შევისწავლი უფრო საფუძვლიანად და თითოეულ მათგანს ისევე განვიხილავ, როგორც გუშინ განვიხილე იდეა ცვილისა, დავინახავ, რომ ძალზე ცოტაა მათში ნათლად და გარკვევით აღსაქმელი: ასეთებია სიდიდე ანუ განფენილობა სიგრძეში, სიგანეში და სიღრმეში, ფორმა, რომელიც მიიღება ამ განფენილობისათვის საზღვრის დადებით, მდებარეობა სხვადასხვა ფორმის ნივთებისა ერთმანეთის მიმართ და მოძრაობა, ანუ ამ მდებარეობის შეცვლა; ამას შეიძლება დავუმატოთ სუბსტანცია, ხანგრძლივობა და რიცხვი.

რაც შეეხება დანარჩენს, როგორიცაა: სინათლე და ფერი, ბგერა, სუნი, გემო, სითბო, სიცივე და სხვა შეხებით აღქმული თვისებები, ისინი იმდენად ბუნდოვნად და გაურკვევლად მოიაზრებიან ჩემ მიერ, რომ არც კი ვიცი, ჭეშმარიტნი არიან თუ მცდარნი, ე. ი. ეს იდეები, რომლებიც მე გამაჩნია,

ნამდვილად ჭეშმარიტი საგნების იდეებია, თუ ნივთის რაობის არმქონე რაიმესი. თუმცა მცდარობის პირდაპირი მნიშვნელობა – ფორმალური მცდარობა – შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ მსჯელობებში, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნე, იდეებშიც უდავოდ არის რაღაც სხვა მცდარობა – მატერიალური მცდარობა – როდესაც ისინი ნივთად წარმოგვიდგენენ იმას, რაც არ არის ნივთი. მაგალითად, სითბისა და სიცივის იდეები იმდენად ბუნდოვანი და სიცხადეს მოკლებულია, რომ არ შეიძლია მათი მეშვეობით შევიტყო – სიცივე მხოლოდ სითბოს არარსებობაა, თუ სითბო – სიცივის არარსებობაა, ორივე რეალური თვისებაა თუ არც ერთი მათგანი ასეთი არაა. ყოველი იდეა აუცილებლობით გვეძლევა როგორც საგნის იდეა, ამიტომ თუ ჭეშმარიტია ის, რომ სიცივე მხოლოდ სითბოს მოკლებული რამ არის, იდეა, რომელიც მე სიცივეს წარმომიჩენს როგორც რაღაც რეალურსა და პოზიტიურს, სამართლიანად შეიძლება იწოდოს მცდარად; დანარჩენებზეც იგივე ითქმის. ცხადია, არ არის აუცილებლობა, ამ იდეის ავტორობა მივაწეროთ სხვას და არა საკუთარ თავს. თუ აღმოჩნდა, რომ ისინი მცდარია, ე. ი. ისინი საერთოდ არ წარმოგვიდგენენ საგნებს, ბუნებრივი სინათლე მიმახვედრებს, რომ ისინი მომდინარეობენ არარასაგან ე. ი. არ არსებობს სხვა მიზეზი მათი ჩემში არსებობისა, თუ არა აბსოლუტურ სრულყოფილებას მოკლებული ჩემი ბუნება. პირიქით, თუ ისინი ჭეშმარიტია, მაშინ (ეს იდეები) ისე მცირე რეალობაზე მიმითითებენ, რომ არ შეიძლია ეს ცოტაოდენი რამ არარასაგან გავარჩიო, ამიტომ არ მესმის, რატომ არ შეიძლება, ისინი თავად ჩემგან მომდინარეობდნენ.

რაც შეეხება სხეულებრივ საგანთა ნათელ და გარკვეულ იდეებს, ეტყობა, ზოგიერთი მათგანი, შეიძლო მიმელო იმ იდეიდან, რომელიც თავად ჩემ თავზე გამაჩნდა. ასეთებია სუბსტანცია, ხანგრძლივობა, რიცხვი და სხვა მისთანანი. როდესაც ვფიქრობ, რომ ქვა არის სუბსტანცია, ე. ი. საგანი, რომელსაც შეუძლია თავისთავად არსებობა და თავად მეც ვარ სუბსტანცია, რადგან ვარ მოაზროვნე რამ, თუმცა განუფენელი, ქვა კი განფენილია და არამოაზროვნე; მაშასადამე, ამ ორ ცნებას შორის ძალზე დიდი განსხვავებაა, მიუხედავად ამისა, ეტყობა, სუბსტანციასთან მიმართებით, მათ შორის შსგავსებაცაა. ზუსტად ასევე, როდესაც მე ალვიქვამ ჩემს ამჟამად არსებობას და მახსენდება, რომ ადრეც, გარკვეული დროის განმავლობაში, ვარსებობდი, ამასთან ვაცნობიერებ, რომ მაქვს სხვადასხვა აზრი ჩემთვის ცნობილი ოდენობით, მაშინ მექმნება ხანგრძლივობისა და რიცხვის იდეები, რომლებიც შემდეგ შეიძლია გადავიტანო ნებისმიერ რამეზე. რაც შეეხება ყველა დანარჩენ თვისებას, რომლებიც ხელს უწყობენ სხეულებრივი საგნების იდეების შექმნას, კერძოდ, განფენილობას, ფორმას, მდებარეობას და მოძრაობას, ცხადია, ფორმალურად ისინი ჩემში არ არიან, რადგან მე მხოლოდ და მხოლოდ მოაზროვნე არსება ვარ; მაგრამ რადგან ჩამოთვლილი თვისებები მხოლოდ სუბსტანციის გარკვეული მოდუსებია და თავად მეც სუბსტანცია ვარ, იქნებ, ისინი ემინენტურად ჩემშიც არსებობენ.

მაშასადამე, რჩება ერთადერთი იდეა – ღმერთისა. უნდა ყურადღებით განვიხილოთ: ხომ არ არის მასში რაიმე ისეთი, რაც არ შეიძლება მომდინარეობდეს თავად ჩემგან. ღმერთის სახით

მე ვგულისხმობ *უსასრულო, დამოუკიდებელ, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე სუბსტანციას*, რომელმაც შემქმნა თავად მეც და ყოველივე სხვაც, რასაც არსებობა აქვს, თუ მართლაც არსებობენ ისინი. რაც მეტ ყურადღებას ვაპყრობ ღმერთის სრულყოფილებას, მის თვისებებს, მით უფრო შეუძლებლად მეჩვენება აზრი, რომ ისინი მომდინარეობენ მხოლოდ ჩემგან. ამრიგად, იმის საფუძველზე რაც ზემოთ ითქვა, უნდა დავასკვნათ: ღმერთი აუცილებლად არსებობს.

სუბსტანციის იდეა, ცხადია, ჩემშია იმიტომ, რომ მე თავადაც სუბსტანცია ვარ. მაგრამ როგორც სასრულ არსებას, მე არ შეიძლება მქონდეს უსასრულო სუბსტანციის იდეა; ასეთი რამ უნდა მოდიოდეს ისეთი სუბსტანციისაგან, რომელიც, მართლაც, უსასრულოა.

არ უნდა ვიფიქრო, რომ უსასრულოს აღვიქვამ არა ჭეშმარიტი იდეით, არამედ მხოლოდ სასრულის უარყოფით, ისე როგორც აღვიქვამ სიმშვიდესა და წყვდიადს აფორიაქებისა და სინათლის უარყოფით. პირიქით, მე ნათლად ვხედავ, რომ უსასრულო სუბსტანციაში უფრო მეტი რეალობაა, ვიდრე სასრულში და ჩემშიც უსასრულოს პერცეფცია, ერთგვარად, წინ უსწრებს სასრულისას, ე. ი. ღმერთის პერცეფცია — ჩემსას. მართლაც, როგორ გავიგებდი, რომ ვეჭვობ, მსურს, ე. ი. რომ მაკლია რაღაც და არ ვარ სავსებით სრულყოფილი, ჩემში რომ არ ყოფილიყო რაიმე იდეა უფრო სრულყოფილი არსებისა, რომელთან მიმართებითაც უნდა გამეგო საკუთარი ნაკლოვანებები?

არც იმის თქმა შეიძლება, რომ დასაშვებია, ღმერთის ეს იდეა ფაქტობრივად მცდარია და,

მაშასადამე, შეიძლება მომდინარეობს არარასაგან. მსგავსი რამ ცოტა ზემოთ აღვნიშნე სითბო-სიცივისა და სხვა მსგავს იდეათა მიმართ. პირიქით, ღმერთის იდეა ყველა იდეაზე უფრო ნათელი და გარკვეულია და შეიცავს უფრო მეტ ობიექტურ რეალობას, ვიდრე რომელიმე სხვა; არ არსებობს ისეთი იდეა, რომელიც თავისთავად უფრო ჭეშმარიტი იყოს, ანდა რომელიც უფრო ნაკლებად დაგვაეჭვებდა მცდარობაში, ვიდრე ღმერთის იდეა. მე ვამბობ, რომ ყოვლად სრულყოფილი და უსასრულო არსების ამ იდეას აქვს ყველაზე უფრო მაღალი ჭეშმარიტება. თუმცა, შესაძლოა, წარმოვიდგინოთ რომ ამგვარი არსება არ არსებობს, მაგრამ წარმოდგენა იმისა, რომ მისი იდეა არაფერს რეალურს არ ასახავდეს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნე სიცივის იდეის მიმართ, შეუძლებელია. ეს იდეა უაღრესად ნათელი და გარკვეულია; ყოველივე რეალური და ჭეშმარიტი, რასაც მე ნათლად და გარკვევით აღვიქვამ და შეიცავს რაიმე სრულყოფილებას, მთლიანად არის ამ იდეაში.

არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ მე არ მესმის, რა არის უსასრულობა, არც იმას, რომ ღმერთის ყოვლისმომცველობის არანაირი გზით გაგება და გონებით წვდომა არ შემიძლია. მართლაც, შეუძლებელია, რომ მე, სასრულმა, გავიგო, რა არის უსასრულობის ბუნება. საკმარისია ეს მესმოდეს და ვაღიარებდე — ყველაფერი, რასაც აღვიქვამ გარკვევით, რაღაც სრულყოფილების მქონეა; ასევე, შესაძლოა, უამრავი ჩემთვის უცნობი სრულყოფილება არსებობს ღმერთში ფორმალურად ან ემინენტურად — რომ თავად ჩემში არსებული იდეა ღმერთისა გახდეს ყველაზე ჭეშმარიტი, ყველაზე

ნათელი და ყველაზე გარკვეული იმ იდეათა შორის, რომელიც პირადად მაქვს.

შესაძლოა, იმაზე უფრო მეტი ვარ, ვიდრე მე მგონია საკუთარი თავი და ყველა სრულყოფილება, რომელთაც მე ღმერთს მივაწერ, როგორღაც ჩემშიც არის პოტენციურად, თუმცა ჯერ კიდევ გამოუვლენელილი და აქტუალობას მოკლებულია. მართლაც, გამოცდილებით უკვე ვიცი, რომ ჩემი ცოდნა იზრდება და თანდათანობით სრულიყოფა; რამ უნდა შეუშალოს ხელი მის შემდგომ ზრდას თუნდაც უსასრულობამდე; რატომ არ შეიძლება, ჩემი ცოდნა ოდესღაც ისე ამაღლდეს, რომ მისი მეშვეობით ღმერთის ყველა სრულყოფილება შემეძინა? განა ჩემში არსებული პოტენციური უნარი ამ სრულყოფილებების შეძენისა, თუკი ასეთი, მართლაც, არის ჩემში, არ იქნება საკმარისი იმისათვის, რათა წარმოშვას იდეა ამ სრულყოფილებათა შესახებ. მაგრამ არა! ამის მსგავსი რამ შეუძლებელია. ჯერ ერთი, თუ დავუშვებთ, რომ ჩემი ცოდნა ჭეშმარიტად თანდათანობით იზრდება და რომ ჩემში არის შესაძლებლობა მრავალი, ჯერ კიდევ არააქტუალური რამის მიმართ, მაინც არაფერი აქედან არ მიეკუთვნება ღმერთის იდეას, რომელშიც, ცხადია, საერთოდ არაფერია პოტენციური. თავად ის ფაქტი, რომ ჩემი ცოდნა იზრდება თანდათანობით, არის ძალზე უტყუარი საბუთი ჩემივე არასრულყოფილებისა. ამას გარდა, თუნდაც ჩემი ცოდნა მარად იზრდებოდეს, მაინც არასოდეს არ იქნება აქტუალურად უსასრულო, რადგან ვერასოდეს მიაღწევს ისეთ წერტილს, რის შემდეგაც კვლავ გაზრდის უნარი აღარ ექნება. ღმერთი კი აქტუალურად იმდენად უსასრულოა,

რომ შეუძლებელია, მის სრულყოფილებას რაიმე დაემატოს. დაბოლოს, მე მესმის, რომ იდეის ობიექტური არსებობა შეუძლებელია წარმოშვას პოტენციურმა არსებობამ, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არარაობაა — იდეის წარმოქმნა შეუძლია მხოლოდ აქტუალურ ანუ რეალურ არსებობას.

ცხადია, ამ ნათქვამში არაფერია ისეთი, რაც ნათლად არ გაიგებოდეს ბუნებრივი სინათლით, თუ მას გულდასმით მივაპყრობთ ყურადღებას. მაგრამ როგორც კი სიფხიზლეს მოვადუნებ და გრძნობადი საგნების ხატები გონით ხედვას მიბნელებენ, ჩემთვის ისე იოლი აღარ არის მახსოვდეს ჩემზე სრულყოფილის იდეა რატომ უნდა მომდინარეობდეს აუცილებლად ისეთი არსებისაგან, რომელიც მართლაც უფრო სრულყოფილია; ამიტომ მირჩევნია, გავაგრძელო კვლევა, რათა დავრწმუნდე — შეიძლებოდა თუ არა თავად ჩემი, ამ იდეის მატარებლის არსებობა იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებოდა ღმერთი.

მაშ ვისგან მივიღებდი ჩემს არსებობას? ცხადია, თავად ჩემგან, მშობლებისაგან, ან ნებისმიერ ვიღაც სხვათაგან, ოღონდ ნაკლებად სრულყოფილთაგან, ვიდრე ღმერთია; მართლაც, შეუძლებელია მოიაზრო ან წარმოიდგინო რაიმე მასზე სრულყოფილი, ან, თუნდაც, მისი ტოლფასი.

მე რომ ჩემი არსებობა თავად ჩემგანვე მქონდეს, მაშინ არც ეჭვები მექნებოდა, არც სურვილები და, საერთოდ, აბსოლუტურად არაფერი დააკლდებოდა ჩემს არსებობას: საკუთარ თავს თვითონვე მივანიჭებდი ყველა სრულყოფილებას, რომელთა იდეაც გამაჩნია და ამგვარად ვიქნებოდი თავად ღმერთი.

არ უნდა ვიფიქრო, რომ ის საგნები, რომლებიც მე მაკლია, უფრო ძნელი შესაცნობია, ვიდრე ისინი, რომლებიც ჩემშია. პირიქით, ჩემთვის, მოაზროვნე არსების ანუ სუბსტანციისათვის, ცხადია, ბევრად უფრო მიუღებელია იმის დაჯერება, რომ მე წარმოვიშვი არარასაგან, ვიდრე ცოდნის შეძენა მრავალი იმ საგნის შესახებ, რომელიც არ ვიცი და რომლებიც მხოლოდ აქციდენციებია ამ სუბსტანციისა. ცხადია, რომ შემეძლოს, საკუთარ თავს მივცე უფრო მეტი, მაშინ, ალბათ, უარს ვერ ვეტყოდი იმ საგნებზე, რომლებიც უფრო იოლად შესაძენია და ვერც ერთ იმ თვისებაზე, რომელსაც ვჭვრეტ ღმერთის იდეაში, რადგან მათ შორის არც ერთი არ მეგულება ძნელად მიღწევადი. მაგრამ მათში თუ აღმოჩნდებოდა რომელიმე ძნელად მისაღწევი თვისება, ცხადია, იგი უფრო რთულად მომეჩვენებოდა, თუკი ჩემში არსებული ყოველივე დანარჩენი ჩემგან მექნებოდა წარმოებული, რაც დამარწმუნებდა, რომ ჩემი შესაძლებლობა შეზღუდულია.

თუ დავუშვებ, რომ მე ყოველთვის ისეთი ვიყავი, როგორიც ამჟამად ვარ, ამით მაინც თავს ვერ დავაღწევდი ამ საბუთების ძალას, რადგან აქედან ის დასკვნა უნდა გამომეტანა, რომ საჭირო არ არის ვეძებო ჩემი არსებობის არავითარი ავტორი ღმერთის გარდა. მართლაც, მთელი ჩემი ცხოვრების ხანგრძლივობა შეიძლება დაიყოს უამრავ ნაწილად, რომელთაგანაც არც ერთი არანაირად დამოკიდებული არ არის სხვებზე. იქიდან, რომ მე ვარსებობდი ცოტა ხნის წინათ, არ გამომდინარეობს, რომ მე ამჟამადაც უნდა ვიყო, ცხადია, თუ რაიმე მიზეზი არ მინარჩუნებს არსებობას, ან

თავიდან არ მქმნის ამ მომენტში. თუ ყურადღებით განვიხილავთ დროის ბუნებას, ცხადი გახდება, რომ სუბსტანცია ზუსტად იმდენსავე ძალასა და ისეთსავე ქმედებას საჭიროებს საკუთარი თავის შესანარჩუნებლად თითოეული წუთის განმავლობაში თავისი არსებობის გასაგრძელებლად, რამდენიც და როგორიც აუცილებელია არარსებული საგნის ხელახლა წარმოსაქმნელად. ასე რომ, შენარჩუნებასა და შექმნას შორის სხვაობა მხოლოდ გონებისეულია. აი, კიდევ ერთ-ერთი საცხადე ბუნებრივი სინათლისა.

სწორედ ამიტომ ახლა საკუთარ თავს უნდა ვკითხო: მაქვს თუ არა რაიმე ძალა, რომლის მეშვეობითაც შევძლებ, რომ მე, ამჟამად მყოფი, ცოტა ხნის შემდეგაც ვიყო. მე მხოლოდ და მხოლოდ მოაზროვნე არსება ვარ, უფრო ზუსტად, ამჟამად საქმე ეხება მხოლოდ ჩემს ამ ნაწილს ე. ი. სუბსტანციას, რომელიც აზროვნებს. თუ ეს ასეა, და ამგვარი ძალა არის ჩემში, მე უეჭველად უნდა მეგრძნო იგი. მაგრამ ვერავითარ ამგვარ ძალას ჩემში ვერ ვპოულობ, ამიტომაც ძალზე ცხადად ვიცი, რომ დამოკიდებული ვარ რაღაც ჩემგან განსხვავებულ არსებაზე.

შესაძლოა, ეს არსება ღმერთი არ არის და მე შექმნილი ვარ ან მშობლების მიერ, ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, ოღონდ ნაკლებ სრულყოფილით, ვიდრე ღმერთია. მაგრამ არა! როგორც უკვე ვთქვი, მიზეზში სულ მცირე იმდენივე რეალობა უნდა იყოს, რამდენიც შედეგში. ამიტომ, რადგან მე მოაზროვნე არსება ვარ და ჩემში გამაჩნია რაღაც იდეა ღმერთისა, როგორიც არ უნდა იყოს საბოლოო, დადგენილი მიზეზი ჩემი არსებობისა,

უნდა ვალიაროთ, რომ ისიც ისეთი სუბსტანციაა, რომელიც აზროვნებს და თავის თავში შეიცავს ყველა იმ სრულყოფილებას, რომელსაც ღმერთს მივაწერ. აქედან, ჩვენი მხრივ, შეიძლება ვიკითხოთ: ეს მიზეზიც თავისი თავიდან იღებს საკუთარ არსებობას, თუ რაიმე სხვა სუბსტანციიდან? თუ მისი არსებობა მომდინარეობს საკუთარი თავიდან, მაშინ ზემოთქმულის საფუძველზე ეს მიზეზი ღმერთია. იმ ფაქტიდან, რომ იგი ფლობს ძალას თავისთავად არსებობისა, მას ასევე უდავოდ გააჩნია ის ძალაც, აქტუალურად ფლობდეს ყველა სრულყოფილებას, რომელთა ამსახველ იდეებსაც იგი ატარებს, ე. ი. ღმერთს აქვს ყველა სრულყოფილება, რომელთაც მე მოვიაზრებ მასში, თუ ჩემი არსებობის მიზეზი მომდინარეობს სხვა სუბსტანციიდან, მაშინ იმავე საფუძველზე, შეიძლება კვლავ ვიკითხოთ: ეს მიზეზიც თავისთავადაა წარმოშობილი, თუ რაიმე სხვა სუბსტანციის მიერ... და ასე უსასრულოდ, ვიდრე საბოლოოდ არ მივალთ უკანასკნელ მიზეზამდე — ღმერთამდე. ცხადია, შეუძლებელია, ეს დაუსრულებლად გაგრძელდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირითადად აქ საკითხი ეხება არა იმდენად იმ მიზეზს, რომელმაც მე ოდესღაც წარმომშვა, არამედ განსაკუთრებით იმას, რომელიც ამჟამად ჩემს შენარჩუნებას ახერხებს.

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ჩემს წარმოშობაში მონაწილეობდა მრავალი ცალკეული მიზეზი, რომელთაგან ერთმა შეიქმნა იდეა რომელიმე ერთ სრულყოფილებაზე, მეორესაგან მივიღე იდეა სხვა სრულყოფილებაზე; ამ სრულყოფილებებს კი მე ღმერთს მივაწერ; გამოდის, რომ ყველა ეს სრულყოფილება იარსებებდა სამყაროში და არ

იქნებოდა შეერთებული ერთადერთ არსებაში — ღმერთში. პირიქით, ერთ-ერთი უმთავრესი სრულყოფილება, რომელიც მე ღმერთში მეგულება, ეს არის ერთიანობა, სიმარტივე, ე. ი. განუყოფელობა ყოველივე იმისა, რაც მასშია. უდავოა, რომ ყველა ამ სრულყოფილებათა ერთიანობის იდეას ჩემში ვერ დაამკვიდრებდა რაიმე სხვა ისეთი მიზეზი, რომელიც უძლური იქნებოდა ჩემთვის შთაეგონებინა ყველა სხვა სრულყოფილებათა იდეა. იგი ამას ვერ შეძლებდა თუნდაც იმიტომ, რომ მე ვერ მოვიაზრებდი ერთად ყველა სრულყოფილებას გაერთიანებულსა და განუყოფელს ერთმანეთისაგან, თუ იმავდროულად არ მეცოდინებოდა რანი არიან ეს სრულყოფილებები.

რაც შეეხება მშობლებს, თუ დავუშვებთ, რომ მართალია ყველაფერი, რასაც მე ადრე ვფიქრობდი მათ შესახებ, მაინც უდავოა, ისინი ვერ ახერხებენ ჩემი არსებობის შენარჩუნებას და არც არანაირად არ არიან ჩემი წარმოშობის ნამდვილი მიზეზი, რადგან მე ვარ მოაზროვნე არსება; მათ მხოლოდ შესძინეს გარკვეული მიდრეკილებანი ამ სუბსტანციას, რომელშიც გონი — სული — არის ერთადერთი, რაც ამჟამად მიმაჩნია ჩემ „მე"-დ. მაშასადამე, შეუძლებელია იყოს რაიმე სირთულე ჩემი მშობლების მიმართ. მხოლოდ იქიდან, რომ მე ვარსებობ და ვფლობ უფრო სრულყოფილი არსების, ე. ი. ღმერთის იდეას, ძალზე ცხადად დასტურდება, რომ ღმერთი არსებობს.

მე ისღა მრჩება, განვიხილო, თუ როგორ შევიძინე ღმერთის ეს იდეა. ცხადია, იგი არ მიმიღია გრძნობებიდან და არც გამჩენია წარმოდგენის სახით, როგორც ჩვეულებრივ ხდება

ხოლმე გრძნობადი საგნების იდეების შემთხვევაში, როდესაც ისინი წარმოგვიდგებიან, ან გვგონია, რომ წარმოუდგებიან გრძნობის გარეგან ორგანოებს. ღმერთის იდეა ასევე არ გახლავთ ჩემგან შექმნილი, რადგან მე აბსოლუტურად არ შემიძლია რაიმე მივუმატო ან დავაკლო ამ იდეას; მაშასადამე, რჩება ის, რომ იდეა ღმერთისა ჩემში თანდაყოლილია, ისევე როგორც თანდაყოლილია იდეა თავად საკუთარ თავზე.

ცხადია, სრულიადაც არ არის გასაოცარი, რომ ღმერთმა ჩემი შექმნისას ჩემში ჩადო ეს იდეა, როგორც ტვიფრი, რომლითაც ხელოსანი აღბეჭდავს ხოლმე თავის ქმნილებას; არ არის საჭირო, რომ ეს ნიშანი იყოს თავად ამ ქმნილებისაგან განსხვავებული რამ. მაგრამ იქიდან, რომ ღმერთმა შემქმნა მე თავის ხატად და მსგავსად, მე ვწვდები ამ მსგავსებას, რომელიც მოცემულია ღმერთის იდეაში და ვწვდები იმავე უნარით, რომლითაც შევიცნობ საკუთარ თავს, ე. ი. როდესაც მე ჩემს თავს მივაპყრობ გონით მზერას, მე არა მხოლოდ ვხედავ, რომ არასრულყოფილი და სხვაზე დამოკიდებული არსება ვარ, მარად დაუსრულებლად რომ ისწრაფვის უფრო მეტისა და უკეთესისაკენ, არამედ იმავდროულად ვხვდები შემდეგსაც: ვისზე დამოკიდებულიც ვარ, იგი თავის თავში ფლობს ყველაფერს ჩემთვის საოცნებოს არა მხოლოდ განუსაზღვრელად და პოტენციურად, არამედ უსასრულოდაც და ამიტომაც არის ის ღმერთი. მთელი ძალა ამ არგუმენტისა ის არის, რომ მე ვალიარებ: შეუძლებელია მე ვიყო ისეთივე ბუნებისა, როგორიც არის ის, ე. ი. შეუძლებელია ჩემში იყოს ღმერთის იდეა, ღმერთი რომ

არ არსებობდეს; როდესაც ვახსენებ — ღმერთი, ვგულისხმობ ღმერთს, რომლის იდეაც ჩემშია და რომელიც ფლობს ყველა იმ სრულყოფილებას, რომლებიც, ჩემი მხრივ, გონებით არ მესმის, მაგრამ რაღაცნაირად ვწვდები, რომ აღნიშნული იდეა აბსოლუტურად უნაკლოა.

აქედან სავსებით ცხადია, რომ, შეუძლებელია იგი იყოს მატყუარა: ყოველგვარი თაღლითობა და სიცრუე, ხომ უსათუოდ რაღაც ნაკლზეა დამოკიდებული; ამას ცხადად გვიჩვენებს ბუნებრივი სინათლე.

მაგრამ, ვიდრე უფრო გამოწვლილვით შევისწავლიდე ამ საკითხს და იმავდროულად შევუდგებოდე აქედან გამომდინარე სხვა ჭეშმარიტებათა განხილვას, მსურს, ცოტა ხნით შევჩერდე ღმერთის, როგორც ასეთის ჭვრეტაზე, შევაფასო ღმერთის ატრიბუტები, ვაქციო ჩემი ინტუიციის, აღტაცებისა და თაყვანისცემის საგნად ამ ვეება სინათლის მშვენიერება, ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მომცემს ჩემი ერთგვარად დაბნელებული გონითი მზერა. რწმენა ხომ გვასწავლის, რომ უმაღლესი ნეტარება იმქვეყნიური ცხოვრებისა მხოლოდ ღვთაებრივი უზენაესობის ჭვრეტაა, ჩვენ კი უკვე ამჟამად გამოცდილებით ვრწმუნდებით, რომ უფლის სიდიადის ჩვენეულ ჭვრეტას, თუმცა გაცილებით ნაკლებად სრულყოფილს, შეუძლია, მოგვანიჭოს ყველაზე უდიდესი სიამოვნება, რისი განცდის უნარიც კი შეგვწევს სააქაო ცხოვრებაში.

მედიტაცია მეოთხე

ჭეშმარიტისა და მცდარის შესახებ

ბოლო ხანებში ისე შევეჩვიე გონების განთავისუფლებას გრძნობებისაგან და იმდენი გულმოდგინება გამოვიჩინე, რომ შევნიშნე, თუ რა ძალზე ცოტა ჭეშმარიტი პერცეფცია გაგვაჩნია სხეულებრივ საგნებზე, რომ ბევრად უფრო მეტი რამ ვიცით ადამიანის გონის, კიდევ უფრო მეტი – ღმერთის შესახებ; ასე რომ, ახლა, ჩემთვის ძალზე იოლია, საკუთარი აზროვნება ჩამოვაშორო გრძნობად საგნებს და მივაპყრო იგი ყოველგვარ მატერიისაგან თავისუფალ, წმინდა გონებისმიერ საგნებს. ცხადია, ჩემი იდეა ადამიანური გონის შესახებ – რამდენადაც გონი არის მოაზროვნე რამ, არაგანფენილი სიგრძესა, სიგანესა და სიღრმეში, თავისუფალი ყოველივე იმისაგან, რაც დამახასიათებელია სხეულებრივი საგნისათვის – ბევრად უფრო გარკვეულია, ვიდრე ნებისმიერი სხეულებრივი საგნის იდეა. წითვალისწინებ რა რომ ვეჭვობ, ე. ი. ვარ არასრული და დამოკიდებული რამ, იდეა დამოუკიდებელი და სრულყოფილი არსების ანუ ღმერთისა, წარმომიდგება ძალზე ნათლად და გარკვევით; მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ასეთი იდეა არის ჩემში, ანდა სხვაგვარად, ის, რომ მე, ვინც ვატარებ ამ იდეას, ვარსებობ, მაძლევს საშუალებას ასევე ცხადად დავასკვნა,

რომ ღმერთი არსებობს და ჩემი არსებობა საკუთრივ დამოკიდებულია მასზე სიცოცხლის ყოველ წუთს, რომ შეუძლებელია ადამიანის გონებამ შეიცნოს რაიმე ამაზე უფრო ცხადი და უფრო ჭეშმარიტი. ახლა უკვე მგონი ვხედავ გზას, რომლითაც ამგვარი ჭვრეტით ჭეშმარიტი ღმერთისა – მასში კი დაუნჯებულია მეცნიერებისა და სიბრძნის ყველა საგანძური – შევიმეცნებთ ყველა სხვა საგანს.

უპირველეს ყოვლისა, შეუძლებელად მიმაჩნია, რომ ღმერთი მატყუებდა; ყოველგვარი სიცრუე თუ თაღლითობა ხომ არასრულყოფილების ნიშანია. თუმცა, ეტყობა, მოტყუების უნარი მიგვანიშნებს პიროვნების გამჭრიახობასა თუ ძალაზე, ეჭვგარეშე მოწმობს მის ეშმაკობას ან სისუსტეს, რაც შეუძლებელია ახასიათებდეს ღმერთს.

გამოცდილება მარწმუნებს, რომ მაქვს განსჯის გარკვეული უნარი, რაც, ისე როგორც ყოველივე დანარჩენი, რაც ჩემშია, ცხადია, ბოძებულია ღმერთისაგან; რაკი შეუძლებელია ღმერთმა ინებოს ჩემი მოტყუება, ცხადია, მანვე იმიტომ მომცა აღნიშნული უნარი, რომ მისი სწორად გამოყენებით არასოდეს შევცდე.

ამ საკითხის თაობაზე არავითარი ეჭვი არ დამრჩებოდა, აქედან რომ არ გამომდინარეობდეს იმ დასკვნის ჭეშმარიტება, რომლის თანახმადაც მე არასოდეს არ შეიძლება შევცდე. თუკი ყოველივე ის, რაც ჩემშია ღმერთისმიერია და მანვე არ მომცა არავითარი უნარი, რათა მოვტყუვდე, მაშ ეტყობა, არასოდეს არ უნდა შევცდე. მართლაც, როდესაც საკუთარ თავს განვიხილავ როგორც მხოლოდ ღმერთიდან წარმოშობილს და როდესაც მთელი არსებით ყურადღებას მივმართავ მისკენ,

ვერ ვნახულობ ჩემში შეცდომისა თუ მცდარობის ვერავითარ ნიშანს; მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როგორც კი საკუთარ თავს მივუბრუნდები, გამოცდილება მარწმუნებს, რომ მაინც უამრავ ცდომილებას ვექვემდებარები; როდესაც მე ამის მიზეზს ვეძებ, ვამჩნევ, რომ ჩემს გონებას წარმოუდგება არა მხოლოდ რეალური და დადებითი იდეა ღმერთისა, ე. ი. ზესრულყოფილი არსებისა, არამედ, ასე ვთქვათ, ერთგვარი უარყოფითი იდეაც არარასი ე. ი. იმისა, რაც უაღრესად დაშორებულია ყოველგვარი სრულყოფილებისაგან. თავად მე ვარ რაღაც შუალედური რამ ღმერთსა და არარას შორის ე. ი. ისე ვარსებობ უმაღლეს ყოფიერებას /l'être/ და არარას /le non-être/ შორის, რომ ჩემში, როგორც უმაღლესი ყოფიერების ქმნილებაში, მართლაც, არაფერია ისეთი, რასაც ძალუძს მიმიყვანოს შეცდომამდე. მაგრამ თუ საკუთარ თავს განვიხილავ როგორც ერთგვარად არარასთან ანუ არარსებობასთან წილნაყარს, ე. ი. რაკი თავად მე არ ვარ უზენაესი ყოფიერება და უამრავ ნაკლს ვექვემდებარები, სრულიადაც არ იქნება საკვირველი, რომ მე ვცდებოდე.

ამგვარად, მე კარგად ვიგებ, რომ შეცდომა, როგორც ასეთი, არ არის რაღაც რეალური რამ, რომელიც დამოკიდებულია ღმერთზე, იგი მხოლოდ ნაკლია. მაშასადამე, იმისათვის რომ ვცდებოდე, არ მჭირდება ღმერთმა მიბოძოს რაღაც უნარი – არ მოვტყუვდე. როდესაც ვცდები, ამის მიზეზი ჭეშმარიტის მცდარისაგან გარჩევის ღვთის მიერ ბოძებული უნარის სასრულობა (შემოსაზღვრულობა) გახლავთ.

მაგრამ ეს მსჯელობა ჯერ კიდევ არ მაკმაყ-

ოფილებს სრულად; შეცდომა რეალურად არ არის წმინდა უარყოფა, ნაკლი ე. ი. უქონლობა რაღაც სრულყოფილებისა, რომელიც არ უნდა იყოს ჩემში, არამედ, ეს არის უმალ ნაკლი გარკვეული ცოდნისა, რომელიც რაღაც სახით უნდა ყოფილიყო ჩემში. როდესაც ღმერთის ბუნებას განვიხილავ შეუძლებლად მიმაჩნია ის, რომ მას ჩაედო ჩემში რაიმე ისეთი უნარი, რომელიც თავის გვარში არ იქნებოდა სრულყოფილი ანუ მოკლებული იქნებოდა სათანადო სრულყოფილებას. თუ მართალია, რომ დიდოსტატის ნახელავი უფრო სრულყოფილია, მაშინ სამყაროს უზენაეს შემოქმედს განა შეეძლო შეექმნა რაიმე, რაც არ იქნებოდა ყოველმხრივ უზადო? ეჭვგარეშეა, ღმერთს ხელეწიფებოდა შეექმენი ისეთად, რომ არასოდეს დამეშვა შეცდომა; ასევე, უდავოა ისიც, რომ მას ყოველთვის ის სურს, რაც საუკეთესოა. მაშ, ხომ არ ჯობია ვცდებოდე, ვიდრე ის, რომ არ ვცდებოდე?

რაც მეტი ყურადღებით განვიხილავ ამას, მით უფრო მეტად მებადება აზრი, რომ არ უნდა მიკვირდეს: არსებობს ღმერთის მიერ შექმნილი მრავალი რამ, რომელთა შეცნობა არ ექვემდებარება ჩემი გაგების უნარს; გამოცდილებით ვრწმუნდები მათ არსებობაში, თუმცა არ შემიძლია გავიგო, რატომ ან როგორ შექმნა ისინი ღმერთმა. ამის გამო მისი არსებობა არ უნდა მეეჭვებოდეს. რაკი მე უკვე ვიცი, რომ ჩემი ბუნება ძალზე შეზღუდული და სუსტია, ხოლო ღმერთისა, პირიქით, დიადი, მიუწვდომელი და უსასრულო, ასევე კარგად მესმის, რომ მის ძალაუფლებას ექვემდებარება უამრავი რამ, რომელთა შექმნის მიზეზი ჩემთვის უცნობია; ეს მსჯელობაც კმარა, რათა ვირწმუნო:

მიზეზთა მთელი ეს წყება, რომელიც, ჩვეულებრივ, მიზნიდან გამოყავთ, ფიზიკური საგნების მიმართ გამოუსადეგარია. არა მგონია კადნიერების გარეშე შეიძლებოდეს ღმერთის მიუწვდომელი მიზნების ძიება.

ასევე, ვფიქრობ, როცა გვაინტერესებს, ღმერთის ქმნილებები სრულყოფილია თუ არა, არა მხოლოდ რომელიმე ერთი, ცალკე აღებული ქმნილება უნდა ვიკვლიოთ, არამედ მათი ერთობლიობა. ერთი და იგივე რამ შეიძლება სრულიად საფუძვლიანად მოგვეჩვენოს ძალზე არასრულყოფილად, ცხადია, თუ იგი ერთადერთი იქნება სამყაროში; მაგრამ თუ იგი სამყაროს შემადგენელი ნაწილია და მას ასეთად განვიხილავთ, იგი ძალზე სრულქმნილი აღმოჩნდება. მას შემდეგ, რაც განვიზრახე ეჭვით შემეხედა ყველაფრისათვის, მხოლოდ ჩემი და ღმერთის უტყუარ არსებობაში დავრწმუნდი; რაკი შევიცან ღმერთის უსაზღვრო ძალმოსილება, არ შემიძლია იმის უარყოფა, რომ მან შემქმნა, ან შეეძლო შეექმნა მრავალი რამ. ასე რომ, მეც სამყაროს შემადგენელ ნაწილად მიმაჩნია თავი.

ამის შემდეგ უფრო ახლოს დავაკვირდი საკუთარ თავს და გამოვიკვლიე, რა სახისაა ჩემი შეცდომების ბუნება [ე. ი. ის, რაც საკმარისია ჩემში არსებული რაღაც არასრულყოფილების სამხილად]; მე შევამჩნიე, რომ ჩემი შეცდომები დამოკიდებულია ორი თანამდევი მიზეზის ურთიერთქმედებაზე, კერძოდ, ჩემში არსებული შემეცნების უნარზე და არჩევანის, ანუ ჩემი თავისუფალი გადაწყვეტილების უნარზე, ე. ი. ჩემს გონებასა და ნებაზე.

მხოლოდ გონების მეშვეობით, მე ვწვდები იდეებს, რომლებზეც შეიძლება მსჯელობა; თუ ასე

განვიხილავთ გონებას, მაშინ ვერასოდეს ვიპოვით მასში რაიმე შეცდომას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. თუმცა, შესაძლოა, არსებობს მრავალი რამ, რომელთა შესახებაც არავითარი იდეა არ გამაჩნია, მაგრამ ამის საფუძველზე მაინც არა მაქვს უფლება ვთქვა, რომ ამ იდეებს ბუნების გამო ვარ მოკლებული, უნდა ითქვას მხოლოდ უარყოფითად – პირადად არ გამაჩნია ისინი; ფაქტია, მე არ შემიძლია არავითარი საბუთის მოტანა, რომელიც დაადასტურებს, რომ ღმერთს ჩემთვის უნდა მოეცა შემეცნების იმაზე მეტი უნარი, ვიდრე მიბოძა და რაოდენ დახელოვნებულ ოსტატადაც არ უნდა მიმაჩნდეს იგი, მაინც არ უნდა ვიფიქრო, რომ თითოეული თავისი ქმნილებისათვის მას უნდა ებოძებინა ყველა ის სრულყოფილება, რისი ღირსიც მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გახადა.

მეორე მხრივ, ასევე არ შემიძლია დავიჩივლო, რატომ არ მიბოძა ღმერთმა გადაწყვეტილების თავისუფლება ანუ საკმაოდ ძლიერი და შეუვალი ნება; მე ხომ ნამდვილად ვგრძნობ, რომ იგი არავითარ საზღვრებში არ არის მოქცეული. რაც მე განსაკუთრებით ყურადსაღები მეჩვენება, გახლავთ ის, რომ ჩემში არსებულ ყველა დანარჩენ თვისებათაგან არც ერთი არ არის ისე სრულყოფილი და ამაღლებული, რომ მე არ ვაცნობიერებდე მისი გაზრდისა და სრულქმნის შესაძლებლობას. მაგალითად, როდესაც მე განვიხილავ გაგების ინტელექტუალურ უნარს, მაშინვე ვამჩნევ, რომ იგი ჩემში ძალზე უმნიშვნელო, შეზღუდულია და მყისვე მიჩნდება სხვა უფრო დიდი, ყოვლისმომცველი და უსასრულო უნარის იდეა. მაგრამ ის, რომ მე შემიძლია ასეთი იდეის შექმნა, ვხვდები, რომ ეს

ეკუთვნის ღმერთის ბუნებას. ზუსტად ასევე, თუ განვიხილავ მეხსიერების, წარმოდგენის ან რაიმე ნებისმიერ სხვა უნარს, საერთოდ ვერ ვხედავ მათში ვერც ერთს, უბადრუკად და შეზღუდულად რომ არ მეჩვენებოდეს ჩემში და უზომოდ დიადად რომ არ იყოს ღმერთში. ვგრძნობ, ჩემში ერთადერთი მხოლოდ ნება ანუ გადაწყვეტილების თავისუფლებაა იმდენად დიდი, რომ არ მებადება რაიმე უფრო სრულყოფილი უნარის იდეა. სწორედ ნების უნარი მიჩვენებს, რომ ჩემს არსებაში ვატარებ ღმერთის ერთგვარ ხატსა და მსგავსებას. ეს თავისუფალი ნება შეუდარებლად დიდიც რომ იყოს ღმერთში, ვიდრე ჩემშია – მასთან დაკავშირებული შემეცნებისა და ძლევამოსილების ძალით მეტ სიმტკიცესა და ქმედითობას რომ ანიჭებენ მას, ან მისი ობიექტის ძალით, რადგან ღმერთის თავისუფალი ნება ვრცელდება არსებულთა უსასრულოდ მეტ რაოდენობაზე – იგი მაინც არ მეჩვენება უფრო მეტი, თუ მე მას ვიხილავ ფორმალურად და თავისთავად. ნება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ერთი და იგივე რამ ჩვენ შეგვიძლია მოვიმოქმედოთ, ან არ მოვიმოქმედოთ [ე.ი. დავადასტუროთ ან უარვყოთ, მივყვეთ ან გავექცეთ] ან უფრო ზუსტად: რაიმეს, რასაც გონება გვთავაზობს, ვუარყოფთ თუ ვადასტურებთ, მივყვებით თუ გავურბივართ, ვიქცევით ისე, რომ არავითარი გარეშე ძალისაგან იძულებას არ ვგრძნობთ. ჩემი თავისუფლებისათვის არ არის აუცილებელი, გულგრილი ვიყო ორი საპირისპირო მხრიდან გადავიხარო ან ერთისაკენ, ან მეორისაკენ. პირიქით, რაც უფრო მეტად ვიხრები ერთ მხარეს – რადგან ცხადად მივიჩნევ მას ჭეშმარიტებისა და სიკეთის ნიშნად, ან რადგან

ღმერთი ასე წარმართავს ჩემ აზრთა დინებას — მით უფრო თავისუფალია ჩემი ნება არჩევანისა. ცხადია, ღვთიური მადლი და ბუნებრივი ცოდნა არასოდეს ამდაბლებენ თავისუფლებას, პირიქით ძალას ჰმატებენ და განადიდებენ მას. რაც შეეხება ამ გულგრილობას, რასაც განვიცდი, როდესაც არავითარი საბუთი არ მიბიძგებს გადავიხარო ერთი მხარისაკენ უფრო მეტად, ვიდრე მეორისაკენ, ეს არის ყველაზე დაბალი ხარისხი თავისუფლებისა და მოწმობს მხოლოდ ნაკლს ე. ი. უმალ ცოდნის ნაკლს, ვიდრე ნების სრულყოფილებას. მე რომ ნათლად მცოდნოდა რა არის ჭეშმარიტი და რა სიკეთე, არასოდეს გამიჭირდებოდა მემსჯელა ან რა არჩევანი გამეკეთებინა და ვიქნებოდი სავსებით თავისუფალი და არასოდეს გულგრილი.

ყოველივე აქედან ვხვდები, რომ ჩემ შეცდომათა მიზეზი არ გახლავთ თავისთავად ღმერთისაგან ბოძებული სურვილის უნარი, რადგან იგი ყოველისმომცველია და ერთგვარად სრულყოფილიც; არც გაგების ინტელექტუალური უნარია ჩემი მცდარობის მიზეზი, რადგან ყველაფერს ვიგებ მხოლოდ ამ უნარის წყალობით, იგი ღმერთმა იმიტომ მიბოძა, რომ ვიგებდე; ცხადია, ყველაფერი რაც მესმის, მესმის სწორად და შეუძლებელია ამაში ვცდებოდე. მაშ საიდან იქმნება ჩემი ცდომილებები? ძალიან უბრალოდ, ნების ასპარეზი ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე გონებისა, ნება საზღვრებში ვერ ეტევა და იმ საგნებზეც ვრცელდება, რომელთაც გონებით ვერ ვწვდები. თავისთავად, ასეთ საგანთა მიმართ იგი გულგრილია, იოლად აქცევს ზურგს ჭეშმარიტსა და სიკეთეს. სწორედ ამიტომ ვცდები და ვცოდავ ხოლმე.

მაგალითად, ამ ბოლო დროს ვიხილავდი, მართლა არსებობდა თუ არა ქვეყნად რაიმე საგანი და მხოლოდ ერთი იმის აღქმა, რომ ამგვარ საკითხს განვიხილავდი, ცხადყოფდა ჩემს არსებობას; მე არ შემეძლო არ მერწმუნა, რომ საგანი, რომელსაც ასე ნათლად შევიცნობდი, ჭეშმარიტია. და ეს არა იმიტომ, რომ რაიმე გარეშე ძალა მაიძულებდა ამას, არამედ ასეთი შეუვალი განწყობა ჩემი ნებისა იყო შედეგი ჩემივე გონების დიდი სიცხადისა. ამას ვიჯერებდი უფრო სპონტანურად და იოლად, რაც უფრო ნაკლებ გულგრილობას ვგრძნობდი საკუთარ თავში.

მეორე შემთხვევა: ამჟამად მე არა მხოლოდ ვიცი, რომ ვარსებობ — რამდენადაც ვარ ისეთი არსება, რომელიც აზროვნებს, არამედ სხეულებრივი ბუნების რაღაც იდეაც მიჩნდება, რაც იწვევს ჩემს შემდეგ დაეჭვებას: მოაზროვნე ბუნება, რომელიც ჩემშია ან, უმალ, რაც თავად მე ვარ, განსხვავდება თუ არა ამ სხეულებრივი ბუნებისაგან, თუ ორივე ერთი და იმავე რამეს ქმნიან? რაკი მე ჯერ არა მაქვს არავითარი საბუთი, რომელიც ერთში უფრო მეტად დამარწმუნებდა, ვიდრე მეორეში, გამომდინარე აქედან, ბუნებრივია, ერთნაირი გულგრილობით ვეკიდები ორივეს — უარვყო თუ დავადასტურო ეს ყოველივე, თუ საერთოდ შევიკავო თავი ნებისმიერი მსჯელობისაგან.

უფრო მეტიც, ეს გულგრილობა ვრცელდება არა მხოლოდ იმ საგნებზე, რომელთა შესახებაც ჩემს გონებას არავითარი ცოდნა არ გააჩნია, არამედ, საერთოდ, ყველაფერზე, რასაც გონება საკმარისად ნათლად ვერ ხსნის ზუსტად იმ დროს, როდესაც ნება ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს.

მართლაც, რაც არ უნდა დამაჯერებელი იყოს ვარაუდები, რომლებიც ჩემს განსჯას გარკვეული მხარისაკენ გადახრის, მხოლოდ და მხოლოდ იმის შესახებ ცოდნაც კი, რომ ესენი ვარაუდებია და არა უეჭველი და უდაო საბუთები, საკმარისია საპირისპირო მხრით მსჯელობის წარმართვისათვის. ამაში საკმარისად დავრწმუნდი ამ ბოლო დროს, როდესაც მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ გამიჩნდა მცირედი დაეჭვების საბაბი, ყველაფერი, რაც აქამდე ჭეშმარიტად მიმაჩნდა და მოელი არსებით მწამდა, მცდარად ჩავთვალე.

თუ თავს ვიკავებ იმ საგანზე მსჯელობისაგან, რომელიც არ მესმის საკმაოდ ნათლად და გარკვევით, რა თქმა უნდა, კარგად ვიქცევი და არ ვცდები. მაგრამ თუ ასეთსავე შემთხვევაში მექმნება რაიმე აზრი – სულერთია, დადებითი იქნება იგი თუ უარყოფითი, მე არასწორად ვიყენებ თავისუფალი გადაწყვეტილების საკუთარ ნებას. აქვე ვაზუსტებ: თუ დავიწყებ იმის მტკიცებას, რაც მცდარია, ჩემი შეცდომა ცხადი და უბრალო იქნება; თუ საპირისპირო აზრს მივემხრობი, რასაკვირველია, ჭეშმარიტებას მივაღწევ შემთხვევის წყალობით, მაგრამ ჩემი საქციელი მაინც არასწორი იქნება, რადგან ბუნებრივი სინათლის თანახმად გონითი პერცეფცია უნდა მუდამ უსწრებდეს ნების გადაწყვეტილებას. სწორედ თავისუფალი გადაწყვეტილების უნარის არასწორი გამოყენებაა ნაკლი, რაც წარმოადგენს შეცდომის ფორმას. ეს ნაკლი ვლინდება თავად ჩემგან მომდინარე ქმედებაში და არა იმ უნარში, ღმერთისგან რომ მაქვს ბოძებული, და არც უზენაესზე დამოკიდებულ ქმედებაში.

ცხადია, არავითარი საფუძველი არ მაქვს,

ღმერთს ვემდურიდე – რატომ არ გაიმეტა უფრო დიდი ინტელექტუალური ძალა გაგებისა, ან მეტი ბუნებრივი სინათლე, ვიდრე იგი მე მიბოძა; სასრული გონებისათვის ბუნებრივია, რომ ბევრი რამ არ ემორჩილებოდეს მისი გაგების უნარს. შექმნილი გონების ბუნებისათვისაც ასევე ბუნებრივია, იყოს სასრული; სამდურავის მაგიერ უნდა ვუმადლოდე ღმერთს – მას ხომ ჩემ მიმართ არასოდეს არავითარი ვალდებულება არ ჰქონია და, მიუხედავად ამისა, მაინც მიბოძა თუნდაც ის მცირედი ჩემში არსებული სრულყოფილება. და თუ რაიმე მიწყალობა უზენაესმა, არ უნდა დავეჭვდე: ხომ არ დამაკლო, ან, საერთოდ, აღმიკვეთა მან სხვა სრულყოფილებანი.

ასევე, არავითარი საფუძველი არ მაქვს უკმაყოფილო ვიყო რატომ მიბოძა მან ისეთი ნება, რომლის ასპარეზი ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე გონებისა. მართლაც, ნება ქმნის ერთიან, განუყოფელ საგანს და, ეტყობა, თავისივე ბუნების ძალით შეუძლებელია მას რაიმე ჩამოცილდეს. ცხადია, რაც უფრო ვრცელია ჩემი ნება, მით უფრო მადლობელი ვარ მისი, ვინც მე იგი მიბოძა.

დაბოლოს, ასევე არ უნდა ვსაყვედურობდე ღმერთს, რომ იგი მეხმარება ნების იმგვარი აქტების ანუ მსჯელობების წარმოქმნაში, რომელთა დროსაც ვცდები. ეს აქტები აბსოლუტურად ჭეშმარიტი და უეჭველად კარგია, რამდენადაც ექვემდებარება ღმერთს და ჩემს ბუნებაში გარკვეულწილად მეტი სრულყოფილება ისადგურებს იმის წყალობით, რომ მე ძალმიძს მათი წარმოქმნა. რაც შეეხება ნაკლს, ერთადერთი რაშიცაა ფორმალური მიზეზი ცდომილებისა და ცოდვისა /*de la fausseté*

et de la faute/, ის არ საჭიროებს ღმერთის არაეთარ შეწევნას, რადგან ნაკლი არ არის საგანი და არსებობა; და მას თუ მაინც მიაწერენ ღმერთს, როგორც მიზეზს, მაშინ იგი უნდა იწოდებოდეს არა ნაკლად */la privation/*, არამედ მხოლოდ უარყოფად */la négation/*. მართლაც, ღმერთმა მე მიბოძა თავისუფლება, გამოვთქვა ან არ გამოვთქვა აზრი იმ საგნებზე, რომელთა შესახებაც ნათელი და გარკვეული პერცეფცია მას არ ჩაუდია ჩემს გონებაში, ეს კი სრულებითაც არ მოწმობს ღმერთის არასრულყოფილებას; მაგრამ ჩემში კი უეჭველად აღმოჩნდება არასრულყოფილება, თუ მე მცდარად გამოვიყენებ აღნიშნულ თავისუფლებას და ვიმსჯელებ ისეთ საგნებზე, რომლებიც არასწორად მესმის.

და მაინც მგონია, ღმერთს ადვილად შეეძლო ისე მოეწყო ყველაფერი, რომ არასოდეს შევმცდარიყავი, იმავდროულად დავრჩენილიყავი თავისუფალი და მქონოდა სასრული ცოდნა; ამას ალბათ შეძლებდა, თუ უბოძებდა ჩემს გონებას ნათელ და გარკვეულ პერცეფციას ყოველივე იმაზე, რაზეც ოდესმე მომიწევდა მსჯელობა, ანდა თუ იგი ჩემს მეხსიერებაში იმდენად ღრმად აღბეჭდავდა აზრს, არასოდეს მემსჯელა არც ერთ იმ საგანზე, რომელიც ნათლად და გარკვევით არ მესმოდა, თანაც აღნიშნული აზრი არასოდეს არ უნდა დამვიწყებოდა. რაკი საკუთარ თავს განვიხილავ ისე, თითქოს მხოლოდ მე ვარსებობდე, ვამჩნევ, ბევრად უფრო სრულყოფილი ვიქნებოდი, თუკი ღმერთი ისეთად შემქმნიდა, რომელიც არასოდეს არ ცდება. მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძლება უარვყო, რომ მთელი სამყარო მაშინ უფრო მეტი

სრულყოფილებით იქნება აღვსილი, თუ ზოგიერთი მისი ნაწილი არ აღმოჩნდება თავისუფალი ნაკლოვანებებისაგან, ვიდრე მაშინ, სამყაროს ყველა ნაწილი აბსოლუტურად ერთნაირად უნაკლო რომ ყოფილიყო. ღმერთს ვერ დავემდურები, რატომ მომცა სამყაროში ისეთი როლი, რომელიც არ არის მთავარი და ყველაზე სრულყოფილი. მართალია, მან არ მიბოძა ისეთი სრულყოფილება, რომ შემეძლოს თავის დაცვა შეცდომებისაგან, რაც გულისხმობს ცხად პერცეფციას ყოველივე იმაზე, რაზეც უნდა ვიმსჯელო, სამაგიეროდ არის მეორე საშუალება მხოლოდ ერთ პირობაზე რომაა დამოკიდებული: მტკიცედ მახსოვდეს, ყოველთვის შეკავებული ვიყავი იმ საგნებზე მსჯელობისაგან, რომელთა ჭეშმარიტება ნათლად არ არის ჩემთვის ცნობილი. და თუმცა გამოცდილებით ვრწმუნდები, რომ არ ძალმიძს გამუდმებით შევჩერდე და მივეკაჭვო ერთსა და იმავე აზრს, მაგრამ მაინც შეძლია, გულისყურის მოკრებითა და ხშირი მედიტაციით გამოვიმუშავო ჩვევა: ყოველთვის, როცა ამის საჭიროება იქნება, გამახსენდეს აღნიშნული პირობა, რათა საერთოდ არ შევცდე.

რაკი ეს არის უდიდესი და უმთავრესი სრულყოფილება ადამიანისა, ვიმედოვნებ, რომ დღევანდელი ჩემი მედიტაციის სასარგებლო შედეგი უმნიშვნელო არ უნდა იყოს — მე ხომ აღმოვაჩინე შეცდომისა და მცდარობის */l'erreur et de la fausseté/* მიზეზი. ცხადია, შეუძლებელია ეს მიზეზი იყოს სხვა რამ, გარდა იმისა, რასაც მივაგენი: რადგან ყოველთვის, მსჯელობის დროს, იმდენად ვაქცევ საკუთარ ნებას ჩემივე ცოდნის საზღვრებში, რომ ის მხოლოდ იმ საგნებზე ვრცელ-

დება, რომელთაც გონება ნათლად და გარკვევით წარმოუჩენს, ყოვლად შეუძლებელია, შევცდე. — ყოველი ნათელი და გარკვეული პერცეფცია ხომ უეჭველად რაღაცაა და, მაშასადამე, შეუძლებელია არარასაგან მომდინარეობდეს; მას აუცილებლად თავის შემოქმედად უნდა ჰყავდეს ღმერთი; ღმერთი — ხაზს ვუსვამ მე — უაღრესად სრულყოფილი არსებაა, რომლის ბუნება ვერ იგუებს, რომ ეს სრულყოფილება იყოს შეცდომათა მიზეზი.

ამჟამად, არა მხოლოდ იმას მივაგენი, თუ რას უნდა ვერიდო, რათა არასოდეს შევცდე, არამედ ისიც შევიტყვე, თუ როგორ უნდა მოვიქცე ჭეშმარიტების მისაღწევად. ამას კი უდავოდ შევძლებ, თუ საკმაო ყურადღებას მივაპყრობ ყველა იმ საგანს, რომელთაც სრულად ვწვდები, ოღონდ იმ პირობით, თუ მათ გამოვაცალკევებ ჩემთვის ბუნდოვან და გაურკვეველ დანარჩენ საგანთაგან. ამიერიდან, ამაზე საგულდაგულოდ ვიზრუნებ.

მედიტაცია მეხუთე

მატერიალურ საგანთა არსის შესახებ კვლავ ღმერთის არსებობის დადასტურება

გამოსაკვლევი მრჩება მრავალი საკითხი, რომელიც ეხება ღმერთის ატრიბუტებსა და ჩემს საკუთარ ბუნებას, ე. ი. ჩემი გონისას; მაგრამ მათ განხილვას, ალბათ, სხვა დროს დავუბრუნდები. ამჟამად კი, მას შემდეგ, რაც შევნიშნე, რას უნდა მოვერიდო და რა გავაკეთო ჭეშმარიტების მისაღწევად, ყველაზე არსებითად მეჩვენება განთავისუფლება ეჭვებისაგან, რომლებიც ამ ბოლო დღეებში დამეუფლა; ასევე, არსებითია, შესაძლებელია თუ არა რაიმე უტყუარის ცოდნა მატერიალური საგნების შესახებ. ვიდრე გავარკვევდე არსებობს თუ არა ამგვარი, ჩემ მიღმა არსებული საგნები, უნდა შევეხო მათ იდეებს, რაკი ეს უკანასკნელნი ალბეჭდილან ჩემს აზროვნებაში. ამ გზით გამოჩნდება თუ რომელია მათ შორის გარკვეული და რომელი — ბუნდოვანი.

ცხადია, გარკვევით წარმოვიდგენ სიდიდეს, რასაც ფილოსოფოსები, ჩვეულებრივ, უწოდებენ უწყვეტ სიდიდეს ანუ განფენილობას სიგრძეში, სიგანეში და სიღმეში, რომელსაც შეიცავს ეს სიდიდე, ან ამ სიდიდის მქონე საგანი. ამ უკანასკნელში მე ვითვლი სხვადასხვა ნაწილს; მათგან

თითოეულს მივაწერ ნებისმიერ სიდიდეს, ფიგურას, მდებარეობას, სასურველ ლოკალურ მოძრაობას, ხოლო თითოეულ ამ მოძრაობას — ნებისმიერ ხანგრძლივობას.

და ამ გზით, ზოგადად განხილული საგნების შესახებ ვიღებ არა მხოლოდ გამჭვირვალე, ბოლომდე ცხად ცოდნას, არამედ, თუ მეტ ყურადღებას ვიჩენ, ვიღებ უამრავ კერძო პერცეფციას ფორმის, რიცხვის, მოძრაობისა და სხვა მისთანათა შესახებ. ამ უკანასკნელთა ჭეშმარიტება იმდენად ცხადია და ისე ეთანადება ჩემს ბუნებას, რომ მათი აღმოჩენისას მგონია, რაიმე ახალს კი არ ვიგებ, არამედ, უმალ, ვიხსენებ იმას, რაც ადრე უკვე ვიცოდი; მეჩვენება, თითქოს პირველად ვაპყრობდე მზერას საგნებს, რომლებიც, ცხადია, დიდი ხანია არსებობდნენ ჩემში, თუმცა ჩემი გონითი მზერა ჯერ კიდევ არ იყო მათკენ მიპყრობილი.

ის, რაც აქ ყველაზე უწინ უნდა განვიხილო, გახლავთ შემდეგი: ჩემში ვპოულობ ცნობილი საგნების უამრავ იდეას, რომლებიც შეუძლებელია იყოს არარა. შესაძლოა, ისინი არც არსებობენ ჩემი აზროვნების მიღმა და არც ჩემი გამოგონილნი არიან. მართალია, მე თავისუფალი ვარ მათ მოაზრება-არმოაზრებაში, მაგრამ ამ საგნებს აქვს თავიანთი საკუთარი ჭეშმარიტი და მყარი ბუნება. როდესაც მე წარმოვიდგენ, მაგალითად, სამკუთხედს: თუმცა ამგვარი ფიგურა, შესაძლოა, არც არსებობს და არც არასოდეს არსებულა სამყაროში ჩემი აზროვნების გარეთ, მაგრამ, რომ უდავოდ არსებობს რაღაც გარკვეული უცვლელი და დადგენილი ბუნება, ან არსი ან მისი განსაზღვრული ფორმა, რაც ჩემი გამოგონილი არ არის

და არც ჩემ გონზეა /l'esprit/ დამოკიდებული, ამას ცხადყოფს შემდეგი: შეიძლება დამტკიცდეს ამ სამკუთხედის სხვადასხვა თვისება, კერძოდ: რომ მისი სამი კუთხე ტოლია ორი მართისა, რომ დიდი კუთხის მოპირდაპირეა დიდი გვერდი და სხვა მისთანანი, რომელთაც ამგვამად — მსურს ეს მე, თუ არა — ნათლად შევიცნობ სამკუთხედში არსებულ ნიშნებად. თუმცა, ადრე, როდესაც სამკუთხედს წარმოვიდგენდი, არასოდეს ვფიქრობდი ამ თვისებებზე და ამრიგად, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ისინი ჩემი გამოგონილია.

არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვიტყვი, რომ სამკუთხედის ეს იდეა ჩემში შემოვიდა გარე საგნებიდან გრძნობის ორგანოების მეშვეობით იმიტომ, რომ ხანდახან ენახულობდი სამკუთხედის ფორმის სხეულებს. რადგან მე შემიძლია, გონებაში წარმოვიდგინო უამრავი სხვა ფიგურა, რომლებიც მცირეოდენ ეჭვსაც არ იწვევს, რომ არასოდეს აღუქვამთ ჩემს გრძნობებს ისინი და, მაინც, შემიძლია დავადასტურო მათი ბუნების სხვადასხვა თვისება ისევე კარგად, როგორც სამკუთხედისა. ეს თვისებები, ცხადია, ყველა ჭეშმარიტია, რაკი მათი ნათლად გაგება შემიძლია. მაშასადამე, ისინი წარმოადგენენ რაღაც არსებულს და არა წმინდა არარაობას; ცხადია, ყოველივე, რაც ჭეშმარიტია წარმოადგენს რაღაცას და ისიც საკმაოდ ცხადად დავადასტურე, რომ ყველაფერი, რასაც ნათლად შევიცნობ, ჭეშმარიტია. ეს რომ არ დამედასტურებინა, ჩემი გონების ბუნების წყალობით, მაინც ვერ მივცემდი საკუთარ თავს ნებას, ისინი არ მეღიარებინა ჭეშმარიტად, ყოველ შემთხვევაში იმდენ ხანს მაინც, ვიდრე მე ისინი მიმაჩნდა ნათლად.

მახსენდება, მაშინაც, როდესაც ჯერ კიდევ ძლიერ შეზღუდული ვიყავი გრძნობადი ობიექტებით, ყველაზე უტყუარ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა ის, რაც ცხადად მესმოდა ფიგურათა, რიცხვთა და სხვა მსგავს საგანთა შესახებ არითმეტიკის, გეომეტრიის ანუ ზოგადად იმის ირგვლივ, რაც წმინდა და აბსტრაქტულ მათემატიკას განეკუთვნება.

ახლა, მხოლოდ ჩემი აზროვნებიდან თუ შემიძლია მივიღო რაიმე სუბსტანციის იდეა; აქედან ხომ არ გამომდინარეობს ის, რომ ყოველივე, რასაც შევიცნობ ნათლად და გარკვევით როგორც ამ სუბსტანციის კუთვნილებას, მართლაც მას ეკუთვნის? აქედანვე ხომ არ მიიღება ისეთი არგუმენტი, რომელიც ღმერთის არსებობას ადასტურებს? ცხადია, ღმერთის — ამ უაღრესად სრულყოფილი არსების — იდეა იმაზე მკრთალად როდი არსებობს ჩემში, ვიდრე ნებისმიერი ფიგურისა, თუ რიცხვის იდეა, მისი ბუნების მარადი არსებობის იდეასაც ნაკლებ ნათლად და გარკვევით როდი შევიცნობ, ვიდრე რომელიმე ფიგურის ან რიცხვის მიმართ ჩემ მიერ დადასტურებულ თვისებას, როგორც მისი ბუნების კუთვნილებას. ასე რომ, თუ ყოველივე ის, რაც მე ამ ბოლო დროს მედიტაციით დავადგინე, იქნება მცდარი, ღმერთის არსებობის ჭეშმარიტება მაინც უეჭველობით უნდა დამკვიდრებულიყო ჩემში, როგორც ეს ახასიათებდა მათემატიკურ ჭეშმარიტებებს.

ცხადია, ერთი შეხედვით, ეს მთლად ცხადად არ გვეჩვენება და უფრო სოფიზმს ჰგავს. მე, მართლაც, შევეჩვიე ყველა საგანში არსების განცალკევებას არსებობისაგან და იოლად ვრწმუნდები, რომ არსებობა შეიძლება გამიჯნული იყოს

ღმერთის არსებისაგან და ამით უზენაესი შეიძლება მოაზრებული იქნას როგორც არარსებული. მაგრამ უფრო მეტი გულისყურია საჭირო და აშკარა გახდება, რომ არსებობა არ შეიძლება განვაცალკევოთ ღმერთის არსებისაგან ისევე, როგორც სამკუთხედის არსებისაგან არ შეიძლება გამოვყოთ მის კუთხეთა ჯამის ტოლობა ორი მართისადმი, ან მთის იდეა განვაცალკევოთ ბარის იდეისაგან. ისევე წინააღმდეგობრივია ღმერთის, ანუ უაღრესად სრულყოფილი არსების, მოაზრება არსებობის ე. ი. ერთ-ერთი სრულყოფილების გარეშე, როგორც მთის მოაზრება ბარის გარეშე.

მაგრამ დავუშვათ, მართლაც, არ შემიძლია ღმერთის მოაზრება არსებობას მოკლებულად, ისევე, როგორც მთისა ბარის გარეშე; მაინც იმის საფუძველზე, რომ მე მოვიაზრებ მთას ბართან ერთად არ გამომდინარეობს, რომ ქვეყნად არსებობს რაიმე მთა. ზუსტად ასევე, რაკი მე მოვიაზრებ ღმერთს როგორც არსებულს, არ გამომდინარეობს ის, რომ იგი არსებობს. ჩემი აზროვნება არაფერს ავალდებულებს საგნებს. თუკი შემიძლია წარმოვიდგინო ფრთოსანი ცხენი, თუმცა ცხენს ფრთები საერთოდ არა აქვს ასევე, ჩანს, შემიძლია ფიქტიური არსებობა მივაწერო ღმერთს, თუნდაც არავითარი ღმერთი არ არსებობდეს. მაგრამ არა! სწორედ აქ იმალება ერთგვარი სოფიზმი. დავუკვირდეთ: იქიდან, რომ მე არ შემიძლია მოვიაზრო მთა ბარის გარეშე, არ გამომდინარეობს ის, რომ ამქვეყნად არსებობს რაიმე მთა და რაიმე ბარი, არამედ აშკარა ხდება მხოლოდ ის, რომ მთა და ბარი — მიუხედავად იმისა, არსებობენ ისინი თუ არა — განუყოფელია ერთმანეთისაგან; ხოლო

იქიდან, რომ მე არ შემიძლია მოვიაზრო ღმერთი სხვაგვარად, თუ არა არსებულად, გამომდინარეობს არსებობის განუყოფელობა ღმერთისაგან; მაშასადამე, იგი არსებობს სინამდვილეში და არა ჩემი აზროვნების ნებით ან იმით, რომ ეს აზროვნება აკისრებს რაიმე არსებულს რაღაც აუცილებლობას. პირიქით, თავად აუცილებლობა არსებულისა, [ე. ი. ღმერთის არსებობისა, იწვევს ჩემში ამგვარ აზრს. მე, მართლაც, არ ვარ თავისუფალი ღმერთი მოვიაზრო არსებობის გარეშე (ე. ი. უაღრესად სრულყოფილი არსებისა – უმაღლესი სრულყოფილებიგარეშე)] სამაგიეროდ თავისუფლად შემიძლია წარმოვიდგინო ფრთოსანი, ან არაფრთოსანი ცხენი.

აქ არც უნდა ითქვას, რომ მე უეჭველად უნდა ვაღიარო ღმერთის არსებობა მას შემდეგ, რაც დავუშვი, რომ მას აქვს ყველა სრულყოფილება, რადგან არსებობა თავად არის ერთ-ერთი სრულყოფილებათაგანი, მაგრამ ამ პირველი ვარაუდის დაშვება არ იყო აუცილებელი, ისევე როგორც არ არის აუცილებელი იმის მოაზრება, რომ ყველა ოთხგვერდა ფიგურა შეიძლება ჩაიხაზოს წრეში. რაკი ერთხელ დავუშვებთ ამ აზრს, უკვე იძულებული ვხდები, ვაღიარო, რომ რომბი შეიძლება წრეში ჩაიხაზოს, რაც აშკარა მცდარობაა. მაგრამ, მართლაც, რომ დავუშვა, რომ არ იყო აუცილებელი ოდესმე ღმერთის იდეა გამჩენოდა, მაინც ყოველთვის, როდესაც მიწევს ფიქრი უპირველესი და უზენაესი არსების შესახებ, ან მისი იდეის გამოხმობა მოხდება, ასე ვთქვათ, ჩემი გონების საგანძურიდან, აუცილებლად მივაწერ მას ყველა სრულყოფილებას, თუნდაც ისინი არ ჩამოვთვალო

და ყურადღება არ გავამახვილო თითოეულ მათგანზე. ეს აუცილებლობა სავსებით საკმარისია, რათა შემდეგში – როგორც კი შევიცნობ რომ არსებობა სრულყოფილებაა, გამოვიტანო სრულიად მართებული დასკვნა, რომ უპირველესი და უზენაესი არსება არსებობს; ასევე, არ არის აუცილებელი, რომ წარმოვიდგინო რაიმე სამკუთხედი, მაგრამ ყოველთვის, როდესაც მსურს განვიხილო წრფივი ფიგურა, რომელსაც მხოლოდ სამი კუთხე აქვს, აუცილებელია მას მივაწერო ყოველივე ის, რის საფუძველზეც სრულიად მართებულია დასკვნა; მისი სამი კუთხე არ აღემატება ორ მართს, თუმცა, შესაძლოა, ამ დროს ამ კერძო თვისებას არც განვიხილავდე. მაგრამ როდესაც ვიკვლევ, რომელი ფიგურები შეიძლება ჩაიხაზოს წრეში, სრულიადაც არ ვიტეხ თავს, რომ მათ რიცხვს მიეკუთვნება ყველა ოთხგვერდა ფიგურა; პირიქით, მე არც კი მიხდება რაიმე სხვა აზრის გამოგონება, ვიდრე თვითონ არ დავუშვებ რაიმეს, რასაც ვერ გავიგებ ნათლად და გარკვევით. მაშასადამე, ასეთ მცდარ დაშვებებსა და ჩემში თანდაყოლილ ჭეშმარიტ იდეებს შორის სხვაობა დიდია; ამ იდეათაგან პირველი და მთავარი არის ღმერთის იდეა, ვინაიდან მე მრავალი უტყუარი საბუთი მაქვს იმის დასადასტურებლად, რომ იგი (ეს იდეა) არ არის ჩემ აზროვნებაზე დამოკიდებული ფიქტიური რამ, არამედ არის ხატება ჭეშმარიტი და უცვლელი ბუნებისა. ნათქვამის ნათელსაყოფად, ჯერ ერთი, ღმერთის გარდა მე არ შემიძლია მოვიაზრო არც ერთი სხვა არსებული, რომლის არსებასაც გააჩნია არსებობა; შემდეგ, რადგან მე არ შემიძლია მოვიაზრო მისი მსგავსი ორი, ან მრავალი ღმერთი და

რაკი ერთხელ ვირწმუნე, რომ არსებობს ერთადერთი ღმერთი, ცხადად ვხედავ, რომ აუცილებელია იგი არსებულიყო დასაბამიდან და იარსებოს უკუნისამდე. დაბოლოს, ღმერთში ვიაზრებ მრავალ სხვა რამეს, რომელთაგანაც არც არაფრის მოკლება შეიძლია და არც რაიმეს შეცვლა.

მაგრამ რა მამტკიცებელი საბუთებითაც არ უნდა ვსარგებლობდე, მაინც ყოველთვის უნდა დავუბრუნდე შემდეგს: მხოლოდ ის მარწმუნებს სრულად, რასაც ნათლად და გარკვევით შევიმეცნებ. ცხადია, ამგვარად შეცნობილი პერცეფციებიდან ზოგი ყველასათვის ნათელია, ზოგსაც მხოლოდ ისინი შეიმეცნებენ, ვინც უფრო ახლოს განიხილავს და გულდასმით გამოიკვლევს მათ. და მაინც, ეს უკანასკნელნი, რაკი იქნებიან აღმოჩენილნი, ყველასათვის ნათელ პერცეფციებზე ნაკლებ ჭეშმარიტად არ მიიჩნევიან. მაგალითად, ის რომ მართკუთხა სამკუთხედში ჰიპოტენუზის კვადრატი ტოლია კათეტების კვადრატთა ჯამისა, ეს თვისება არც ისე იოლი შესამჩნევია, როგორც ის, რომ ჰიპოტენუზა მდებარეობს ყველაზე დიდი კუთხის პირდაპირ; რაკი იგი ერთხელ გახდა ნათელი, მისი ჭეშმარიტებაც ასევე უეჭველია. რაც შეეხება ღმერთს, რომ არ ვყოფილიყავი ცრურწმენების ტყვეობაში და ჩემი გონება არ ყოფილიყო ყოველი მხრიდან გრძნობადი საგნების ხატების ალყაში, ცხადია, არ მოიძებნებოდა არც ერთი ისეთი არსებული, რომელსაც ღმერთზე უფრო უწინ და უფრო იოლად შევიცნობდი. ნუთუ არსებობს რაიმე თავისთავად უფრო ცხადი, ვიდრე ის, რომ უზენაესი არსება ე. ი. ღმერთი, ერთადერთი, რომლის არსებასაც აქვს არსებობა, თავადაც არის, არსებობს?

ეს ყველაფერი როდია; თუმცა ამ ჭეშმარიტების შესაცნობად დიდი გულისხმევა დამჭირდა. ამჟამად არა მხოლოდ დარწმუნებული ვარ ღმერთის არსებობის ჭეშმარიტებაში ისევე, როგორც, ჩემი აზრით, ყოველივე უტყუარში, არამედ აშკარად ვხედავ შემდეგს: ყველა სხვა საგნის ჭეშმარიტებაც იმდენადაა მასზე დამოკიდებული, რომ ამ ცოდნის გარეშე შეუძლებელია ოდესმე რაიმეს სრულყოფილად ცოდნა.

მართალია, ჩემი ბუნებით არ შემიძლია ჭეშმარიტად არ ვირწმუნო ის, რასაც ძალზე ნათლად და გარკვევით შევიცნობ; მაგრამ ჩემივე ბუნებით არ შემიძლია გონითი მზერის განუწყვეტლივ მიპყრობა ერთსა და იმავე საგანზე მის ნათლად გასაგებად; ასევე, მახსენდება, ხშირად მივიჩნევდი ხოლმე რაიმე საგანს ჭეშმარიტად მაშინაც, როდესაც აღარ განვიხილავდი ამ ჭეშმარიტების მამტკიცებელ საბუთებს, ამასობაში სხვა საბუთებიც გამოჩნდებოდა ხოლმე, რომელთაც შეეძლოთ, ჩემთვის ძალზე იოლად შეეცვლევინებინათ აზრი, მე რომ ღმერთის არსებობა არ მცოდნოდა. ამგვარად, უამისოდ, არასოდეს არც ერთ საგანზე არ მექნებოდა ჭეშმარიტი და უტყუარი ცოდნა, ვიქნებოდი მხოლოდ ზერელე, მერყევი და ცვალებადი შეხედულებების ამარა. მაგალითად, როდესაც სამკუთხედის ბუნებას განვიხილავ, მე — გეომეტრიის პრინციპებში გათვითცნობიერებულმა — ძალზე ცხადად ვიცი, რომ მისი სამი კუთხე ტოლია ორი მართისა და ვიდრე ჩემი ყურადღება მიპყრობილია ამის დასაბუთებაზე, ამ დებულების ჭეშმარიტებაც მწამს, მაგრამ როგორც კი მას მოვაშორებ გონით მზერას, მართალია, მეხსომება, რომ ძალზე ნათლად

გავიგე ეს დასაბუთება, მაინც შეიძლება იოლად დავეჭვდე მის ჭეშმარიტებაში, თუ არ მეცოდინება ღმერთის არსებობა. რადგან შემიძლია, საკუთარი თავი დავარწმუნო, რომ ჩემი ბუნების გამო ვცდები ადვილად იმ საგნებშიც, რომლებიც შეძლებისდაგვარად ყველაზე დიდი სიცხადით შეცნობილი მგონია, განსაკუთრებით თუ ვიხსენებ რა ხშირად მივიჩნევდი მრავალ რამეს ჭეშმარიტად და უტყუარად, რომელთაც შემდეგში სხვა საფუძველთა გამო ვაღიარებდი მცდარად.

მაგრამ მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი ღმერთის არსებობაში და იმავდროულად ისიც გავიგე, რომ ყოველივე დანარჩენი დამოკიდებულია მასზე, რომ იგი არ არის მატყუარა, გამოვიტანე დასკვნა: ყველაფერი, რასაც ნათლად და გარკვევით შევიცნობ, უცილობლად ჭეშმარიტია, თუნდაც ყურადღებას ალარ ვაქცევდე მათი ბუნების ჭეშმარიტების ნათელმყოფელ საბუთებს, ოღონდ კი მახსოვდეს, რომ იგი ნათლად და გარკვევით გავიგე. შეუძლებელია მოტანა რაიმე საპირისპირო საბუთისა, რომელიც მასში (ნათლად და გარკვევით შეცნობილში) დამაეჭვებდა. მაშასადამე, მის შესახებ, მართლაც, ჭეშმარიტი და უტყუარი ცოდნა მაქვს; და არა მხოლოდ მის შესახებ, არამედ ყოველივე იმის შესახებაც, რაც ერთხელ უკვე დავადგინე, მაგალითად, გეომეტრიის ჭეშმარიტებათა მიმართ. ახლა, მართლაც, რა შეიძლება დამიპირისპირონ? ის, რომ შექმნილი ვარ ისეთად, ვინც ხშირად ცდება? მაგრამ ამიერიდან ხომ უკვე ვიცი, რომ არ შემიძლია შევცდე იმაში, რაზეც მაქვს ცხადი ცოდნა. ის, რომ ოდესღაც ჭეშმარიტად და უტყუარად მივიჩნევდი მრავალ რაიმეს, შემდეგში რომ ვაღიარე მათი მცდარობა? ვუპასუხებ: არც ერთ მათგამზე არ მქონდა ნათელი და გარკვეული პერცეფცია და რაკი ჯერ კიდევ არ ვიცოდი ჭეშმარიტების შეცნობის ზემოთ განხილული წესი, ალბათ, დავიჯერე გარკვეული საბუთების საფუძველზე, შემდეგში კი აღმოვაჩინე, რომ მათ არ გააჩნდათ იმდენი სიმტკიცის ძალა. კიდევ რა შეიძლება თქვან ჩემ საწინააღმდეგოდ? ის, რომ ზმანებებისათვის ვერ დამილწევია თავი — ამას ხომ თავად ვედავებოდი საკუთარ თავს ცოტა ხნის წინ — ე. ი. ყოველივე ის, რასაც ამჟამად ვფიქრობ, არ არის უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე სიზმრისეული ზმანებებია? კიდეც რომ მეძინოს, ეს არაფერს ცვლის; რადგან ყველაფერი, რაც ჩემს გონებას ძილის დროსაც ცხადად წარმოუდგება, აბსოლუტურად ჭეშმარიტია.

ამგვარად, ჩემთვის საკუთარი ნათელია, რომ ყოველი ცოდნის უტყუარობა და უეჭველობა იმდენად დამოკიდებულია მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთის შემეცნებაზე, რომ ვიდრე მას არ შევიცნობდი, არც ერთი საგანი არ შემეძლო გამეგო სრულყოფილად. ამჟამად კი შემიძლია ვეზიარო საკუთარ უტყუარ ცოდნას არა მხოლოდ თავად ღმერთისა და სხვა გონითი საგნებისა, არამედ, ასევე, ნებისმიერი სხეულებრივი ბუნების შესახებაც, რაც წმინდა მათემატიკის საგანია.

მედიტაცია მეექვსე

მატერიალურ საგანთა არსებობისა და ადამიანის გონსა და სხეულს შორის რეალური სხვაობის შესახებ

ახლა განსახილველია არსებობს თუ არა მატერიალური საგნები; ყოველ შემთხვევაში უკვე ის მაინც ვიცი, რომ როგორც წმინდა მათემატიკის საგანს, მე მათ შევიცნობ ნათლად და გარკვევით. ეჭვგარეშეა, რომ ღმერთის უნარის შეწევნით წარმოიქმნება ყოველივე ის, რისი ასე გარკვევით შეცნობის უნარიც მე მაქვს. აზრი, რომ ღმერთს არ შეუძლია რაიმე საგნის შექმნა, მიჩნდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ წინააღმდეგობის გარეშე არ შემეძლო გარკვევით საგნის შეცნობა.

გარდა ამისა, მატერიალური საგნების არსებობაში მე შეუძლია დამარწმუნოს ჩემში არსებულმა წარმოდგენის უნარმა, რომლითაც ვსარგებლობ მატერიალური საგნების განხილვისას, რაც დასტურდება ცდით. მართლაც, ყურადღებით თუ განვიხილავ, რა არის წარმოდგენა, აღმოჩნდება რომ იგი სხვა არაფერია, თუ არა შემეცნებითი უნარის გარკვეული გამოყენება სხეულის მიმართ, რომელიც უშუალოდ წარმოუდგება მას და მაშასადამე, არსებობს.

ეს რომ ცხადი გავხადო, თავდაპირველად განვიხილავ სხვაობას, რომელიც არსებობს წარმოდ-

გენასა და წმინდა გაგებას /l'intellection/ შორის. მაგალითად, როდესაც წარმოვიდგენ სამკუთხედს, გონებით მხოლოდ იმას კი არ შევიცნობ, რომ ეს არის სამი ხაზისაგან შემდგარი ფიგურა, არამედ, მაშინვე გონითი მზერით მე ასევე ვხედავ ამ სამ ხაზს, როგორც ჩემ წინაშე არსებულთ; სწორედ ეს არის ის, რასაც წარმოდგენას ვუწოდებ. თუ ახლა მოვისურვებ მოვიაზრო ჰილიოგონი, ცხადია, გონებით ვიცი, რომ ეს არის ათასი გვერდისაგან შემდგარი ფიგურა, ისევე როგორც ვიცი, რომ სამკუთხედი არის სამგვერდიანი ფიგურა; მაგრამ სამკუთხედისაგან განსხვავებით, მე არ შემიძლია წარმოვიდგინო ხსენებული ათასი გვერდი, ე. ი. მე მათ ვერ ვხედავ როგორც ჩემ წინაშე არსებულთ. და თუმცა ჩვეის გამო სხეულებრივ საგანზე ფიქრისას ყოველთვის ვსარგებლობ წარმოდგენის უნარით, ამ შემთხვევაში, ჰილიოგონზე ფიქრისას, ბუნდოვნად წარმომიდგება რაღაც ფიგურა, რომელიც, ცხადია, არ არის ჰილიოგონი, რადგან იგი არაფრით განსხვავდება იმისაგან, რასაც წარმოვიდგენდი მაშინ, როცა მირიოგონზე,[35] ან რაიმე სხვა ძალზე მრავალგვერდიან ფიგურაზე ვიფიქრებდი; წარმოდგენა არანაირად არ უწყობს ხელს იმ თვისებების გამოაშკარავებას, რომლებიც ჰილიოგონს განასხვავებენ სხვა პოლიგონებისაგან[36]. ცხადია, თუ საკითხი ეხება პენტაგონას, მე უეჭველად შემიძლია გონებით, წარმოდგენის დაუხმარებლად, მისი ფორმა ისევე შევიცნო, როგორც ჰილიოგონისა. მაგრამ ამავე დროს მე შემიძლია იგი წარმოვიდგინო, თუ გონითს მზერას მივაპყ-

[35] **მირიოგონი** – ათი ათას გვერდიანი ფიგურა.
[36] **პოლიგონი** – მრავალკუთხედი.

რობ ზუსტად მის ხუთ გვერდს და იმავდროულად სივრცეს, რომელსაც ისინი შემოწერენ: აქ ცხადად ვამჩნევ, რომ წარმოდგენისათვის მე მესაჭიროება გონების განსაკუთრებულად დაძაბვა, რასაც არ მივმართავ გონითი შეცნობისას და გონის ეს დამატებითი დაძაბვა ნათლად მოწმობს სხვაობას წარმოდგენასა და წმინდა გაგებას /la pure intellection/ შორის.

ამას დავუმატებდი შემდეგს: ჩემში არსებული წარმოდგენის ეს უნარი, იმდენად რამდენადაც იგი განსხვავდება გაგების გონითი უნარისაგან, არ არის აუცილებელი ჩემი პირადი არსებისათვის, ე. ი. ჩემი გონის არსებისათვის, რადგან წარმოდგენის უნარის გარეშე მე მაინც იგივე ვიქნებოდი, რაც ვარ ამჟამად. აქედან კი, ჩანს, უნდა დავასკვნათ, რომ იგი დამოკიდებულია რაღაც ისეთზე, რაც განსხვავდება ჩემგან და ჩემთვის სრულიად გასაგებია: თუ არსებობს რაიმე სხეული, რომელთანაც ჩემი გონი დაკავშირებულია იმგვარად, რომ თავისი ნება-სურვილის მიხედვით იყენებს, ე. ი. ზედამხედველობს მას, შესაძლებელია, ზუსტად ეს არის ის საშუალება, რომლითაც მე წარმოვიდგენ სხეულებრივ საგნებს; ამრიგად, აზროვნების ეს სახე წმინდა გაგებისაგან განსხვავდება ერთადერთი ნიშნით: გონი, გონითი შემეცნებისას, გარკვეულწილად მიმართულია საკუთარ თავზე და განიხილავს რომელიმეს იმ იდეათაგან, რომელიც მასშივეა, მაშინ როდესაც წარმოდგენისას გონი მიმართულია სხეულზე და ამ უკანასკნელში ხედავს რაღაცას შესატყვისს იმ იდეისას, რომელიც თავადვე შექმნა, ან მიიღო გრძნობითი პერცეფციით. ამრიგად, ჩემთვის სავსებით გასაგებია, რომ წარმოდგენა

შეიძლება განხორციელდეს ამგვარად, თუ ჭეშმარიტია ის, რომ სხეული არსებობს; რაკი გონებით ვერ ვნახულობ სხვა უფრო ნაყოფიერ საშუალებას ამის ასახსნელად, ამიტომ მხოლოდ აქედან ვვარაუდობ; ალბათ, სხეული არსებობს; მაგრამ ეს მხოლოდ ალბათობაა. მიუხედავად სრულყოფილი და საგულდაგულო გამოკვლევისა, მე მაინც ვერ ვხედავ შესაძლებლობას ჩემს წარმოდგენაში არსებული იდეიდან, რომელიც განსხვავდება შესაბამისი სხეულებრივი ბუნებისაგან, მივიღოთ რაიმე არგუმენტი, რომელიც აუცილებლად დაადასტურებს რაიმე სხეულის არსებობას.

მაგრამ გარდა ამ სხეულებრივი ბუნებისა წმინდა მათემატიკის საგანი რომ გახლავთ, ჩვეულებრივ, წარმოვიდგენ, თუმცა არა ისე გარკვევით, მრავალ სხვა რამესაც, როგორიცაა ფერი, ბგერა, გემო, ტკივილი და სხვა მისთანანი; ამ უკანასკნელთ გაცილებით უკეთ აღვიქვამ გრძნობებით, რადგან ეტყობა ისინი ჩემ წარმოდგენამდე მეხსიერების მეშვეობით აღწევენ, უფრო ღრმა შესწავლისათვის საჭიროა იმავდროულად გამოვიკვლიოთ გრძნობაც; ვნახოთ, ხომ არ შეიძლება გამოვიტანო რაიმე უეჭველი არგუმენტი სხეულებრივ საგანთა არსებობის სასარგებლოდ იმ იდეებიდან, რომლებიც წარმოიქმნება ჩემს გონებაში აზროვნების იმ სახით გრძნობას ან შეგრძნებას რომ ვუწოდებ.

უწინარეს ყოველისა, ცხადია, აქ ჯერ გავიხსენებ როგორია გრძნობებით აღქმული ეს საგნები, რომლებიც ადრე მივიჩნიე ჭეშმარიტად და რას ეფუძნებოდა ჩემი რწმენა; შემდეგ, ასევე განვიხილავ იმ საფუძვლებს, რომელთა გამოც შემდეგში ეჭვქვეშ დავაყენე ისინი და ბოლოს, გამოვარკვევ

რა უნდა მწამდეს ამჟამად მათ შესახებ.

ამრიგად, პირველ ყოვლისა, ვიგრძენი, რომ მქონდა თავი, ხელები, ფეხები და ყოველივე დანარჩენი ნაკვთი, რაც შეადგენს ჩემს სხეულს, რომელსაც მე ვუყურებდი როგორც ჩემს ნაწილს ან, შესაძლოა, როგორც თვით მთლიანად „მე“-ს. ვიგრძენი, რომ ეს სხეული იმყოფებოდა კავშირში მრავალ სხვა სხეულთან, რომლებიც მასზე შეიძლებოდა სხვადასხვაგვარ – კარგს ან ცუდს – შთაბეჭდილებას ახდენდა. ამათგან სასიკეთოს მამცნობდა სიამოვნების ერთგვარი გრძნობა, ხოლო უსიამოვნებებს – ტანჯვის გრძნობა. ამ ორი გრძნობის გარდა, ჩემში ასევე იყო შიმშილის, წყურვილის და სხვა მსგავსი სურვილები; აგრეთვე, გარკვეული სხეულებრივი მიდრეკილებები მხიარულების, მწუხარების, რისხვის და სხვა მსგავს ვნებათა მიმართ. სხეულთა განფენილობის, ფორმისა და მოძრაობის გარდა, საგნებში მე ასევე ვგრძნობდი სიმკვრივეს, სითბოს და სხვა თვისებებს, შეხებით რომ აღიქმება; გარდა ამისა, სინათლე, ფერი, სუნი, გემო, ბგერა, თავიანთი მრავალფეროვნებით, საშუალებას მაძლევდა ერთმანეთისაგან განმესხვავებინა ცა, მიწა, ზღვა და ზოგადად ყველა სხვა სხეული.

რაკი ჩემში იყო იდეები ყველა იმ თვისების შესახებ რომლებიც წარმოუდგებოდნენ ჩემს გონებას და ერთადერთი, რასაც ვგრძნობდი პირდაპირ და უშუალოდ, ცხადია, არცთუ უსაფუძვლოდ მიმაჩნდა, რომ ვგრძნობდი ჩემი გონებისაგან სრულიად განსხვავებულ საგნებს ანუ სხეულებს, საიდანაც მომდინარეობდნენ ეს იდეები. გამოცდილებით ვიცოდი, რომ ეს თვისებები თავისთავად

წარმომიდგებოდა ჩემი ნების გარეშე; ასე რომ, უდიდესი სურვილიც რომ მქონოდა, არ შემეძლო მეგრძნო საგანი, თუ იგი არ იყო რომელიმე ჩემი გრძნობის წინაშე; ასევე, ვერ შევძლებდი, არ მეგრძნო იგი, როდესაც იგი იყო ჩემ წინ, თუნდაც არც მდომებოდა ეს. რაკი გრძნობების მეშვეობით აღქმული იდეები ბევრად უფრო ცოცხალი და ექსპრესიული იყო და თავისებურად უფრო გარკვეულიც, ვიდრე რომელიმე იმ იდეათაგანი, რომელთაც მედიტაციის დროს მე თავად ვქმნიდი მიზეზის სრული ცოდნის საფუძველზე, ან ვნახულობდი აღბეჭდილს ჩემს მეხსიერებაში, აშკარა იყო, რომ ისინი არ შეიძლებოდა ჩემგან წარმოქმნილიყო. მაშასადამე, ისინი მხოლოდ რაღაც სხვა მოვლენათა მიზეზით მკვიდრობდნენ ჩემში; რაკი მათზე არავითარი სხვა ცოდნა არ გამაჩნდა, გარდა თავად ამ იდეებისა, ამდენად, აქედან მხოლოდ ის შეიძლებოდა მოშსვლოდა აზრად, რომ ეს საგნები მსგავსი იყო მათი იდეებისა. ასევე, მახსენდება ისიც, რომ ჯერ გრძნობებით ვსარგებლობდი და არა გონებით, რადგან ვხედავდი, ჩემ მიერ შექმნილი იდეები არ გამოირჩეოდა ისეთი ექსპრესიულობით, როგორც გრძნობათა მეშვეობით აღქმულნი და, რომ უმეტეს შემთხვევაში, შედგებოდა ამ უკანასკნელთა ნაწილთაგან. ამიტომ იოლად ვრწმუნდებოდი, რომ საგანთა შესახებ გონებაში არ გამაჩნდა არავითარი იდეა, რომელიც მანამდე არ იდო გრძნობებში.

ამრიგად, არცთუ უსაფუძვლოდ მეგონა ისიც, რომ ეს სხეული, რომელსაც განსაკუთრებული უფლებით ჩემსას ვუწოდებდი, ნებისმიერ სხვა საგანზე უფრო მეტად მეკუთვნოდა, რადგან რეალურად მე არასოდეს შემეძლო ისევე განვ-

ცალკეულიყავი მისგან, როგორც ყველა სხვა სხეულისაგან; მასში და მისთვის მე ვგრძნობდი ყველა სურვილსა და ვნებას, დაბოლოს, ამ სხეულის თითოეულ ნაწილში განეცდიდი ტანჯვისა და სიამოვნების რაღაც თრთოლვას და არა სხვა, მის გარეთ არსებული სხეულის ნაწილებში. რატომ მოსდევს ტანჯვის ამ გრძნობას გონის ერთგვარი მწუხარება, და სიამოვნებისას – სიხარული, ან კუჭის გაღიზიანება – შიშშილად რომ იწოდება, რატომ მაიძულებს საკვების მიღებას, ხოლო ყელის სიშშრალე – რაიმეს დალევას და ა.შ. ამაში სხვა ვერავითარ საფუძველს ვერ ვხედავდი, გარდა იმისა, რომ ასე მაკეთებინებს ბუნება. რადგან, მართლაც, არ არსებობს არავითარი, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის გასაგები, მსგავსება კუჭის ამ აღგზნებასა და საკვების მიღების სურვილს შორის, ისე როგორც რაიმეს შეგრძნებაში, ტანჯვას რომ იწვევს და ამ შეგრძნებებით გამოწვეულ მწუხარე ფიქრს შორის. ყველა სხვა მსჯელობა, რომლებიც მიმაჩნდა, რომ მომდინარეობდა ჩემი გრძნობის ორგანოებიდან, ასევე ბუნებისაგან ბოძებული მეგონა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს საგნები ამგვარი იყო მანამდე, ვიდრე ავწონ-დავწონიდი რომელიმე იმ საფუძველთაგანს, რომელსაც შეეძლო მისი ამგვარობის დადასტურება.

მაგრამ შემდეგში მრავალმა გამოცდილებამ თანდათანობით დაანგრია მთელი ის ნდობა, რომელიც ჩემი გრძნობებისადმი მქონდა. ზოგჯერ კოშკი, შორიდან მრგვალი რომ ჩანდა, ახლოდან ოთხკუთხედი აღმოჩენილა; მათ წვერზე აღმართული უდიდესი ქანდაკებები კი მომცროდ ეჩვენებოდა მათ, ვინც ქვემოდან შეჰყურებდა. ზუსტად

ასე უამრავ სხვა შემთხვევაშიც მე ვაწყდებოდი შეცდომებს გარეგან გრძნობებზე შექმნილ მსჯელობებში და არა მხოლოდ გარეგანი, არამედ შინაგანი გრძნობების საფუძველზეც. მართლაც, რა შეიძლება იყოს ტკივილზე უფრო უშუალო? მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, ასეთი რამ მოვისმინე ხელ-ფეხ ამპუტირებულ პირთაგან: თურმე მათ ზოგჯერ ეჩვენებათ, თითქოს კიდევ გრძნობენ მოკვეთილი კიდურის ტკივილს; სწორედ ასევე, როდესაც მე მეხება საქმე, მთლად უეჭველად არ მეჩვენება, რომ მტკივა რომელიმე ორგანო, თუნდაც მასში მეგრძნო ტკივილი. ეჭვის ამ საფუძველს ახლახან მივუმატე კიდევ ორი ძალზე ზოგადი ხასიათის მიზეზი; პირველი: ყველაფერი, რასაც შევიგრძნობ ღვიძილში, შეიძლება, ზოგჯერ ძილშიც შევიგრძნობდე. გასაგებია, რომ ძილის დროს რასაც შევიგრძნობ არ მოდის ჩემ მიღმა არსებული საგნებიდან; მაშ, უფრო მეტად რატომ უნდა ვირწმუნო ჩემ გარეთ არსებული საგნებიდან მომდინარედ ის, რასაც ღვიძილის დროს შევიგრძნობ. მეორე მიზეზი გახლდათ შემდეგი: რაკი ჯერ კიდევ არ ვიცოდი ან, ყოველ შემთხვევაში, თავს ისე ვაჩვენებდი თითქოს არ ვიცოდი ვინ იყო შემოქმედი ჩემი შექმნისა, არაფერი მიშლიდა ხელს მეფიქრა – ბუნებით ვარ ისეთი, რომ შეიძლება შევცდე თვით იმ საგნებშიც, რომლებიც ყველაზე უფრო ჭეშმარიტი მეჩვენებოდა. რაც შეეხება საფუძვლებს, რომლებმაც ამას წინათ დამარწმუნეს გრძნობადი საგნების ჭეშმარიტებაში, ჩემთვის რთული არ არის საპირისპირო აზრიც გამოვთქვა: მგონი ჩემივე ბუნება მეზიდება მრავალი რამისაკენ, რომელთაც გონება მარიდებს. ამიტომ დიდად

არ უნდა ვნდობოდი ბუნების მითითებებს. თუმცა გრძნობითი პერცეფციები არანაირად ჩემს ნებაზე დამოკიდებული არაა, მიუხედავად ამისა, აქედან არ შემიძლია დავასკვნა, რომ ისინი მომდინარეობენ ჩემგან განსხვავებული საგნებისაგან; იქნებ ჩემშია მათ შესაქმნელად საჭირო, ჯერჯერობით ჩემთვის უცნობი რაღაც უნარი.

ამჟამად, როდესაც ვიწყებ საკუთარი თავისა და ჩემი წარმოშობის შემოქმედის უკეთ შეცნობას, მე მართლაც აღარ ვფიქრობ, რომ უნდა თამამად დავუშვა ყველაფერი, რაც, ჩანს, მიღებულია გრძნობებით, მაგრამ ასევე არა მგონია, რომ ყველა ისინი ეჭვქვეშ უნდა დავაყენო.

უწინარეს ყოვლისა, უკვე ვიცი, რომ ყველაფერი, რაც მესმის ნათლად და გარკვევით, შეიძლება წარმოქმნილი იყოს ღმერთისაგან სწორედ იმ სახით, როგორადაც მე მათ შევიცნობ; საკმარისია ნათლად და გარკვევით შემეძლოს ერთი საგნის შეცნობა სხვა საგნის გარეშე, რათა დავრწმუნდე, რომ იგი განსხვავებულია მეორისაგან, რადგან იგი შეიძლება თუნდაც ღმერთმა გამოაცალკეოს მეორისაგან. მაგრამ იმისათვის, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულნი აღმოჩნდნენ, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ძალით ხდება ეს განცალკევება. ამრიგად, გამომდინარე იქიდან მე ვიცი, რომ ვარსებობ და, იმავდროულად, საერთოდ სხვა ვერაფერს ვხედავ, რაც ეკუთვნის ჩემს ბუნებას ანუ არსებას, გარდა იმისა, რომ მე ვარ ისეთი რამ, რომელიც აზროვნებს, სრულიად სამართლიანად ვასკვნი: ჩემი არსება მდგომარეობს მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ მე ვარ ისეთი რამ, რომელიც აზროვნებს. შეიძლება (ან როგორც ამას ახლავე

უეჭველად დავადასტურებ) მე მაქვს ისეთი სხეული, რომელიც უმჭიდროესად არის დაკავშირებული ჩემთან, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ვარ რეალურად განსხვავებული ჩემი სხეულისაგან და შემიძლია მის გარეშე არსებობა, რაკი, ერთი მხრივ, ვფლობ ნათელ და გარკვეულ იდეას თავად ჩემ შესახებ იმდენად, რამდენადაც მე ვარ მხოლოდ მოაზროვნე არსება, განუფენელი, და, მეორე მხრივ, გარკვეული იდეაც მაქვს სხეულზე, რამდენადაც იგი მხოლოდ განფენილი, არამოაზროვნე რამაა.

გარდა ამისა, ჩემში ვნახულობ აზროვნების განსხვავებულ უნარებს, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისებებით; მაგალითად, წარმოდგენისა და შეგრძნების უნარებს, რომელთა გარეშეც შემიძლია საკუთარი თავი მთლიანად შევიცნო ნათლად და გარკვევით, მაგრამ არა პირუკუ — აღნიშნული უნარების გაგება ჩემ გარეშე, ე. ი. ინტელექტუალური სუბსტანციის გარეშე, რომელსაც თავად ეკუთვნიან, ეს მე არ ძალმიძს. თავიანთ ფორმალურ ცნებაში ისინი, მართლაც, შეიცავენ რაღაც გონისმიერ /l'intellection/ ქმედებას, აქედან მე ვიმეცნებ, რომ ისინი (წარმოდგენა და შეგრძნება) განსხვავდებიან ჩემგან, როგორც მოდუსები — საგნისაგან.

მე ასევე შევიცნობ ზოგ სხვა უნარს, როგორიცაა გადაადგილების, სხვადასხვა მდგომარეობის მიღების უნარი და სხვა მისთანანი, რომლებიც, განხილულთა მსგავსად, ეჭვგარეშეა, ვერ გაიგება რაიმე სუბსტანციის გარეშე, რომელშიც თავად არიან და, მაშასადამე, არ შეუძლიათ არსებობა ამ სუბსტანციის გარეშე. ცხადია, ეს უნარები — თუ ჭეშმარიტია ის, რომ ისინი არსებობენ — უნდა

იმყოფებოდნენ რაიმე სხეულებრივ ანუ განფენილ, და არა გონით სუბსტანციაში, რაკი მათ ნათელ და გარკვეულ ცნებასაც ახასიათებს რაღაც განფენილობა, მაგრამ არა გონითი ქმედება.

ამრიგად, სწორედ ჩემში არის შეგრძნების რაღაც პასიური უნარი, ე. ი. უნარი გრძნობადი საგნების იდეების მიღებისა და გაგებისა. მაგრამ ამ უნარს ვერანაირად გამოვიყენებდი, ჩემში ან რაიმე სხვა არსებაში ასევე რომ არ არსებულიყო სხვა, აქტიური უნარი, რომელსაც შეუძლია წარმოქმნას ან გამოიწვიოს ეს იდეები. ეს აქტიური უნარი, ცხადია, არ შეიძლება იყოს ჩემში, როგორც მხოლოდ მოაზროვნე არსებაში, რადგან, ჯერ ერთი, უნარი სრულებით არ საჭიროებს ჩემს აზროვნებას და მეორეც — ეს იდეები ზოგჯერ მე წარმომიდგება ჩემი შემწეობის გარეშე, ხშირად ჩემი სურვილების საწინააღმდეგოდ; მაშასადამე, რჩება ის, რომ ეს უნარი აუცილებლად უნდა არსებობდეს რაიმე ჩემგან განსხვავებულ სუბსტანციაში, რომელშიც ფორმალურად ან ემინენტურად უნდა იყოს მთელი ის რეალობა, რომელიც ობიექტურად არსებობს ამ უნარის მეშვეობით წარმოქმნილ იდეებში; ეს იქნება სხეული ანუ სხეულებრივი ბუნების მქონე სუბსტანცია, რომელიც ფორმალურად შეიცავს ყველაფერს, რაც ობიექტურად არის იდეებში, ან იქნება თავად ღმერთი, ან რაიმე სხვა, სხეულზე უფრო კეთილშობილი ქმნილება, რომელიც შეიცავს ყოველივე ამას ემინენტურად. მაგრამ ვინაიდან ღმერთი არ არის მატყუარა, სავსებით ცხადია, რომ იგი არ მიგზავნის ამ იდეებს არც უშუალოდ და არც რაიმე ქმნილების მეშვეობით, რომელშიც იდეების რეალობა მოცემულია არა ფორმალურად,

არამედ მხოლოდ ემინენტურად. მართლაც, ღმერთმა არავითარი უნარი არ მიბოძა ამის გასაგებად, სამაგიეროდ დიდი მიდრეკილება მაქვს იმის დასაჯერებლად, რომ ეს იდეები სხეულებრივი საგნებიდან მაქვს; ვერ ვხედავ რანაირად შევინარჩუნებდი რწმენას, რომ ღმერთი არ არის მატყუარა, თუ ეს იდეები, მართლაც, სხვა მიზეზებიდან იქნებოდა მომდინარე და არა სხეულებრივი საგნებიდან. მაშასადამე, სხეულებრივი საგნები არსებობს.

მაგრამ იქნებ ისინი სრულებითაც არ არიან ისეთები, როგორადაც მე მათ აღვიქვამ გრძნობებით, რადგან ეს გრძნობადი აღქმები, ხშირ შემთხვევაში, ძალზე ბუნდოვანი და გაურკვეველია. მაგრამ ამ საგნებში ის მაინც არის, რასაც ნათლად და გარკვევით აღვიქვამ ე. ი. ყოველივე რაც, ზოგადად რომ ვთქვათ, წარმოადგენს წმინდა მათემატიკის საგანს. რაც შეეხება დანარჩენს, რაც კერძოა, მაგალითად, მზის გარკვეული სიდიდე, ან ფორმა და ა. შ. ან რაც ნაკლებად ნათლად და გარკვევით შეიცნობა გონების მიერ /l'entendement/, მაგალითად, სინათლე, ხმა, ტკივილი და სხვა მისთანანი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს არ ხასიათდება უეჭველობით, მაინც მათი ბუნების ჭეშმარიტების მიყლეკვის იმედი მაქვს. ამის საფუძველს ის მაძლევს, რომ ღმერთი არ არის მატყუარა და, გამომდინარე აქედან, ჩემს შეხედულებებშიც არ დუშვებს რაიმე მცდარობას ისე, რომ არ მიბოძოს უნარი მათ გამოსასწორებლად. უეჭველია, ბუნების ყველა სწავლება შეიცავს ჭეშმარიტების წილს მაინც. ზოგადად, ბუნება მე ახლა მესმის როგორც მხოლოდ თავად ღმერთი ანუ დადგენილი წესი მის მიერვე შექმნილი საგ-

ნებისა და სხვა არაფერი; საკუთრივ ჩემი ბუნება კი მიმაჩნია ერთობლიობად ყოველივე იმისა, რაც ღვთისაგან მაქვს ბოძებული.

ბუნება იმაზე გარკვევით არაფერს მასწავლის, რომ მაქვს სხეული, რომელსაც უჭირს, როდესაც ვგრძნობ ტკივილს, სჭირდება საკვები ან სასმელი, როდესაც განვიცდი შიმშილს ან წყურვილს და სხვა მისთანანი; მაშასადამე, არ უნდა ვეჭვობდე, რომ ყოველივე ამაში ძევს ჭეშმარიტების წილი.

ტკივილის, შიმშილის, წყურვილის და ა.შ. შეგრძნებებით ბუნება ასევე მასწავლის, რომ მე იქ, ჩემს სხეულში, ვარ არა მხოლოდ როგორც მესაჭე ხომალდში, არამედ იმასაც, რომ მასთან ძალზე მჭიდროდ ვარ დაკავშირებული და ვერთვი მას იმდენად, რომ მასთან ერთად ვქმნი ერთ მთელს. მართლაც, როდესაც სხეული დაჭრილია, მე თუ სხვა არაფერი ვარ იმ არსების გარდა, რომელიც აზროვნებს, ვერ ვიგრძნობდი ტკივილს და ამ ჭრილობას შეეიცნობდი მხოლოდ წმინდა გონებით, ისე როგორც გემის მესაჭე მხედველობით აღიქვამს იმას, რაც მწყობრიდან გამოდის ხომალდში. როდესაც ჩემს სხეულს საკვები ან საჭმელი დასჭირდებოდა, მე ამის შესახებ შემექმნებოდა მხოლოდ გონისმიერი ნათელი გაგება და არა შიმშილისა და წყურვილის ბუნდოვანი შეგრძნებები, რადგან წყურვილის, შიმშილის, ტკივილის და ა.შ. შეგრძნებები სხვა არაფერია, თუ არა აზროვნების ბუნდოვანი მოდალობები, წარმოქმნილი სხეულთან გონის კავშირისა და მათი ერთი მთლიანობისაგან.

ბუნება ასევე მასწავლის, რომ არსებობს მრავალი სხვა სხეული ჩემი სხეულის ირგვლივ, რომელთაგანაც ზოგთან ახლოს უნდა ვიყო,

სხვებს კი უნდა გავექცე. იქიდან, რომ ვგრძნობ ფერს, გემოს, სუნს, სითბოს, სიმკვრივეს და სხვა მისთანათა მრავალფეროვნებას, სრულიად მართებულად გამომაქვს დასკვნა: საგნები, რომლებიდანაც წარმოიქმნება ეს სხვადასხვა გრძნობადი პერცეფციები, შეესაბამება ამ მრავალფეროვნებებს, თუმცა, შესაძლოა, სინამდვილეში ისინი მათი მსგავსი არც იყონ. იქიდან კი, რომ ზოგიერთი ამ პერცეფციათაგანი ჩემთვის სასიამოვნოა, სხვები – არასასიამოვნო, სრული უეჭველობით მარწმუნებს შემდეგში: ჩემი სხეული ან, უმალ, თავად მე მთლიანად, რაკი შედგენილი ვარ სხეულისა და გონისაგან, ვემორჩილები იმ სხეულებს, მე რომ გარს მაკრავს და მათი გავლენით მექმნება დადებითი ან უარყოფითი შთაბეჭდილება.

არსებობს მრავალი სხვა საგანი, რომელიც მგონია ბუნებამ შთამაგონა, თუმცა, ცხადია, რეალურად ისინი ჩამოყალიბდა ჩემში რაღაც ზერელე განსჯის ჩვევის შედეგად და, ამდენად, ადვილი შესაძლებელია იყოს მცდარი. ასეთია, მაგალითად, შეხედულება, რომ ნებისმიერი სივრცე, რომელშიც აბსოლუტურად არაფერია ისეთი, რაც მოძრაობს და იწვევს ჩემს გრძნობებს, ცარიელია; ან, რომ თბილ სხეულში არის რაღაც სავსებით მსგავსი ჩემში არსებული სითბოს იდეისა; რომ თეთრ ან მწვანე სხეულში არის სწორედ სითეთრის ან სიმწვანის ის ფერები, რომელთაც მე შევიგრძნობ; რომ მწარე ან ტკბილ სხეულში არის სწორედ სიმწარისა და სიტკბოს გემო და ა.შ.; რომ მნათობებს, კოშკებს და ყველა სხვა ნებისმიერ შორეულ საგნებს აქვს ისეთივე სიდიდე და ფორმა, რომლითაც ისინი წარმოუჩნდებიან ჩემს

გრძნობებს და სხვა მისთანანი.

მაგრამ იმისათვის, რომ ამ საკითხის გარკვევასას თავიდან ავიცდინოთ ყოველგვარი პერცეფცია, რომელიც არ იქნება საკმაოდ გარკვეული, უნდა მეტი გულისყურით განვსაზღვრო შემდეგი: კერძოდ რას ვგულისხმობ, რა მესმის ნათქვამში – ბუნება მასწავლის რაღაცას. აქ ჩემთვის სიტყვა „ბუნებას" უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც მასში ვგულისხმობ ყველა იმ საგნის ერთობლიობას, ღმერთმა რომ მიბოძა; ეს ერთობლიობა, მართლაც, შეიცავს მრავალ რაიმეს, რომლებიც მხოლოდ გონს განეკუთვნება. მაგალითად, ასეთია ჩემი პერცეფცია იმ ჭეშმარიტების შესახებ, რომ ყველაფერი რაც მოხდა, შეუძლებელია არ მომხდარიყო; აგრეთვე, ყველა სხვა ცნება, რომელიც ბუნებრივი სინათლის მეშვეობით ვიცი და რომელთა შესახებაც არ მაქვს აქ საუბარი; ასევე, პერცეფცია მრავალი იმ საგნის შესახებ, რომელიც მხოლოდ სხეულს ეხება, მაგალითად, მისი თვისება ქვევით მიზიდულობისა და სხვა მისთანანი, რომელთაც, ასევე, საერთოდ არ ვეხები; მე ვსაუბრობ მხოლოდ იმის შესახებ, რაც ღმერთმა მე – გონისა და სხეულისაგან შედგენილ არსებას – მიბოძა.

ამრიგად, ეს ბუნება მირჩევს, გავურბოდე იმას, რაც ტანჯვის გრძნობას იწვევს და ველტვოდე იმას, რაც მანიჭებს სიამოვნების გრძნობას და სხვა მისთანანი. მაგრამ იმას კი აღარ გვასწავლის, ამ გრძნობითი პერცეფციებიდან გამოვიტანოთ რაიმე დასკვნა იმ საგნების მიმართ, ჩვენ მიღმა რომ არსებობენ, თუ ეს უკანასკნელნი წინასწარ ჩვენი გონების მიერ არ იქნებოდნენ განხილულნი.

ეტყობა, მართებულია, რომ ამ საგანთა ჭეშმარიტების შეცნობა ძალუძს მხოლოდ გონს და არა გონისა და სხეულის ერთიანობას. მაგალითად, მართალია, ვარსკვლავის ნათება პატარა სანთლის შუქზე უფრო ძლიერად არ მჭრის თვალებს, მაგრამ ჩემში ვერ ვნახულობ ვერავითარ რეალურ თუ პოზიტიურ უნარს, რომელიც დამაჯერებდა, რომ ვარსკვლავის ნათება არ აღემატება სანთლის ალს. სხვათა შორის, ბავშვობისას ასე ვფიქრობდი, რა თქმა უნდა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. მართალია, ცეცხლთან მიახლოებისას ვგრძნობ სითბოს, მაგრამ იმავე ცეცხლთან უფრო ახლოს მისვლისას ტკივილსაც განვიცდი; მაინც რა საფუძველი დამარწმუნებს იმაში, რომ ცეცხლში არის რაღაც ამ სითბოს და, მით უფრო, ამ ტკივილის მსგავსი რამ; შეიძლება მხოლოდ, ითქვას, რომ მასში არის რაღაც ისეთი, რაც იწვევს ჩემში სითბოს, ან ტკივილის შეგრძნებებს. ასევეა ამ შემთხვევაშიც – თუმცა სივრცეში არაფერია ისეთი, რაც ალაგზნებს გრძნობას, აქედან მაინც არ გამომდინარეობს ის, რომ მასში არავითარი სხეული არ არსებობს. ვხედავ, რომ ასეთ დროს, ისე როგორც მრავალ სხვა მსგავს შემთხვევაში, ჩვევად მაქვს ბუნების წესრიგის დამახინჯება; ფაქტია, რომ გრძნობითი პერცეფციები, ბუნების მიერ მხოლოდ იმიტომ არის ჩადებული ჩემში, რომ ჩემს გონს მიუთითონ, რა არის სასარგებლო და რა – საზიანო იმ მთელისათვის, რომლის ნაწილიც არის თავად გონი და რაკი ეს პერცეფციები შეცნობის ამ საზღვრებში საკმაოდ ნათელი და გარკვეულია, ამიტომ მე ვიყენებ მათ, როგორც სავსებით უეჭველ წესებს, რათა უშუალოდ შევიცნო, რა არის არსება

ჩვენ გარეთ არსებული საგნებისა, თუმცა ამის შესახებ პერცეფციებს შეუძლიათ მიმითითონ მხოლოდ ძალზე ბუნდოვნად და გაურკვევლად.

ადრე, უკვე საკმაოდ გამოვიკვლიე, რომ მიუხედავად ღმერთის სიკეთისა, ჩემ მიერ შექმნილი მსჯელობები ზოგჯერ მცდარია. აქ ჩნდება ერთი დამატებითი სირთულე იმ საგნების მიმართ, რომელთა შესახებ ბუნება მიჩვენებს, რომ მე მათ უნდა მივყვე, თუ გავერიდო; იკვეთება სირთულე შინაგან შეგრძნებათა შესახებაც, რადგან მეჩვენება, რომ მათშიც აღმოვაჩინე შეცდომები. მაგალითად, რომელიმე საწამლავშერეულმა საკვების სასიამოვნო გემომ შეიძლება შეგაცდინოთ და დაეხარბოთ ასეთ საჭმელს. ცხადია, ამ შემთხვევაში ბუნება გვიღძრავს სურვილს საკვების მიმართ მხოლოდ მისი სასიამოვნო გემოს და არა საწამლავის გამო, რომლის შესახებაც მან არაფერი იცის. აქედან შემიძლია გამოვიტანო მხოლოდ ის დასკვნა, რომ ჩემი ბუნება არ არის ყოვლისმცოდნე, რაც არცაა გასაკვირი, რადგან ადამიანი სასრულია და ყოველივე, რაც მას ეძლევა შეზღუდული სრულყოფილებით ხასიათდება.

მაგრამ ჩვენ საკმაოდ ხშირად მცდარად ვიგებთ თვით იმ საგნებსაც, რომლებისკენაც საკუთარი ბუნება გვიბიძგებს; მაგალითად, ავადმყოფები ზოგჯერ სვამენ ან ჭამენ რაიმე ისეთს, რაც ცოტა ხნის შემდეგ მათვე აწყენს. შეიძლება თქვან, რომ მათი ამ შეცდომის მიზეზი სწორედ მათი ბუნების დარღვევაა. მაგრამ სირთულე მაინც რჩება, რადგან ავადმყოფიც არანაკლებად ჭეშმარიტად არის ღმერთის ისეთივე ქმნილება, როგორც ჯანმრთელი ადამიანი; აქედან გამომდინარე, არანაკლებადაა

გამორიცხული, რომ მასაც ღმერთისაგან ჰქონდეს მატყუარა ბუნება. ასევე, საათიც, რომელიც შედგება პატარა ბორბლებისა და ჭანჭარასაგან, არანაკლები სიზუსტით იცავს ბუნების კანონებს მაშინ, როცა ცუდად მუშაობს და არასწორად უჩვენებს დროს და მაშინაც, როცა ოსტატი წუნს ვერ დასდებს. მე ასევე განვიხილავ ადამიანის სხეულს, როგორც ერთგვარ მანქანას, რომელიც შედგება ძვლების, ნერვების, კუნთების, ძარღვების, სისხლისა და კანისაგან, აგებულს იმგვარად, რომ მას გონის გარეშეც შეეძლო შეესრულებინა ყველა მოძრაობა, რაც ამჟამად ხდება ნების ძალისხმევის, მაშასადამე, გონის დახმარების გარეშე. ასეთ დროს ჩემთვის ნათელი ხდება, რომ წყალმანკით დაავადების შემთხვევაში სხეულისათვის ბუნებრივი იქნება, განიცდიდეს ყელის სიმშრალეს, რასაც, ჩვეულებრივ, გონი მაშინ იგებს ხოლმე, როდესაც ადამიანს სწყურია და ამის გამო ნერვებსა და სხეულის სხვა ნაწილებს ისე განაწყობს, რომ სვამს წყალს, რაც ამძიმებს დაავადებას. ეს ბუნებრივია, როდესაც ადამიანი საკუთარი ჯანმრთელია და სურს წყლის დალევა, რაკი ყელი უშრება და წყლის დალევა მისთვის სასარგებლოა. თუ გავითვალისწინებთ, რისთვის არის გაკეთებული საათი, შეძეძლო მეთქვა: როდესაც იგი არაზუსტად აჩვენებს დროს, ასცდება ხოლმე თავის ბუნებას. ზუსტად ასევე, ადამიანის სხეულის მანქანაც, თუ განვიხილავთ მას იმგვარად მოწყობილს, რომ ის ასრულებდეს ყველა მისეულ მოძრაობას, ვფიქრობ, ის ადამიანიც ასევე აცდენილია თავის ბუნებას, რომელიც ყელის სიმშრალის გამო წყალს სვამს, რაც მავნეა მისი ბუნების შენარჩუნებისათვის; კარ-

გად ვამჩნევ, რომ ბუნების ეს ბოლო განსაზღვრება განსხვავდება სხვა გაგებისაგან; იგი სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ჩემი აზროვნების მიერ შემუშავებული გარეგნული სახელდება, რომელიც ავადმყოფ ადამიანს და ცუდად გაკეთებულ საათს ადარებს ჯანმრთელი ადამიანისა და კარგად გაკეთებული საათის იდეას; გარეგნული სახელდება, რაც ჰქვია საგნებს, არაფერს ისეთს არ აღნიშნავს, რაც ნამდვილად არსებობს ამ საგნებში. ბუნების პირველი განსაზღვრების თანახმად კი მე მესმის რალაც ისეთი, რაც, მართლაც, არსებობს საგნებში და მაშასადამე, შეიცავს ჭეშმარიტებას.

ცხადია, წყალმანკით დაავადებული ადამიანის სხეულის მიმართ მხოლოდ გარეგნული სახელდება იქნება იმის თქმა, რომ დარღვეულია მისი ბუნების ჯანმრთელობა, რაკი მას ყელი უშრება და წყლის დალევა კი არ ესაჭიროება; მაგრამ მთელის მიმართ, ე. ი. ასეთ სხეულთან გონის ერთიანობის დროს, ეს არის არა მხოლოდ და მხოლოდ სახელდება, არამედ ბუნების ნამდვილი შეცდომა, რაკი მას სწყურია მაშინ, როცა წყლის დალევა მისთვის საზიანოა. ისღა გვრჩება, გამოვიკვლიო: რატომ არ ეწინააღმდეგება ღმერთის სიკეთე იმას, რომ ადამიანის ბუნება — ამ მნიშვნელობით გაგებული — იყოს შეცდომების დამშვები.

დასაწყისისათვის, ვამჩნევ, რომ არსებობს დიდი სხვაობა გონსა და სხეულს შორის იმ მხრივ, რომ სხეული თავისი ბუნებით ყოველთვის გაყოფადია, გონი კი აბსოლუტურად განუყოფადი. მართლაც, როდესაც მე განვიხილავ გონს, ანუ თავად საკუთარ თავს, რამდენადაც მე მხოლოდ მოაზროვნე არსება ვარ, არ შემიძლია ჩემში გამოვყო რაიმე ნაწილი,

ე. ი. მე ვარ ისეთი რამ, რაც აბსოლუტურად ერთი და მთელია – ეს მე მესმის. თუმცა სხეული და გონი მთლიანად შეერთებულია ერთმანეთთან, მაინც სხეულს თუ დაკლდება ფეხი, ხელი ან რაიმე სხვა ნაწილი, ამით ჩემს გონს არაფერი დაეტყობა; ნების, გრძნობის, გაგებისა და ა.შ. უნარი კი არ შეიძლება იწოდოს გონის ნაწილებად, რადგან ერთი და იგივე გონია ისიც, რომელსაც სურს, ისიც, რომელიც გრძნობს, რომელიც იგებს. აქ აბსოლუტურად პირიქითაა, – მე არ შემიძლია მოვიაზრო არც ერთი სხეულებრივი ანუ განფენილი საგანი, რომელსაც გონება ვერ დაყოფს ნაწილებად და რომლის დაყოფილი ბუნება არ მესმის. სხვა წყაროდანაც რომ არ მცოდნოდა, მხოლოდ ეს შენიშვნაც საკმარისია იმისათვის, რათა დავრწმუნდე – გონი აბსოლუტურად სხვაობს სხეულისაგან.

ასევე ვხედავ, რომ გონი შთაბეჭდილებას უშუალოდ იღებს არა სხეულის თითოეული ნაწილისაგან, არამედ მხოლოდ ტვინისაგან, ან, შესაძლოა, თვით მისი უმცირესი ნაწილისაგან, კერძოდ, ზოგადი გრძნობისაგან, რომელიც არასოდეს იძვრის და ერთსა და იმავეს აგრძნობინებს გონს, თუმცა სხეულის სხვა ნაწილები ამ დროს სხვადასხვა მდგომარეობაში არიან. ამას მოწმობს მრავალი ცდა, რომელთა შესახებ საუბარიც აქ არ არის აუცილებელი.

ამას გარდა, ვამჩნევ სხეული იმგვარი ბუნებისაა, რომ შეუძლებელია რომელიმე ერთი მისი ნაწილი მოძრაობაში მოიყვანოს მისგან მცირედით დაშორებულმა სხვა ნაწილმა ისე, რომ მისი ზუსტად ასევე ამოძრავება ვერ შეძლოს მათ შორის მდებარე თითოეულმა ნაწილმა, თუნდაც

ეს პირველი ნაწილი თავად უმოძრაოდ იყოს. მაგალითად, ავიღოთ დაჭიმული თოკი ABCD; თუ მოვწევთ მის ბოლო D ნაწილს, პირველი A ნაწილიც მოვა მოძრაობაში, ისე როგორც იგი ამოძრავდება იმ შემთხვევებშიც, თუ მოვწევთ ერთ-ერთ შუა B ან C ნაწილს, ბოლო D ნაწილი კი უძრავი იქნებოდა. ანალოგიურად, როდესაც ვგრძნობ ტკივილს ტერფში, ფიზიკა მასწავლის, რომ ეს გრძნობა მეძლევა ფეხში განტოტილი ნერვებით, რომლებიც თოკებივითაა დაჭიმული ტერფიდან ტვინამდე. როდესაც მათ ტერფში „მოწევენ", ამით „მოწევენ" ტვინის შინაგან ნაწილებსაც, სადაც ნერვები ბოლოვდებიან და იწვევენ მათში ბუნებით დადგენილ მოძრაობას, რათა გონს აგრძნობინოს ფეხში არსებული ტკივილი. მაგრამ რადგან ამ ნერვებმა უნდა გაიარონ წვივი, თეძო, წელი, ზურგი და კისერი, რათა ტერფიდან ტვინამდე მიაღწიონ, შეიძლება მოხდეს ისიც, რომ ამ ნერვების დაბოლოება, რომელიც ტერფშია, არ იყოს მოძრაობაში მოყვანილი, და მხოლოდ მათი შუალედური ნაწილები გადასცემდნენ ტკივილს. ეს ტვინში გამოიწვევდა ზუსტად იმავე ამოძრავებას, რაც შეიძლებოდა გამოეწვია ტერფის დაზიანებას და ამის გამო გონიც აუცილებლად იგრძნობდა იმავე ტკივილს. ასე უნდა ვიმსჯელოთ ნებისმიერ სხვა შეგრძნებაზეც.

დაბოლოს, რაკი თითოეული მოძრაობა ხდება ტვინის იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ ახდენს შთაბეჭდილებას გონზე, მასში იწვევს მხოლოდ ერთ გრძნობას, ამიტომ ყველა იმ გრძნობათა შორის, რომლის გამოწვევაც ამ მოძრაობას ძალუძს, ყველაზე საუკეთესო არის ის, რაც სასარგებლოა

და ხშირად უწყობს ხელს ადამიანს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველა გრძნობა, რომლითაც ბუნებამ დაგვაჯილდოვა, ამგვარი გახლავთ. მაშასადამე, ყოველივე ეს მოწმობს, რომ ღმერთი ძლევამოსილია და სიკეთისმოქმედი. მაგალითად, როდესაც ტერფში განტოტილი ნერვები ჩვეულზე მძაფრად და მეტად იქნა მოყვანილი მოქმედებაში, ეს მოძრაობა მათ ზურგის ტვინის გავლით თავის ტვინს გადასცეს, სადაც გონს მიეცა ნიშანი – იგრძნოს, რომ ტერფში ტკივილია და გააკეთოს ყოველივე შესაძლებელი ტერფისათვის საშიში ტკივილის მიზეზის აღსაკვეთად. ცხადია, ღმერთს შეეძლო ადამიანის ბუნება ისე მოეწყო, რომ ტვინში ამ მოძრაობას გონისათვის ეკარნახა, რათა მას ეგრძნო ნებისმიერი სხვა რამეც, მაგალითად, თავად ეს მოძრაობა იმდენად, რამდენადაც იგი ხდება ტვინში, ან რამდენადაც იგი ხდება ტერფში, ან რომელიმე მათ შორის შუალედურ ადგილში, ან, ბოლოს და ბოლოს, გამოეწვია ნებისმიერი სხვა რამ გრძნობა. მაგრამ ამათგან არც ერთი სხვა გრძნობა ისე კარგად არ შეუწყობდა ხელს სხეულის შენარჩუნებას. ამის მსგავსად, წყურვილის დროს ყელის სიმშრალე ჩნდება, რასაც მოძრაობაში მოყავს ყელის ნერვები, მათი მეშვეობით – ტვინის შინაგანი ნაწილები და გონებაში აღიძვრება წყურვილის გრძნობა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე სასარგებლოა ის ცოდნა, რომ წყლის დალევა აუცილებელია ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ასევე სხვა შემთხვევებშიც.

აქედან სავსებით ცხადია, რომ ღმერთის უსაზღვრო სიკეთისაგან განსხვავებით, ადამიანის ბუნება

– შედგენილი გონისა და სხეულისაგან – შეიძლება ზოგ შემთხვევაში შეცდომას უშვებდეს. თუ რაიმე მიზეზი გამოიწვევს ნერვის იმ მოძრაობას, ჩვეულებრივ ტერფის ტკივილით რომ აღიძვრება არა ტერფში, არამედ ნერვის რომელიმე სხვა ნაწილში თავის ტვინამდე, ანდა თავად ტვინში, ასეთი მიზეზის გამოძახილი ტკივილი ისევე შეიგრძნობა, როგორც ტერფში არსებული ტკივილი. მართლაც, ბუნებრივია, რომ ასეთ დროს ჩვენი შეგრძნება მოტყუვდება. რაკი ტვინის ერთი და იგივე მოძრაობა იქნება მიზეზი გონის ერთი და იმავე შეგრძნებისა და ამგვარი შეგრძნების მიზეზი უფრო ხშირად დაჭრილი ტერფია და არა რაიმე სხვა, ბევრად გონივრულია, ვიფიქროთ: ეს მოძრაობა გონს ყოველთვის გადასცემს ტერფის, და არა რომელიმე სხვა ნაწილის ტკივილს. თუ ზოგჯერ, ჩვეულებისამებრ ყელის სიმშრალე გამოწვეულია არა იმით, რომ წყლის დალევა სასარგებლოა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, არამედ რაიმე სხვა, სრულიად საპირისპირო მიზეზით, როგორც ეს წყალმანკით დაავადების შემთხვევაშია, როცა ბევრად უმჯობესია იგი გვატყუებდეს, და არა პირიქით, გვატყუებდეს ყოველთვის, როცა სხეული ჯანმრთელია; და ასე შემდეგ.

ეს გამოკვლევა დიდად მეხმარება არა მხოლოდ ყველა იმ შეცდომის შესამჩნევად, რომელთაც ჩემი ბუნება ექვემდებარება, არამედ მიადვილებს მათ გამოსწორებასა და თავიდან აცილებას. მართლაც, მე ვიცი, რომ ჩემი გრძნობები უფრო ხშირად ჭეშმარიტ და არა მცდარ მითითებებს მაძლევენ იმის თაობაზე, რაც სხეულს შეეხება ჰგვრის. თითქმის ყოველთვის შემიძლია გამოვიყენო რამ-

დენიმე შეგრძნება ერთი და იმავე საგნის განსახილველად; გარდა ამისა, შემიძლია ვისარგებლო ჩემი მეხსიერებითაც, რათა დავუკავშირო ერთმანეთს ამჟამინდელი და წარსული ცოდნა და ჩემი გონების /l'entendement/ წყალობით, რომელმაც უკვე გამაგებინა ჩემ შეცდომათა ყველა მიზეზი, ალარ უნდა მეეჭვებოდეს იმ საგანთა სიმცდარე, რომელთაც ჩემი გრძნობები ყოველდღიურად წარმომიჩენენ. ამასთან, უნდა უკუვაგდო ამ ბოლო დღეების გაზვიადებული სასაცილო ეჭვები, განსაკუთრებით დიდი ეჭვი ძილის თაობაზე, რომელსაც ვერ ვარჩევდი ღვიძილისაგან. ამჟამად მათ შორის ვხედავ ძალზე მკვეთრ სხვაობას: ჩვენს მეხსიერებას არასოდეს შეეძლება ისე დაუკავშიროს სიზმრისეული რამ ჩვენი ცხოვრების დანარჩენ ქმედებებს, როგორც, ჩვეულებრივ, იგი ერთმანეთთან აკავშირებს ყველაფერს, რასაც ცხადში განვიცდით. მართლაც, ცხადად ვინმე უეცრად რომ დამიდგეს წინ და უეცრადვე გაუჩინარდეს, მე ვერ მივხვდები – საიდან მოვიდა ან სად წავიდა იგი, როგორც ეს ხდება იმ სახეების მიმართ, ძილში რომ ვხედავ. ამ შემთხვევაში არცთუ უსაფუძვლოდ მას მივი ჩნეედი არა ნამდვილ ადამიანად, არამედ, უმალ ლანდად, მოჩვენებად, რომელიც ჩემმავე ტვინმა შექმნა. მაგრამ როდესაც მე წარმომიდგება საგნები, რომელთაც გარკვევით ვამჩნევ, საიდან, სად და როდის მოდიან და შემიძლია ყოველგვარი წყვეტილის გარეშე მათი პერცეფციის დაკავშირება მთელი ცხოვრების დანარჩენ მსვლელობასთან, უკვე სავსებით ვრწმუნდები, რომ ამას არა ძილში, არამედ ცხადში ალვიქვამ; ახლა მე მცირედითაც არ უნდა დავეჭვდე ამ საგანთა ჭეშმარიტებაში, თუ

მას შემდეგ, რაც მათ განსახილველად მოვუხმე ყველა ჩემს გრძნობას, მეხსიერებამ და გონებამ არაფერი მომაწოდა ისეთი, რაც შეეწინააღმდეგებოდა ყოველივე დანარჩენს. იქიდან, რომ ღმერთი არ არის მატყუარა, უეჭველად გამომდინარეობს ის, რომ ამ შემთხვევაში მეც არ ვცდები.

მაგრამ მოქმედების აუცილებლობა ხშირად გვაიძულებს გადაწყვეტილების მიღებას მანამდე, ვიდრე მას საგულდაგულოდ გამოვიკვლევთ; ამიტომ ვალიაროთ, რომ ადამიანიც ცხოვრებაში ხშირად ცდება, განსაკუთრებით როცა საქმე კერძო საგნებს ეხება და ვცნოთ ჩვენი ბუნების სისუსტე.

დეკარტის მეთოდური სკეპტიციზმი[1]

დეკარტი, ეჭვის გააბსოლუტურებით, ადამიანური ცოდნის რადიკალურ შემოწმებას მიმართავს. მკვლევარი ამ დროს უკიდურესი სკეპტიკოსია, მაგრამ რადგან ეჭვი მისთვის უეჭველის დასადგენი საშუალებაა მხოლოდ და არა მიზანი, შემოწმების ამ პროცესს მეთოდური სკეპტიციზმი ეწოდება. დეკარტის აზრით, ამგვარ ყოვლისმომცველ და უკიდურეს ეჭვს ვერ უძლებს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი გრძნობადი ცოდნა, რომელიც გამოცდილებისაგანაა მიღებული. მე ერთ დროს მეგონა, გვაუწყებს დეკარტი, რომ ჩვენს ცნობიერებაში არც ერთი იდეა არაა ისეთი, რომელსაც შეგრძნებებში არ გაევლოს და ისე მოხვედრილიყოს ჩვენს ცნობიერებაში[2]. როგორც ცნობილია, ეს დებულება ყოველგვარი ემპირიზმისა და სკეპტიციზმის ძირითადი დებულებაა. ეს დებულება არისტოტელემ მიიღო, როგორც ჩვენს ცნობიერებაში იდეის შინაარსის მოხვედრის გენეტიკური გზის აღწერა. ამასთანავე, არისტოტელე თვლიდა, რომ ამგვარი ახსნა ხელს არ უშლის იდეის შინაარსის რაციონალისტურ გაგებას. ასე

---

[1] იხ. გ. თევზაძე. „ახალი ფილოსოფიის ისტორია", ნაწ. I. გვ. 37-50.

[2] დეკარტი რ., მეტაფიზიკური განაზრებანი, გვ. 82, თბილისი, 1985.

ესმოდა ეს პრინციპი იოანე პეტრიწს (XI-XII სს.) და სხვა ნეოპლატონიკოსებს. დეკარტი თავისი განვითარების იმ პერიოდზე მიგვითითებს, როცა მას არისტოტელეს კვალად სწამდა, რომ იდეები ჩვენს სულში (ცნობიერებაში) მხოლოდ გამოცდილებიდან ხვდება. შემდეგ იგი გაიზიარებს პლატონის პოზიციას იმის თაობაზე, რომ გამოცდილება მხოლოდ აღვიძებს ჩვენი ცნობიერების (სულის) თანშობილ, მაგრამ მატერიალურში მისი მოქცევის შემდეგ დავიწყებულ შინაარსს.

რაციონალისტი დეკარტი მიმართავს მეთოდურ ეჭვს. იგი ამტკიცებს, რომ არავითარ ემპირიულ ცოდნას არა აქვს აუცილებლობა, ე. ი. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ საგნისათვის ჩვენ მიერ მიწერილი რაიმე ნიშანი (რაიმე მახასიათებელი, რაიმე პრედიკატი) უდავოა და მუდმივი. მაგალითად, როგორია სანთლის ცვილი? მაგარი, რბილი, თუ თხევადი? ჩვენ ამას ემპირიულად ვერ დავადგენთ, რადგან სხვადასხვა ტემპერატურაზე იგი სხვადასხვა სახეს იღებს. მეტიც, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, უეჭველია თუ არა თავად ჩვენი სხეულებრივი არსებობა. კერძოდ ის, რომ მე ახლა ბუხრის წინ ვზივარ. თითქოს სასაცილოა ამაში შეეჭვება, მაგრამ მე ხომ ხშირად დამსიზმებია ამგვარი რამ? ზოგჯერ გამოფხიზლების შემდეგ, უცებ ძნელია გაერკვე ეს სიზმარი იყო თუ ცხადი. თუ დავუკვირდებით, გავაცნობიერებთ, რომ არ გაგვაჩნია ნათელი სიზმრისა და რეალობის ერთმანეთისაგან განმასხვავებელი კრიტერიუმი. ამაზე ჯერ კიდევ პლატონი მსჯელობდა „თეეტეტში" (150, ე-დ). ეს რომ შემთხვევითი, ანდა ახირებული აზრი არ არის, ამის საბუთი ისიცაა, რომ

მოგვიანებით, სულ სხვა კულტურის წარმომადგენელი, ჩინელი ფილოსოფოსი ჩუანგ თსუ (366-268), ჩინური ფილოსოფიის დიდმნიშვნელოვანი მიმართულების – დაოიზმის (გზის ფილოსოფიის) წარმომადგენელი, რომელსაც ლაო-ძის (VI-V სს.) გვერდით მოიხსენებენ, წერდა: ერთხელ დამესიზმრა, რომ მე – ჩუანგ თსუ – ვარ პეპელა. გამეღვიძა და ვხედავ, რომ იმავე ადგილას ვწევარ, მაგრამ ახლა არ ვიცი, მე ისა ვარ, ვისაც ესიზმრებოდა, რომ ის არის პეპელა, თუ მე ვარ პეპელა, რომელსაც ესიზმრება, რომ ის არის ადამიანი.

დეკარტი იმას კი არ ამტკიცებს, რომ ემპირიული ცოდნა მუდამ ყალბია, არამედ იმას, რომ ეს ცოდნა მუდამ საეჭვოა. იგი უდავო არასდროს არაა. აუცილებელია ვიპოვოთ კრიტერიუმი უეჭველი ცოდნის დასადგენად, და ამგვარს გამოცდილებაში ვერ ვიპოვით. ამიტომ ყველაფერი, რაშიც ეჭვი ლოგიკურად შეიძლება იქნეს შეტანილი, კი არ უნდა გადავაგდოთ, არამედ განზე უნდა გადავდოთ, მანამ, სანამ ჭეშმარიტის მცდარისაგან გასარჩევად საიმედო კრიტერიუმს ვიპოვით. ამგვარი კრიტერიუმის რაობას, კი იმგვარ ვითარებაში, იმგვარ საგანთან მიმართებაში ამოვიკითხავთ, რომელიც ყოველგვარ ეჭვს გაუძლებს. ამის შემდეგ უნდა დავუბრუნდეთ ძიების პროცესში ჩვენს მიერ დროებით განზე გადადებულ საგნებს და მათი ღირებულება შევაფასოთ.

ჯერჯერობით, ახალი არაფერი თქმულა. ემპირიული ცოდნისადმი უნდობლობის დასაბუთების მრავალი მცდელობა იყო წამოყენებული სკეპტიკოსებისა და იდეალისტების მიერ. მაგრამ დეკარტი

ეჭვს იმაზეც ავრცელებს, რაც უმრავლესობას უეჭველად მიაჩნდა. იგულისხმება მათემატიკა და გეომეტრია. თითქოს, დეკარტისათვის, ანალიზური გეომეტრიის შემქმნელისათვის, უეჭველი უნდა იყოს მათემატიკური ცოდნა. დეკარტი ცოდნის ამ სახის უპირატესობას არ უარყოფს, მაგრამ მიაჩნია, რომ სრული უეჭველობის გარანტიას ეს ცოდნაც ვერ იძლევა. მათემატიკურ დასაბუთებაში დაეჭვების შესაძლებლობის საჩვენებლად, დეკარტი ახდენს ეჭვის რადიკალიზაციას: თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ჩვენი შემქმნელი კეთილი ღმერთი კი არ არის, არამედ ბოროტი გენიაა – ბოროტი სულია, რომელმაც ისე შეგვქმნა, რომ უეჭველი გვეჩვენება ის, რაც სინამდვილეში მოჩვენებაა, რომ ჩვენ ყველანი ერთნაირი მრუდე სარკეები ვართ – მაშინ მათემატიკურ დებულებებშიც შეიძლება შევიტანოთ ეჭვი. ე. ი. სინამდვილეში შესაძლებელია 2+2=5, მაგრამ ჩვენ ყველას გვეჩვენება, რომ 2+2=4. ამგვარ დაშვებაში ალოგიკური არაფერია. ასეთ შემთხვევაში, შემეცნებაში ადამიანისათვის რაიმე სიცხადესა და უეჭველობაზე ლაპარაკი ფუჭია. მაგრამ დეკარტი აქედანაც ნახულობს გამოსავალს. მისი აზრით, ადამიანს ამ შემთხვევაშიც რჩება ერთი და მოუცილებელი თვისება, რაც ეჭვისაგან ხელშეუხებელია. ესაა ლოგიკური მსჯელობის, აზრთა გამომდინარეობის სისწორის გაგების უნარი (რასაც ყველაზე რადიკალური სკეპტიკოსი და აგნოსტიკოსიც უშვებდა). უამისოდ შეეჭვებაც და უარყოფაც შეუძლებელი იქნებოდა.

დეკარტმა სავსებით უეჭველი რამ ვერც „ბუნების დიდ წიგნში", ვერც არსებულ მეცნიერებებში[3] და ვერც საკუთარ თავში იპოვა. მაგრამ ყოველივეს საეჭვოდ გამოცხადება არ არის იმედისმომცემი ვითარება. დეკარტს სურს საეჭვოდ გამოცხადებული და განაჩენის მომლოდინე ჩვენი ცნობიერების შინაარსის ღირებულების შემმოწმებელი კრიტერიუმი დაადგინოს. მაგრამ ჯერჯერობით ამის არავითარი იმედი არ ჩანს.

მკვლევარი სწორედ ამ უკიდურეს მომენტში, როცა ყველაფერი საეჭვოდ გამოცხადდა, აღმოაჩენს, რომ სწორედ აქ ვდგევართ უეჭველის წინაშე. იგი ხვდება, რომ თავად იგი, როგორც მოეჭვე (მოაზროვნე) უეჭველად არსებობს, თუნდაც, როგორც მხოლოდ ეჭვისა და შეცდომისათვის განწირული. აზროვნება, როცა იგი ყოველგვარ პრეტენზიაზე უარს ამბობს, ხედავს, რომ ამ თვისებას მას ვერავინ წაართმევს. ამიტომ დეკარტისათვის „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ" (cogito, ergo, sum) უეჭველი დებულებაა. აქ საქმე ეხება მხოლოდ აზროვნებას, როგორც რაღაცაზე მიმართულობას. აზროვნების პროცესის მეტი აქ არაფერი იგულისხმება. ეს არის თვითცნობიერების გამოხატულება. ჩოგიტო, თავისი პირველადი მნიშვნელობით, ნიშნავს სულში რაღაცის შეკრებას, შეჯამებას და შედარებას, ე. ი. ინტენციურია.

აზრისა და არსის გლობალური ერთიანობა, მათი იგივეობის თვალსაზრისით, რაც პარმენიდემ (დ. ძვ. წ. 540 ან 515) შემეცნების პირობად გამოაცხადა, დეკარტთან შეზღუდულია მხოლოდ აზროვნებისა და მისი არსებობის უწყვეტი კავ-

[3] Декарт Р., Избранние Произведения, gg. 265. Москва, 1950.

შირის დადგენით. აქ აზროვნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური სინამდვილე (იდეალური ან მატერიალური) უარყოფილი კი არ არის, არამედ იგულისხმება, როგორც შესაძლებელი, რომელიც დასაბუთებას ელის.

დეკარტის ძირითადი დებულების გასაგებად საჭიროა გავითვალისწინოთ, შემდეგი: როცა დეკარტი ამბობს, რომ უეჭველი დარჩა „მე", როგორც მოაზროვნე ნივთი, აზროვნების ქვეშ იგი გულისხმობს საერთოდ ცნობიერების მოუცილებელ შინაარსს. „მეტაფიზიკური განაზრებების" III თავში ვკითხულობთ: მოაზროვნე, ანუ ცნობიერების მქონე ნივთი არის ის, „რომელიც ეჭვობს, ამტკიცებს, უარყოფს, ცოტა რაღაც იცის, მრავალი რამ არ იცის, სურს და არ სურს, ასევე შეუძლია ხატოვნად წარმოიდგინოს რაიმე და შეიგრძნოს". ამის შემდეგ მოულოდნელი არაა მისი დებულება „შეგრძნება ხომ მეტი არაფერია თუ არა აზროვნება"[4]. ისიც „მე"-ს გულისხმობს აუცილებლობით.

აზროვნების მიერ მოწოდებული მრავალი სახის შინაარსი (მაგალითად, როგორც ის, რომ „ბუხარი ათბობს", ასევე ის, რომ „სამკუთხედის კუთხეების ჯამი 2d-ს უდრის") საეჭვოა დეკარტის მეთოდური ეჭვისათვის. მაგრამ ცოგიტო-ს უეჭველობა საერთოდ ღირებულებათა ახალი საზომის დაფუძნების იმედს იძლევა.მის უეჭველობაში ვერ შეგვაეჭვებს თუნდაც უზენაესი ბოროტი ძალის დაშვებაც, ე. ი. ის უეჭველი იქნება ღმერთის ნების საპირისპიროდაც. ამიტომ

[4] დეკარტი რ., მსჯელობა მეთოდის შესახებ. მეტაფიზიკური მედიტაციები. გვ. 99. თბილისი, 2001.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დეკარტის ამ დებულებით ფილოსოფია თავისუფლდება თეოლოგიის მსახურის როლისაგან. დეკარტმა ხომ თითქოს ის პუნქტი მონახა, სადაც აზროვნება მხოლოდ საკუთარ თავს ემყარება. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი დროის იდეალიზმი დეკარტმა, როგორც ჰეგელი ამბობდა, თვითცნობიერებას დააფუძნა. ამ დებულების სიცხადე და გარკვეულობა მისი უდავო ჭეშმარიტების გარანტიაა. მასში ვერავითარი ინსტანცია ვერ შეაეჭვებს ჩვენს ცნობიერებას. ჰეგელი დეკარტის ფილოსოფიის არსებად აზროვნებისა და ყოფიერების (ყოფნის) ამ სიცხადის დადგენას თვლიდა[5].

საკუთარი არსებობის უეჭველობის რეფლექსია მოცემულია ჯერ კიდევ ინდური მითოლოგიის შესანიშნავ ძეგლში „უპანიშადებში" (ვედების ნაწილი, ძვ. წ. 1000-500), აშკარაა იგი ავგუსტინესთანაც (354-430). იყენებდა მას დეკარტის უფროსი თანამედროვე თ. კამპანელაც. მაგრამ დეკარტამდე წმინდა აზროვნების ძალა არავის დაუპირისპირებია ღმერთის ყოვლისშემძლეობისათვის. „უპანიშადებში" იგი ემპირიული თვითცნობიერების ნაწილია, ხოლო ავგუსტინესთან მხოლოდ ერთ-ერთია სხვა ტიპის ჭეშმარიტ დებულებათა, მაგალითად, დიალექტიკურ და მათემატიკურ ჭეშმარიტებათა შორის[6].

დეკარტის ეს დებულება არც ინდუქციით საბუთდება და არც დედუქციით. მისი გაგების საშუალებას დეკარტი ინტუიციას, ე. ი. დანახვას

[5] Hegel G.W. Fr., Werke in 20 B. გვ. 257, (Hrsg. Moldenhauer E., Markus Michel K. Surkamp 1970).

[6] Wedberg A. A. History of Philosophy. V.1. გვ. 152, Oxford. 1982.

(ხედვას, ჭვრეტას) უწოდებდა. ეს ჭეშმარიტების უშუალოდ დანახვაა, არა გრძნობადი თვალის, არამედ გონების თვალის დახმარებით. ეს ის თვალია, რომლის არქონასაც უფიქსირებდა, გადმოცემის თანახმად, ემპირისტ არისტიპეს (435-355/60) პლატონი (ცხენს ხედავ, რადგან გრძნობადი თვალი გაქვს, ცხენობას ვერა, რადგან გონების თვალი არა გაქვს). აქ არაა რაიმე მისტიკური, ანუ მრუმე ვითარება, რომლის გარკვევა და ნათელყოფა შეუძლებელია. დეკარტს ამით იმის აღნიშვნა სურდა, რომ აქ საქმე გვაქვს საკუთრივ ფილოსოფიური მეთოდის სპეციფიკის გამოხატულებასთან. ეს დებულება უმაღლეს აუცილებლობას ფლობს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამ დებულების უარყოფა შეუძლებელია, რადგან მისი უარყოფის მცდელობა მასვე ამტკიცებს. იგულისხმება, რომ აზროვნების უარყოფა მხოლოდ აზროვნებითაა შესაძლებელი.

დასაბუთების ამგვარ წესს დეკარტამდეც იცნობდნენ. სწორედ ამგვარია სოკრატე-პლატონის დებულება ადამიანისათვის ჭეშმარიტების შესაძლებლობის უარმყოფელი აზრის წინააღმდეგობრიობის, ე. ი. ალოგიკურობის შესახებ. სოკრატემ (469-399) სოფისტების კრიტიკით აჩვენა ეს წინააღმდეგობა: სოფისტების მიერ ადამიანისათვის ჭეშმარიტების მიღწევის შეუძლებლობის მტკიცება თავადაა პრეტენზია ჭეშმარიტების ფლობაზე. სოფისტი მხოლოდ საკუთარ თავს მიიჩნევს ჭეშმარიტების მფლობელად. აქ ჩვენ პირობით მსჯელობასთან გვაქვს საქმე. იგი გვეუბნება: თუ ვინმე უარყოფს ჭეშმარიტების არსებობას, მაშინ ის, ძალაუნებურად ამტკიცებს მას, რადგან საკუთარი დებულება მიაჩნია ჭეშმარიტად. აქ ჩვენ „თუ..., მაშინ"-ის სფეროში ვართ.

დეკარტის დებულება (ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ) სწორედაც რომ მხოლოდ აზროვნების უეჭველ არსებობას ადგენს. მისი აუცილებლობის საფუძველი ამავე დებულებაში დევს და არა მის გარეთ, როგორც ეს დასაბუთების ტრადიციულ მეთოდებშია. ეს ის მეთოდია, რომელსაც ჰეგელის შემდეგ დიალექტიკური დასაბუთება ეწოდება.

ამ მეთოდით მოპოვებულია ჭეშმარიტების კრიტერიუმი, როგორც სიცხადე და გარკვეულობა ჩვენი გონებისათვის. მსგავსი ტრადიციული კრიტერიუმებისაგან განსხვავებით, მისი სპეციფიკა ისაა, რომ მისი სიცხადე ნიშნავს, ამ ვითარების სხვაგვარად მოაზრების შეუძლებლობას. ეს არის ერთადერთი საიმედო საყრდენი პუნქტი, მაგრამ მისგან დედუქციურ სისტემას ვერ მივიღებთ, რადგან უეჭველი მხოლოდ ისაა. მისგან რომ რაიმე გამოყვანილზე გავავრცელოთ უეჭველობა, ეს დეკარტის მეთოდური სკეპტიციზმის უარყოფა იქნებოდა, რადგან მან ყველაფერი სხვა (კოგიტოს პრინციპის გარდა) საეჭვოდ გამოაცხადა. საუკუნის შემდეგ დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ი. გ. ფიხტე შეეცდება დეკარტის ამ პრინციპიდან ძირითადი დებულებების გამოყვანას, რომელიც ამავე დროს განვითარებაც, ანუ ახალი უეჭველი შინაარსის დადგენაც იქნებოდა. მაგრამ დეკარტი აზროვნებას ამდენ ძალას არ ანიჭებს და ტრადიციულად, საშველად ღმერთს მიმართავს.

დასაბუთება ამდაგვარია: რაკი ჭეშმარიტების კრიტერიუმი სიცხადე და გარკვეულობაა, ამიტომ ჩვენი ცნობიერების შინაარსი კვლავ უნდა

გადავსინჯოთ: იქნებ იქ არის რაღაც, რაც ამ შინაარსში ამოსავალი პუნქტის ძიებისათვის გამოგვადგება. იგი გაგვახსენებს, რომ მათემატიკის და გეომეტრიის დებულებებმა ყოველგვარ ეჭვს გაუძლეს, გარდა ერთისა: ეს არის ღმრთის ბოროტი ნების არსებობის შესაძლებლობის დაშვება. ბოროტ გენიას შეიძლება შევეჭვნით, როგორც მრუდე სარკეები. ამიტომ, თუ დასაბუთდა, რომ ღმერთი ბოროტი არ შეიძლება იყოს, რომ იგი კეთილია, მაშინ ზუსტ მეცნიერებათა დებულებები, თუ ისინი ჩვენთვის ცხადი და გარკვეულია, უდავოდ ჭეშმარიტი იქნებიან. საღი ადამიანური გონებისათვის ცხადი და გარკვეული ნიშნავს რაციონალურად დასაბუთებულს, ე. ი. ჭეშმარიტს. ცხადია აქ მარტო ინდუქცია და დედუქცია არ იგულისხმება. დეკარტს შემოაქვს დასაბუთების მესამე სახე — ინტუიცია. გონების სახელმძღვანელო წესების ჩამოყალიბებისას დეკარტი სავსებით ნათლად წერს, რომ დასაბუთების მესამე და უმაღლესი სახე არის ინტუიცია. ინტუიცია მე მესმის, გვასწავლის დეკარტი, არა როგორც გრძნობების მერყევი მოწმობა, და არც როგორც მოუწესრიგებელი ფანტაზიის ნაყოფი, არამედ ნათელი და დაკვირვებული გონების მოწმობა — ისე ნათელი და გამოკვეთილი, რომ არავითარ ეჭვს არ ტოვებს.მას მხოლოდ გონების ბუნებითი სინათლე იძლევა და თავისი სიმარტივის წყალობით უფრო სარწმუნოა, ვიდრე თავად დედუქცია. აქ ნათლადაა განსხვავებული დასკვნის სამი სახე: ინდუქცია, დედუქცია და ინტუიცია. ამით დეკარტთან, როგორც თითქმის ყველგან, პრობლემა კი არ იხსნება, არამედ ჩნდება პრობლემის ახალი

ასპექტი. ინტუიციის მაგალითებად დეკარტს გარდა დებულებისა „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“ მოჰყავს სხვა დებულებებიც: „სამკუთხედს მხოლოდ 3 გვერდი აქვს“, „წრეს მხოლოდ ერთი ზედაპირი აქვს“ და სხვა. დეკარტი თვლის, რომ ეს დებულებებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ უმრავლესობა მათ ყურადღების ღირსად არ თვლის[7]. ამის მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს დებულებები ცნების ანალიზით არიან მიღებული (რაკი ინტუიციებს წარმოადგენენ). ისინი უნდა გავიგოთ, როგორც ცნების შინაარსის დადგენა, ინდუქციისაგან განსხვავებული წესით.

ეს რაციონალიზმი გარკვეული ასპექტით შეზღუდული რაციონალიზმია და ამდენად კავშირშია შუა საუკუნეების შეზღუდულ რაციონალიზმთან. დეკარტთანაც, ჩვენ ღმერთის მხოლოდ არსებობა შეიძლება დავადგინოთ. მისი არსება, ანუ ის, თუ როგორაა ღმერთი ყოველგვარი არსებობის გამაერთიანებელი საფუძველი, სავსებით შეუმეცნებადია. ამ აზრს მეტი საფუძველი მიეცემა, თუ გავიხსენებთ, რომ დეკარტი აქ, თავისი მიზნის მისაღწევად, ღმერთის, როგორც სრულყოფილი არსების ანსელმ კენტერბერისეულ (1033-1109) დასაბუთებას იყენებს.

აზროვნების ქვეშ დეკარტს ესმის ჩვენი ცნობიერების ნებისმიერი შინაარსი, რომელიც რაღაცნაირად შეიძლება დავაფიქსირო, როგორც ჩემს განცდასთან რაღაცნაირ კავშირში მყოფი (მე მტკივა კბილი, მე ვცდილობ ამოცანის გაგებას, ვუყურებ ფოთოლს, ანდა მზეს და ა. შ.).

[7] Декарт Р.: Избранные Произведения. гл. 86. Москва, 1950.

როგორც ცნობიერების შინაარსის „ნაწილები“ ისინი, ეს შინაარსები სრულუფლებიანი არიან[8]. დეკარტი მათ ყველას იდეებს უწოდებს. ჩვენში არსებული ამგვარი იდეების ანუ წარმოდგენების დიდი მრავალფეროვნება სამ ტიპზე დაიყვანება: I. გარედან, ანუ გამოცდილებიდან ჩვენს მიერ მიღებული; II. ჩვენს მიერ შექმნილნი (მაგალითად, წარმოსახვის ძალით, ფანტაზიით); და III. ისეთნი, რომლებიც იბადებიან ჩვენთან ერთად და არ შეიძინებიან (იქვე,105).

ყველა იმ იდეას შორის, რომლის დასაბუთებაც ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ ერთია ისეთი, რომლის ცნებაშიც არსებობა აუცილებლობით მოიაზრება. ნებისმიერი სხვა არსებულის (ფოთოლის, შხის, მიწის, ვარსკვლავების და ა. შ.) ცნება მისი შესაბამისი ობიექტის ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობას გულისხმობს; ხოლო ღმერთის ცნება გულისხმობს თავისი ობიექტის აუცილებელ არსებობას. ყველა სხვა ობიექტის ცნებაში ჩვენ ვასხვავებთ, ობიექტის (საგნის) არსებას, რაც ამ საგნის ცნებით გამოიხატება, და არსებობას, რაც ამ ცნებისაგან დამოუკიდებლად რაღაცნაირ არსებობას გულისხმობს. რაგინდ ნათლად არ უნდა მოვიაზროთ სხვა ცნებები, მათში მაინც ვერაფერს დავინახავთ, რაც მათი შესატყვისი საგნის (ობიექტის) აუცილებელ ფაქტიურ, ანდა რაიმენაირ აუცილებელ არსებობაზე მიუთითებდეს.

გამონაკლისია მხოლოდ ღმერთის ცნება. მასში არსებობა ისეთივე აუცილებლობით იგულისხ-

[8] დეკარტი რ., მსჯელობა მეთოდის შესახებ. მეტაფიზიკური მედიტაციები, გვ. 9, თბილისი, 2001.

მება, როგორც სამკუთხედის ცნებაში მისი კუთხეების სიდიდე (მაგრამ არა არსებობა). ეს ცნება ჩვენში მხოლოდ ღმერთის ჩადებული შეიძლება იყოს, რადგან დეკარტის აზრით, ნაკლოვანი (ანუ ჩვენ და ჩვენი აზროვნება) არ შეიძლება საკუთარი სრულის მიზეზი იყოს.

დეკარტი მიუთითებს ღმერთის არსებობის დასაბუთების ანსელმ კენტერბერიელისაგან ნასესხები ონტოლოგიური არგუმენტის კიდევ ერთ ასპექტზე, რომელიც დეიზმის საწინააღმდეგოა და რომელსაც, შემდეგ, ნ. მალბრანში (1638-1715) გამოიყენებს. მხედველობაში გვაქვს დეკარტის „ფილოსოფიის საწყისები“-ს მე-18 პარაგრაფში გამოთქმული აზრი: ჩვენი სოცოცხლის ხანგრძლივობაც კი, საკმარისია ღმერთის არსებობის დასასაბუთებლად, რადგან, ჩვენი არსებობის ერთი რომელიმე პერიოდიდან აუცილებლობით არასდროს გამომდინარეობს სხვა, და ასევე, მათი (ამ ორის) ერთიანობისათვის საჭირო გარეშე ძალა.

აქ ორმხრივი მიმართებაა: ერთის მხრივ, დეკარტი, ღმერთის კეთილობას აფუძნებს ადამიანური გონების ბუნებით სინათლეზე (ლუმენ ნატურალე), როგორც მათემატიკურ ჭეშმარიტებათა ადამიანებისათვის გასაგებ კრიტერიუმზე. მაგრამ ამგვარი დაფუძნება დასაბუთებისათვის გარკვეული უპირატესობის მინიჭებაა, რაც თავად ანსელმსაც პრობლემას უქმნიდა. ბუნებითი ჭეშმარიტება ხომ დასაბუთების ძალაა და მეტი არაფერი (არაა, ვთქვათ, მისტიკური ხედვა). მართალია, მეორე მხრივ, ჩვენი გონების ბუნებით ძალას, იმისათვის, რომ საკუთარი თავი ირწმუ-

ნოს, კეთილი ღმერთის არსებობის დასაბუთება სჭირდება, მაგრამ რაკი ეს დასაბუთებაა, საჭმეც მხოლოდ აზროვნებასთან გვაქვს, ანუ აზროვნება თავად შველის საკუთარ თავს.

ამიტომ არ მოსწონდა თომა აქვინელს (1224-1275) ანselმ კენტერბერიელი. ამავე ასპექტით აფასებდა დეკარტის საჭეს დიდი მორწმუნე და დიდი მეცნიერი, დეკარტის უმცროსი თანამედროვე და, გარკვეული აზრით, მემკვიდრე ბლეზ პასკალი. იგი წერდა: მე არ შემიძლია ვაპატიო დეკარტს, რომ მან თავისი ფილოსოფიის კურსში, ასე ვთქვათ, გვერდი აუარა ღმერთს; მაგრამ მაინც ვერ შეძლო არ მიეცა მისთვის სამყაროს მოძრაობაში მომყვანი პირველი ბიძგის განმახორციელებელის ფუნქცია, რის შემდეგაც მას არავითარი საქმე აღარ ჰქონია ღმერთთან[9].

ამგვარი საყვედურის ასაცილებლად, დეკარტმა თავის „მეტაფიზიკურ განაზრებებს" წაუძღვარა წერილი — „რენე დეკარტი. პარიზის წმინდა ღვთისმეტყველების ფაკულტეტის მაღალგანათლებულ და შორს სახელგანთქმულ პირებს: დეკანს და დოქტორებს". იგი აღნიშნავდა: რასაკვირველია, ჩვენთვის, მორწმუნეებისათვის საკმარისია მყარი რწმენა იმისა, რომ ადამიანური სული სხეულთან ერთად არ იღუპება და, რომ ღმერთი არსებობს; მაგრამ როგორც ჩანს, ურწმუნოს, ვერავითარ რელიგიაში და ვერავითარ ზნეობრივ ქცევლობაში ვერ დაუჯერებთ, სანამ ორივე პრინციპს ბუნებითი გონებით არ დაუსაბუთებთ[10].

[9] პასკალი ბ., ფიქრები, გვ. 34, თბილისი, 1981.

[10] დეკარტი რ., მსჯელობა მეთოდის შესახებ. მეტაფიზიკური მედიტაციები, გვ. 92, თბილისი, 2001.

ეს მოძღვრების ავტორისეული ინტერპრეტაციაა, რომელსაც ზოგიერთი მოაზროვნე დეკარტის სიცოცხლეშივე არ დაეთანხმება. ამ უთანხმოებამ, დასავლეთის ფილოსოფიურ და თეოლოგიურ აზროვნებაში არაერთი საინტერესო თვალსაზრისის წარმოშობა განაპირობა.

ღმერთის არსებობის დასაბუთების შემდეგ, დეკარტისათვის ახალ ძალას იძენს ადამიანის სული. მას უკვე გარანტირებული აქვს ჭეშმარიტის მცდარისაგან, ასევე გამოცდილებისეულის თანშობილისაგან განსხვავების კრიტერიუმი. ძახი საშუალებით ჩვენი ცნობიერების იმ შინაარსისაგან, რომელიც მეთოდოლოგიური ეჭვისას კითხვის ქვეშ მოექცა და განზე გადაიდო (დიდი ხნის შემდეგ, ე. ჰუსერლი (1859-1938) ამ ოპერაციას, დროებით „ფრჩხილებში ჩასმას" უწოდებს), ყოველივე ადეკვატურად შეფასდება. ამგვარი საფუძვლის შემდეგ, ეჭვის სფეროში მოქცეული მათემატიკა, სამაგალითო მეცნიერება ხდება. მეცნიერული კვლევის სფეროში მათემატიკური მეთოდი უეჭველობას, ამასთანავე ყოვლისმომცველობასაც იძენს.

მეცნიერების მიზანი დეკარტთან, ისევე, როგორც ბეკონთან, არის მეცნიერული ტექნიკის საშუალებით ბუნებაზე გამბატონება. ჩატარებული საშუშაოს საფუძველზე დეკარტს შესაძლებლად მიაჩნია დაადგინოს კვლევის ახალი მეთოდის სახელმძღვანელო წესები:

1. არაფერი მივიჩნიოთ ჭეშმარიტად, რაც ჩვენს გონებას ისე ნათლად და გარკვეულად არ წარმოუდგება, რომ ეჭვის საბაბს არ იძლევა.

2. კვლევის წინაშე მდგომი სიძნელე უნდა დავყოთ იმდენ ნაწილად, რამდენიც შესაძლებელია და უმჯობესია მისი დაძლევისათვის.
3. კვლევა ადვილით, მარტივად მისაწვდომით უნდა დავიწყოთ და თანდათანობით გადავიდეთ რთულზე. საკვლევ საგანში წესრიგი, ჩვენი ინიციატივით მხოლოდ იქ უნდა დავუშვათ, სადაც იგი ბუნებრივად არ მოგვეცემა.
4. საკვლევის შესახებ იმდენად სრული ცხრილები და მიმოხილვანი უნდა შევადგინოთ, რომ გამოტოვების ეჭვი არ გაგვიჩნდეს.

ამ წესებიდან ნათელია დეკარტისა და ბეკონის ფილოსოფიათა განსხვავებაც და მსგავსებაც.

მომდევნო არსებითი პრობლემა, რომელიც დეკარტის ბუნებითი თეოლოგიისათვისაც მნიშვნელოვანია და ფილოსოფიისათვისაც, არის შემეცნებაში შეცდომის შესაძლებლობის პრობლემა. საკითხი ასეთ სახეს იღებს: თუ ღმერთი კეთილია და, ამ საფუძველზე, ჭეშმარიტების კრიტერიუმიც ხელთა გვაქვს, რატომ ხდება შეცდომა მეცნიერულ შემეცნებაში? შეცდომის შესაძლებლობა დეკარტს გამოჰყავს ადამიანში, როგორც სასრულო გონიერ არსებაში, გონებისა და ნების განსხვავებისაგან. ადამიანს გონების, როგორც ჭეშმარიტების ძიების ორგანოს გარდა, აქვს თავისუფალი ნება, რომელიც მის „ძირითად სრულყოფილებას" წარმოადგენს, რადგან მას ეს თვისება ღმერთთან საზიარო აქვს.

გონებასა და ნებას სხვადასხვა მიზნები აქვთ, მაგრამ მსჯელობისათვის, როგორც კვლევის შედეგის დადგენისათვის ორივე აუცილებელია. ჩვენი ნება ისევე უსასრულოა, როგორც ღვთის ნება, ჩვენი გონება კი სასრულოა. მას აინტერესებს მეცნიერული შემეცნება. იგი თავისი საგნის კვლევის შედეგებს, გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს ჩვენს ნებას. რომლის სურვილი და გადაწყვეტილება (თუნდაც მხოლოდ ფანტაზიაში) ყველაფერს შეიძლება შეეხოს. ნებას ამოძრავებს ადამიანის ამქვეყნიური ინტერესები და, არანაკლებ, იმქვეყნიური. დეკარტი აქ იმ პრობლემას შეეხო, რაც რუსთველმა (XII ს.) საინტერესოდ გააანალიზა (გულის, ცნობის და გონების არსებითი ერთიანობისა და, ამავდროულად, მაინც დაპირისპირების თაობაზე (21,სტრ.848). როგორც რუსთველთან, ისე დეკარტთანაც, გული ხშირად ხელს უშლის ობიექტურ შემეცნებას. მაგრამ ეს არასგზით არ ნიშნავს, რომ იგი საჭირო და აუცილებელი არ არის შემეცნებისათვის და თავად ადამიანისათვის. „არ ვარგა კაცი უგულოდ" ამბობს რუსთველი. თავისუფალი ნების გარეშე ჩვენ მხოლოდ ავტომატები ვიქნებოდით, არც ქებას და არც სასჯელს არ დავიმსახურებდით, ამტკიცებს დეკარტი. ნება ჩვენი პიროვნულობის პრინციპია. შემდეგ კი კანტი იტყვის, რომ თავისუფალი ნება ის პრინციპია, რომელიც, შეუძლებელს ხდის ადამიანის მანქანად მიჩნევას, რისი შესაძლებლობის დასაბუთებაც სურდა ჟ. ო. დ. ლამეტრის (1709-1751). თუ ჩვენ მოთმინებით დაველოდებით გონების კვლევის შედეგებს (გონებას, შეიძლება ითქვას, არ ეჩქარება, განსხვავებით ჩვენი ნებისაგან), დეკარტის აზრით, შემეცნებაში შეცდომა

არ მოხდება. შეცდომა ჩვენი ნების არასწორ, ნაჩქარევ გამოყენებაში მდგომარეობს. იგი წინ უსწრებს გონებას. საინტერესო ისაა, რომ ამ გასწრებისას ადამიანი კიდევაც, რომ წააწყდეს ჭეშმარიტებას, რაც გამორიცხული არაა, იგი მას ვერ დაასაბუთებს, ე. ი. არ ეცოდინება ფლობს თუ არა მას[11]. ამდენად, ჩვენ, როგორც თავისუფალი არსებანი, მხოლოდ ჩვენი ნებით ვცდებით.

ფილოსოფია, გაგებული, როგორც საერთოდ დასაბუთებული ცოდნა, ე. ი. როგორც მეცნიერება, დეკარტის აზრით, ერთადერთია რაც ცივილიზებულ საზოგადოებას ველურობისაგან განასხვავებს. ფილოსოფიური სისტემის პირველსაწყისები, მართალია, საგნების შემეცნებამდე, უეჭველობით უნდა იქნან დადგენილი, მაგრამ იმგვარი ბუნებისა უნდა იყვნენ, რომ საგანთა შემეცნება მათ გარეშე შეუძლებელი იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტაფიზიკა აძლევს საფუძველს მთელს დანარჩენ მეცნიერულ შემეცნებას. ფილოსოფიის, როგორც საერთოდ მეცნიერული შემეცნების ერთიანობის გასაგებად, დეკარტი ფრანგ გამოჩენილ კ. ჰიკოს წერდა: ფილოსოფია ჰგავს ხეს, რომლის ფესვები არის მეტაფიზიკა, ტანი — ფიზიკა, ტოტები კი — დანარჩენი მეცნიერებანი.

დადგენილი კრიტერიუმის (სიცხადის და გარკვეულობის) საფუძველზე დეკარტს იმედი მიეცა, რომ გამოჰყოფდა ერთმანეთისაგან მეცნიერებებს იმის მიხედვით, თუ რომელი რომელზეა დამოკიდებული. რაიმეს უმაღლესი დამოუკიდებლობა ამ სფეროში იმას ნიშნავს, რომ მისი

[11] Декарт Р., Избранные Произведения, зз. 442, Москва, 1950.

მოაზრებისათვის არაფერი მისგან განსხვავებულის მოაზრება არაა საჭირო, გარდა ღმერთისა. როგორც რაციონალისტი, დეკარტი აღადგენს პარმენიდესა და ბერონისეული პრინციპის ძირითად აზრს: რაც სიცხადით და გარკვეულობით შეიმეცნება, როგორც დამოუკიდებელი, იგი სინამდვილეშიც ისე (ე. ი. ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად) იარსებებს. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, შემეცნებისას დადგენილი აუცილებლობა ნიშნავს არსებობის აუცილებლობას. თუ ერთი რაიმეს ცნება მეორე რაიმეს ცნების შინაარსის გარეშე მოიაზრება, მაშინ, რაციონალისტის აზრით, მათ შესაბამის საგნებსაც არ შეიძლება შინაგანი კავშირი ჰქონდეს.

რენე დეკარტი

მსჯელობა მეთოდის შესახებ

მეტაფიზიკური მედიტაციები

გამომცემლობის რედაქტორი
ნელი ელიზბარაშვილი

ტექ. რედაქტორი
ინგა ნაროზაშვილი

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“
სტამბაში

ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: info@meridianpub.com ☎ 39-15-22

ILLUMINATI.GE

... და მაინც მგონია, ღმერთს ადვილად შეეძლო ისე მოეწყო ყველაფერი, რომ არასოდეს შევმცდარიყავი, იმავდროულად დავრჩენილიყავი თავისუფალი და მქონოდა სანრული ცოდნა...

... სხვათა დამოძღვრის მოსურნე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თავად დასამოძღვრავზე უფრო გაწაფულია; მისი მცირედი შეცდომაც კი კოლვას იმსახურებს...

... მე ტუსალს ვგავარ, რომელსაც მხოლოდ ძილში შეუძლია დატკბეს წარმოდგენითი თავისუფლებით. შემდეგ კი, როცა მიხვდება, რომ სძინავს, ეშინია გაღვიძებისა და დუნედ მისდევს ამ სასიამოვნო ილუზიებს. ზუსტად ასევე მეც, ჩემდა უნებურად, ვუბრუნდები ძველ შეხედულებებს და მეშინია გაღვიძებისა, რათა სანეტარო თვლემის შემდეგ გარჯით სავსე ყოფამ ისე არ ჩაიაროს, სინათლის სუსტმა სხივმაც არ შეაღწიოს სარდიულეთა იმ გამოუვალ წყვდიადში, რაზეც ახლახან იყო საუბარი...

9 789941 027093